კვირის პალიტრა

გზა

N36 (326) 7/IX-13/IX.2006. ფასი 60 0

1168
2006

საბედისწერო შეხვედრა, ვალში გაცვლილი ცოლი და „გვამის“ მესიჯი

ვის აწვდის ალანა გაგლოევა პრეზიდენტზე ინფორმაციას

რა გეგმები აქვთ ალანას და აკაკი გოგიჩაიშვილს

ნინი შერმადინი: „არ მიყვარს, როცა შამაკასთან შეხვედრას წინასწარ ვგეგმავ...“

რაზომ იზაცემდა ბელა ჩარქვიანი ავტომანქანებს

მერეკე საიცრეკა

ქართველ კაცს მარჯვენა მხარეს ბაყაყის გული აქვს

სიახლე

რეალური შოუ „გზაში“

რუსეთის სპეცსამსახურმა ქართველ-ამერიკელ მეცნიერს საიდუმლო ინფორმაცია დასტყუა

ვინ ტანჯავს რუსთავის ზოოპარკში მხეცებს

ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ!

№18(53), 8-21 სექტემბერი, 2006

ფასი 80 თეთრი

ᲙᲔᲠᲩᲘᲡᲬᲧᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ

მართლმადიდებლური ჟურნალი

ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ:
ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲔ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲢᲝᲕᲔᲑ

ᲛᲐᲡ ᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲙᲐᲙᲣᲜᲔᲑᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲖᲔ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ

ᲓᲔᲓᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ:
ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ – ᲐᲛ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲨᲕᲘᲜᲔᲑᲡ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ

ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲜᲘᲙᲘᲗᲮᲝ, ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲘᲤᲘᲥᲠᲔ

ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲯᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

№36 (326)
7 — 13 სექტემბერი.
2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
იღბალი უნდა ყველაფერს ანუ რატომ გვებრძვის დიდ-პატარა ფრინველი-მწერი?! 3
ინფორმაცია
სპეცოპერაცია გამთენიისას, 29 დაკავებული და „გულშემატკივარი“ მეზობლები 4
ერთი კითხვა 5
უცხოური პრესა
სანახევრო თავისუფლება 6
ჟურნალისტის როლში
რა გეგმები აქვთ ალანა გაგლოევას და აკაკი გოგიჩაიშვილს 8
რეპორტაჟი
„აიანი“ და „უაო“ ავტობუსი, კომბოსტოჭამია მგელი და რუსთავური „ნაგავფართი“ 10
პრობლემა
„სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების პროგრამა“ – დასაქმების რეალური შანსი თუ ადამიანების ბედით თამაში? 12
კრიმინალი
ორი შვილის დედა ადამიანებით ვაჭრობდა 13
ონლაინ-ურთიერთობა
შეაბი.ge პარალელურ სამყაროში 17
ავტოფანები
წყნეთის ტრასაზე ჩადენილი სიგიჟეები, გატაცებული ავტომობილები და... 20
ანტიდეპრესანტი 22
დღე ცნობილთან ერთად
ნეკას სიმღერებზე აცრემლებული ემიგრანტები 22
გზავნილები
ვალში გაცვლილი ცოლი და „გვამის“ მესიჯი... 24
თინეიჯერული პონტები
გაურკვეველი სქესის ადამიანები, გახვრეტილი ჭიპი და თეთრი ყვავის პირველი შეცდომა 28
შთამომავლობა
როგორ დაიბრუნა ნოე რამიშვილის გვარმა ერთადერთი დაკარგული მემკვიდრე 31
სპეცსამსახურის ისტორიიდან
საიდუმლოდ შენახული სენსაცია 33
ნამდვილი ამბავი
შეხვედრა... კარადაში! 35
ტაიმ-აუტი 36
რომანი
გაგა ვაჩნაძე. ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38

ვირტუალური წყვილის რეალური ამბავი გაგრძელებებით

17

პანდორა: ნუ მომკალი, სიცილით...

ზურა: რა, არა? ჩასაყლაპი ხარ, აბა არ ხარ?

პანდორა: თითქოს ჭკვიანი და მიამიტი ადამიანი ჩანხარ, მაგრამ ეტყობა, მაგარი შემბმელი ხარ...

ზურა: ნატალი, ნუ მიხურებ, რაااა... იცი, რა მაინტერესებს?

პანდორა: ვიცი...

ზურა: იცი? აბა, მითხარი, რა იცი....

პანდორა: შენ გაინტერესებს, ჩემი ოჯახური მდგომარეობა...

ზურა: ვა! შენ როგორც ჩანს, პროფესიონალი ფსიქოლოგი ხარ... როგორ მიხვდი?



წყნეთის ტრასაზე ჩადენილი სიგიჟეები

20

„იმდენს კი მივხვდი, რომ „გაგს“ ფეხი მოვაცილე... მანქანამ სვლა შეანელა, მეგონა, გაჩერდებოდა, მაგრამ... რომ არ გაჩერდა, ჯიპი ხის მიმართულებით წავიყვანე და მას დავეჯახე...“



საიდუმლოდ შენახული სენსაცია

33

ხანგრძლივი ძიების შემდეგ „კაგებემ“ სენსაციური ინფორმაცია შეიტყო. თურმე ამერიკელი ქიმიკოსი კაროზერსი, სინამდვილეში ქართველი ემიგრანტი, ბათუმელი თურმანიძე გახლდათ, რომელსაც სამშობლო ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებთან ერთად დაუტოვებია.

მსოფლიოს მერვე საოცრება

44

„1993 წელს, პოლიციამ ამიყვანა და სასტიკად მცემა, იმიტომ, რომ ნარკომანი ვეგონე, რადგან ტუჩებზე სილურჯე მაქვს. ისე მცემეს, 6 თვე უგონოდ ვიყავი, ცნობიერება მქონდა დაკარგული...“

ჯანმრთელობა
- როდის ვუმკურნალოთ ჰიპერტონიას?
- ქრონიკული დაღლილობის სინდრომი
– ახალგაზრდა კარიერისტთა ბრიპი 42
- მკურნალი ტყე 43

უნიკუმი
მსოფლიო მერვე საოცრება: გული
– მარჯვნივ, ბრმა ნაწლავი
– მარცხნივ! 44

პირველი პაემანი
შეყვარებულმა თანაკლასელმა
ნინი შერმადინს სიყვარული
ლექსით აუხსნა 45

მინდვრებს მიღმა
- „ჩელსი“
– ლონდონელი არისტოკრატები 46
- დიდი „ფრანგობა“ საქართველოში 48

ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50

ტაძარი
სვანე, რომელიც XX საუკუნეში
ხელახლა იქნა აღმოჩენილი 54

ადამიანი
პირველი ქართველი ტრაქტორისტი
ქალი კოდისწყაროში 55

ლეგენდა
ფაბერჟე – ანტიკვარიატის ჯადოქარი 56

ვარსკვლავები 57

შემოქმედი
რამდენიმე უცნობი ფაქტი ვახტანგ
ჭაბუკიანის ცხოვრებიდან 60

ავტო 62

ბომონდური მოზაიკა 64

ჰოროსკოპი
კვირის (7-13 სექტემბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 66

ობიექტივი
ფოტოგრაფის ალბომიდან 67

შეუცნობელი 68

ტესტი 70

სკანვორდი 71

...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

პირველი ქართველი ტრაქტორისტი ქალი კოდისწყაროში ცხოვრობს

„მართალია, სამსახურში ტრაქტორისტის სპეციალობა მეცვა, მაგრამ ყოველთვის მოწესრიგებული ვიყავი, პომადაც მიყვარდა და ფერ-უმარილიც.“

55

კომბოსტოჭამია მგელი და რუსთაველი „ნაგავ-ფართი“...

იქვე, დედალ-მამალი მაიმუნი ცხოვრობს – თამილა და კოლია, რომლებსაც, თუ ზოოპარკის თანამშრომელს დავუჯერებთ, სექსი აქვთ, მაგრამ შთამომავლობას ვერ იძლევიან. სამაგიეროდ, საკმაოდ მადისაღმძვრელად გამოიყურება 2 ჩაპუტკუნებული ღორი, რომლებსაც საახალწლოდ ალბათ, ისევე გააქრობენ.

10

ფაბერჟე – ანტიკვარიატის ჯადოქარი

ცნობილი ამერიკელი გამომცემლის, მალკოლმ ფორბსის კოლექციაში ფაბერჟეს 11 სააღდგომო კვერცხია დაცული, რომლებიც რუსეთის იმპერატორის ოჯახის წევრებისთვის იყო დამზადებული.

56

თეთრი სიკვდილი

– რატომ უნდა დავინტერესებულიყავი შენი ძმით?.. როგორ ფიქრობ, მქონდა საამისო მიზეზი?..

– არ გქონდა და შენც კარგად იცი, რომ მეორე „სროკის“ შემდეგ, ზაზა სახლში დაჯდა, – უპასუხა ვახომ.

– ხედავ, შენ თვითონ მიდასტურებ, რომ შენი ძმის აყვანის საფუძველი არ მქონია და არც ამიყვანია. რომ ამეყვანა, ახლა ან საკანში იქნებოდა, ან კიდევ – დაკითხვაზე.

50

იღბალი უნდა ყველაფერს ანუ რაღომ გვებრძვის დიდ-ჰაღარა ფრინველ-მწერი?!

ქვეყანას იღბალი რომ არ დაჰყვება, გათავებულია მისი საქმე! ისტორიულად ხომ არასდროს გვაკლდა მტრების შემოსევა?! მართალია, ახლა ლაშქრობები და ხმალხანჯლაობა აღარაა, სამაგიეროდ, ბუნება მოგვეკიდა მტრად და მთელი ფლორა და ფაუნა ჩვენ გვებრძვის...



განსაკუთრებით, ამ ზაფხულს ისე ცხელოდა, რომ იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდაო და სასეირნოდ ქუჩაში გამოყვანილმა ძაღლებმა პატრონიან-გამვლელიანად დაღეჭეს სუყველა. მაგალითად, ჩემს მეზობელს მეორე მეზობლის ძაღლმა რომ უკბინა, პატრონმა „მოუბოდიშა“ — ეს ლეკვია, ჟენია, კბილები ამოსდის და ექავებაო (სხვათა შორის, ეს ლეკვი უკვე იმოდენაა, რომ ჟენიას ფეხი შუა ბარძაყამდე ჰქონდა პირში ჩადებული)...

არა, მე მესმის, ძაღლი იმისია, რომ დაგიყეფოს და გიკბინოს, აბა, „მოძახილს“ ხომ არ გეტყვის, მაგრამ ასე უმიზეზოდ?! სპეციალისტებმა ძაღლების მასობრივი აგრესიის მიზეზად, ზედმეტი სიცხე დაასახელეს, თორემ — ისე ხომ ძაღლი ადამიანის მეგობარიაო... ტყუილია! რაც მე მეგობარი მყავს, იმათ რამდენჯერაც სიცხე შეაწუხებთ, იმდენჯერ რომ მიკბინონ, კაი მეგობრობა გამოგვივა...

კარგი, ბატონო, ამას კიდევ ეშველება, აგრილდება აწი შემოდგომაზე და ჩვენი ოთხფეხა ძმაკაცებიც უფრო ლოიალურები და ჰუმანურები გახდებიან, მაგრამ რა ვუყოთ ბუნების მეორე რისხვას?! შემოგვეჩვივნენ პეპლები და თხილი — რითიც გურიასამეგრელოში ხალხს სული ედგა — ბოლო ფოთლამდე შეუჭამეს.

არადა, რაც ჩვენს ფოლკლორში პეპლებს ვეფერებით: ჭრელო პეპელაო; მინდვრად დაგიჭერ პეპელასო; ჭრელი პეპელა დაათრო, აქეიფა და მეორე დილით „პახმელიაზეც“ გამოიყვანაო... და რა ვიცი კიდევ — მათგან ამის ღირსები ვიყავით?! ზოოლოგიაში გვასწავლეს, პეპელა უწყინარი, ლამაზი მწერია და მხოლოდ ერთი დღე ცოცხლობსო... სად გვაქვს იღბალი, თორემ ის ჩვენი ცოდვით სავსე ამერიკული პეპელა როგორ ასწრებს ერთ დღეში ამერიკიდან ლანჩხუთში ჩამოფრენას და ჩვენი თხილის ფოთლით მუცლის გახეთქვას?! მოკლედ, რამდენ ხანს ცოცხლობს ეს პეპელა, არ ვიცი, მაგრამ მადა რომ შესაშური აქვს — ცხადია. თუმცა რა გასაკვირია, იმ სიშორიდან მოდის და მგზავრობამ ხომ მოშივება იცის...

იძახეთ კიდევ, არ გვინდა რუსეთი, ამერიკაა ჩვენი მამა-მარჩენალიო. რად გვინდა მაგათი დაფინანსება, „გასრიალებული“ გზები, ახალი სკოლები და საავადმყოფოები, ტერიტორიული მთლიანობა, ნატოსა და ევროკავშირის წევრობა, თხილი თუ არ გვექნა არაყზე მისაყოლებლად?! თუმცა, რუსეთიც კაი ბედენაა: მაგათ გაგვიფუჭეს და მოგვიწამლეს მესაქონლეობა, რომ აღარ იწველებიან ძროხები და „ციმბირულზე“ რომ არიან „შემჯდარი“. სად ზემო იმერეთის სოფელში გამოზრდილი ძროხა და სად — ციმბირული წყლული?! არადა, იმ ძროხას რუკა რომ დაუდო წინ, ციმბირს ვერც გიჩვენებს და არც რუსულად ღმუის უაქცენტოდ, მაგრამ როგორც თავში აღვნიშნე, იღბალი უნდა ყველაფერს.

იღბალი გვაქვსო, ინდოელებმა უნდა თქვან: ჩვენთან თუ ციდან მხოლოდ პეპელა, ხოჭო და სეტყვა მოდის, 15 წუთში რომ მთელი წლის მოსავალს ანადგურებს, ინდოეთში შრომაც არ სჭირდებათ — ისეთი წვიმები გახშირდა, რომ ციდან ტორნადოს მიერ სადღაც მოხვეტილი თევზი და ფული ცვივა (იხ. „გზის“ 72-ე გვერდი)... ერთი ფრთოსანი ფრაზა მახსენდება: ისეთი იღბალი მაქვს, ფულის წვიმა რომ წამოვიდეს, თავში გადასახადის ქვითარი დამეცემაო... მართალი ყოფილა, თორემ, რაც ჩვენთან გვალვები იყო, მადლი არაა, თითო ასეთი თევზის, ხორცის, ძეხვის („სამონადირეო“ ჯობია), მწვადის, კუპატის, „შმოტკების“ და ფულის წვიმა რომ მოვიდეს?! მერე წამოვწვეთ წვიმაში არხეინად და ვიმღეროთ:

„ციდან ცვივა თევზები,
ცა ფულების ფერია...
დავაგროვო მინდა, მაგრამ
ვალი მაქვს და ძნელია...“

P.S. მეზობელი ეუბნება მეზობელს:

— თავშენახული კაცი ხარ და ნუ მეტყვი უარს, 1.500 დოლარი უნდა მასესხო!..

— სად მაქვს 1.500 დოლარი? ორი კვირაა, ერთი ცენტი წვიმა არ ყოფილა.

— აბა, ბიჭო! რა გვალვებია! ათასში ერთხელ წამოწვიმს ცოტას და ისიც რა წვიმაა, თვიდან თვემდე რომ არ მიგყვება!..

პროვოკატორი

სპეცოპერაცია გამთენიისას,

29 დაკავებული და „გულშემატკივარი“ მეზობლები

როგორც ცნობილია, 6 სექტემბერს გამთენიისას, ქართველმა სამართალ-დამცველებმა ჩაატარეს სპეცოპერაცია, რომელიც იგორ გიორგაძის თანა-მოაზრეებისა და თანამებრძოლების, პოლიტიკური ორგანიზაცია „სამართლიანობის“ წარმომადგენელთა წინააღმდეგ იყო მიმართული. როგორც საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, სამინის-ტროს თანამშრომლები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დილის 5 საათიდან ატარებდნენ ოპერაციას. შედეგად დაკავებული არიან პარტია „სამართლიანობისა“ და მისი სატელიტი ორგანიზაციების ლიდერები და აქტივისტები. ყველა მათგანს ბრალი წაყენებული აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის I ნაწილით, რომელიც ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების მოწყობას ითვალისწინებს.

როგორც მინისტრმა განმარტა, ეჭვი, რომ აღნიშნული პირები საქართველოს ხელისუფლების დამხობას და იგორ გიორ-გაძის საქართველოში ჩამოყვანას გეგმავდნენ, დადასტურდა. მისი თქმით, კონსტიტუცი-ური უსაფრთხოების დეპარტამენტმა ამ საქმის გასახსნელად რამდენიმე თვის გან-მავლობაში იმუშავა და დღეს უკვე არსე-ბობს საკმარისი მტკიცებულებები იმის-ათვის, რომ დაკავებულებს ბრალი წარედგ-ინოთ.

სპეცოპერაციაში 450 თანამშრომელი მონაწილეობდა.

მომხდარის გამო, კომენტარი გააკეთა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭ-ავარიანმა, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოში იგორ გიორგაძის პარტიის სატელიტი ორგანიზაციებისთვის ფული რუსეთიდან ჩემოდნებით ჩამოჰქონდათ და არა საბანკო სისტემის მეშვეობით. მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ გიორგაძის სატელიტი ორგანიზაციები საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი მტრების მიერ ფინანსდებოდა. მისი განმარტებით, არ-სებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამაში რუსეთის სპეცსამსახურების ხელი ურევია. მაჭავარიანის განცხადებით, არავის ეპატიება, ქვეყანაში სიტუაცია არიოს და ამ გზით პოლიტიკური დივიდენდები დაა-გროვოს.

თემურ ჟორჟოლიანი

თემურ ჟორჟოლიანის ადვოკატის, გელა ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, დაკავების დროს იმყოფებოდა კონსერ-ვატიულ-მონარქისტული პარტიის ოფის-ში, სადაც მოსამართლის ბრძანება წარ-მოადგინეს, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ჩხრეკა. ამოღებულია კო-მპიუტერები, ბეჭდები, დოკუმენტები და ყველა ის ნივთი, რომელიც გამოძიები-სთვის იყო საინტერესო.

მაია ნიკოლეიშვილი

როგორც ადვოკატი განმარტავს, 315-ე მუხლი, რომელიც ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულებას ითვალისწინებს, ძალადობას გულისხ-მობს. აქედან გამომდინარე, სა-მართალდამცველები შესაძლოა, ელოდნენ, რომ ცეცხლსასროლ იარაღს იპოვიდნენ, რაც არ მო-მხდარა. მისი თქმით, სპეცდა-ნიშნულების რაზმთან ერთად, ოფისში გენერალური პროკუ-რატურის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ.

დაკავებულებს შორისაა, იგორ გიორგაძის ცოლის დისშვილი მაია თოფურია

როგორც საგამოძიებო ორ-განოს წარმომადგენლები განმარ-ტავენ, მიმდინარე წლის 24 მაისს მოხდა შეკრება, სადაც პარტია „სამართლიანობის“ ახალ-გაზრდული ორგანიზაცი-ის თავმჯდომარემ მაია თოფურიამ დამსწრეთ შეთქმულების გეგმა გააც-ნო.

გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, გამოძიების ინფორმაციით, ამ შეხვე-დრაში 20-ზე მეტი ად-ამიანი მონაწილეობდა. ბრალდების თანახმად, კონსტიტუციური წეს წყ-ობილების შეცვლა მიმდინარე წლის შე-მოდგომაზე უნდა მომხდარიყო.

ადვოკატი, მოსამართლის მიერ გაცემუ-ლი ბრძანებებისა და გამოძიების ხელთ არ-სებული დოკუმენტაციის გაცნობას მოითხ-ოვს.

მომხდარს ოპერატიულად გამოეხმაურნენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები — რუსი პოლიტიკოსები. სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ანდრეი საველიევის განცხადებით — თუ მანამდე სააკაშვილი ურთიერთო-ბებს რუსეთთან და „უახლოეს მეზობლებთ-ან — სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან“ იფუჭებდა, ოპოზიციის განადგურებით ახლა ის ურთიერთობებს საკუთარ ხალხთან იფ-უჭებს. საველიევის თქმით, ქართველი ერის მოთმინება უსაზღვრო როდია. „ხალხი სააკაშ-ვილს საკუთარ წარმომადგენელთა განად-გურების უფლებას არ მისცემს“, — აცხა-დებს დეპუტატი და დასძენს, რომ სააკაშვი-ლის რეჟიმის დღეები დათვლილია.

რუსეთის დუმის დეპუტატი კონსტანტინ ზატულინი კი მიიჩნევს, რომ ქართველ პოლი-ტიკოსთა დაპატიმრებები ოპოზიციის დაშინებას ისახავს მიზნად.

მისი განმარტებით, ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები არა მხოლოდ სახ-ელმწიფო, არამედ საზოგადოებრივ სფერ-ოებზე სრული კონტროლის დამყარებისკენ არის მიმართული.

კონსტანტინ ზატულინი

„ყველაფერი ეს, იმ პრო-ვოკაციებთან ერთად, რომე-ლსაც საქარ-თველო სამხ-რეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში ახორციელე-ბდა, ქვეყანაში სააკაშვილის კულტის დამ-ყარებაზე მეტყველებს“, — აცხადებს ზატუ-ლინი.

სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციის მიხედვით

„აფხაზები ოსების გამო ომს არ დაიწყებენ“

— იმ შემთხვევაში, თუ ცხინვალში შეიარაღებული შეტაკებები დაიწყება, აფხაზები, სეპარატისტთათვის სოლიდარობის გამოსახატავად, კოდორის ხეობის ზედა ნაწილზე იერიშს ხომ არ მიიტანენ?

პაატა ზაქარეიშვილი, *ექსპერტი:*

— დე ფაქტო პრეზიდენტებმა ურთიერთდახმარების დოკუმენტს თვეების წინ მოაწერეს ხელი, მაგრამ მათ ეს ჩვენს დასაშინებლად გააკეთეს. ის მხოლოდ ფარატინა ქაღალდია. ბაღაფშს ამ დოკუმენტზე ხელმოწ-

ერის გამო ბევრი აფხაზიც აკრიტიკქარიანები არ არიან, რომ ცხინვალში სიტუაციის დაძაბვის პარალელურად, თვითონაც ომში გადაეშვნენ თავით. თანაც, აფხაზებს ოსებზე მზე და მთვარე არ ამოსდით... თუკი ცხინვალში ვითარება გამწვავდა, ეს აფხაზეთში მხოლოდ შიდაპოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს, მაგრამ კოდორის ხეობაში მათი შემოჭრა გამორიცხულია. ჩემი აზრით, ისიც კი შეუძლებელია, რომ ამ ეტაპზე, საქართველოს ხელისუფლება მკვეთრ და რადიკალურ ღონისძიებებზე გადავიდეს. არჩევნების წინ ეს არავის აძლევს ხელს. მონაწილეობა უნდა მივიღოთ ნატოს სამიტშიც, რაც საომარი მოქმედებების პირობებში შეუძლებელი იქნება. ამგვარად, მომდევნო 2 თვის განმავლობაში, სიტუაციის მნიშვნელოვან ცვლილებას არ უნდა ველოდეთ, ამ ეტაპზე სამხედრო ოპერაცია ჩვენთვის ძალზე წამგებიანი იქნება. მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვითარება დეკემბრისთვის დაიძაბოს. თავდაცვის მინისტრს დათქმული აქვს — 2007 წლის 1-ელ იანვარს ცხინვალში შევხვდებითო. ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, რას გულისხმობდა ირაკლი ოქრუაშვილი ამ სიტყვების მიღმა, მაგრამ მოვლენები ისე ვითარდება, რომ დეკემბრის დასაწყისში შესაძლებელია, რადიკალური ცვლილებების მომსწრენი გავხდეთ. ■

რა იგეგმება ცხინვალში?

— საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ დიპლომატიური კორპუსის თავშეკავებული შეფასება საკმარისი არ არის. რა იგულისხმება იმის ადეკვატურ რეაქციაში, რომელსაც, თავდაცვის მინისტრზე განხორციელებული ტერაქტის შეფასებისას ახსენებს ხელისუფლება?

ნიკა რურუა, *თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:*

— თავდაცვის მინისტრზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, ედუარდ კოკოითმა მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებმაც 3 სექტემბერს ზნაურის რაიონის ტერიტორიაზე ოქრუაშვილის ვერტმფრენის ჩამოგდება სცადეს. ტერორისტებთან მოლაპარაკება შესაძლებელია?.. როდესაც თავდაცვის მინისტრის ლიკვიდაციისთვის, ე.წ. ხელისუფლების პირველი პირი ფულად ჯილდოს — 500 ათას დოლარს აწესებს, რომელ დიპლომატიურ ჩარჩოებში ჯდება ეს ფაქტი?! უფრო მეტიც — მათ ნადირობა გამოაცხადეს ქართულ ვერტმფრენებზე, კერძოდ — ის ბოევიკები, რომლებიც ქართულ სატრანსპორტო ან სამხედრო ვერტმფრენს ჩამოაგდებენ, ჯილდოდ 50 ათას დოლარს მიიღებენ... ცალკე თემაა კოკოითის ე.წ. „შავი სია“, რომელშიც ირაკლი ოქრუაშვილი და სხვა გავლენიანი და საქართველოს ინტერესების დამცველი ადამიანები არიან შეყვანილი. არსებობს რაღაც ზღვარი, რომელიც დაპირისპირებულმა მხარეებმაც კი უნდა დაიცვან. ის, რისი მომსწრენიც ბოლო დროს გავხდით, უკვე ყველანაირ ფარგლებს სცილდება. ცხინვალიდან პროვოკაციები აღარ გვიკვირს, მაგრამ მინისტრზე ტერაქტის განხორციელებას ვეღარავინ გაბედავს. საქართველოს ხელისუფლება უახლოეს პერიოდში აღკვეთს ამ უმსგავსობებს. ჩვენ ყველას დავანახვებთ, რომ შეგვწევს ძალა, დავიცვათ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე ტერორისტებისგან. ბოევიკების, მკვლელების, უკანონო ბანდფორმირებების თარეშს მალე წერტილი დაესმება. ■

წყალი გაქვირდება

— „თბილწყალკანალში“ აცხადებენ, რომ ამ ობიექტის გასხვისებაზე ლაპარაკიც არ არის. თქვენი ინფორმაციით, თბილისის წყლის გაყიდვის შემდეგ, მისი საფასური რამდენი პროცენტით მოიმატებს?

პაატა ვეიბლაძე, *ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:*

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ფარული პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობს. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია ფრანგულ კომპანია „ჯენერალ დეჟოსთან“. მთავრობა ამ ობიექტის გაყიდვას 2007 წლისთვის გეგმავს. ბატონი გიგი უგულავა ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს. ობიექტს ჯერ ფორმალურად, ტენდერზე გაიტანენ, შემდეგ კი, იმ კომპანიას „უსახსოვრებენ“, რომელიც მათთვის ხელსაყრელი იქნება. როგორც მოგეხსენებათ, ფრანგული კომპანია „თბილწყალკანალის“ შესყიდვით 2004 წელსაც იყო დაინტერესებული, მაშინ, როცა ქალაქის მერი, ზურაბ ჭიაბერაშვილი გახლდათ. მაგრამ მაშინ, პრივატიზაციის დაწყებამდე საქმეში საპატრიარქო ჩაერია და ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის გასხვისება ვერ მოახერხეს. ახლა ეკონომიკის მინისტრი ამ საკითხზე უკვე დაუფარავად ლაპარაკობს. მათ ყველაფერი გაყიდეს. წესით, პრივატიზაციიდან შემოსული თანხა ქვეყნის ბიუჯეტში ირიცხება. ამ ბიუჯეტის 90% კი, სააკაშვილისა და მისი გარემოცვის კეთილდღეობისთვისაა გადადებული. რა თანხაც შეჭამეს, არ ეყოთ, ახლა თბილისის წყალიც უნდა გაასხვისონ და შემდეგ მამასისხლად მიჰყიდონ საკუთარ მოსახლეობას. თუ „თბილწყალკანალის“ ფარული პრივატიზაციის პროცესი არ შეჩერდება, მაშინ ლეიბორისტული პარტია საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს შეიტანს და ფართომაშსტაბიან საპროტესტო აქციებს დაიწყებს. მოსახლეობას უნდა გავაგებინოთ, რომ ამ ობიექტის პრივატიზაციით, უფრო მეტად დამძიმდება სოციალური ფონი და დავკარგავთ ფასდაუდებელ ბუნებრივ რესურსს. ■

რეალურია თუ არა შიმშილის საფრთხე?..

— წლევანდელმა სტიქიურმა მოვლენებმა — ყინვამ, წყალდიდობამ, გვალვამ და სეტყვამ სოფლის მეურნეობას სერიოზული ზიანი მიაყენა. ასეთ პირობებში, როგორი იქნება მოსავალი და მოსალოდნელია თუ არა ფასების მკვეთრი ზრდა?

დავით ლანდია, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— ადრეულ გაზაფხულზე საქართველოს რამდენიმე რეგიონში ყინვა გაგრძელდა, რამაც ყვავილობის დროს სრულიად გაანადგურა ხეხილი. ამას დაერთო სეტყვაც, შემდეგ — წყალდიდობები. ზაფხულის გვალვამ კი, გადარჩენილი ხილისა და ბოსტნეულის ნაწილიც გაახმო. ზოგან ლობიოსა და კაკლის 100% განადგურდა. რაჭაში კაკალი თითქმის აღარ დარჩა, იმერეთში სიმინდის 70% განადგურდა, ციტრუსების 80%-იც გამხმარია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა გურიაში, სადაც კლიმატურ პირობებს, ამერიკული პეპლების გავრცელებაც დაემატა. მართალია, ხეებს სპეციალური ხსნარით წამლავენ, მაგრამ 30-40% მაინც უკვე გამხმარია. ეს ხეები ნაყოფს აღარასოდეს მოისხამს... სერიოზული პრობლემები შეიქმნა მეცხოველეობაშიც: საძოვრები, სადაც ამ დროს საქონელი იკვებებოდა, მთლიანდ გამხმარია. არსებული ვითარების ფონზე, ფასების ზრდა გარდაუვალია. როცა მიწოდება მოთხოვნაზე ნაკლებია, ეს დეფიციტს ქმნის და გაძვირება იწყება. ფასები ძირითადად, პირველადი მოხმარების პროდუქტებზე აიწევს: კარტოფილი, ხახვი, ლობიო, სიმინდი, კაკალი, ციტრუსები გაძვირდება. ეს პროცესები თავის მხრივ, ბიძგს მისცემს ინფლაციას. ლარის დევალვაციის შემთხვევაში კი, მდგომარეობა უფრო გამწვავდება. ხელისუფლება ცდილობს, ადმინისტრაციული მეთოდებით მეტ-ნაკლებად შეარბილოს პრობლემა. მან ყურძნის ჩაბარების სპეციალური გეგმაც შეიმუშავა. მაგრამ ეს არსებითად, ვერაფერს შეცვლის. მოსახლეობას ვურჩევ, შესაძლებლობის ფარგლებში, წინასწარ მოიმარაგოს პროდუქტი, თორემ, ზამთარში ფასები უფრო მეტად აიწევს. ■

სანახევრო თავისუფლება

სხვისი არ ვიცი და პირადად მე, ყოველთვის, როცა ჩვენი გულშემატკივარი, მაგრამ მაინც საკუთარ კეთილდღეობაში ჩაძირული ევროპელები როგორც საცდელ ბაჭიებს, ისე გვაკვირდებიან, დაუფარავი პროტესტის გრძნობა მიჩნდება. სწორედ ასეთი განცდა გამიჩინა გერმანული Zuddeutsche Zeitung-ის მიმოხილვამაც, სათაურით — „სანახევრო თავისუფლება“. ალბათ, ქართველებს ბევრი რამ გვეშლება, მაგრამ არა მგონია, სხვებზე ნაკლებად გვესმოდეს — სანახევრო არაფერი და მით უმეტეს, თავისუფლება რომ არ ვარგა, მაგრამ ბევრისგან განსხვავებით, ისიც კარგად მოგვეხსენება, „დათვი“ რომ მოგერევა, რა უნდა დაუძახო...

ბრძენკაცს უთქვამს: ნუ გეშინიათ მტრების, უარეს შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მოგკლან; ნუ გეშინიათ მეგობრების, უარეს შემთხვევაში, მათ შეუძლიათ გიღალატონ. გეშინოდეთ გულგრილი ადამიანების, ისინი არც არავის კლავენ და არც ღალატობენ, მაგრამ ამქვეყნად, ყველა მკვლელობა და ღალატი, მათი ჩუმი თანხმობით ხდება... ამ ბოლო ათწლეულების მანძილზე, სწორედ, მავანთა ასეთი „ჩუმი თანხმობით“ მოხდა არაერთი რამ, როგორც მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, ისე კონკრეტულად, საქართველოში. ერთ-ერთი მათგანი კი, სწორედ ის სანახევრო თავისუფლებაა, რომელზეც ჩემი გერმანელი კოლეგა დღეს ასე წუხს...

რუსულან ლებანიძე

თავისი მმართველობის პერიოდში, ბორის ელცინმა არაერთი სიმბოლური სახე შექმნა, რომელიც კარგა ხნით აღიბეჭდა ადამიანთა მეხსიერებაში. თუმცა, მათგან ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ლიდერებისადმი მისი მიმართვა აღმოჩნდა, რომელიც ასე ჟღერდა: „მიიღეთ იმდენი სუვერენიტეტი, რამდენის გადაყლაპვასაც შეძლებთ“. ამ დღეებსა და კვირებში, დაშლილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სახელმწიფო დამოუკიდებლობის თხუთმეტი წლისთავს აღნიშნავს. თუმცაღა, „იმდენი სუვერენიტეტი, რამდენის გადაყლაპვაც შეეძლოთ“, მათ უმეტესობას მაინც არ მიუღია.

საქართველო ამ ქვეყნებს შორის ალბათ ყველაზე შემტევია...

ამის ეფექტიანად გაკეთება მხოლოდ ბალტიისპირეთის იმ სამმა ქვეყანამ მოახერხა, რომელიც თავის დროზე, საბჭოთა კავშირის მძიმე უღელს ყველაზე თანამიმდევრულად ებრძოდა. ამ შემოდგომაზე, ლატვია ნატოს სამიტს უმასპინძლებს, რითიც მოსკოვისგან დამოუკიდებლობის ყველაზე თვალსაჩინო დემონსტრირებას მოახდენს და ეს მაშინ, როცა დანარჩენი ქვეყნები ამ დამოუკიდებლობისთვის ჯერაც თავდაუზოგავად იბრძვიან. საქართველო, რომელიც ამ ქვეყნებს შორის ალბათ ყველაზე შემტევია, ყველანაირად ცდილობს დასავლურ საზოგადოებასთან მიერთებას — ევროკავშირისა და ნატოს წევრობას.

თუმცა, ამის მისაღწევად ძალები აშკარად აღარ ჰყოფნის: რუსეთი ხომ მას ყველანაირად ავიწროებს და ისევ თავისკენ ექაჩება. ამასთან ერთად, რუსეთის სახელმწიფო თავად სუვერენიტეტის არსის წინააღმდეგაც მთელი ძალით ილაშქრებს. ქართული ღვინოების რუსეთის ტერიტორიაზე შეტანის აკრძალვა და გაზის პოლიტიკის გამკაცრება, ეკონომიკური დამოუკიდებლობის იმ სიმბოლოებად იქცა, რომელთაგან თავის დახსნას საქართველო დასავლეთის გარეშე ვეღარაფრით მოახერხ-

ქართული ღვინოების რუსეთის ტერიტორიაზე შეტანის აკრძალვა და გაზის პოლიტიკის გამკაცრება, ეკონომიკური დამოუკიდებლობის იმ სიმბოლოებად იქცა, რომელთაგან თავის დახსნას საქართველო დასავლეთის გარეშე ვეღარაფრით მოახერხებს

ებს. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამშვიდობო კონტინგენტის საფარქვეშ, რუსეთის ჯარი დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე რჩება.

ჭეშმარიტ დამოუკიდებლობაზე აღარც პოსტსაბჭოურ სივრცეში მყოფ სხვა სახელმწიფოებში ლაპარაკობენ. მართალია, ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი და ყაზახეთი, ამერიკასთან ან ვთქვათ, ჩინეთთან ახალ კავშირებში ერთიანდებიან და მოსკოვისთვის წინააღმდეგობის გაწევას ამ გზით ცდილობენ. მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაფერი მაინც მხოლოდ მცირე პოლიტიკური ჯგუფის სიტყვიერი გადაწყვეტილებების დონეზე თუ რჩება, მილიონობით ადამიანი — უწინდებურად, მათი ბედის განმკარგავი დესპოტების უღელქვეშ გმინავს.

იმავე ევროკავშირმა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც მაქსიმალურად უნდა დაუჭიროს მხარი დემოკრატიას, მოსკოვმა კი, ასეთი სურვილებისა და გადაწყვეტილებების პატივისცემა ისწავლოს

ნახევარი წლის წინ, როცა ყირგიზეთის პრეზიდენტი — აკაევი ქვეყნიდან გააძევეს, პოსტსაბჭოურ სივრცეში თავისუფალი საზოგადოების შექმნის პატარა იმედი ნამდვილად გაჩნდა. ზოგიერთს ერთგვარი დომინოს ეფექტის მოლოდინიც ჰქონდა და ისიც დაიჯერა, რომ ავტორიტარული რეჟიმები ერთმანეთის მიყოლებით დაემხობოდა. მაგრამ, მსგავსი არაფერი მომხდარა. მიზეზი კი ისაა, რომ ამ ქვეყნებს დემოკრატიული საფუძვლები არ გააჩნიათ, იქ მცხოვრებ ადამიანებს კი ვერაფრით შეუგნიათ, რომ ერს საკუთარი ქვეყნის კურსის განსაზღვრა თავადვე შეუძლია.

ისიც უნდა ითქვას, რომ სასწაულებრივი გარდასახვის მაგალითს ვერც თავად ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამოსული და მსოფლიო არენაზე ბევრად უფრო თავდაჯერებულად ფეხშედგმული რუსეთი იძლევა. ერთი შეხედვით, რუსეთში ადამიანებს თითქოს სულ მაგრამ, მოსკოვი მათ ყელში ხელსაც სულ უფრო მჭიდროდ უჭერს. პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთისთვის ყოფილი დიდების დაბრუნება მოისურვა, სინამდვილეში კი, სახელმწიფო მანქანის სრულ უძლეველობას მიაღწია. პარტიებს შორის ნამდვილი კონკურენცია აღარ არსებობს, რუსული ტელევიზია ზედმეტი ზეწოლისგან მორჩილზე მორჩილი გახდა, უმნიშვნელოვანესი გაზეთები კი, კრემლის სრულ კონტროლს დაექვემდებარნენ. ერთი სიტყვით, „დიდ რუს ხალხს“ თხუთმეტი წლის წინათ, სიმწრით მოპოვებული მცირეოდენი დამოუკიდებლობის საბოლოოდ დაკარგვაც აშკარად დაემუქრა.

ბევრს უკვე უკრაინაშიც გაუჩნდა მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარების შიში. ვიქტორ იანუკოვიჩის პრემიერად დანიშვნა, „ნარინჯისფერთათვის“ ქვეყნის აყვავების იმედის სრულ კრახად იქცა. არადა, სწორედ უკრაინა იყო ის ქვეყანა, რომელიც როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად, სრული დამოუკიდებლობის მიღწევას ყველანაირად ცდილობდა. ორი წლის წინ, იქ მომხდარი რევოლუცია ხომ ბევრად უფრო გლობალური იყო, ვიდრე პოლიტიკური კურსის უბრალო ცვლის დასაწყისი. ამ რევოლუციამ მთელი უკრაინელი ხალხის მიერ რუსეთისადმი დამთმობი და ლოიალური რეჟიმისგან თავის დაღწევისა და საკუთარი ქვეყნის ბედის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უდიდესი სურვილი გამოამჟღავნა. ახლა კი, კვლავაც გაურკვეველია — თუ სადამდე მიიყვანს უკრაინელ ხალხს უკრაინაში შექმნილი სიტუაცია. თუმცა, ერთი რამ ცხადია: ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას ვერავინ შეძლებს, ხოლო ის ფაქტი, რომ უკრაინელთა უმეტესობას საკუთარი ქვეყნის ევროკავშირისა და ნატოს შემადგენლობაში ნახვის სურვილი აქვს, კიდევ ერთხელ და ყველაზე შთამბეჭდავად იმასაც ადასტურებს, რომ მათ დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების ძალა ნამდვილად შესწევს.

ევროპის ყველაზე ღარიბი ქვეყნების — საქართველოსა და მოლდავეთის ჯერ-ჯერობით ფორმალური, მაგრამ მაინც დამოუკიდებლობა, ნაყოფს ალბათ, ოდესმე მაინც გამოიღებს. მართალია, ამ ქვეყნებში უკვე დღესაა შექმნილი დასავლურ ანალოგებზე ორიენტირებული სამართლებრივი სისტემები, მაგრამ მოსახლეობის კეთილდღეობამდე ჯერ ძალიან დიდი გზაა გასავლელი. ამასობაში, ალბათ, საკმაოდ ბევრი დროც გავა, რადგან ეს ქვეყნები რუსეთის ბაზარზე არიან დამოკიდებულნი, დასავლეთის ბაზარი კი, მათთვის ჯერ-ჯერობით დახურულია.

თუმცა, ეს ყველაფერი მარადიულად მაინც ვერაფრით გაგრძელდება და ევროკავშირის უმთავრესი ამოცანაც სწორედ ამ ქვეყნების დახმარება უნდა იყოს. მართალია, ჯერ ევროკავშირში მათი გაწევრების პერსპექტივაც კი არ არსებობს, მაგრამ იმავე ევროკავშირმა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც მაქსიმალურად უნდა დაუჭიროს მხარი დემოკრატიას, მოსკოვმა კი, ასეთი სურვილებისა და გადაწყვეტილებების პატივისცემა ისწავლოს. თუ ასე მოხდა, ათი წლის შემდეგ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი დღესასწაულები ბევრად უფრო შთამბეჭდავად აღინიშნება... ■

MK

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ალანა გაგლოევა
რესპონდენტი – აკაკი გოგიჩაიშვილი

— აკაკი, გაამართლა პროექტმა — „იდეა, ფული და ერთი შანსი“?

— როგორც კომპანიის პროექტმა, მან რამდენიმე თვალსაზრისით გაამართლა: ერთი — რომ იყო ყველაზე რეიტინგული გადაცემა მათ შორის, რომლებიც იმ პერიოდში ეთერში გადიოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სწორი ნიშა მოვძებნეთ, სწორად გავთვალეთ ის, რომ პროექტი მაყურებლის სერიოზულ დაინტერესებას გამოიწვევდა. რეალურად აღმოჩნდა, რომ მაყურებელს ბიზნესთან დაკავშირებული გადაცემა აინტერესებს, მით უმეტეს, თუ ის თამაშის ფორმითაა გადმოცემული. შოუს მეორე მხარე ის იყო, რომ კონკრეტული 50 პროექტი, ბიზნესგეგმა სხვადასხვა ფორმით დაფინანსდა. ამ ყველაფრის მიღმა არა ერთი და ორი ადამიანი დგას. ეს ხალხი დასაქმდა, მათ შემოსავლის ახალი წყარო გაუჩნდათ და ბაზარზე შემოიტანეს ახალი პროდუქტები. აღსანიშნავია, რომ უმეტესობა პროექტებისა, ორიგინალური გახლდათ და ესეც კიდევ ერთი პლუსია.

— მიუხედავად იმისა, რომ პროექტმა გაამართლა, კმაყოფილი ხარ შედეგებით, ისეთი ინფორმაცია მაქვს მიღებული, რომ ეს შოუ ეთერში აღარ გავა, დაიხურა. მართალია?

— შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ გამიზნული გვქონდა, როგორც კი დამთავრდა სეზონი, მაშინვე დაგვწყო მეორე სეზონისთვის მუშაობა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართული ბიზნესსაზოგადობა საკმარისად არ იყო მზად იმისთვის, რომ პროექტში აქტიურად მიეღო მონაწილეობა. აქ მსხვილ ბიზნესმენებს ვგულისხმობ, ვისაც შეუძლია, არა მარტო საკუთარ ბიზნესზე იზრუნოს, არამედ დააფინანსოს სხვა პროექტებიც, რისკი გასწიოს და გარკვეული ინვესტიცია ჩადოს. ასე რომ, კიდევ 5 ასეთი ბიზნესმენი არ გამოჩნდა, ვერ მივაგენით...

— არ შეიძლებოდა, ისევ იმ ბიზნესმენებს რომ მიეღოთ მონაწილეობა?

— ეს გადაცემის ფორმატში არ იყო ნაგულისხმები. ისინი უნდა შეცვლილიყვნენ. თუ არა და, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ იმ ხუთის გარდა, სხვა მსხვილი ბიზნესმენი აღარავინ არის ქვეყანაში. ეს არასწორი იყო. მაგრამ პროექტის ამ მიზეზით გაჩერება ამ ეტაპზე, არ ნიშნავს იმას, რომ ეს შოუ აღარასოდეს გავა ეთერში. რადგან შესაფერისი ბიზნესმენები არ გამოჩნდნენ, ჩავთვალეთ, რომ უპრიანი იყო შესვენება და გაჩერება. თუმცა, ჩვენი ჯგუფი ბიზნესის თემაზე მუშაობას აგრძელებს და ოქტომბრის პირველ რიცხვებში, შაბათ-კვირის გარდა, ეთერში ყოველდღიური გადაცემა — „ბიზნეს-ახალი ამბები“ გავა. ეს სერიოზული პროექტია, მასში არხმა სოლიდური დაფინანსება ჩადო. იმის მოლოდინიც გვაქვს, რომ ეს პროექტიც გაამართლებს.

საგამოძიებო ჟურნალისტიკიდან **აკაკი გოგიჩაიშვილმა** ისე გადაინაცვლა ბიზნესში, წარბიც არ შეუხრია. მაყურებელიც მშვიდად შეხვდა მის ასეთ ცვლილებას. ის კი არა და, აკაკის ბოლო პროექტი ისეთი რეიტინგული აღმოჩნდა, რომ ლამის იყო, ყველას დააავიწყდა „60 წუთი“, რადგან ფულის შოვნისა და გამდიდრების სურვილი ეტყობა, ბევრი ქართველისთვის აუხდენელი ოცნებაა და 30 ათასი კაცი თავისი პროექტით მიაწყდა აკაკის. მათგან მხოლოდ 50 დაფინანსდა... ჟურნალისტი საქმიანობის სფეროს კვლავაც არ იცვლის — ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში აგრძელებს მუშაობას, ოქტომბრიდან ახალ გადაცემას იწყებს. თუმცა „იდეა, ფული და ერთი შანსი“ დროებით „თაროზე შემოდო“, თუ რატომ — ამაზე ინტერვიუში თავად ეტყვის მის პირისპირ მჯდომ ჟურნალისტს, პრეზიდენტის პრესსპიკერ **ალანა გაგლოევას.**

რა გეგმები აქვთ ალანა გაგლოევასა და აკაკი გოგიჩაიშვილს

— ამ გადაცემას შენ წაიყვან?

— ერთ-ერთი წამყვანი მეც ვიქნები. გადაცემას რამდენიმე წამყვანი ეყოლება. ამასთან, გადაცემის მთავარი რედაქტორიც გახლავართ.

— აკაკი, არის თუ არა საკმარისი ის ჟურნალისტური განათლება და გამოცდილება, რომელიც შენ გაქვს, იმისთვის, რომ იმუშაო პროექტზე, რომელიც ბიზნესის სფეროს ეხება?

— არ არის საკმარისი. ასეთი გადაცემის იდეა ფაქტობრივად, წელიწად-ნახევრის წინ, მაშინვე მქონდა, როგორც კი ამერიკიდან ჩამოვედი. უბრალოდ, არხის ადმინისტრაცია არ იყო მზად იმისთვის, რომ მასზე მუშაობის დაწყების გადაწყვეტილება მიეღო. თუმცა, მას შემდეგ, რაც ვთქვით — მოდი, დავიწყოთ ამ სახის გადაცემაზე მუშაობა-თქო, — ოთხი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, ინტენსიურად ვიღებდი თეორიულ ეკონომიკურ-ბიზნესგანათლებას, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ამიტომ, ვეცდებით, გადაცემაში სტუმრად რაც შეიძლება მეტი ეკონომისტი მოვიწვიოთ. ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის 90%-ს, ჩემ გარდა, ყველას ეკონომიკური განათლება აქვს, ზოგს — გამოცდილებაც. არ არის გამორიცხული, რომ პროექტის ეთერში გასვლის შემდეგ მივიღო გადაწყვეტილება, რომ ეთერში საჭირო აღარა ვარ და მხოლოდ კადრს მიღმა ვიმუშაო. თავიდან კი, როგორც სახემ, კარგი იქნება, მეც მივიღო მონაწილეობა.

— ბიზნესის სფეროში რომ გადაინაცვლე, ამის დასტური შენი წინა პროექტია. ახლა მეორე გადაცემაც ისევ ამ სფეროს ეხება. გამოდის, რომ მეამბოხე, მებრძოლი ჟურნალისტისგან, ეკონომიკურ მიმომხილველად გარდაიქმენი? მაყურებლის შენი ამ სახით მიღება მაინც ხომ არ გუჭირდება?

— ვფიქრობ, რომ ცვლილება უკვე მოხდა. თუკი „60 წუთის“ შემდეგ, ხალხი მე მიკავშირდებოდა, საკუთარი სოციალური პრობლემებით თუ ხელისუფლებასთან გართულებული ურთიერთობის გამო, „იდეა, ფული და ერთი შანსის“ შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესთან დაკავშირებულ თემებზე მიკავშირდებიან.

— „რუსთავი 2“-ში შექმნილ სკანდალურ სიტუაციაზე რა კომენტარს გააკეთებ? არხს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, რას იტყვი ამაზე?

— შექმნილ სიტუაციაზე, სკანდალსა და ცვლილებაზე ვიტყვი, რომ ეს არხის მფლობელის მხრიდან არასწორად გათვლილი ნაბიჯი იყო. უპრიანი იყო, რომ ეს ნიუსი ცოტა სხვა ფორმით მიეწოდებინათ არხის თანამშრომლებისთვის. ჩვენ ყველაფერი ის, რომ არხზე ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, ფაქტობრივად, საგენტოებიდან და გაზეთებიდან

შევიტყვეთ, ამიტომაც იყო ეს ჟურნალისტების მხრიდან მტკივნეულად აღქმული. მეორე მხრივ, ნებისმიერ კომპანიაში ასეთი ცვლილება პრობლემასთან არ არის დაკავშირებული. ვფიქრობ, რომ ყველაფერი დალაგდება. ახალი ხელმძღვანელი ძალზე მონდომებულია, ენერგიული. მისი მენეჯმენტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას ვერტიკალური ურთიერთობები არა აქვს თანამშრომლებთან — ნებისმიერთან ჰორიზონტალური ურთიერთობა აქვს და ერთი-ერთზე ელაპარაკება, რაც აქამდე „რუსთავი 2“-ში არ იყო. ვფიქრობ, რომ მისი ასეთი დამოკიდებულება პროდუქტიული აღმოჩნდება.

— მართალია თუ არა, რომ არხიდან ცნობილი ჟურნალისტები მიდიან?

— თავიდან, როდესაც ვნებათაღელვა დაიწყო, ბევრმა მიიღო ემოციური გადაწყვეტილება, რომ არხიდან წასულიყო. ეს გადაწყვეტილება ჯერ არ განხორციელებულა და დღემდე არც არის ცნობილი, საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. ვფიქრობ, თუკი ვინმე არხიდან წასვლას გადაწყვეტს, სამსახურიდან ნიკა ტაბატაძის წასვლასთან არ იქნება დაკავშირებული.

— არადა, თითქოს ამას უკავშირდება...

— ეს ყველაფერი უბრალოდ, დროში დაემთხვა ერთიმეორეს. ბევრი მათგანი, ვისაც ვგულისხმობ, უბრალოდ დაიღალა ახალი ამბების რეჟიმში მუშობით. თუ ნანა ლეჟავაზეა ლაპარაკი ან ნათია ლაზაშვილზე, გეტყვით, რომ...

— სხვათა შორის, დიმა ობოლაძეზეც იყო ლაპარაკი...

— დიმაზე ლაპარაკიც არ არის. რაც შეეხება ნანასა და ნათიას, — 10-15 წელია, ეს ადამიანები პრაქტიკულად, „კატორღის“ რეჟიმში მუშაობენ. მეც მიმუშავია „კურიერში“ და ეს ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი ორი წელი აღმოჩნდა. ძალიან მძიმეა: პირდაპირ ეთერში თან გადაცემა უნდა წაიყვანო, თან — სიუჟეტებზეც ირბინო. ვფიქრობ, რომ დაიღალა ეს ხალხი. ისინი ახლა იმ მდგომარეობაში არიან, როცა მუშაობის ნელი ტემპი სჭირდებათ. არ გამიკვირდება, თუ ისინი სხვა ფორმატის პროექტებში იპოვიან საკუთარ თავს.

— შეიძლება, ასეც მოხდეს, რადგან ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად, ალბათ, არხი განახლდება, იქნება ახალი პროექტები, იმის საშუალება, რომ თუ ვინმეს რაიმე პროექტი აქვს, წარმოადგინოს...

— თავიდან ხომ იყო ლაპარაკი, რომ მათი წასვლა სიტყვის თავისუფლების საკითხს უკავშირდებოდა. ეს ასე არ არის. ნიკამ სამსახურის ალტერნატივა მონახა, სამსახურს სხვაგან აგრძელებს.

— სად აგრძელებს?

— ჩემთვის ეს უცნობია. ფაქტია, მისი მხრიდან არანაირი საპროტესტო განწყობილება და განცხადება არ ყოფილა... საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, რომ „რუსთავი 2“ თავის რეიტინგს არ დაკარგავს.

— ეი. შენ რჩები არხზე და აგრძელებ მუშაობას?

— დიახ. ასეა.

ჟურნალისტი – აკაკი გოგიჩაიშვილი
რესპონდენტი – ალანა გაგლოევა

— ალანა, ოსურ ენაზე „მოამბის“ წამყვანად შენი დანიშვნა ვისი იდეა იყო?

— ჩემი ინიციატივა არ ყოფილა. სანამ „მოამბე“ ოსურ ენაზე ეთერში გავიდოდა, მანამდე სოციალური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელი ვიყავი. პროგრამა ორი კვირის დაწყებული იყო (ეს ხელისუფლების იდეა და სტრატეგია გახლდათ), მე რომ შევეურთდი. ისინი მანამდე ეძებდნენ წამყვანს, ამისთვის კასტინგს ატარებდნენ. კასტინგის გავლის შემდეგ მოვხვდი ტელევიზიაში და მეორე დღესვე დამსვეს ეთერში

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური უმცირესობა, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, მოკლებულია მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასმედიამ შეასრულოს ეს როლი, რომ მას რაღაცნაირად ეს დეფიციტი შეუვსოს.

— სულ თავიდან, 8 თვის განმავლობაში ეთერში გადიოდა ოსურენოვანი „მოამბე“, შემდეგ მას დაემატა „მოამბე“ სხვა (აფხაზური, სომხური, აზერბაიჯანულ) ენაზე...

— იცი თუ არა მაყურებლის აზრი შენს გადაცემაზე?

— კი, რა თქმა უნდა. შემოდის ძალიან ბევრი ზარი. თავიდან მაყურებელი (ძირითადად ცხინვალის მოსახლეობა), მაინცდამაინც დადებითად არ შეხვედრია ამ გადაცემას. შემექმნა პრობლემები: არ მიშვებდნენ ცხინვალში. თუმცა, დღემდე ასეა — არ მიშვებენ იქ, რადგან მიაჩნიათ, რომ სამშობლოს მოღალატე ვარ.

— ალბათ, ეს, მოსახლეობას — ნაკლებად და უფრო — მმართველ წრეებს უკავშირდება...

— კი, ასეა. ისინი უარყოფითად შეხვდნენ ოსურენოვან „მოამბეს“. თუმცა, ბევრი დადებითი ზარიც შემოდიოდა, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უხაროდა. ამასთან, რადიოს ეთერშიც გადის ოსურენოვანი პროგრამა. ისინი რადიოსაც უსმენენ და საკუთარი აზრი აქვთ ამასთან დაკავშირებით. თბილისიდან ბევრი სასიამოვნო ზარი შემოდის.

— კარგია, როდესაც ეთნიკური უმცირესობის ენაზე იქმნება მედიაპროდუქტი, მაგრამ ამით გარკვეულად, მაინც ხაზი ესმება იმას, რომ ისინი ცალკე არიან. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუ ქართულენოვან პროგრამებშიც იქნება ამ თემაზე გარკვეული სიუჟეტები.

— გეთანხმები. ჩემი გადაცემა ორი ბლოკისგან შედგება: პირველი — ახალი ამბებია, მეორე — სოციალურ თემებზე მომზადებული სიუჟეტები. ბევრია სიუჟეტი შერეულ ოჯახებზე, პრობლემატურ საკითხებზე: მიწასთან, მოქალაქეობასთან დაკავშირებული. რაც უფრო მეტი ასეთი მასალა გადის ეთერში, მით უფრო მეტ ადამიანს დაეხმარება. ნათელი ხდება, რომ ვიღაც ზრუნავს მათზე, ყურადღებას აქცევს, რაც მათთვის მნიშვნელოვანია... შემდეგ, კვირის ბოლოს, ჩვენს სიუჟეტებს არჩევენ და პარასკევს იმავე ფორმატის რუსულენოვან გადაცემაში უშვებენ.

— ხომ არ გაქვს სურვილი ან გეგმა, სხვა ფორმატის გადაცემა წაიყვანო?

— გასართობ გადაცემას ვერ წავიყვან. ისევ ეროვნული უმცირესობის საზრუნავთან დაკავშირებულ თემებზე გადაცემის მომზადება მაინტერესებს. მაქვს სურვილი, ახალი გადაცემა გავაკეთო, პროექტის ჩონჩხიც მაქვს მომზადებული, მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

— რაც შეეხება პრეზიდენტის პრესსამსახურში მუშაობას: შენ არ გქონია წინამორბედ ხელისუფლებასთან მუშაობის გამოცდილება და შედარებას ვერ გააკეთებ, მაგრამ საინტერესოა — რამდენად ძნელია შენთვის პრეზიდენტის პრესსპიკერად მუშაობა? შენი ფუნქციაა, გამოიტანო ინფორმაცია უმაღლეს ჩინოვნიკზე — პრეზიდენტზე და ჟურნალისტებს მიაწოდო. ადვილად ხერხდება პრეზიდენტთან პირდაპირი და უშუალო ურთიერთობა?

— თავიდან ცოტა გამიჭირდა. ირგვლივ ყველა მამხნევებდა, მეუბნებოდნენ, რომ შევძლებდი, ამაში ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილება დამეხმარებოდა. დროთა განმავლობაში, კანცელარიაში სამსახურს შევეჩვიე. ინფორმაციის მოპოვება და მისი გამოტანა არც ისე რთულია. ეს ჩემი მოვალეობაა.

— რამდენად გიადვილებს თავად პრეზიდენტი ამ მოვალეობის შესრულებას?

ბრიტანული ენის დარბაზი
გთავაზობთ ინგლისური ენის კურსს

- ქუთაისში ეფექტიანი
- ქუთაისში ეფექტიანად ლგკთთ ლექიკაზეთ
- თფუკეფიწკთწ თუკეშამლფეუიშთფემშთ 8PET, FCE, CAE, IELTS9
- თზუს-ლგკთთ ფიშეგკშუტეუიშთფემშთ

სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების *მაკმილანის, პარპერ კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის* უახლესი სასწავლო ლიტერატურა

იკშეფტუამთ ვფ ფქუკლფ0შ ლგკთფქეფმკუ-ეგდშ ზუეფაწპუშ გჭკგტმუდნწაუტ ეღმუტთ ცფკქფეუეუეთ ვფ ქფღთშქფდგკ ზკწპკუთთყ

Good Luck with your English

მის: თავისუფლების მოედანი №7 (ცეკავშირის შენობა), ოთახი 405
ტელ: 55-21-29

— კარგი თანაშრომელია. მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ ისე, როგორც საჭიროა.

— დღეს ნებისმიერ თემასა და საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის შეხედულება შენთვის ცნობილია? ვთქვათ, ჟურნალისტმა რომ გკითხოს, ამა თუ იმ საკითხზე რა აზრისაა, უპასუხებ?

— თუ ჩემი მოვალეობა იქნება, ვთქვა, რაც ვიცი, ამის შესახებ ინფორმაციას მივაწვდი. თუ ბატონ პრეზიდენტს არ სურს ამაზე საუბარი, ვერაფერს ვეტყვი. რაზეც ინფორმაცია არა მაქვს, ის ალბათ, არც ვიცი (*იცინის*)...

— ჟურნალისტებთან ურთიერთობა გეადვილება? პრობლემები ხომ არ გექმნება ხოლმე?

— მგონი, ამ საქმიანობასაც თავს ვართ-

მევ. ვცდილობ, ნებისმიერ ჟურნალისტთან კარგი ურთიერთობა მქონდეს და მაქვს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

— უახლოესი მომავლისთვის რაიმე გეგმა ხომ არა გაქვს?

— ჯერჯერობით, კონკრეტული არაფერი. ბოლო ორი წელია, ერთი სურვილი მქონდა — მესწავლა ინგლისში და წელს ავისრულე. გასულ ზაფხულს ორი თვის განმავლობაში, ინგლისური ენის დასახვეწად, უკეთ დასაუფლებლად დიდ ბრიტანეთში ვიმყოფებოდი. კმაყოფილი ვარ. ახლახან დავბრუნდი, მაგრამ კიდევ მინდა სასწავლებლად წასვლა, კიდევ ბევრი რამ მაინტერესებს. ერთ ადგილზე გაჩერებას დიდხანს არ ვაპირებ. ბავშვობიდან სულ რაღაც მაინტერესებდა, თან — განსხვავებული რაღაცები.

— ხომ არა გაქვს პოლიტიკისადმი ინტერესი იმ თვალსაზრისით, რაც ეთნიკურ უმცირესობებს ეხება. კონფლიქტის მოგვარება ძალზე რთული პრობლემაა. ვფიქრობ, შეგიძლია, ამ სფეროში საკუთარი ძალების მოსინჯვა.

— კი, მეც ვფიქრობ ამაზე. შემიძლია რაღაცის გაკეთება. მაგრამ ამ განხრით ჯერ უნდა ვისწავლო, დავაგროვო გარკვეული განათლება. თან, ამასობაში, ასაკიც მომემატება და გამოცდილებაც დამიგროვდება... იმედია, მომავალში გამოვადგები ჩემს სამშობლოს (*იღიმება*). ■

„აიანი“ და „უაო“ ავტობუსი, კომბოსტოჭამია მგელი და რუსთავური „ნაგავ-ფართი“...

თბილისიდან გეზს აღმოსავლეთით თუ აიღებთ, სულ რაღაც 18 კილომეტრის მოშორებით, ქვემო ქართლის „დედაქალაქს“ — რუსთავს მიადგებით. თბილისსა და რუსთავს შორის ტრასა ახლა კეთდება. მთელ გზაზე პლაკატებია გაჭიმული, სადაც თბილისის მერი — გიგი უგულავა მგზავრებს ბოდიშს უხდის შეფერხებისთვის, მაგრამ ღვთისა და მთავრობისგან მიტოვებულ რუსთაველებს მხოლოდ ის ეიმედებათ, რომ ეს გზა მათთვის შენდება...

მარი ჯაფარიძე

ფონიჭალაში, ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე „მაგარ“ ბენზინს ან „მაგარ“ „სალიარკას“ თუ დაიმატებთ (სწორედ ასეთი აბრა აქვს „კალონკას“), სულ რაღაც 15 წუთში რუსთავის შესასვლელში, მაღალ კვარცხლბეკზე შემდგარი 2 ცხენი შემოგეგებებათ. ეს ცხენები რუსთავის ყოფილი მერის — მერაბ ტყეშელაშვილის „სავიზიტო ბარათი“ გახლდათ და მათი დადგმის კურიოზულ ამბავსაც გავიხსენებ. რამდენიმე წლის მანძილზე, ჯერ მარტო კვარცხლბეკი იდგა. ყველა რუსთაველმა იცოდა, რომ აქ, ადრე თუ გვიან, ცხენებს დადგამდნენ და ხუმრობდნენ ხოლმე: ცხენების დადგმამდე არაფერი გეტკინოსო!.. როგორც იქნა, დაიწყეს ძეგლის მონტაჟი, მაგრამ დაპირებული 2-ის ნაცვლად, მხოლოდ ერთი ცხენი დადგეს. რუსთაველებმა ამაზე ისევ „პრიკოლი“ მოიგონეს: თუ ვინმეს ჰკითხავდი — სად მიდიხარო? — გიპასუხებდა — მეორე ცხენს ვეძებ, წამო, ერთად მოვძებნოთო. თითქმის 2 წლის შემდეგ, პირველს მეორეც ამოუყენეს გვერდით და რუსთაველების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თბილისში დავით აღმაშენებლის ძეგლი რუსთაველის მოედნიდან დიღომში რომ გადაიტანეს და თბილისელებმა ერთი ამბავი ატეხეს — ქალაქიდან რომ გავდივართ, ცხენის უკანალს ვუყურებთ და ეს არაეთიკურიაო, — მაშ, რუსთაველებმა რა უნდა ქნან? ისინი ხომ (ქალაქიდან რომ გადიან), 2 უკანალს ერთად უყურებენ!..

ქალაქის თავიდან ბოლომდე სულ ერთი გზა გადის, რომელიც მეტალურგიულ ქარხანასთან მთავრდება. წინათ, რუსთავი მუშათა ქალაქად იყო ცნობილი, რადგან მის ტერიტორიაზე 46 ქარხანა იყო აგებული და მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იქ საქმიანობდა. ამჟამად, ამ ქარხნების უმეტესობა, რა თქმა უნდა, აღარ მუშაობს და ქალაქის მოსახლეობა ძირითადად, თავს ვაჭრობით ირჩენს. მომსახურების, პროდუქტისა თუ ტანისამოსის ფასები, დედაქალაქთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამყიდველთა რაოდენობა მყიდველებისას სჭარბობს და ამიტომ, მათი ყოველდღიური შემოსავალი ძალზე მცირეა. კომუნისტური მმართველობის დროს (ამაში ნებისმიერი ქარხნის ყოფილი დირექტორი დამეთანხმება), დედაქალაქის მესვეურნი რუსთავს უამრავ ფულს „აწერდნენ“ და თუ თანხის დიდ ნაწილს ჯიბეში იდებდნენ, მცირე ნაწილს თბილისს ახმარდნენ. ახალი, „ვარდების“ მთავრობის მოსვლის შემდეგ, ქალაქის მერიც შეიცვალა: მერაბ ტყეშელაშვილის ადგილი დავით ნადაშვილმა დაიკავა. რუსთაველები სიხარულით შეხვდნენ ამ ფაქტს, რადგან ბატონი დავითი რუსთაველი გახლავთ და ბუნებრივია, ფიქრობდნენ — საკუთარ ქალაქს მეტი გულისხმიერებით მოეკიდებაო. თუ ყოფილ მერს ხმაურიანი, პომპეზური ღონისძიებების ჩატარება უყვარდა და ტელევიზიით „დარასკრუტკება“, მეორე ჩუმად აკეთებს თავის საქმეს. მან ახალ მთავრობას მშვენივრად აუწყო ფეხი — ქალაქში გზების დაგება დაიწყო და უკვე 2 შადრევანიც გახსნა. თუმცა, როგორც რუსთაველები ამბობენ: ეს პატარა ქალაქი პრეზიდენტისთვის გერივით არის და მისი ყურადღება ვერაფრით მიიპყრო; ბათუმში ლამისაა, „ბუტკის“ გახსნაზეც ჩავიდეს, აქვე, ყურის ძირში კი, მისი საყვარელი „ფანტანის“ გახსნასაც არ დაესწრო; რუსთავში მხოლოდ ერთხელ, „ჩაქროლებით“ გახლდათ ჩამოსული და ქარხანა „აზოტი“ მოინახულაო... მიუხედავად ამისა, რუსთავი მაინც აგრძელებს ცხოვრებას, ჭირშიც და ლხინშიც „მარტო მუშაობს“ და როდის იქნება გზა, ღმერთმა უწყის.

ქალაქში კრიმინოგენური სიტუაცია ისეთივეა, როგორიც მთლიანად ქვეყანაში. წინათ, რუსთავი ქურდების ქალაქადაც იყო ცნობილი და მათი რაოდენო-

M K

ბის მიხედვით, საქართველოში პირველ ადგილზე გახლდათ. ახლა, „წამლადაც“ რომ გინდოდეთ, ერთ ქურდსაც ვერ იპოვით. ეს საქართველოში ერთადერთი ქალაქია, სადაც ქართველი მანიაკი ცხოვრობდა, „მოღვაწეობდა“ და ისტორიაში „რუსთაველი მანიაკის“ სახელით შევიდა. აქ ისევე ხდება ქურდობა, ყაჩაღობა და მკვლელობა, როგორც სხვაგან, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ აქ ცივ იარაღად სრულიად განსხვავებულ საგანს ხმარობენ. მაგალითად, ამას წინათ, ტელეკომპანია „ქვემო ქართლის“ (რომელსაც თბილისის ზოგიერთ რაიონშიც შეგიძლიათ უყუროთ და რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ) საინფორმაციო გადაცემის ეთერში ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის პასუხისმგებელი პირის ინტერვიუს ვუყურე. ის მთელი სერიოზულობით აცხადებდა, რომ დაიჭირეს ყაჩაღური ბანდა, რომლის შემადგენლობაში ქალიც შედიოდა. ისინი მაშინ დაიჭირეს, როდესაც ბანდის წევრები მოქალაქეს აყაჩაღებდნენ. ვინაიდან მძარცველები წინააღმდეგობას წააწყდნენ, „გახსნეს მანქანის საბარგული, ამოიღეს „პლაცკა-პლუცკი“ და მსხვერპლს კბილები დააძრეს“. მოკლედ, „პლაცკა-პლუცკიან“ ყაჩაღებს თუ გადაურჩით, შეგიძლიათ გაერთოთ კიდეც. თუმცა, დიდი არჩევანი არ გექნებათ, რადგან ქალაქში სულ 2 საბილიარდო და რამდენიმე კაფეა. სამაგიეროდ, რესტორნები სოკოებივითაა ამოსული ყოველ კუთხეში. თუ არც საბილიარდოს ფული გაქვთ და არც რესტორნის, მაშინ, აგერ, ბატონო, უძველესი ხეებით დაბურული, კულტურისა და დასვენების პარკია, სადაც უფასოდ შეხვალთ და ზოოპარკსაც დაათვალიერებთ...

„ესეც ქალაქის ყოველდღიურობაა და ვერსად გაექცევი“

რკინის ვოლიერებში გამომწყვდეული ცხოველების წამებისთვის, ამერიკაში ან რომელიმე ევროპულ ქვეყანაში სისხლის სამართლის საქმე დიდი ხნის წინ აღიძვრებოდა, მაგრამ ეს ხომ საქართველოა!.. ჰოდა, ამიტომ იტანჯებიან საწყალი დათვები, მგლები და მაიმუნები. მხეცებიც (ისეთი გასაცოდავებული არიან, რომ ცოტა ძნელია, მათ ეს სახელი უწოდო) ადამიანებივით შეეგუვნენ პირობებს — მოზრდილმა მგლებმა თავის გადასარჩენად, კომბოსტოსა და ობიანი პურის ჭამა დაიწყეს, ხოლო პატარა მგლის ლეკვი, რომელიც სულ რამდენიმე თვისაა, ძაღლის ლეკვივით ყეფს და იშვიათად მისული მნახველის გამოჩენისას, კუდის ქიცინით გარბის, ცხვირს წკმუტუნით ყოფს მესერში, იმ იმედით — იქნებ, კეთილმა ადამიანმა საჭმელი მომიტანაო?!. თუ სიმინდის ბურბუშელას მიაწვდით, სიამოვნებით შეახრამუნებს და ხელისგულსაც მადლიერებით აგილოკავთ. იქვე, დედალ-მამალი მაიმუნი ცხოვრობს — თამილა და კოლია, რომლებსაც, თუ ზოოპარკის თანამშრომელს დავუჯერებთ, სექსი აქვთ, მაგრამ შთამომავლობას ვერ იძლევიან. სამაგიეროდ, საკმაოდ მადისაღმძვრელად გამოიყურება 2 ჩაპუტკუნებული ღორი, რომლებსაც საახალწლოდ ალბათ, ისევე გააქრობენ, როგორც პატარა, ტყუპი, მთის ბეკეკა გააქრეს...

თუმცა, ცხოველებისთვის ვის სცალია?! ქალაქში უამრავი მათხოვარი დადის და 2 „კაპიკს“ ძლივს შოულობს. ერთ ქალბატონს ზამთარ-ზაფხულ მერიის წინ მდებარე სკვერში, მერხზე სძინავს, მეორეს — მაღაზიის წინ, მესამეს — სადარბაზოში და ა.შ. მხეცებს კი არა, დახმარება მათაც სჭირდებათ, მაგრამ პატრონი არ ჰყავთ...

ქალაქის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა გახლავთ ე.წ. „სტამბოლის ბაზარი“, სადაც იმ ყველაფრის შეძენა შეიძლება, რაც ადამიანს ესაჭიროება. იქ მთელი დღის განმავლობაში უამრავი ადამიანი ტრიალებს. ზოგს მობილურს ჰპარავენ, ზოგს — საფულეს, ზოგი თაღლითის მსხვერპლი ხდება და ზოგიც — ვაჭრის. ესეც ქალაქის ყოველდღიურობაა და ვერსად გაექცევი.

რუსთავში ყვითელი ავტობუსები ჯერ არ გამოჩენილა. ქალაქში გადაადგილების საშუალებად, მხოლოდ სამარშრუტო ტაქსი და აქა-იქ „მბობღავი“ ტროლეიბუსი რჩება. სამარშრუტო ტაქსებს, რაღა თქმა უნდა, ნომრები აწერია, მაგრამ მიმართულების დადგენა რომ გაიოლდეს, ტრაფარეტს დამატებითი ინფორმაციაც ახლავს. ნუ გაგიკვირდებათ, თუ ნომრის გვერდით შენიშნავთ წარწერას — „სტამბოლი“, „ტაშკენტი“ და „პირდაპირ“. ნუ იფიქრებთ, რომ რუსთაველებმა საყვარელი ქალაქის დატოვება გადაწყვიტეს და აზიის ქვეყნებს მიაშურეს. თუ ზემოთ ხსენებულ „სტამბოლის ბაზრობაზე“ გინდათ მოხვედრა, მაშინ პირველ „მარშრუტკას“ აირჩევთ, თუ ტაშკენტის ქუჩაზე — მეორეს, ხოლო რას ნიშნავს „პირდაპირ“, ეს მხოლოდ რუსთაველებმა იციან. მე კი ამას ასე აგიხსნით: როგორც უკვე გითხარით, რუსთავის თავიდან ბოლომდე მხოლოდ ერთი, ცენტრალური ქუჩა გადის. ის რამდენიმე ადგილზე პერპენდიკულარული ქუჩით იკვეთება და ერთი ასეთი ხაზი თოდრიას ქუჩაზე მიდის, სადაც ერთი სამარშრუტო ხაზი დამატებით კიდევ არის დანიშნული. წინათ, კომუნისტური რეჟიმის დროს, როდესაც ქალაქში ნომრიანი, „გარმოშკა“-ავტობუსები დადიოდა, თუ ნომერთან „ა“ ეწერა, ეს ნიშნავდა, რომ ის პირდაპირ მიდიოდა და არა — „თოდრიაზე“. ამიტომ ქალაქში ხშირად გაიგონებდით ასეთ შეკითხვას: „უკაცრავად, ეს ავტობუსი „აიანია“?“ პასუხი უკეთესად ჟღერდა: „უაოა“... ჰოდა, თანამედროვე „მარშრუტკაზე“ მიწერილი — „პირდაპირ“ დაახლოებით იმავეს ნიშნავს, რომ ის „აიანია“ და კი არ უხვევს, არამედ პირდაპირ მიდის... დაილოცოს კომუნისტური „ჭკვა-გონება“! ერთი ასოთი წყვეტდნენ იმას, რასაც ახლა მთელი ტრაფარეტი სჭირდება...

ქალაქს თავისი ტელევიზიაც აქვს, რომელსაც წინათ „კლდეკარი“ ერქვა, ახლა კი — „ქვემო ქართლის რეგიონალური ტელევიზია“. მთელი დღის განმავლობაში „ჩათ-ბოქსია“ ჩართული და რუსთაველები ერთმანეთს უმესიჯებენ. საღამო ხანს კი, საინფორმაციო გადაცემა — „ქრონიკა“ იწყება და თუ ბოლომდე შეძელი ყურება, აუცილებლად შეიტყობ, რომელ უბანს როდის გამოერთვება დენი, გაზი, წყალი და ა.შ. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება თუ გინდათ, ჯობს, საღამოს „შტივილას ზავედენიესთან“ (ასე ჰქვია ერთ-ერთ პატარა სახინკლეს) ან „არკასთან“ „დააბირჟაოთ“ და ახალი ამბები ისე შეიტყოთ...

თავში ვთქვი: რუსთავი ღვთისა და მთავრობისგან მიტოვებულია-მეთქი. ეს უსაფუძვლო განცხადება არ გახლავთ. ვფიქრობ, რუსთავი ერთადერთი დასახლებული ადგილია, სადაც „ნაციონალების“ მიერ გახსნილი უფასო სასადილო არ ფუნქციონირებს. სპეციალურად ამისთვის გამოყოფილია ადგილი, რომელსაც უზარმაზარი წარწერაც ამშვენებს და საქართველოს ხუთჯვრიანი დროშაც, მაგრამ რა დროსაც არ უნდა მიხვიდეთ, სულ დაკეტილია. იქვე მცხოვრებ ქალბატონებს ვკითხე — სასადილო ღია როდის არის-მეთქი? — და მხრები აიჩეჩეს — არ ვიცით, აქ გაღებული კარი არ გვინახავსო... როგორც ჩანს, რუსთავში ყველა დალხენილია და უფასო სასადილო ვის სჭირდება?! ყველა პენსიონერი სადილ-ვახშამს რესტორანში მიირთმევს და ახალი მთავრობის სადღეგრძელოსაც განსხვავებული სასმისით სვამენ...

რაც მართალია — მართალია, ელექტროენერგიის საკითხი მოგვარდა, წყლის პრობლემას ახლა აგვარებენ, ქალაქს ბუნებრივი აირიც აქვს და მერიის ინიციატივით, ნაგვის ბუნკერებიც დადგეს, მაგრამ ზოგიერთ უბანში ისეთი საშინელი ანტისანიტარიაა და იმდენი ნაგავი ყრია, რომ რუსთაველი მათხოვრები მის ქექვას ვერ აუდიან (ჰოდა, უფასო სასადილო რაღა საჭიროა?!). ჰო, კინაღამ დამავიწყდა — ქალაქის მოსახლეობის იმ

ნაწილს, რომელიც დაბალსართულიან კორპუსებში ცხოვრობს და ნაგვის ურნა არა აქვს, ძველი დროის მსგავსად, ნაგვის მანქანა ჩამოუვლის ხოლმე. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში მენაგვეებს დიდი, რკინის ზარი ჰქონდათ და აწკრიალებდნენ, რომ თავისი მოსვლის შესახებ შეეტყობინებინათ. ახლანდელი მენაგვეები კი, მოსახლეობის ძილს უფრთხილდებიან; როგორც ჩანს, ის რკინის ზარი ჯართში ჩააბარეს და ბავშვის სათამაშო საყვირის ჭყვიტინ-ჭყვიტინით ისე დადიან, რომ თავი რიო-დეჟანეიროს კარნავალზე გეგონებათ.

მერწმუნეთ, ამის ნახვა ერთ რამედ ღირს... დილით, მენაგვეების ჩამოვლის შემდეგ ძილის გაგრძელებაზე არც იფიქროთ: მააწონიიი, მააწონიიიი!.. 3 „ბანკა“ — ერთი ლარიიიი!.. ააბა, ცხელი „ბულკებიიიიი“, ქა

ლობლებისთვის ინახავენ.

სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების სახელმწიფო პროგრამაზე და პირველ დღეებში წარმოქმნილ შეფერხებებსა და პრობლემებზე სასაუბროდ, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორს ***ლევან ფერაძეს*** *შევხვდით:*

— მოგეხსენებათ, რომ უმუშევრობა ქვეყნისთვის კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სახელმწიფო ვალდებულია, ამ პრობლემის მოგვარებაზე იზრუნოს. ეს გახლავთ საპრეზიდენტო პროგრამა, რომელიც ეტაპობრივად, ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრის უმუშევრობას. პროგრამის აქტუალურობა განპირობებულია იმითაც, რომ 2007 წლისთვის, მხოლოდ სახელმწიფო სექტორი, გზის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციაზე 1 მილიარდამდე ლარის ინვესტიციის განხორციელებას აპირებს. ჩვენ მოსახლეობას ამ დიდი ინვესტიციისთვის ვამზადებთ. ბევრი კვალიფიციური მუშაკი გვჭირდება. პირველ ეტაპზე 50 ათასი ადამიანი დასაქმდება.

— მაგრამ ბევრი ამ პროგრამას ეჭვის თვალით უყურებს. ვრცელდება ხმები, რომ თანხა ბოლომდე არ იქნება გადახდილი სახელმწიფოს მხრიდან.

— ეს ტყუილია. უკვე გამოიყო 24 მილიონი ლარი. თითოეულ ადამიანს სახელმწიფო თვეში 150 ლარს გადაუხდის.

— აქ შეკრებილთაგან, ზოგიერთმა მითხრა, რომ მეორედ იყო მოსული, რადგან ის მეწარმეები თუ ორგანიზაციები, სადაც თქვენ გაგზავნეთ, უარს ეუბნებიან მიღებაზე...

— გეთანხმებით, მართლაც, მოხდა ასეთი ფაქტები. მაგრამ ამას ჩვენ ბოლომდე ვერ ვაკონტროლებთ.

— აბა, ვინ უნდა გააკონტროლოს?

— ჩვენთან საკუთარი ნებით მოდიან ბიზნესმენები, ამა თუ იმ კომპანიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები, გადმოგვცემენ აქტივებს და ჩვენ ამ მონაცემებით ვხელმძღვანელობთ. პირველად ასეთ გაუგებრობას შპს „მაგისტრთან“ ურთიერთობისას წავაწყდით: მან მოგვაწოდა რამდენიმე ვაკანსია, იქ მისული მოქალაქეები კი, უარით გამოისტუმრა. როდესაც პასუხი მოვთხოვეთ, ფირმის მესვეურებმა გვითხრეს: ასე იდეაში გვქონდა წარმოდგენილიო... საქმისადმი ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება დაუშვებელია. ეს ადამიანების ბედით თამაშია, რომლის უფლებაც არავის აქვს.

— სამწუხაროდ, ასეთი ფორმით არა მარტო „მაგისტრი“ „თამაშობს“...

— ყველაფერს გავარკვევთ და მათ პასუხი მოეთხოვებათ. ვაკანსიებს 10-15 ათასამდე ორგანიზაცია გვაწვდის. პირველი დღისთვის 6200 ვაკანსია გვქონდა. სათითაოდ ყველას გადამოწმება შეუძლებელია. ყველა სერიოზულად უნდა მიუდგეს ამ საკითხს. არც ჩვენ და არც იმ ადამიანებს, რომლებიც წლობით ეძებენ სამსახურს, სათამაშოდ არ გვცალია.

— რომელ პროფესიაზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა?

— ქვეყანაში სამშენებლო ბუმია, შესაბამისად, ყველაზე დიდი მოთხოვნა სამშენებლო პროფესიებზეა. ასევე — სამომხმარებლო სფეროში მომუშავე პერსონალის ვაკანსიებზე. თქვენს მკითხველს შევახსენებ, რომ აღნიშნული პროგრამა არა მარტო თბილისში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება, შესაბამისად, ჩვენი სარეგისტრაციო ცენტრები გახსნილია რეგიონებშიც, კერძოდ: ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ფოთში, თელავში, გორში, ახალციხეში, ზუგდიდსა და ოზურგეთში. ბოლოს დავძენ: ეს არ გახლავთ ერთჯერადი პროგრამა. მომავალ წელს, კიდევ 50 ათასი ადამიანის დასაქმებაა დაგეგმილი. ■

ორი შვილის დედა ადამიანებით ვაჭრობდა

ტანჯვა-წამებას არასრულწლოვანი გოგონები თვეების მანძილზე იტანდნენ

ადამიანებით ვაჭრობის ბრალდებით, საოლქო სასამართლომ 51 წლის ქალი გაასამართლა. ჩადენილ დანაშაულში განსასჯელი, მიუხედავად იმისა, რომ მან ბრალდება არ დაადასტურა, დამნაშავედ ცნეს და მკაცრი სასჯელიც შეუფარდეს. პროკურატურის მასალების თანახმად, მან შემზარავი დანაშაული ჩაიდინა. მისმა ქმედებამ ორი არასრულწლოვანი გოგონას მომავალი შეიწირა და მათ ცხოვრება სამუდამოდ დაუმახინჯა. საშინლად ნატანჯმა, ნაწამებმა და მრავალ ხიფათს სასწაულებრივად გადარჩენილმა გოგონებმა ამ ქალის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცველებს მიაწოდეს და შემზარავი დეტალებიც გაახმაურეს...

პროკურატურამ 1954 წელს დაბადებულ ნელი იოსელიანს (ყველა მოქმედი პირის გვარი შეცვლილია) ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მუხლი მიუყენა. ბრალდების თანახმად, ის მოტყუებით ყიდდა ადამიანებს. საზღვარგარეთ თავად (ან მყიდველს) გაჰყავდა, შემდეგ კი მყიდველი მათ ექსპლუატაციას ეწეოდა. გამოძიება ვარაუდობდა, რომ იოსელიანი წლების მანძილზე გახლდათ დაკავებული ამ საქმიანობით და მის ბინძურ ბიზნესს მრავალი ადამიანის მომავალი ემსხვერპლა, მაგრამ ამ ფაქტების გამოვლენა და მათი ოფიციალურად დაფიქსირება ვერ ხერხდებოდა. საბრალდებო დასკვნაში მხოლოდ ორი ფაქტის შესახებ ვკითხულობთ. ისიც მხოლოდ იმის შედეგად გამოვლინდა, რომ გაუსაძლისი მდგომარეობიდან როგორღაც თავდაღწეულმა დაზარალებულებმა თავად მიაკითხეს პოლიციის განყოფილებას და შველა ითხოვეს.

ბრალდების თანახმად, ეკა მუშკუდიანი და ირინა შკურინა, იოსელიანმა მოტყუებით თურქეთში წაიყვანა, იქ ორივენი ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონეს კარგ ფასად მიჰყიდა, თუმცა, სანამ ამ გარიგებას განახორციელებდა, დრო არ დაუკარგავს და გოგონების სექსუალური ექსპლუატაციის გზით, ყოველდღიურ შემოსავალს იღებდა.

გოგონებს საზღვარგარეთ გამგზავრება და იქ მუშაობის დაწყება სურდათ, მაგრამ ეს სულ სხვაგვარად წარმოედგინათ. იმის

გამო, რომ არასრულწლოვნები იყვნენ, ბევრი პრობლემის წინაშე იდგნენ. არც წასასვლელი ფული ჰქონდათ. ერთ-ერთმა — ირინამ, რომელიც იოსელიანის მეზობლად ცხოვრობდა და იცოდა, რომ ის თურქეთში სავაჭროდ დადიოდა, მასთან დაკავშირება და მისთვის დახმარების თხოვნა გადაწყვიტა. *„გვინდოდა, ესწავლებინა, თურა გზით და როგორ შეიძლებოდა წასვლა. თან გადავწყვიტეთ, ფულიც აგვეღო მისგან სესხად, თუკი დაგვთანხმდებოდა“*, — წერს ჩვენებაში **ირინა**.

ერთ საღამოს ირინა მასთან სახლში მივიდა და თავის მეგობართან ერთად, დასახული მიზანი დედისტოლა ქალს მორიდებით გაანდო. იოსელიანმა სიტუაცია უმალვე სათავისოდ შეაფასა და მეზობელ გოგონას მზრუნველობას დაჰპირდა. ფულადი დახმარების გარდა, ისიც აღუთქვა, რომ ორივე გოგონას ყველა საკითხს თავად მოუგვარებდა. თავბრუდახვეულმა და აღტაცებულმა გოგონებმა იმ დღის შემდეგ, იოსელიანს სრული ნდობა გამოუცხადეს...

ყალბი პასპორტების დასამზადებლად, იოსელიანს ბევრი დრო არ დასჭირვებია. ვიზების საკითხიც ასევე მალე მოაგვარა და გოგონები თბილისიდან ფოთში, ფოთიდან კი, ბორნით თურქეთში წაიყვანა.

ქალაქ ალანიაში მდებარე ერთ-ერთ პატარა სასტუმროში დაბინავდნენ. იოსელიანმა აღარ დააყოვნა და საქმიანობა იმ დღიდანვე დაიწყო. დაუკავშირდა „საჭირო ხალხს“ და გოგონებისთვის კლიენტები მალე გამოძებნა...

„...სასტუმროში რომ დავბინავდით, მის ქმედებაში საეჭვო არაფერი შეგვინიშნავს, არც გვიგრძნია. თავდაპირველად, გვეგონა ყველაფერი კარგად იყო და ვფიქრობდით, რომ რამდენიმე დღეში მის მიერ მოძებნილ სამსახურში მუშაობას დავიწყებდით. მართალია, თურქეთში ჩასვლამდე მას ჩვენთვის არ დაუკონკრეტებია, თუ სად ვიმუშავებდით ზუსტად, მაგრამ ნათქვამი ჰქონდა, რომ გამყიდველის ან ოფიციანტის ადგილს გვიშოვიდა. ერთხელ ისიც გვითხრა, ერთ ჩემს ნაცნობს თავის ქარხანაში ეტიკეტების დამკვრელები სჭირდება და იქ მიგიყვანთო...“ — წერს ჩვენებაში **ეკა**.

სიმართლე იმავე საღამოს გაირკვა. შოკში ჩავარდნილი გოგონები იძულებული გახადეს, კლიენტებისთვის შესაბამისი მომსახურება გაეწიათ. საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ იოსელიანის ნაცნობ თურქ მამაკაცს, რომელიც ერთგვარი შუამავალი იყო, გოგონებთან დღეში 8-9 მამაკაცი მიჰყავდა. თითოეულისგან საშუალოდ, 40 მილიონ ლირას იღებდნენ, რაც დაახლოებით 60 ლარს უდრის. აღებულ თანხას იოსელიანი და მისი თურქი პარტნიორი ერთმანეთში ინაწილებდნენ, გოგონებს არაფერი ხვდებოდათ. *„ჩვენთვის ფული მათ არასდროს მოუციათ, საერთოდ, ანაზღაურების გარეშე დაგვტოვეს“*, — წერს **ეკა**.

გამოძიების მასალების მიხედვით, ვიზის ერთთვიანი ვადის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე, იოსელიანმა გოგონებს მის მიერ დამზადებული ყალბი პასპორტები გამოართვა და თავის ახლობელ ქალს გადასცა. პასპორტები მათ დამალეს, როგორც გოგონები ამბობენ — იმ მიზნით, რათა მათთვის თავისუფალი გადაადგილების საშუალება არ მიეცათ. *„გრძნობდა, რომ ყოველ წუთს ვეძებდით მომენტს იქიდან გასაქცევად. რამდენჯერმე გვქონდა მცდელობა, მაგრამ გაგვიგეს და ვერ მოვახერხეთ. შეეშინდა და პასპორტები წაგვართვა. გვითხრა, ამის გარეშე ფეხსაც ვერ გაადგამთ თურქეთიდანო. სასტუმროს დაცვა გაფრთხილებული ჰყავდათ, შენობიდან გასვლის უფლებასაც არ გვაძლევდნენ“*,

— ამბობს დაზარალებული.

სწორედ ამ პერიოდში მიიღო იოსელიანმა გოგონების გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილება. საქმიანი გარიგება თურქ სუტენიორთან დადო. გამოძიებამ ამ პირის ვინაობა ვერ დაადგინა, მაგრამ დაზარალებულები ამბობენ, რომ ახალმა მეპატრონემ ისინი სხვა სასტუმროში გადაიყვანა. პროკურატურის მასალებში დაფიქსირებულია აღებული თანხის ოდენობაც — იოსელიანმა გოგონები თურქ მეპატრონეს 4.500 დოლარად მიჰყიდა. აღნიშნული წარმატებული გარიგების შემდეგ, იოსელიანი საქართველოში დაბრუნდა.

გოგონები ამბობენ, რომ მათი გაყიდვის შესახებ თავად ახალი მეპატრონისგან შეიტყვეს. *„...იმ დღიდან გაქცევაზე ფიქრი არ გვასვენებდა. ისიც ვიცოდით, რომ ეს ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო. არც ფული გვქონდა, არც გზები ვიცოდით და არც თურქული ენა გვესმოდა...“*, — წერს ჩვენებაში **ეკა**. მიუხედავად ამისა, პირველად თვითონ გარისკა. სასტუმროდან გამთენიისას გაიპარა და ფეხით მეზობელ ქალაქში წასვლა მოახერხა. ქალაქ ფეტიაში გოგონას, რომელსაც საკმაოდ შეშინებული გამომეტყველება ჰქონდა, თურქმა სამართალდამცველებმა მიაქციეს ყურადღება. სხვა ქვეყნის მოქალაქე რომ იყო, მაშინვე მიხვდნენ. საბუთების გარეშე დარჩენილი გოგონა თურქულმა ჟანდარმერიამ იქვე დააკავა, ხოლო მას შემდეგ, რაც გაარკვიეს, რომ ის საქართველოდან იყო, რამდენიმე დღეში სამშობლოში დააბრუნეს.

რაც შეეხება ირინა შკურინას, ის გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეკას გაქცევით განაწყენებულმა თურქმა ჯავრი მასზე იყარა. კონტროლი კიდევ უფრო გააძლიერა და ხალხი მიუჩინა, რათა მისთვის თვალყური ედევნებინათ. შენობიდან გასვლის უფლება ირინას არ ჰქონდა. დახურულ სივრცეში მთელი 4 თვე ისე გაატარა, რომ გარეთ, თუნდაც სასტუმროს ეზოში, ერთხელაც არ გასულა. ამ ხნის მანძილზე, როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, ირინა შკურინას იძულებით უწევდნენ სექსუალურ ექსპლუატაციას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ამყოფებდნენ და ხშირად ძალადობასაც მიმართავდნენ... ირინა ჩვენებაში წერს, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მას სცემდნენ და საჭმლისა და წყლის გარეშე ტოვებდნენ. გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდნილი, როცა გრძნობდა, რომ შიმშილისგან უკვე გონებას კარგავდა, იძულებული ხდებოდა, მეპატრონის მოთხოვნებს დამორჩილებოდა...

ეკას გაქცევიდან 4 თვის შემდეგ იქაურობას ირინამაც დააღწია თავი. გოგონას, სასტუმროში გაცნობილი ერთ-ერთი თურქი მოქალაქე დაეხმარა და მას შენობიდან გაპარვასა და ანტალიაში წასვლაში შეუწყო ხელი. ანტალიაში ჩასული ირინა საქართველოს საკონსულოში მივიდა და მის თანამშრომლებს თავისი მდგომარეობა აუხსნა. საქართველოში ის სწორედ საკონსულოს დახმარებით დაბრუნდა.

„...ირინკას ჩამოსვლამდე, პოლიციაში მისვლაზე და იქ ყველაფრის მოყოლაზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერ გავბედე. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ირინკა ჩემზე ცოტათი უფროსია, ყოველთვის უფრო გაბედული იყო. როცა ჩამოვიდა, მაშინვე მითხრა, აუცილებლად უნდა განვაცხადოთ, თორემ, ჩვენთვის უარესი იქნებაო...“ — უთხრა გამომძიებელს **ეკამ**.

გოგონების მიერ მიცემული მამხილებელი ჩვენებების საფუძველზე, ნელი იოსელიანი საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს. ის კატეგორიულად უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს და გოგონებს ცილისწამებაში სდებდა ბრალს. იგივე გაიმეორა ბრალდებულმა სასამართლოშიც. ამის მიუხედავად, მას ჯერ წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, შემდეგ კი — გაასამართლეს. განსასჯელმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ გოგონები არ მოუტყუებია და ისინი თურქეთში ნებაყოფლობით ეწეოდნენ პროსტიტუციას.

განსასჯელის ჩვენებიდან:

„...ეს გოგონები თავიდანვე უწესოდ ცხოვრობდნენ. არც ერთს არ აქვს ნორმალური ოჯახი. ერთს ლოთი მშობლები ჰყავს, მეორეს ბავშვობიდან მოხუცი ბებია ზრდიდა. ფაქტობრივად, ქუჩაში ცხოვრობდნენ და მათხოვრობითა და პროსტიტუციით შოულობდნენ ფულს. ეკა რომ ჩემთან მოვიდა, მითხრა, ჩვენ სხვა არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, წაგვიყვანე თურქეთში და იქ ვიმუშავებთო. ამ გოგონების ამბავი მთელმა უბანმა იცის და ჩემი სიტყვების დადასტურება ბევრს შეუძლია... ვაღიარებ იმ ფაქტს, რომ მათ თურქეთში წასვლაში ნამდვილად დავეხმარე და საჭირო

ხარჯებიც თავად გავიღე. ეს ჩემს ინტერესებში შედიოდა, რადგან ეკას ბებიას ჩემი ვალი ჰქონდა, რასაც ვერ მიბრუნებდა. თუკი ეკა იქ იმუშავებდა, შანსი მიჩნდებოდა იმისა, რომ მისგან ვალსაც და გამგზავრებასთან დაკავშირებულ ხარჯსაც ამოვიღებდი...“

განსასჯელმა გოგონების გაყიდვის ფაქტი უარყო. მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი კი, სასამართლო პროცესზე აღნიშნავდა, რომ გაყიდვის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა. რაც შეეხება ყალბი საბუთების დამზადებას, — განსასჯელის თქმით, პასპორტები გოგონებმა მას თავად გადასცეს და მან არც იცოდა, თუ ისინი არასრულწლოვნები იყვნენ.

სასამართლომ განსასჯელის ჩვენება არადამაჯერებლად მიიჩნია, თუმცა საქმის განხილვის პროცესში გარკვეული სირთულე შექმნა ერთმა მოულოდნელობამ — დაზარალებულმა გოგონებმა, ყველას გასაოცრად, სხდომაზე ჩვენებები შეცვალეს და განსასჯელის სიტყვები დაადასტურეს.

„წინასწარი გამოძიებისთვის ჩვენ მიერ მიცემული ჩვენებები სიმართლეს არ შეესაბამება. ამ გზით გვინდოდა, იოსელიანის ვალისგან თავი დაგვეღწია“, — თქვეს გოგონებმა. იმაში, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობის პერიოდში დაზარალებულები განსასჯელის მხარისგან ზეწოლას განიცდიდნენ და ჩვენების შეცვლაც სწორედ ამის შედეგი იყო, ეჭვი არავის შეეპარვია. გოგონების ახალი ჩვენება წინააღმდეგობრივი იყო და ბევრ კითხვას ბადებდა, მათ მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებს კი, მტკიცებულებებიც ამყარებდა.

განსასჯელი, რომელიც თავადაც ორი ქალიშვილის დედა გახლდათ, სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით. აღნიშნული განაჩენი მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა გაასაჩივრეს და მისი გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოითხოვეს, მაგრამ მათი პოზიცია ზემდგომმა ინსტანციამ არ გაიზიარა.

P.S. *აღსანიშნავია, რომ ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ტრეფიკინგის მხრივ, დამაიმედებელი მდგომარეობა ნამდვილად არ არის. სწორედ ამის გამო, ამ დღეებში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა საგანგებო აქციის გამართვა გადაწყვიტეს. დაგეგმეს ბათუმსა და ქობულეთში ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ათასობით ღია ბარათის დარიგება. ახალგაზრდა იურისტების თქმით, მათი ბრძოლა ამ მიმართულებით მხოლოდ ამ აქციით არ ამოიწურება. უახლოეს მომავალში, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს საზღვრის გადაკვეთის პუნქტებზე სპეციალური სტენდები დაიდგმება. სტენდებზე განთავსდება ინფორმაცია ტრეფიკინგის შესახებ და ის ნებისმიერი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში უკვე მოქმედებს ცხელი ხაზი. ამ გზით ტრეფიკინგის საკითხით დაინტერესებულ ყველა პირს საჭირო ინფორმაციას აწვდიან.*

ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲠᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲞᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

19 წლის ახალგაზრდამ სიძეს დანა სხეულში რამდენჯერმე ჩაარტყა

სისხლის სამართლის სააპელაციო პალატის წინაშე 19 წლის ახალგაზრდა, უმძიმესი ბრალდებით წარდგა. პროკურატურა მას საკუთარი ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებდა. ბრალდების თანახმად, დანაშაული შურისძიების ნიადაგზე იქნა ჩადენილი, მკვლელობის იარაღი კი, დანა აღმოჩნდა...

გამოძიების მასალების მიხედვით, ბურდულების ოჯახში დავა და ჩხუბი ხშირი მოვლენა იყო. ცოლ-ქმრის კამათი თითქმის ყოველთვის მძიმე შედეგით სრულდებოდა — სასტიკად ნაცემი და შეურაცხყოფილი ცოლი ოჯახს ტოვებდა და თავის მშობლებთან ბრუნდებოდა. მეორე დღეს, დარდის გასაქარვებლად დამთვრალი ქმარი, სიდედრ-სიმამრის სახლთან მიდიოდა; იმის გამო, რომ კარს არ უღებდნენ, განაწყენებულ ცოლსა და მის მშობლებს ეზოდან ეძახდა და ყველას გასაგონად, მათ პატიებასა და შერიგებას სთხოვდა. მისი მცდელობები შედეგიანი იყო, მაგრამ საქმე ამით არ გვარდებოდა — ცოლ-ქმრის კონფლიქტებს დასასრული არ უჩანდა, ამ დროს კი, ქმარი ძალადობისგან, მწარე გამოცდილების მიუხედავად, თავს მაინც არ იკავებდა.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი ჩხუბის შემდეგ, ბურდულების ოჯახში ლევან მსხვილიძე მივიდა. ის, როგორც ყოველთვის, თავის ერთი წლით უფროს დას გამოექომაგა და სიძეს მისი შეურაცხყოფის გამო პასუხი მოსთხოვა.

მომხდარის გამო, სიძე და ცოლისძმა შეკამათდნენ და ერთმანეთს ხელითაც შეეხნენ. მაგრამ იმ საღამოს მათი გაშველება და დაშოშმინება, ხმაურსა და ყვირილზე გამოსულმა, ბურდულების კარის მეზობელმა მამაკაცმა მოახერხა. მანვე ლევან მსხვილიძე სახლიდან გაიყვანა და საკუთარი ავტომანქანით მის საცხოვრებელ ბინაში მიიყვანა.

თუმცა, სიბრაზე მსხვილიძეს არ განელებია. მეორე დღეს, ნასვამი მივარდა დის ოჯახში და კარზე ბრახუნი, ყვირილი და გინება ატეხა. კარს არავინ აღებდა. მსხვილიძემ იფიქრა, რომ განგებ არ უღებდნენ კარს და სინამდვილეში, შინ იყვნენ. გაბრაზებულმა, საკეტი დააზიანა და ბინაში ასე შეაღწია.

აღმოჩნდა, რომ იქ მართლაც არავინ იყო. წონასწორობიდან გამოსულმა მსხვილიძემ მაგიდიდან ლარნაკი აიღო და ტელევიზორს ესროლა, შემდეგ კი იქაურობა დატოვა...

სიძეს ის დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, საღამოს 9 საათისთვის, მისსავე საცხოვრებელ სახლთან ახლოს შეხვდა. საქმის გარჩევის დროს, ურთიერთშელაპარაკებისას, შურისძიების სურვილით აღვსილმა (როგორც ეს საბრალდებო დასკვნაში წერია) მსხვილიძემ ჯიბიდან დასაკეცი, ჯაყვის ტიპის დანა ამოიღო და განზრახ მოკვლის მიზნით, სიძეს სხეულში ჩაარტყა. აღსანიშნავია, რომ დანა გოჩა ბურდულს მან სხეულში ზედიზედ რამდენჯერმე ჩაარტყა. დაზიანებები იმდენად მძიმე და ღრმა იყო, რომ დაჭრილი ადგილზევე გარდაიცვალა...

დაზარალებული ოჯახის წევრები — მოკლულის ნათესავები მსხვილიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მოითხოვდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მსხვილიძემ დანაშაული განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა. ეს მოთხოვნა სამართალდამცველებმა არ დაუკმაყოფილეს და უსაფუძვლობის გამო, აღნიშნული მუხლით საქმის აღძვრაზე უარი განაცხადეს. გამოძიების პოზიციით, აშკარა იყო, რომ განზრახ მკვლელობა მოხდა, მაგრამ — დამამძიმებელი გარემოებების გარეშე.

სამართალდამცველების წინაშე მსხვილიძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა და წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო. სასამართლომ მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დაზარალებულმა მხარემ განაჩენი გაასაჩივრა. მოკლულის ნათესავების თქმით, სასამართლომ მათი მოთხოვნა 109-ე მუხლთან დაკავშირებით არ გაიზიარა, მაგრამ დანაშაულის 108-ე (განზრახ მკვლელობა, დამამძიმებელი გარემოებების გარეშე) მუხლით დაკვალიფიცირების შემთხვევაშიც კი, მსხვილიძისთვის შეფარდებული სასჯელი მეტისმეტად მსუბუქია.

სასჯელი მსხვილიძისთვის არ დაუმძიმებიათ. თავად მას სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ გაუსაჩივრებია.

M K

მოკლულის ცოლს და სიმამრს წინასწარი პატიმრობა შეეფარდეს

ბრალდებული ამბობს, რომ ის 6 თვის ფეხმძიმეა

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადახლოს პოლიციის უფროსის — უჩა ჯანელიძის მკვლელობისთვის დაკავებულ მამა-შვილს — 57 წლის ვახტანგ თელიასა და 32 წლის ნათია ჯანელიძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ნათია ჯანელიძე 6 თვის ფეხმძიმეა.

მამა-შვილს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ედება ბრალი. სწორედ ამის გამო, როგორც სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის წარმომადგენელმა ზვიად სალიამ აღნიშნა, მოსალოდნელი იყო, თელიასა და მის ქალიშვილს, სასჯელის შიშით, თავი აერიდებინათ გამოძიებისთვის, მიმალულიყვნენ ან ზემოქმედება მოეხდინათ რომელიმე მოწმეზე. ამიტომ, პროკურატურამ ბრალდებულთათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.

ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა მათი ინტერესების დამცველი ადვოკატი **ირაკლი ჩიკვაიძე**. *„ნათია ჯანელიძისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება — სრული უკანონობაა. ამისთვის სასამართლოს არც მორალური და არც სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა“*, — აცხადებს ადვოკატი.

სასამართლომ კი თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ დაცვის მხარეს, ნათია ჯანელიძის ფეხმძიმობის დამადასტურებელი საბუთი არ წარმოუდგენია. ადვოკატი კი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ფეხმძიმობის შესახებ თავადაც სასამართლო პროცესზე შეიტყო.

„საინტერესოა, რა ზემოქმედება უნდა მოახდინოს ნათია ჯანელიძემ მოწმეებზე, როცა მამამისმა საჯაროდ, ტელეკამერების წინ აღიარა ჩადენილი დანაშაული?!“ — კითხულობს **ჩიკვაიძე**.

აღსანიშნავია, რომ ნათია ჯანელიძეს პროკურატურა მკვლელობისკენ წაქეზებაში ადანაშაულებს. ბრალდებულის ადვოკატი არც ამ ბრალდებას ეთანხმება. *„არ შეიძლება, წაქეზებად ჩაითვალოს ის, რომ ქუჩაში გაძევებულმა ნათია ჯანელიძემ მამას დაურეკა და მომხდარი ინციდენტის შესახებ შეატყობინა“*, — ამბობს ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ მკვლელობა 29 აგვისტოს, თბილისში, თემქის მე-3 მიკრორაიონში მოხდა. შუაღამისას, საკუთარ ბინაში, სადახლოს პოლიციის უფროსი უჩა ჯანელიძე მისივე იარაღიდან გასროლით მოკლული იპოვეს. მას სხეულში 8 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. იმავე დღეს, მკვლელობაში ეჭვმიტანილის სახით დააკავეს მოკლულის სიმამრი ვახტანგ თელია და მისი ქალიშვილი. თელიას, განზრახ მკვლელობის მუხლი მიუყენეს, ხოლო მის ქალიშვილს — წაქეზებაში დასდეს ბრალი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდებულთა ადვოკატმა სააპელაციო წესით გასაჩივრა. მისი თქმით, სააპელაციო პალატის წინაშე ის ნათია ჯანელიძის ფეხმძიმობის დამადასტურებელ ცნობას წარმოადგენს და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების — პატიმრობის გაუქმებას მოითხოვს. ■

პატიმარმა საკუთარი მაისურით ჩამოიხრჩო თავი

ციხის თანამშრომელთა თქმით, აწ გარდაცვლილი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი იყო

სახალხო დამცველი №1 საპყრობილეში პატიმრის — ზვიად იაკობიძის 4 სექტემბერს მომხდარ თვითმკვლელობის ფაქტს იძიებს. სახალხო დამცველის აპარატის, მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის — გიგა გიორგაძის ცნობით, ციხის ადმინისტრაცია პატიმრის თვითმკვლელობის თაობაზე აცხადებს, რომ აწ გარდაცვლილი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პიროვნება იყო, მას კონფლიქტი მოუხდა ერთ-ერთ თანამესაკნესთან და შეურაცხყოფა მიაყენა ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. სწორედ ამის გამო გადაწყვიტეს, ის კარცერში გადაეყვანათ. *„კარცერში გადაყვანამდე, პატიმარმა ვენები გადაიჭრა“*, — ამბობს **გიორგაძე**. ოფიციალური ინფორმაციით, იაკობიძემ ცალკე საკანში გადაყვანის შემდეგ, საკუთარი მაისურით ჩამოიხრჩო თავი.

„ვეცდებით, მოვიძიოთ სამედიცინო ჩანაწერი, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემს. თუ პატიმარი ნამდვილად ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი იყო და კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიდა, მის ქცევაში ექიმს, ისევე, როგორც ციხის მომსახურე პერსონალს, ეჭვი უნდა შეჰპარვოდა. სწორედ ამ მიზეზით, იაკობიძე უნდა გადაეყვანათ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწეოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. თუკი, ფსიქიკური აშლილობის ფაქტი დადასტურდება, მაშინ პასუხისმგებლობა მომხდარზე ციხის ექიმსა და ადმინისტრაციულ პერსონალს უნდა დაეკისროს“, — აცხადებს **გიორგაძე**.

აღსანიშნავია, რომ აწ გარდაცვლილი იაკობიძე ავტომანქანის გატაცების ბრალდებით იყო გასამართლებული. ჩადენილი დანაშაულისთვის მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საინტერესოა იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკაც: სექტემბრის დასაწყისში სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში უკვე 5 პატიმარი გარდაიცვალა... ■

ტრაგიკული შემთხვევა ქობულეთში — ექსტრემალურ გართობას მოზარდის სიცოცხლე ემსხვერპლა

14 წლის ქუთაისელი ბეგლარ ერგემლიძე ზღვის სანაპირო ზოლზე ბანაობდა, როცა კატარღა მისთვის აკრძალულ ზონაში შეიჭრა, ბავშვი ვერ შეამჩნია და დაეჯახა. მართალია, მაშველებმა დაშავებული მოზარდი მაშინვე წყლიდან ამოიყვანეს და დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ბავშვს იმდენად მძიმე დაზიანებები ჰქონდა მიღებული, რომ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დააკავეს კატარღის მძღოლი, თუმცა მაშველები მომხდარს ასე ხსნიან: შემთხვევის დღეს, შტორმმა გამყოფი ბურთულები მთლიანად მოშალა და ამის გამო, კატარღის მძღოლმაც საზღვარი მისდა უნებურად დაარღვია, ბავშვი კი ვერ შენიშნა... ■

MK

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ვირტუალური წყვილის რეალური ამბავი გაგრძელებებით



გახსოვთ ალბათ, „გზის“ წინა ნომერში, ერთი წყვილის ონლაინ-რეჟიმში მიმდინარე დიალოგის ბეჭდვა დაიწყო; იქვე გაცნობეთ, რომ ინტერნეტსაიტის მეშვეობით გაცნობილი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის განვითარების მომსწრეები გახდებოდით. წინა დიალოგი 20 აგვისტოს შემდგარ დიალოგზე შეწყდა. ვნახოთ, რა მოხდა შემდეგ — გასული კვირის განმავლობაში, ნატალისა და ზურას ურთიერთობაში.

მარი ჯაფარიძე

21 აგვისტო, ორშაბათი, 10:35

ზურა: გამარჯობა, ჩემო პატარავ, როგორ ხარ? იცი, როგორ მომენატრე? გუშინ მთელი დღე ვერაფერი მოგწერე, გზაში სულ შენზე ვფიქრობდი... ახლა კი ჯერ დილაა და ალბათ გძინავს ან დილის საქმით ხარ დაკავებული. მე კი გულმა არ მომითმინა და გწერ და გწერ... ერთი სული მაქვს, როდის მოხვალ... ისე, მეგონა, გუშინ ერთ მესიჯს მაინც დამიტოვებდი... გავხსენი ფოსტა და... არაფერი... კარგი, დღეს ორშაბათია, თათბირი უნდა ჩავატარო და ასე, ერთ საათში დავამთავრებ. იმედია, აქ დამხვდები...

13:02

პანდორა: გამარჯობა, როგორ იმგზავრე?

ზურა: ვაააა, მოხვედი? როგორ იყავი, უჩემოდ?

პანდორა: კარგად... :)))

ზურა: გოგო, სულ მცირე შებრალების უნარი მაინც არ გაქვს? ისე, ტყუილად მაინც მითხარი, რომ მოგენატრე...

პანდორა: ტყუილი გირჩევნია?

ზურა: სიმართლე მირჩევნია, მაგრამ გულის გასახარად ტყუილიც შეიძლება. თანაც, ხომ გაგიგონია, შეძახილმა ხე გაახმოო და ხშირად რომ მეტყვი, მიყვარხარ და მომენატრეო, მართლა შეგიყვარდები...

პანდორა: რა მეოცნებე ხარ! გჭირდება, მერე, ცოლშვილიან კაცს, ჩემი სიყვარული?

ზურა: „მე რომ განგებას სულთნად დავესვი,
მეყოლებოდა, ჯარი ურიცხვი,
გავილაშქრებდი, საქართველოზე,
სწორედ ასეთი ქალის გულისთვის...
ვერ ამიბამდა ვერც თვალს, ვერც ჭკუას,
მე სხვა საუნჯე, გურჯთა ქვეყნიდან,
შენი სულ ერთი წარბის მოღუშვაც,
საჰარის თავზე ღრუბლებს შეყრიდა...
აი, გიყურებ, ქალო და ვლამობ,
გადავაცილო, ხვაშიადს მტვერი,
იქნებ შენგვარი ქალების გამო,
ქართლს ფუტკარივით ეხვია მტერი...“

პანდორა: ოჰო! როგორი რომანტიკული ყოფილხარ!

ზურა: ახლა ჩემს ოთახში, მაგიდის გარშემო 6 ადამიანი ზის და 12-მილიონიან პროექტს ვიხილავთ... მე კი ამ დროს ისეთი სერიოზული სახით გწერ ლექსებს, რომ ყველას ჰგონია, ვმუშაობ...

პანდორა: გინდა, მოვიდე მანდ და ყველაფერი თავდაყირა დავაყენო?

ზურა: უყურე შენ! მე სერიოზული ქალი მგონიხარ და შენ თვალი ცელქობისკენ გიჭირავს?

პანდორა: შენ გესაუბრები და თან სიმღერას ვუსმენ... „ბესამე მუჩო“-ს... რაღაც, სევდიან განწყობილებაზე დამაყენა... იცი, რას ნიშნავს, „ბესამე მუჩო“?

ზურა: ვიცი! ეს ნიშნავს — „მაკოცე მაგრად“. ჰოდა, როცა გნახავ, იმდენს გაკოცებ, რომ ვერ დათვლი... ახლა ისევ არ გამიბრაზდე... გეხუმრე, არისტოფან, გე-ხუმ-რე!

პანდორა: ბუტე-ბუტე, გაგებუტეეეე...

ზურა: კარგი ვინმე ხარ! ჩასაყლაპი...

პანდორა: ნუ მომკალი, სიცილით...

ზურა: რა, არა? ჩასაყლაპი ხარ, აბა არ ხარ?

პანდორა: თითქოს ჭკვიანი და მიამიტი ადამიანი ჩანხარ, მაგრამ ეტყობა, მაგარი შემბმელი ხარ...

ზურა: ნატალი, ნუ მიხურებ, რაااა... იცი, რა მაინტერესებს?

პანდორა: ვიცი...

ზურა: იცი? აბა, მითხარი, რა იცი....

პანდორა: შენ გაინტერესებს, ჩემი ოჯახური მდგომარეობა...

ზურა: ვა! შენ როგორც ჩანს, პროფესიონალი ფსიქოლოგი ხარ... როგორ მიხვდი?

პანდორა: მე ის მიკვირს, რომ მთელი კვირაა, ერთმანეთს ვიცნობთ და აქამდე არ მკითხე.

ზურა: შენთან ურთიერთობა იმდენად საინტერესოა, რომ თითქოს მნიშვნელობაც კი არ აქვს, ვინ ხარ... მითხარი შენ შესახებ... ანკეტაში გიწერია, რომ 32 წლის ხარ. მართალია? თუ იტყუები?

პანდორა: მართლა 32 წლის ვარ. მყავს და, რომელიც გათხოვილია და უკვე შვილიშვილიც ჰყავს. მშობლები არ მყავს. დედა და მამა გაშორებული იყვნენ. მამა რუსეთში ცხოვრობდა... ვინაიდან ჩემი და უკვე 47 წლისაა, შესაბამისად, ჩემზე მთელი 15 წლითაა, უფროსი. ჩემი დაბადება სრულიად შემთხვევით მოხდა. მამა რუსეთიდან ჩამოსულა, რამდენიმე თვით. დედას უფიქრია, რომ თუ მეორე შვილს გაუჩენდა, ის აღარსად წავიდოდა, მაგრამ ჩემს დაბადებასაც კი არ დაელოდა, ისე გაიქცა. მე მამა თვალითაც არ მინახავს. მას შეატყობინეს, რომ მეორე გოგო შეეძინა, მაგრამ სურვილი არ გამოუთქვამს, რომ ვენახე. დედა ამ დროს უკვე 40 წელს გადაცილებული იყო. 6 წლის ვიყავი, როცა ის კიბოთი გარდაიცვალა. ჩემმა დამ გამზარდა. დედის გარდაცვალების წლისთავზე ქეთინო გათხოვდა და რა თქმა უნდა, მე „მზითვში“ ვერგე. ძალზე კარგი ოჯახი შეხვდა. მისმა დედამთილმა დედობა გამიწია, ქმარმა — ძმობა... სკოლაში მან მიმიყვანა. ისე კარგად მახსოვს... ჩემი სიძე ამბობდა ხოლმე: შვილის სიყვარული ნატალისგან ვისწავლეო... ჩემი დისშვილი ჩემზე 7 წლითაა უმცროსი. მასაც, ჩემი სიყვარულით, ნატალი დაარქვეს. ასე ვიზრდებოდით, მე და პატარა ნატალი, ერთად. ეს ადამიანები, ვისზეც ახლა გიყვებოდი, ჩემი უსაყვარლესი ადამიანები არიან... მათ გარდა მყავს მეგობრებიც, მათზე სხვა დროს გიამბობ...

ზურა: ძალიან ლამაზი და თანაც, ცოტა სევდიანი ამბავია. ჩემო პატარავ, ახლა გათხოვილი ხარ, ალბათ და ქმრის ოჯახში ცხოვრობ, ხომ?

პანდორა: მაგას როგორ მკადრებ? :(((

ზურა: ვაი, დავაშავე, რამე?

პანდორა: გათხოვილი რომ ვიყო, უცხო კაცს დაგიწყებდი ტლიკინს?

ზურა: მერე რა?

პანდორა: მერე ის, რომ მიმაჩნია, რომ ქალს თუ ქმარი ჰყავს, მას უნდა მიხე-

დოს და როგორი ცუდიც არ უნდა იყოს, უფლება არ აქვს, რომ სხვა კაცებს ელაპარაკოს, თუნდაც, ინტერნეტით... მე მგონია, რომ ეს იქნებოდა ღალატი... რა ვიცი, შეიძლება, ვცდები კიდეც...

ზურა: შემოგევლე, ჩემო პატარავ, შენ ნებისმიერი მამაკაცისთვის საოცნებო ქალი ხარ. :))) გამიმართლა, რომ ამდენ ქალს შორის გიპოვე და ამოგარჩიე... უკვე მიყვარხარ... ახლა ისევ შენი დის ოჯახში ცხოვრობ?

პანდორა: არა, მე ჩემი მშობლების დანატოვარ ბინაში ვცხოვრობ, მარტო.

ზურა: გათხოვილი არ ყოფილხარ?

პანდორა: არა :(((

ზურა: ესე იგი, გინდა, თქვა, რომ....

პანდორა: ჰო, მინდა ვთქვა, რომ ...

ზურა: ქალწული ხარ?

პანდორა: ქალწული არა, მორიელი ვარ... :)))

ზურა: მგონი ხვდები, რომ ზოდიაქოს ნიშანს არ ვგულისხმობდი...

პანდორა: მაგ კითხვას უპასუხოდ ვტოვებ... სხვა დროს ვილაპარაკოთ მაგაზე. კარგი?

ზურა: როგორც გინდა, ჩემო სიხარულო... ნატალი, იცოდე, რომ ჩემი ხარ და სისულელე არაფერი ჩაიდინო... აქ აღარავის დაელაპარაკო, იცოდე. ყველა მოიშორე და უთხარი, რომ უკვე შეყვარებული ხარ. სასწრაფოდ უნდა გნახო, პატარავ, რომ მოგხიბლო და აღარსად გამექცე...

პანდორა: ზუუუ-რიიიი-კოოოო...

ზურა: :))) რა იყო, „მივაყენო"?

პანდორა: :))) მიყვარს მიხვედრილი ხალხი.

ზურა: ნატალია, ნატალია, შენი კოცნა წამალია...

პანდორა: რაღაც, ვეღარ გაჩერებ!

ზურა: აწი ვეღარ გამაჩერებ, ჩემო ნატალი... ხმამაღლა ვიყვირებ და ყველას გავაგებინებ, რომ მიყვარხარ...

პანდორა: წავედი, უკვე მთელი 6 საათია, ვლაპარაკობთ. საკმარისია.

ზურა: როგორც კი თბილ სიტყვებს გეტყვი, მაშინვე გამირბიხარ... მომიშვი ახლოს, გთხოვ... ნატა, შენი პაციენტი დედა-შვილის ამბავს რომ მიყვებოდი, გახსოვს? მაინტერესებს, რა მოხდა შემდეგ...

პანდორა: ზურა, ხვალ ბათუმში მივდივარ, 2 კვირით. ახლა უნდა მოვემზადო, ბარგი ჩავალაგო... საღამოს, გვიან შემოვალ და თუ აქ იქნები, მოგიყვები.

ზურა: რაااااა???? შენ ბათუმში მიდიხარ და მე არაფერი ვიცი? ნატალია, გაგიჟდი? რა გინდა ბათუმში უჩემოდ? ახლა გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები!

პანდორა: ბროწეულის ოყნა გიშველის. წავედი, ძვირფასო. ასე, 11 საათზე ისევ მოვალ.

ზურა: ახლა საღამოს 7 საათია. რა გაძლებს ღამის 11-მდე?! ახლა სახლში მარტო ვარ და სახლის კომპიუტერიდანაც შემიძლია, დაგელაპარაკო.. დროებით, გელი...

ზურა: ნატალი, გკოცნი... ახლა, გინდ გაბრაზდი და გინდ — არა!

22:45

ზურა: 15 წუთი დარჩა. იმედი მაქვს, პუნქტუალური ხარ და დათქმულ დროს არ გადააცილებ...

22:51

ზურა: 9 წუთი დარჩა. გელი...

23:00

ზურა: სად ხარ, გოგო? მენატრები, ნატალი...

23:06

ზურა: მთელი 6 წუთი გადააცილე, ჯერჯერობით... ნااااა-ტაااა-ლიიიიი... მოდი, გოგო, მოდი!

23:14

ზურა: :(((((

23:17

ზურა: :)))) როგორც იქნა, გამოჩნდი... გული მისკდებოდა. რომ არ მოსულიყავი, გავგიჟდებოდი.

პანდორა: ვიცოდი, რომ გადაირეოდი და იმიტომ შემოვედი, თორემ ნამდვილად არ მეცალა.

ზურა: ნატალი, რით მიდიხარ ხვალ ბათუმში და ვისთან ერთად?

პანდორა: მე და ჩემი მეგობარი მივდივართ, მატარებლით.

ზურა: იმედია, ის შენი მეგობარი გოგოა და არა მამაკაცი. :(((

პანდორა: შენ რა, ეჭვიანობ?

ზურა: ვაღიარებ, რომ — კი!

პანდორა: აბა, რა გითხრა? ეგ შენი პრობლემაა...

ზურა: ნატა, ხვალ ჩემს მძღოლს გამოგიგზავნი და ბათუმში ის წაგიყვანს. უარი არც კი გაბედო.

პანდორა: რას ამბობ? არავითარ შემთხვევაში! მატარებლის ბილეთები უკვე გვაქვს. ჩემი „ხოდით" წავალ.

ზურა: ასეთი არაფერი მინახავს. გოგო, მე უკეთეს ვარიანტს გთავაზობ. მითხარი, რომელ საათზე მოვიდეს და გამოვგზავნი. თუ ოდნავ პატივს მცემ, მომეცი ნება, რომ სულ პატარა სამსახური გაგიწიო. ნუ გეშინია, მე არ გამოვყვები. თუ მაგიტომ იხევ უკან, რომ ჩემთან შეხვედრა არ გინდა, გპირდები, რომ მხოლოდ მძღოლი იქნება და სხვა არავინ. ნუ გერიდება, ეს ჩემთვის არაფერია და გამიხარდება, თუ პატივს გცემ...

პანდორა: მოვიფიქრებ.

ზურა: კარგი, სანამ ჩვენ ვისაუბრებთ, მანამდე მოიფიქრე, რომ ამაღამვე ვუთხრა გოჩას და მოემზადოს შორი გზისთვის. ისე, ჩემთან შეხვედრა რატომ არ გინდა?

პანდორა: ბათუმიდან რომ ჩამოვალ, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ.

ზურა: კარგი, როგორც შენ იტყვი. კიდევ მომიყევი, რა, რამე, შენ შესახებ! როგორ უნდა გავძლო უშენოდ? ტელეფონის ნომერი მომეცი, რააა! დაგირეკავ მაინც, რომ შენი ხმა გავიგონო.

პანდორა: ტელეფონის ნომერსაც მერე მოგცემ. გპირდები, რომ ყოველ საღამოს ინტერნეტკაფეში შევალ და იქიდან დაგელაპარაკები.

ზურა: მაშინ მოვილაპარაკოთ, რომ ზუსტად საღამოს 10 საათზე, ყოველღამ, აქ შევხვდებით ერთმანეთს.

პანდორა: გპირდები...

ზურა: ჭკვიანი გოგო მყავხარ. შეეემოოო-გეეევ-ლეეეე...

პანდორა: ზუუუ-რიიი-კოოო...

ზურა: კარგი, ჰო, კარგი... მომიყევი იმ ამბის გაგრძელება. ხომ შემპირდი!

პანდორა: კარგი. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რომ გოგონამ მითხრა, დედაჩემი მკვლელობაში უნდა ვამხილოო. მე თვალები დავჭყიტე. ვთხოვე, რომ თავიდან ბილომდე, დაწვრილებით მოეყოლა ყველაფერი. ახლა მე პირველ პირში მოგიყვები, რომ უფრო იოლი იყოს.

ზურა: კარგი, მთელი ყურადღებით გისმენ.

პანდორა: დედაჩემი და მამაჩემი უკვე დიდი ხანია, გაშორებული არიან და მე და დედა მარტო ვცხოვრობთ. 2 წლის წინ, მაშინ 22 წლის ვიყავი, დედამ დასასვენებლად გამიშვა, ჩემს ერთ მეგობართან, შოვში, სხვა მეგობრებთან ერთად. იქ გავიცანი ჩემზე 14 წლით უფროსი მამაკაცი. ის უცოლო გახლდათ. ერთმანეთი პირველსავე შეხვედრისას მოგვეწონა. თუმცა, მე უფროსი ასაკის მამაკაცები არასოდეს მომწონდა, მაგრამ ამ კაცით უცებ მოვიხიბლე. იქვე დავიწყეთ შეხვედრები. ერთმანეთს მდინარის პირას ვხვდებოდით და ძალზე რომანტიკულ საღამოებს ვატარებდით. ჩემს მეგობრებთან ერთად ტყეში, პიკნიკზე მეპატიჟებოდა, სოკოს საკრეფადაც დავდიოდით და ერთმანეთს უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით. ჩემი თბილისელი შეყვარებული აღარც მახსოვდა. ის ჩემი ასაკის გახლდათ და როდესაც მათ ერთმანეთს ვადარებდი, აშკარა სხვაობას ვგრძნობდი. ერთი სიტყვით, სახლში უკვე ყურებამდე შეყვარებული დავბრუნდი. ჩვენ ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და ურთიერთობა თბილისშიც გავაგრძელეთ. მე და დედა ვმეგობრობდით და ბუნებრივია, ერთმანეთს ყველაფერს ვუყვებოდით ხოლმე. არც მამუკას გამოჩენა დამიმალავს. დედა ძალიან შეშფოთდა, როდესაც მისი ასაკი გაიგო. ჭკუას მარიგებდა, მეუბნებოდა, არ მოტყუვდე, ის გამოცდილი კაცია, შენ კი ჯერ ბავშვი ხარ და იოლია, შენი შეცდენაო. მამუკა ხშირად მირეკავდა შინ. ერთხელ, სწორედ ისეთ დროს დაურეკავს, როცა შინ არ ვიყავი. დედაჩემს უკითხავს, ვინ იყო და როდესაც გაუგია, რომ მამუკა იყო, უთხოვია, ჩვენთან შინ მოსულიყო ისეთ დროს, როცა მე არ ვიქნებოდი და თან ჩემთვის ამის შესახებ არაფერი ეთქვა.

ზურა: მერე?

პანდორა: მერე ხვალ საღამოს გავაგრძელოთ. ახლა კი უკვე გვიანაა და დავიძინოთ...

ზურა: რა კარგად თქვი ეს სიტყვა... დავიძინოთ... ნეტავ, თუ დავიძინებთ, ოდესმე, ერთად?

პანდორა: ზურა, გთხოვ...

ზურა: კარგი, მორჩა, ახლა მითხარი, რომელ საათზე მოგაკითხოს მძღოლმა

და სად მოვიდეს?

პანდორა: მაინც არ იშლი შენსას?

ზურა: რას მეუბნები? მითხარი... შენ ის კი არ იფიქრო, რომ მე ყველას ასე ვექცევი...

პანდორა: ხვალ, დილით, 9 საათზე, ბუკიას ბაღთან მოვიდეს.

ზურა: შევთანხმდით. მშვიდობიან მგზავრობას გისურვებ, ამაღამ კი, გადარეულ სიზმრებს :))) მითხარი, რომ მკოცნი...

პანდორა: მორჩა, წავედი ისე, რომ არ გკოცნი...

ზურა: ოოო, რა ჯიუტი ხარ! მე კი გკოცნი... ძილი ნებისა...

22 აგვისტო, სამშაბათი 11:00

ზურა: აი, ახლა 9 საათია და მე განგებ გწერ მესიჯს, რადგან შენ ახლა ჩემს მძღოლს ელი და არ გეგონოს, რომ შორიახლოს ვარ და გიყურებ. კარგი, ნატალი, იმედია, არ დაგავიწყდება, რომ საღამოს, 10 საათზე პაემანი გვაქვს ინტერნეტში. კეთილი მგზავრობა.

15:22

ზურა: როგორ ხარ, ნატალი? უკვე ძალიან მომენატრე... წეღან მე დავურეკე მძღოლს და ვკითხე, როგორ მგზავრობდით. ალბათ, მიხვდი, ხომ? ქალების ხმა მესმოდა... ერთი უფრო ნაზი ხმა იყო, მეორე კი, ცოტა ჩახლეჩილი, სექსუალური... ნეტავ, რომელი ხარ შენ? ერთი სული მაქვს, როდის დაბრუნდება გოჩა უკან, რომ გამოვკითხო ყველაფერი... გკოცნი და 10 საათზე გელოდები...

22:03

ზურა: ყოჩაღ! როგორ პუნქტუალურად მოხვედი! ინტერნეტკაფეში ხარ? მანდ ბევრი ხალხია?

პანდორა: არა ვარ კაფეში. ჩვენ ეს 2 კვირა ჩემი მეგობრის დეიდასთან ვიქნებით. მათ სახლში ჰქონიათ კომპიუტერი და არსად წასვლა არ დამჭირდება.

ზურა: ვაშაااااა! ამ ეტაპზე მაგაზე მეტით ვერაფრით გამახარებდი. გაუმარჯოს მეგობრის დეიდას! როგორ იმგზავრეთ?

პანდორა: კარგად ვიმგზავრეთ. გოჩას მთელი გზა ხმა არ ამოუღია. მხოლოდ აუცილებელ ფრაზებს ამბობდა: ხომ არ გავაჩერო? გცხელათ? არ მოგერიდოთ, თუ რამე გინდოდეთ, მითხარით და გავაჩერებ და ა.შ.

ზურა: ასეთი სიტყვაძუნწია და იმიტომაც მუშაობს ჩემთან... ნახევარი საათის წინ ჩამოვიდა. იცი, რა მითხრა?

პანდორა: რაო?

ზურა: რაო და... ნატალი ისეთი ლამაზი და მშვენიერი გოგოა, რომ შენ რომ ეგ იცოდე, აქ კი არ გაჩერდებოდი, დღესვე მასთან წახვიდოდიოოოოოო...

პანდორა: ზურა, ამ ზაფხულს და ამ დასვენებას თუ არ ჩამამწარებ, კარგს იზამ...

ზურა: არ ჩამოვალ, კარგი, მაგრამ გოჩამ მართლა ძალიან შეგაქო. თანაც, მობილურით გადაღებული შენი სურათიც მაჩვენა... მართლა ასეთი ლამაზი ხარ?

პანდორა: ყველაფერი შეფარდებითია...

ზურა: თუ ასე კარგი ხარ, უფრო ვნერვიულობ, რომ მანდ არავინ გადაგიბიროს და თავი არ შეგაყვაროს...

პანდორა: დაწყნარდი...

ზურა: ძალიან მინდა, რომ მანდ ვიყო... შენთან... ისე მენატრები...

პანდორა: რა ძველი შეყვარებულივით მელაპარაკები?

ზურა: რა ვიცი, მეც ასე მგონია. რაღაცნაირად, შეგეჩვიე. მგონი, ცუდი არაა...

პანდორა: წინასწარ ვერ გავაკეთებ პროგნოზს, კარგია ეს თუ ცუდი...

ზურა: წინასწარ არც არაფერს გთხოვ. უბრალოდ, შენი „რეალში“ გაცნობა მინდა... ვირტუალურად უკვე მიყვარხარ.

პანდორა: ასე იოლად გიყვარდება? მეც შეგეჩვიე, მაგრამ ამას სიყვარულს ვერ დავარქმევ...

ზურა: მე ვირტუალურ სიყვარულზე გეუბნები, ჯერჯერობით. რა ვქნა, ასეა და ვერ მოგატყუებ. რომ გნახავ, შეჩვევა მერე ნახე...

პანდორა: ჩემს ჩამოსვლამდე არ მიღალატო, იცოდე... :))) ასე არ ეუბნებიან ხოლმე შეყვარებულები ერთმანეთს?

ზურა: ჰო, ჩემო სიხარულო, არ გიღალატებ... შენც ჭკუით იყავი მანდ, არ მანერვიულო! კარგია, ხომ, ზღვაზე? მე კი ვიხუთები თბილისში. მანდ საღამოობით თუ გრილა, არ გამიცივდე...

პანდორა: გეეე-ნაა-ცااااა-ლეეეეე!

ზურა: ამას რას ვეღირსე! ეს რა წამოგცდა! ახლა ისე მინდა შენი ნახვა, რომ ლამის წამოვიდე.

პანდორა: არც გაბედო! არა! არა!

ზურა: კარგი, ვხუმრობ, სად მცალია მანდ წამოსასვლელად, ქვეყნის საქმე მაქვს. ხომ იცი, მშრომელი კაცის ამბავი?

პანდორა: ზუუუურ, ახლა წავედი, მეძახიან. ხვალ ისევ შევხვდებით, კარგი?

ზურა: კარგი, ჩემო სიხარულო, წადი. გკოცნი ბევრს...

პანდორა: :)))))

23 აგვისტო, ოთხშაბათი

12:54

ზურა: საიტზე ყოფილხარ და არაფერი მომწერე? ცოტა არ იყოს, მეწყინა... სხვებს ელაპარაკები? იცოდე, თუ გავიგე, რომ კიდევ ვიღაცასთან გაქვს მიწერ-მოწერა, ძალიან ცუდი ამბავი მოხდება... ახლა კი საქმეზე გავდივარ და 2 საათში დავბრუნდები... დროებით!

16:03

ზურა: მობრძანდი? როგორ ხარ?

პანდორა: კარგად. რატომ მეჩხუბები?

ზურა: არ გეჩხუბები. რატომ არ დამიტოვე ამბავი?

პანდორა: აქ ვერ ვარ ისე, როგორც მინდა. ხანდახან 5 ადამიანი ჩაჰყურებს კომპიუტერის ეკრანს და ვერ მოგწერ იმას, რაც მინდა.

ზურა: გაიხარე, ჩემო სიცოცხლევ, მე კი მაგრად ვინერვიულე და... სხვათა შორის, მომენატრე, თანაც, ძალიან! ჩაااა-მოოოო-დიიიიი!

პანდორა: ხომ იცი, რომ ვერ ჩამოვალ? რატომ იხარჯები ტყუილად?

ზურა: ვიცი, რომ ვერ ჩამოხვალ... ასეთი რაღაცები არ მეშლება... ხომ იცი, რომ „სვეტსკი“ ტიპი ვარ! ისე, რა არეულ-დარეულად ვლაპარაკობ. გაუმარჯოს 23 აგვისტოს, უაზრო ლაპარაკის დღეს!

პანდორა: „სვეტსკი“ რომ ხარ, ვიცი. მთავარია, ორიენტაცია არ გქონდეს არეული, „სვეტსკად“. :)))

ზურა: რას ამბობ? ხომ არ გადარეულხარ, დედაკაცო? :))) არავის არაფერი შეეშალოს! სრულყოფილი მამაკაცი ვარ და ასეთი რამ მეორედ აღარ მითხრა, იცოდე, თორემ მეწყინება...

პანდორა: რა იყო, გაბრაზდი? გეხუმრე! ბევრი პაციენტი მყოლია ასეთი გადახრით და არც ისე ცუდი ხალხია.... :))) კარგი, ჰო, ნუ ბრაზობ... მითხარი რომ მკოცნი და არ მიბრაზდები...

ზურა: არა, სიხარულო, არ გიბრაზდები, რა სისულელეა! ძალიან ბევრს გკოცნი, ჩემო პატარავ, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ?

პანდორა: ვიცი? არა, არ ვიცი! უბრალოდ, შენ მეუბნები მაგას...

ზურა: ასე იქნება, დამიჯერე! შენ კი თავს გაუფრთხილდი, იცოდე!

პანდორა: კარგი, მჯერა... თავს კი გავუფრთხილდები, მხოლოდ იმიტომ, რომ შენამდე უვნებელი ჩამოვიდე. :)))

ზურა: აბა, რა! კარგად უნდა დამიბრუნდე, რადგან ისე მენატრები, თითქოს, დიდი ხნის შეყვარებულები ვიყოთ. მენატრები და რა ვქნა?

პანდორა: მდااა... საინტერესოااა... რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიქნები? ვირტუალური ურთიერთობისთვის მანძილს ხომ მნიშვნელობა არ აქვს? მიხარია, ასეთ სიტყვებს რომ ვისმენ. უფრო სწორად, ვკითხულობ... ახლა კი წავედი, უკვე 7 საათია და პლაჟზე უნდა გავიდე... დროებით...

ზურა: კარგი, კარგად! იცოდე, არ მაეჭვიანო და სხვა კაცებს არ აეკიდო.

პანდორა: არ გრცხვენია?

ზურა: ვხუმრობ, სიყვარულო... ვიცი, რომ ჩემი ერთგული ხარ...

პანდორა: ახლა უკვე კარგი საყვარელივით მელაპარაკები...

ზურა: მგონი, ასეც იქნება...

პანდორა: რაღაც, ძალიან იმედიანად ხარ... დარწმუნებული ხარ, რომ სწორ არჩევანს აკეთებ?

ზურა: ვინც იმედიანად არ არის, ის ცხოვრებაში წინ ვერ წავა. დარწმუნებული კი იმაში ვარ, რომ შენთან ურთიერთობა მსიამოვნებს და თავს კარგად ვგრძნობ. ნატუშკები, რომ იცოდე, როგორ მენატრები, ჩამოხვიდოდი...

ზურა: წახვედი? ეს რა ჩვევა გაქვს? ისე მიდიხარ, რომ არც კი მემშვიდობები...

23:01

პანდორა: შენ რა, ისევ აქ ხარ? როგორც ჩანს, სხვებიც გენატრებიან, რადგან ამდენი ხანი საიტზე ხარ...

გაგრძელება გვ. 27

წყნეთის ტრასაზე ჩადენილი სიგიჟეები, გატაცებული ავტომობილები და ბერიას „კადილაკის“ „მომლერალი“ ძრავა

„ჩუმად ვიგინები და ეს ბრაზისგან მათავისუფლებს“

საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში, ბატონი გელა ჩარკვიანი 6 წლის გახლდათ, როცა მანქანა გაიტაცა, საჭეს მიუჯდა და კარგა ხანი ისეირნა. როდესაც გაჩერება მოუნდა, აღმოაჩინა, რომ მუხრუჭს ფეხით ვერ სწვდებოდა და ამიტომაც, მანქანა ხეს დაუმიზნა... „მე მიყვარს ავტომობილები, რომლებიც უარს არაფერზე „გეუბნებიან“. მანქანა მეგობარია და მან გული არაფერზე უნდა დაგწყვიტოს“, — ამბობს ბატონი გელა.

ლიკა ქაჯაია

— 3 წლის ვიყავი, როცა მანქანით დავინტერესდი — ბუნებრივია, სათამაშო მანქანებს ვგულისხმობ. სხვებისგან განსხვავებით, იმ თვალსაზრისით გამიმართლა, რომ პრივილეგირებული ბავშვობა მქონდა — ომიანობის დროსაც კი შემეძლო მენახა დასაქოქი ან სხვა საშუალებით მოძრავი, პატარა მანქანები. მახსოვს, როცა პირველად ვნახე თავისით მიმავალი ამერიკული სათამაშო (მგონი, „შევროლე“ იყო), მისით მოვინუსხე.

— როგორც ვიცი, თქვენს ოჯახს რამდენიმე მანქანა ჰყავდა...

— კი, გვყავდა ამერიკული „შევროლე“, საბჭოთა მანქანა „ზის-101“, რომელიც არავის ახსოვს (მაინცდამაინც კარგი ავტომობილი არ იყო), ის შეიცვალა „ზის-110“-ით, რომელიც მაღალი კლასის სამთავრობო მანქანა გახლდათ. გარდა ამისა, გვყავდა პატარა "BMW-W", საბჭოთა ავტომობილი "M-1" („ფორდის“ ბაზაზე დამზადებული). მამაჩემს აჩუქეს აგრეთვე მწვანე ფერის სპორტული „მერსედესი“, რომელიც მან ისე გააფორმა, როგორც სახელმწიფო ქონება, მაგრამ ამ მანქანით ჩვენც ვსარგებლობდით. ეს იყო ავტომობილი — „ბომბი“, რომლის სიჩქარე გახლდათ 250 კმ/სთ. მაშინ მაინცდამაინც კარგი გზები არ იყო, მაგრამ არსებობდა რუსთავის ტრასა, სადაც დიდი სიჩქარის განვითარება შეიძლებოდა. მახსოვს, როცა ამ მანქანის საჭეს ჩვენი მძღოლი მიუჯდა და რუსთავის გზაზე 160 კმ/სთ სიჩქარე განავითარა, სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა. სხვათა შორის, გარაჟში გვყავდა უფრო ძველი მანქანაც, რომლითაც იშვიათად ვსარგებლობდით. ეს იყო ცნობილი „კადილაკი“, რომელიც ბერიას ეკუთვნოდა და გახლდათ 12-ცილინდრიანი მანქანა, რომლის ძრავა რაღაც უცნაურად ლამაზ ბგერებს გამოსცემდა...

— როდის მიუჯექით პირველად საჭეს?

— 6 წლის ვიყავი, როცა საჭესთან დამოუკიდებლად დაჯდომა განვიზრახე (მაშინ წყალტუბოში, სამთავრობო აგარაკზე ვიყავით დასასვენებლად წასულები). მძღოლმა მანქანა ეზოში შემოიყვანა და კარი არ დაკეტა, რადგან ეზო დაცული იყო. როცა ყველანი სასადილოდ წავიდნენ, მანქანა გავიტაცე.

— რა მანქანა იყო?

— ეს გახლდათ ამერიკული „ვილისი“ — იგივე ჯიპი, რომელიც ფაქტობრივად, სამხედრო მანქანა იყო. ძალიან სასაცილოა, მაგრამ ასეთ მანქანას ახლაც შეიძლება წააწყდეთ სადმე.

— ალბათ, უფრო რაიონებში, არა?

— დიახ, მაგრამ ის არ უნდა აგერიოთ საბჭოთა „ჯიპში“.

— 6 წლისამ მანქანის მართვა ისე იცოდით, რომ მისი გატაცება განიზრახეთ?



ასეთ მანქანას ახლაც შეიძლება წააწყდეთ სადმე

— გამოცდილი არ ვიყავი, მაგრამ თეორიულად ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა.

— მძღოლმა გასაღები მანქანაში რატომ ჩატოვა?

— ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ამ ჯიპს არც გასაღები ჰქონდა და არც კარები. მანქანა იქოქებოდა პატარა რკინის ნატეხით, რომელიც საჭესთან ახლოს იყო მიმაგრებული; ძალიანაც რომ გნდომებოდა, იქიდან ვერ გამოაძრობდი... მოკლედ, მანქანაში ჩავჯექი, „გასაღები“ გადავატრიალე და ეზოდან გავედი. კარგა ხანს ვიარე და როცა ავტომობილის გაჩერება მოვინდომე, აღმოჩნდა, რომ თურმე, არ ვარ იმხელა, რომ მუხრუჭს მივწვდე.

— „გაზს“ როგორლა სწვდებოდით?

— არ ვიცი. მგონი, ის უფრო ახლოს იყო, ვიდრე მუხრუჭი. რა უნდა მექნა? იმდენს კი მივხვდი, რომ „გაზს“ ფეხი მოვაცილე... მანქანამ სვლა შეანელა, მეგონა, გაჩერდებოდა, მაგრამ... რომ არ გაჩერდა, ჯიპი ხის მიმართულებით წავიყვანე და მას დავეჯახე... მანქანა ყოველთვის განსაკუთრებულად მიყვარდა. როგორც კი საშუალება მომეცემოდა, მაშინვე საჭეს მივუჯდებოდი ხოლმე.

— თუნდაც ეს სიამოვნება, მანქანის გატაცების ფასად დაგჯდომოდათ?..

— რა თქმა უნდა. მამაჩემის მანქანას ყოველთვის „ნახევრად ვიტაცებდი“...

— პირველად, საკუთარი მანქანა როდის შეიძინეთ?

— საკუთარი ავტომობილი 30 წლის ასაკში შევიძინე. ეს იყო „ჟიგული-01“. მაშინ უკვე საკმაოდ გამოცდილი მძღოლი ვიყავი. მას შემდეგ, მანქანა ყოველთვის მყავდა.

— რა ფერის იყო თქვენი პირველი მანქანა?

— მაინცდამაინც კარგი ფერის არ იყო, მაგრამ მაშინ ფერს ვინ დაეძებდა?!

გარაჟში გვყავდა უფრო ძველი მანქანაც, ცნობილი „კადილაკი“, რომელიც ბერიას ეკუთვნოდა

ე.წ. „ბეჟი“ ფერის იყო.

— მანქანის სერია და ნომერი თუ გახსოვთ?

— ჩამჭრელი კითხვაა. მგონი, 01-17 იყო, სერია არ მახსოვს.

— სულ რამდენი მანქანა გყავდათ?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ იმ „01“-ის შემდეგ, მყავდა მწვანე „06“, ამავე ფერის „07“, მერე — წითელი „07“, რომელიც ბედობის დღეს მომპარეს.

— ეს თქვენთვის ალბათ, ტრაგედიის ტოლფასი იყო, არა?!

— ეს იყო 1993 წლის 2 იანვარს. რაც იმ დღეს ვიგრძენი, ამაზე ცუდი შეგრძნება არასდროს მქონია. რა თქმა უნდა, არსებობს უფრო მძიმე წუთები, რომლებიც ტრაგედიებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ მანქანის გატაცების ფაქტი ჩემთვის მინიტრაგედიის ტოლფასი იყო. იმ დღეს, საზარელ ხასიათზე ვიყავი, მაგრამ მაინც წავედი საქეიფოდ.

— ახლა რა მანქანა გყავთ?

— ახლა მყავს 14 წლის „ფორდ-ესკორტი“. ეს „ფორდების“ ყველაზე იაფფასიანი სერიაა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ხნისაა, მაინც კარგ მდგომარეობაშია. პატარაა, მაგრამ მუშა. მიყვარს ავტომობილები, რომლებიც უარს არაფერზე „გეუბნებიან“. ჩემი „ფორდი“ ზუსტად ასეთია.

— რას გულისხმობთ?

— ამ მანქანის ყველა ნაწილი კარგად მუშაობს. მყოლია ავტომობილი, რომელიც რაღაც-რაღაცებზე „უარს მეუბნებოდა“ და მასზე გული ამცრუებია. მანქანა მეგობარივითაა: როცა მეგობარი რაღაცაზე ერთხელ, ორჯერ უარს გეტყვის, ურთიერთობა თანდათანობით ცივდება.

— მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ეს უარი საპატიო მიზეზით იყოს განპირობებული?

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ უარი მაინც უიშვიათესი მოვლენა უნდა იყოს... სხვათა შორის, ძალიან მიყვარდა ჩემი მწვანე „06“, რომელიც ყველგან ხვლიკივით დაძვრებოდა. როცა ეს მანქანა მყავდა, ახალგაზრდა ვიყავი და ზოგჯერ, ღამითაც ავსულვარ მთებში. მას ჩემთვის უარი არასდროს არაფერზე უთქვამს.

— როგორც ვიცი, მთიან ადგილებში სასიარულოდ ყველაზე კარგი ავტომობილი „ნივა“ და სხვადასხვანაირი ჯიპია, არა?

— რასაკვირველია. ის ხომ ორღერძიანია. მაგრამ ასეთი ტიპის მანქანები არასდროს მყოლია. ყოველთვის სედანი — ჩვეულებრივი, 4-კარიანი ძარის მქონე მანქანა მყავდა.

— თქვენთვის მანქანა კომფორტის საგანია?

— მანქანის ყოლა, ჯერ ერთი, აუცილებლობაა. მეორეც, ეს არის წმინდა სპორტული სავარჯიშო რამ — რეაქციის გამომუშავებაზე გავარჯიშებს. ეს რეაქცია განსაკუთრებით მაშინ გჭირდება, როცა ასაკში შედიხარ. და მესამე — ეს არის უდიდესი სიამოვნება — თუ, რა თქმა უნდა, კარგი მძღოლი ხარ, თორემ, ეს სიამოვნება შეიძლება, უსიამოვნებად, ტრაგედიადაც გექცეს...

— თქვენ კარგი მძღოლი ხართ?

— ყოველთვის კარგი მძღოლი ვიყავი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მანქანას ნელა ვატარებდი. უბრალოდ, ფრთხილი ადამიანი ვარ. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ არასდროს არავის დავჯახებივარ. მანქანას ყოველთვის კარგად ვმართავდი.

— კონკრეტულად?

— მანქანა შეიძლება მართო ტაქტიკურად — ამ დროს იყურები მხოლოდ გარშემო. მე კი, ძალიან შორს ვიყურები. საკმარისია, დავინახო შორს მიმავალი მანქანა, რომელიც უცნაურად მოძრაობს, — სიფრთხილეს ვიჩენ, რადგან ვხვდები, რომ იმ მანქანის საჭეს მართავს მძღოლი, რომელიც ან ნასვამია, ან რაიმე უჭირს, ან ახალგაზრდა, გამოუცდელი გოგონაა, ან სულაც — ხანში შესული ქალბატონი, რომელიც მაინცდამაინც კარგი მძღოლი არ არის.

საკუთარი ავტომობილი 30 წლის ასაკში შეეიძინე. ეს იყო „ჟიგული-01“

— ეი. ავარიულ სიტუაციებში არ მოხვედრილხართ?

— ძალიან ბევრჯერ. ოღონდ, ასეთი სიტუაციები სხვას შეუქმნია და არა მე. მაგრამ ამგვარი სიტუაციიდან ყოველთვის მშვიდობიანად გამოვმძრალვარ.

— შორ გზაზე სიარული თუ გიყვართ?

— ძალიან. სხვათა შორის, შარშანაც და შარშანწინაც, მე და ჩემი მეუღლე მანქანით წავედით ქობულეთში.

— მაქსიმალური სიჩქარე რამდენი განავითარეთ?

— 185 კილომეტრი საათში.

— ჩვენს ტრასაზე?

— თქვენ წარმოიდგინეთ (*იცინის*)!.. ეს არ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ მანქანას ვსინჯავდით.

— რა მანქანა იყო?

— „მერსედესი“, რომელიც ჩემი არ გახლდათ.

— ამიტომაც გარისკეთ?

— არა, რას ამბობთ (*იცინის*)?!

— რალიში თუ მიგიღიათ ოდესმე მონაწილეობა?

— ჩვენს დროს რალი სად იყო?! ისე, შეჯიბრებებში — კი. ეს იყო საშინელება: როცა „ჟიგულის“ მარკის ავტომობილები გაჩნდა, რომლებიც უფრო სწრაფი, დინამიკური მანქანები იყო, ვიდრე მოუხეშავი „გაზ-21“, წყნეთის ტრასაზე, საღამოობით იწყებოდა სიგიჟე. სხვათა შორის, ეს გზა ძალზე საშიშია, იქ ბევრი უბედურება მომხდარა. ამიტომ, როცა წყნეთისკენ მიდიხართ, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ და საერთოდ, გზაზე პოლიცია მკაცრად უნდა აკონტროლებდეს სიჩქარის შეზღუდვის წესების დაცვას.

— მოყინულ გზაზე სიარული გიჭირთ?

— მე ყინულზეც კარგად დამყავს მანქანა. თუმცა, მქონია შემთხვევა, როცა ავტომობილი დამცურებია. ბაკურიანიდან მოვდიოდით, თოვლი აღარ იდო. სამაგიეროდ, გზა მთლიანად მოყინული იყო. საჭეს ვეღარ ვიმორჩილებდი. ასეთ სიტუაციაში, მხოლოდ უფლის იმედი უნდა გქონდეს. სწორედ ღმერთმა გვიშველა და გადაგვრჩით.

— როცა საჭესთან სხვა ზის და მანქანა ნელა დაჰყავს, ეს ხომ არ გაღიზიანებთ?

— რაციონალური სიჩქარე მიყვარს. მქონია შემთხვევა, როცა ვიღაცას მანქანა ნელა უტარებია და გავღიზიანებულვარ. ეს დაახლოებით იგივეა, რაც საუბარი — როცა შენ სწრაფად ლაპარაკობ, ვიღაც კი, საოცრად ნელა გიყვება რაღაცას და ლაპარაკს არა და არ ამთავრებს...

— მანქანის მოვლა თუ გიყვართ?

— პირდაპირ გეტყვით — არ მიყვარს არც მანქანის რეცხვა და არც შიგ ჩაძრომა. ეს არც მეხერხება.

— ქუჩაში მანქანა რომ გაგიფუჭდეთ, რას იზამთ?

— ვინმეს გამოვიძახებ.

— საბურავსაც ვერ გამოცვლით?

— საბურავს გამოვცვლი.

— მანქანაში სათადარიგო საბურავი ყოველთვის გაქვთ?

— რასაკვირველია. ეს აუცილებელია.

— საწვავის მარაგს აკონტროლებთ ხოლმე?

— ყოველთვის ვაკონტროლებ. თუ ცოტა საწვავი მაქვს, თავს ცუდად ვგრძნობ. თავისუფლების მოყვარული ადამიანი ვარ — ბევრი საწვავიც ხომ თავისუფლებაა?!

— საგზაო მოძრაობის წესებს ყოველთვის იცავთ?

— საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, ცივილიზებულობის ნაკლებობას ნიშნავს. ამ წესების დაცვა მსიამოვნებს.

— ეი. მოძრაობის წესები არასდროს დაგირღვევიათ?

გაგრძელება გვ.34

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

ფეხის წიგნაკიდან:

1. როდესაც ადამიანი სახეზე წამოწითლდება, მისი კუჭიც წითლდება.

2. ჩხო სათესლე მარცვლეულია.

3. „პადლეცუ ვსიო კ ლიცუ“ — ამბობენ რუსები.



4. ცხვირი ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში ეზრდება.

5. ბეღურამ სიარული არ იცის.

6. ქერქეტს, ცეტსა და უთავბოლოდ მოლაპარაკეს შატაბუტას ეძახიან.

7. ღამურა ერთადერთი ძუძუმწოვარია, რომელსაც ფრენა შეუძლია.

8. შუპყა ტყის ბალახოვანი მცენარეა. მისი ქერქგაცლილი ღერო იჭმება.

9. 1579 წლამდე, რუსებს ურალს იქით ფეხი არ ჰქონდათ გადაბიჯებული.

10. არსებობს სამი ტიპის საჩუქარი: კარგი საჩუქარი, ცუდი საჩუქარი და წიგნი.

11. „რასია გაზუეტ, ა უკრაინა ბუქსუეტ“ — დასცინოდა უკრაინელებს მაქსიმ გალკინი.

12. ჰორაციო ნელსონის დასაფლავებას არც მისი ცოლი და არც საყვარელი არ დასწრებია. P.S. ყველა არ უნდა გადაიკიდო.

13. ჭაჭის გამოსაწურ წნეხს რაჭალეჩხუმში წბერი ჰქვია, აღმოსავლეთ საქართველოში — საქაჯავი.

14. „მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“ — ასე განმარტავს სიტყვა „შურის“ მნიშვნელობას თავის ლექსიკონში სულხან-საბა ორბელიანი.

15. მიხეილ თუმანიშვილი გასტროლების დროს დასს იშვიათად დაჰყვებოდა, რადგან პანიკურად ეშინოდა თვითმფრინავით მგზავრობის.

16. ამბობენ, ადოლფზე ფეხმძიმედ მყოფი და აბორტის გასაკეთებლად ექიმთან მისული ჰიტლერის დედა, უკანასკნელ წუთს უკან გამობრუნდაო.

17. „ბაბი დური ნე პატამუ შტო ანი დური, ბაბი დური პატამუ შტო ანი ბაბი,“ — ამტკიცებს მსახიობი ვლადიმირ დანილეცი.

18. ჩიკაგოს ერთ-ერთ კაფეტერიაში, რომელიც თეთრი ფილებით იყო მოპირკეთებული და იდეალური სისუფთავით გამოირჩეოდა, თითქმის არავინ დადიოდა. ფირმის თანამშრომლები, რომელთათვისაც ეს კაფე გაიხსნა, უპირატესობას გვერდით მდებარე ძველ კაფეს ანიჭებდნენ. მეპატრონის მიერ მოწვეულმა ფსიქოლოგმა ამის მიზეზი მარტივად ახსნა: თეთრი ფერი ადამიანებში საავადმყოფოსთან ასოცირდება.

19. რვაწლიანი მმართველობის შემდეგ, რონალდ რეიგანმა თეთრი სახლი ყოველგვარი წუწუნისა და სინანულის

ნეკას სიმღერებზე აცრემლებული ემიგრანტები

ცნობილი ადამიანების ერთი ჩვეულებრივი დღით დაინტერესებულმა, ამჯერად საზოგადოებრივი მაუწყებლის, „დილის“ ტელეწამყვანს და ქართული შოუბიზნესის ერთ-ერთ წარმომადგენელს, მუსიკოს ნეკა სებისკვერაძეს მივაკითხე. როგორ ცხოვრობს, როგორ ერთობა და ყოველდღე რითია დაკავებული, ყოველივე ამის გასარკვევად, რამდენიმე საათი მასთან ერთად გავატარე.

ნინი ქისტაური

ნეკას გადაცემა უკვე დამთავრებული ჰქონდა, როცა სამსახურთან შევხვდით. როგორც მისგან შევიტყვე, არც ერთი დღე არა აქვს ერთნაირი და ერთი და იგივე მხოლოდ ის არის, რომ სამუშაო დღეებში დილით ადრე — 6 სთ-ზე იღვიძებს.

„დაახლოებით ერთი საათი მაინც მჭირდება, რომ ავდგე, მოვემზადო, თავი მოვიწესრიგო და სახლიდან გამოვიდე. 7 საათზე უკვე სამსახურში ვარ, იქ კიდევ ერთი საათი მჭირდება, პირდაპირ ეთერში გასასვლელად. 8 საათზე ტელევიზორის ეკრანიდან ვესალმები მაყურებელს და 10 საათზე უკვე გადაცემას ვამთავრებთ. მერე ისევ სამსახურში ვრჩები და მეორე დღის გადაცემაზე იწყება მუშაობა“.

მე და ნეკა ერთმანეთს სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ შევხვდით. 2 საათზე კვლავ ანონსების ვიდეოჩაწერაა. როგორც აღმოჩნდა, მას მხოლოდ დროის ეს მონაკვეთი ჰქონდა შედარებით თავისუფალი, ისიც, იმ

ნეკა ავტომანქანის გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებს

შემთხვევაში, როცა სიუჟეტის გადაღება არა აქვს. მაგრამ ვერც ამ დროს ასწრებს დასვენებას და საქმეებს ტელეფონით აგვარებს.

როგორც კი დრო იხელთა, სალონში დარეკა, ჩაეწერა და მაშინვე პეკინზე ავირბინეთ. ახლანდელი თინეიჯერებისგან განსხვავებით, ნეკა სოლარიუმს ხშირად არ სტუმრობს, მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის დროს — მაშინ, როცა გარუჯვა, რომელიმე კოსტიუმისთვის სჭირდება. თუმცა, სხვაზე მოსწონს „შოკოლადის ფერი“, მაგრამ თვითონ სიფრთხილეს იჩენს და, ამ სიამოვნებას მაინც ერიდება. ნეკა რამდენიმე წლის წინ, ათლეტური ტანვარჯიშით ყოფილა დაკავებული, ახლა კი დანანებით ამბობს, რომ რეჟიმიდან ამოვარდნის შემდეგ ძნელია, იმავე ფორმის დაბრუნება. ყოველდღე იმდენ ენერგიას ვხარჯავ, რომ ვარჯიშის თავი და დრო აღარ მრჩებაო, — მითხრა.

ნეკამ თმა ოდნავ დაიხვია, სამაგრით აიწია და სალონიდან წამოვედით. პირდაპირი ეთერისთვის სალონში სიარული არ სჭირდება, რადგან მაკიაჟსაც და ვარცხნილობასაც ადგილზევე — სტუდიაში უკეთებენ. მაგრამ კვირაში ორი დღე სალონისთვის მაინც აქვს გამოყოფილი.

„პარფიუმერიასა და ბიჟუტერიას ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. როცა ეკრანზე ან სცენაზე გამოსვლა გინდეს, ვალდებული ხარ, კარგად გამოიყურებოდე. სამუშაო დღეებში ყოველთვის დილის 7 საათზე ჩვენი გრიმიორის მიერ „შეღებილი“ ვარ, მაგრამ თუ გადაღება არა მაქვს და არც არსად მივდივარ, ვცდილობ, არ შევიღებო, რადგან ყოველდღე ეს პროცესი, ცოტა დამღლელია, თუმცა გრიმიორის გარეშეც კარგად ვახერხებ მაკიაჟის გაკეთებას და ექსტრემალურ სიტუაციაში საკუთარ თავს თავისუფლად დავეხმარები“.

ნეკასთვის არ არსებობს სამკაული, რომელიც შეაწუხებს ან ვერ მოირგებს. იგი სამკაულებს ყოველდღიურად ხმარობს, მაგრამ სისადავის მომხრეა და ჭყეტელა ფერებს ერიდება. მსგავს რამეებში, როგორც ყველა ქალს, ფული არც ნეკას ენანება. ამავე დროს მიაჩნია, რომ არაა აუცილებელი, სამკაული ოქროსი ან ბრილიანტისთვლიანი იყოს. ისიც შევიტყვე, რომ ნეკა თურმე საჩუქრად მორთმეული სამკაულებითაა განებივრებული.

როგორც ყველას, ნეკასაც საზღვარგარეთული შოპინგი ხიბლავს.

„ჯობია, უფრო მეტი გადაიხადო და დარწმუნებული იყო ნივთის ხარისხში. თანაც — საზღვარგარეთ არჩევანიც უფრო დიდია, თუმცა პრობლემას არც საქართველოში ყიდვა წარმოადგენს, თუ რაიმე მომეწონა, მთავარია, ხარისხიანი და კარგი იყოს. მაგრამ არც ისეა, რომ ყოველდღე მაღაზიებში დავდიოდე. დიზაინერებიდან თამუნა ინგოროყვასთან ვთანამშრომლობ და მის მიერ შეკერილი რამდენიმე სასცენო კაბაც მაქვს“.

როგორც მისგან შევიტყვე, დღის გრაფიკი

ძალიან არეული აქვს, ყოფილა შემთხვევა, რომ სამსახურის დამთავრებისთანავე, გასვლითი კონცერტი ჰქონია. ქალაქიდან გასულა და გვიან ღამით დაბრუნებულა ან — მეორე დღეს. ზოგჯერ, ბევრ დროს ჟურნალისტები აკარგვინებენ. მან დანანებით აღნიშნა, რომ

მეგობრებთან ურთიერთობისთვისაც ვერ იცლის, მაგრამ თუ ყველა მეგობარმა ერთად მოიყარა თავი, ცოტა დროს მაინც პოულობს მათთან ერთად პიკნიკზე წასასვლელად და დასასვენებლად. მეგობრები ქალაქგარეთ გასვლას, რომელიმეს აგარაკზე, მცხეთაში ან საგურამოში წასვლას ამჯობინებენ, ან ერთმანეთის ოჯახებს სტუმრობენ ხოლმე.

„როცა კარგი ამინდია, სიგრილეში, ტერასაზე ჯდომას და დასვენებას რა სჯობია?! აქედან გამომდინარე, დახურულ შენობებს ვერიდებით. განტვირთვისა და დასვენებისთვის ყველაზე კარგ საშუალებად, კინოში წასვლა მიმაჩნია, ასევე ვარჯიშიც საუკეთესოა განტვირთვისთვის, თუმცა, არც დისკოთეკაზე ვამბობ უარს, მაგრამ ჩემი სამსახურის გამო, ღამის ცხოვრებას ველარ ვახერხებ. შეიძლება ითქვას, რომ საღამოს 11 საათზე სახლში ვარ და უკვე მძინავს. როცა იცი, რომ დილის 6 სთ-ზე უნდა ადგე, სხვანაირად ვერ მოიქცევი“.

ნეკამ ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში საკლუბო კულტურა განუვითარებელია, სულ რამდენიმე კლუბი გვაქვს და იქაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იმართება დისკო, თუ ვინმე უცხოელი დიჯეია ჩამოსული. ნეკას აზრით, საზღვარგარეთ ხალხი საკუთარ თავს უფრო დიდ პატივს სცემს, ვიდრე აქ...

როგორც ყველა ჩემი რესპონდენტი, ნეკაც ავტომანქანისა და ტელეფონის გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებს, უკვირს — სანამ მანქანას შეიძენდა, მის გარეშე როგორ იყო? მანამდე სულ ტაქსით მოძრაობდა თურმე და იმ საქმის ნახევარსაც ვერ ასწრებდა, რასაც ახლა აკეთებს. ასევე, თუ ტელეფონი „დამჯდარი“ ან ცალმხრივად გამორთული აქვს, ის დღე ნეკასთვის ჩავარდნილია. მითხრა, რომ წესებს არასოდეს არღვევს და საჭესთან ჯდომისას, ტელეფონზეც არ ლაპარაკობს. მობილურზე ყველა ზარს პასუხობს, რადგან შესაძლოა, უცხო ნომრიდანაც კი საქმიანი წინადადებით დაურეკონ. ყოველთვის ცდილობს, ფანების მიმართ თბილი და ყურადღებიანი იყოს. ერთი შემთხვევის მომსწრე თავადაც გავხდი: ამ საუბრის დროს სპორტის სასახლის წინ ვიყავით გაჩერებულები; ჩვენს მანქანას დაცვის თანამშრომელი მოუახლოვდა და როცა ნეკა შენიშნა, საჭესთან სურათის გადაღება სთხოვა, რაზეც ჩემი ინტერვიუერი სიამოვნებით დათანხმდა.

ნეკას გულის მოგება თუ გინდა, მის სიმღერებზე, მუსიკაზე უნდა დაელაპარაკო, შენი აზრი გაუზიარო და პროფესიული კუთხით უნდა მიუდგე. როგორც თვითონ მითხრა, ფანების უმეტესობას მასთან მეგობრობა სურს — მაგრამ როცა არ იცნობ, ვინ არის, ძნელია, დაუმეგობრდეო. თუმცა, მაინც ცდილობს, უყურადღებოდ არავინ დატოვოს.

როგორც ნეკამ მითხრა, მისი წონასწორობიდან გამოყვანა და გაბრაზება არცთუ ისე ადვილია. იგი მართლაც, მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანია. არასოდეს ვარდება დეპრესიაში. ამბობს: „რაც მოსახდენია — მოხდება, ადამიანი ყველაფერს ეგუება და ცხოვრებაში აღარაფერი უნდა გაგიკვირდეს“. ყველაფერს მხიარულად აღიქვამს და ცდილობს, საკუთარი სევდა და მოწყენილობა სხვას არ გადასდოს...

ლაპარაკ-ლაპარაკში, კვლავ სამსახურში დავბრუნდით და აღფრთოვანებით მომიყვა საბერძნეთში თავისი ტურნეს შესახებ, რომელიც იქ მყოფი ემიგრანტებისთვის გაიმართა. ნეკა ბედნიერი იყო იმით, რომ წელს საბერძნეთში მეორედ მოასწრო ჩასვლა, თან მეგობრებიც იქ ჰყოლია. „არაერთი სასიამოვნო საღამო გავატარეთ მე, კახი კახიაშვილმა (ოლიმპიური ჩემპიონი) და თამთა გოდუაძემ (*იქ მოღვაწე ქართველი მომღერალი. — ავტ*). ნეკა და მზია კვირიკაშვილი პირველ ტურნეზე იანვარში იყვნენ გამგზავრებულები და მოთხოვნა იმდენად დიდი ყოფილა თურმე, რომ ორგანიზატორებს ტურნე მეორედ დაუგეგმავთ, ოღონდ, ამჯერად მათ მერაბ სეფაშვილიც შეუერთდება. ამ საუბრის დროს ნეკა თან ვახშამზე წასასვლელად ემზადებოდა.

„ემოციებს და გრძნობებს ვერ გადმოგცემ, იმდენად აღფრთოვანებული ვარ. ქართველებს ყველა სიმღერაზე თვალებზე ცრემლები ადგებოდათ, რადგან მათთვის ყველა კარგად ნაცნობი სიმღერა წავიღე — სულ 7-8 სიმღერა, — მაგრამ ეს იყო ლალიძის, კერესელიძის და ცინცაძის სიმღერები“.

მალე ნეკა აქაურ მსმენელსაც სიახლეს შესთავაზებს. მას რამდენიმე ახალი სიმღერა აქვს ჩაწერილი, რომელიც ჯერ არსად მიუტანია. ამჟამად ერთ-ერთ რუსულ სიმღერაზე მუშაობს, რომელსაც კახუჩელა მღერის და ნეკამ ამაზე თავისი ვარიანტი გააკეთა...

ნეკა უკვე პრესვახშამზე წასასვლელად მზად იყო, გარეთ გამოვედით, ერთმანეთს წარმატებები ვუსურვეთ და დავემშვიდობეთ. თუმცა მისი დღე ამით არ დამთავრებულა — პრესვახშმის შემდეგ, რომელიღაც მოდების ჩვენებაზე იყო მიწვეული...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

გარეშე დატოვა. მმართველობის ბოლო დღეს, ოვალური კაბინეტიდან გამოვიდა, საკუთარი რეზიდენციისკენ მოწიწებით მიტრიალდა, სამხედრო სალამი აუღო და ცოლთან ერთად ვერტმფრენში ჩაჯდა. როდესაც ვერტმფრენი აფრინდა, რეიგანმა ცოლს ილუმინატორში თეთრი სახლი დაანახვა და უთხრა: „ერთხელ კიდევ შეხედე, რა ლამაზად ჩანს აქედან ჩვენი მოკრძალებული ქოხი!“

20. სამკურნალო შიმშილობა თერაპიის უძველესი მეთოდია, იგი 74-ჯერ არის მოხსენიებული ბიბლიაში. უძველეს ნაშრომებში ნათქვამია, რომ იგი უპირველესია ბუნებრივი მკურნალობის მეთოდებს შორის. ავადმყოფობის დროს, შიმშილობას გარეული ცხოველებიც მიმართავენ.

21. ფიდელ კასტრო დღესაც დარწმუნებულია, რომ ბრწყინვალედ ერკვევა მეცხოველეობაში. მან ამერიკაში ყოფნისას, მასპინძლებს მესაქონლეობაზე და მეწველი ძროხების ჯიშების შესახებ სამსაათიანი ლექციაც კი წაუკითხა.

22. დონატისტები აფრიკელი დიაკვნის — დონატოს მიერ შექმნილი სექტის წევრები, გზაში რომელიმე მგზავრს იჭერდნენ და მას თავებს ახოცვინებდნენ, რათა მოწამებრივი სიკვდილით აღსრულება ღირსებოდათ.

23. ფრანგმა ოფიცერმა — ფრეუიემ ჩილეში უჩვეულოდ მსხვილი და ტკბილი მარწყვის ჯიში აღმოაჩინა და ხუთი ძირი სამშობლოში ჩამოიტანა, მაგრამ ნაყოფს მანამ ვერ ეღირსა, სანამ ადგილობრივ ჯიშთან არ შეაჯვარა — ჩამოტანილი ხუთივე ძირი მდედრობითი სქესის აღმოჩნდა.

24. ყალმუხეთში მცხოვრებ მომთაბარე ტომთა ოჯახებში საყოფაცხოვრებო ნივთები თითქმის ყოველთვის დეფიციტი იყო. ერთხელ, როდესაც ერთ-ერთი ოჯახის უფროსი შინ დაბრუნდა და კარავი — გაძარცული, ირმები — გატაცებული, ცოლ-შვილი — დაწიოკებული დახვდა, პირველად ოჯახში არსებული ყველაზე ძვირფასი ნივთი მოიკითხა — მძარცველებს ნემსი ხომ არ წაუღიათო?

25. ლუდოვიკო მეცამეტეს მმართველობის ბოლო წლებში უცნაური ზნე დასჩემდა: თავის რომელიმე კარისკაცს გამოიჭერდა და ეტყოდა: მოდით, ერთად მოვიწყინოთო, რის შემდეგაც კარისკაცი იძულებული იყო — მეფის გვერდით კარგა ხანს დაღვრემილი სახით მჯდარიყო.

საბედისწერო შეხვედრა

ვალში გაცვლილი ცოლი, დედინაცვლის ამბავი და „გვამის" მესიჯი _ „გზავნილებში"

_ მარი ჯაფარიძე

ადამიანი არსებობს, შრომობს, სწავლობს, ხულიგნობს, იპარავს, იჭერს, ყიდის, ყიდულობს, ჩხუბობს, მწვერვალებს იპყრობს, კიბოს წამალს იგონებს, მიდის, მოდის. ცხოვრების რაღაც მომენტში კი, მისი გზა სრულიად უცხო ადამიანის მიერ გადაიკვეთება და თუ ეს შეხვედრა მათ ცხოვრებას (კარგად ან ცუდად) შეცვლის, მას საბედისწეროს ეძახიან. ის, რომ დღევანდელ „გზავნილებში" სევდიანი მოგონებები ქარბობს, ალბათ, სწორედ სიტყვა — „საბედისწერომ" განაპირობა.

დედინაცვალი

„გზავნილების" გამო მამაჩემი დავტანჯე — ახლა სოფელში ვართ და ყოველ ხუთშაბათს ქალაქში ჩასვლა უწევს, რომ ერთადერთ ქალიშვილს გული არ დასწყვიტოს... დედა 15 წლის წინ გარდამეცვალა, მაშინ 3 წლის ვიყავი. მამა სამსახურში სიარულსაც ასწრებდა, ჩემს მოვლასაც და არც ქალებს იკლებდა. მოკლედ, მაგარი ტიპია — 36 წლის, ფულიანი, მაგარ „ზმანზე", ტვინს ჩემი ასაკის გოგოსაც აურევს. ერთხელ, მეგობართან უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ მამა შემეცოდა და დაქალის ძმას ვთხოვე: შინ წამიყვანე, მამაჩემი მარტო იქნება და ცოდვაა-მეთქი. კარი ჩემი გასაღებით გავაღე და მამის ოთახში შევედი — მას 14 წლის წინ დაღუპული მეუღლის სურათი ჩაეხუტებინა და ბღაოდა, სიყვარულს ეფიცებოდა... გადავწყვიტე, რომ მისთვის მეპოვა ადამიანი, რომელიც სიყვარულს აჩუქებდა. 3 თვის წინ, მე და ჩემი მეგობარი ზღვის აქსესუარების საყიდლად მაღაზიებში დავდიოდით. უეცრად, დავინახეთ ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც შუა ტროტუარზე ნაიქცა. მივცვივდით, ფეხზე წამოვაყენეთ, ტაქსიში ჩავსვით და რადგანაც თავს ცუდად გრძნობდა, მეც თან გავყევი. შინ მივიყვანე და ვუპატრონე. თავის ცხოვრებაზე მესაუბრა — გაუთხოვარი ყოფილა. ულამაზესი ქალი გახლდათ. ჩემი ნომერი დავუტოვე და წამოვედი. მისი ბინიდან გამოსული უკვე გეგმებს ვაწყობდი... რამდენიმე დღის შემდეგ, ის სახლში მოვიწვიე. მერე, შინ მამაც მოვიდა და საბედისწერო შეხვედრაც შედგა. ახლა სამივენი მთაში ვისვენებთ. ჩემი დედინაცვალი ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, რომ არ ვიცი, როგორ ვაქო და ვადიდო. ყოველ დილით ჩემს საყვარელ ბლინებს მიცხობს. ზოგჯერ კი ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი სიზმარია და მეშინია, უცებ არ გაქრეს. მინდა, ეს მესიჯი ნატალიმ წაიკითხოს და კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ მე და მამა გაგვაბედნიერა. თათია".

ხანმოკლე ბედნიერება

„გამარჯობა, „გზავნილებო". ალბათ, მე უკვე აღარ ვარ იმ ასაკში, რომ თქვენთან მესიჯები ვგზავნო, მაგრამ ძალიან მინდა, ჩემი თავგადასავალი მოგიყვეთ. უკვე 34 წლის ვარ. 14 წლის ვიყავი, როდესაც მეგობარ გოგონასთან სტუმრად მივედი. იქ მათი ნათესავი დამხვდა, რომელსაც მოვეწონე. ის მაშინ 35 წლის იყო. მე კი, ჩემს ასაკთან შედარებით უფროსად გამოვიყურებოდი — თითქმის ჩამოყალიბებული ქალის ფორმები მქონდა. ჩვენ შორის გრძნობა გაჩნდა. ძალიან მომწონდა მისი ჩემდამი დამოკიდებულება. მათამამებდა, საჩუქრებს მიძღვნიდა, სასეირნოდ დავყავდი, ყველა სურვილს მისრულებდა. რა თქმა უნდა, ამის შესახებ არავინ იცოდა (იმ ოჯახმაც კი, ვისთანაც ერთმანეთს პირველად შევხვდით). ერთ მშვენიერ დღეს, ეს ამბავი, როგორღაც მამაჩემის ყურამდე მივიდა. მათ შორის ჩხუბი მოხდა. მამა მასზე უფროსი მხოლოდ 1 წლით გახლდათ. ბეჟანი უმტკიცებდა, რომ ვუყვარდი, რომ სუფთა და უმწიკვლო ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ მამას არაფრის გაგონება არ სურდა. ამის შემდეგ, მამა მე დამელაპარაკა. ვუმტკიცებდი: მიყვარს-მეთქი, ვტიროდი, თავს ვიკლავდი. ჰოდა, ამიტომაც გამომკეტეს სახლში. მიუხედავად დედის, მამისა და ბიძების კონტროლისა, შინიდან მაინც გავიპარე და ბეჟანს სახლში მივადექი, სადაც მხოლოდ დედამისი დამხვდა. მას სცოდნია ჩვენი სიყვარულის შესახებ. როგორც კი დამინახა, მიხვდა, ვინც ვიყავი. შინ შემიყვანა, დამიყვავა და დამამშვიდა. ბეჟანი საღამომდე არ მოვიდა. იმ დღეს, ჩემი ნათესავები 4-ჯერ მოვიდნენ, მაგრამ დედამისმა გადამმალა — ის მათ კარს უღებდა და ეუბნებოდა: ბეჟანი არ არისო და ისინიც მიდიოდნენ. როგორც იქნა, სახლამდე ბეჟანმაც მოაღწია. ოთახში რომ შემოვიდა და დამინახა, სიხარულით ღამის გადაირია. გულში ჩამიკრა და ტირილი დაიწყო. თბილისი იმავე ღამეს დავტოვეთ და დასავლეთში, მის მეგობართან გავემგზავრეთ. მე მისი ცოლი გავხდი. მაშინ 16 წლის ვიყავი. მაღალმთიან სოფელში მთელი თვე ვიმალებოდით. მისი მეგობრები გვაკითხავდნენ, საჭმელ-სასმელი მოჰქონდათ და ქალაქის ამბებსაც გვაგებინებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ჩემმა მშობლებმა შემოგვითვალეს, რომ აღარ ბრაზობდნენ და შერიგებას აპირებდნენ. ჩემი ბიძაშვილი მოგვიგზავნეს და შესარიგებელ სუფრაზე დაგვპატიჟეს. გახარებული წამოვედით. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ჯერ ბეჟანის სახლში მივიდოდით, ხოლო საღამოს, დედამისთან და მის რამდენიმე მეგობართან ერთად, ჩემს ოჯახს ვეწვეოდით. ჩვენ უკანა სავარძელზე ვისხედით. ბეჟანს გულში ვყავდი ჩაკრული და ყურში სასიყვარულო სიტყვებს ჩამჩურჩულებდა, როდესაც მანქანა ხევში გადაეშვა. ვიდრე ძირს დავენარცხებოდით, ბეჟანმა ჩემი სავარძელზე დაგდება მოასწრო და თვითონ ზევიდან გადამეფარა. თან, წამჩურჩულა: არ შეგეშინდეს,

პატარავ, ღმერთი არ გაგვწირავსო. ავარიის შედეგად, მხოლოდ მე გადავრჩი, ისიც — ბეჟანის წყალობით; ნაკაწრიც კი არ მეტყობოდა. მანქანის ხევიდან ამოყვანა მხოლოდ მეორე დღეს მოახერხეს — გულაღმა ვიწექი, ზემოდან კი მომაკვდავი ქმრის სხეული მესვენა. მან რამდენიმე საათიღა იცოცხლა, ბოლო 3-4 საათი გონზე იყო. ვერ ვინძრეოდით. მომაკვდავი მეფერებოდა, მკოცნიდა და ბედნიერი იყო, რომ გადავრჩი. მისი სისხლით ვიყავი მოსვრილი, ვტიროდი, იმედი მქონდა, რომ არაფერი დაუშავდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, რამდენიმე საათის შემდეგ გონი დაკარგა და ცოტა ხანში გარდაიცვალა კიდეც. როდესაც მაშველები მოვიდნენ, ის უკვე კაი ხნის გარდაცვლილი იყო და მისი გაცივებული მკლავები ძლივს შემომხსნეს... აღმოჩნდა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ყველას უკვირდა — როგორ შევინარჩუნე ბავშვი. ჩვეულებრივად, 9 თვის მერე ვიმშობიარე, მაგრამ ბავშვი დაიღუპა. მაშინ ბეჟანი ჩემთვის მეორედ მოკვდა... მას შემდეგ, ბევრი წელი გავიდა. ჩემი საბედისწერო შეხვედრა მარცხით დამთავრდა და სურვილიც აღარ მაქვს, რომ ის გზა ხელმეორედ გავიარო. ნონა“.

ვალში გაცვლილი ცოლი

„საბედისწერო შეხვედრის მსხვერპლი გავხდი. საქმე ის არის, რომ ნაადრევად — 18 წლის ასაკში გავთხოვდი. ჩემი ქმარი 23 წლის იყო. ჯაბა უზომოდ მიყვარდა, მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომედგინა... ძალზე ლამაზი ვიყავი და მშობლები სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ — სულელს არ გადაეყარო, ვიდრე ნაბიჯს გადადგამ, კარგად დაფიქრდიო, მაგრამ ჯაბა ისე შემიყვარდა, რომ დაფიქრების კი არა, აზროვნების უნარიც დავკარგე. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი — ნარკომანი იყო, მაინც გავრისკე და გავიპარეთ. დედაჩემმა ლამის თავი მოიკლა, მაგრამ რაღას უშველიდა? თავიდან, თითქოს ცდილობდა, განკურნებულიყო, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნია... როდესაც ცოლად გავყევი, პოლიციაში მუშაობდა. შემდეგ, იქიდან დაითხოვეს და უმუშევარი დარჩა. თავის შენახვა გვიჭირდა. ბავშვს არ ვაჩენდი, რადგან მეშინოდა, მახინჯი არ დაბადებულიყო. ფული რომ აღარ ჰქონდა, ხასიათი გაუფუჭდა და სულ ვჩხუბობდით. ეჭვიანობდა, რადგან თვეობით არ გვქონდა ფიზიკური ურთიერთობა და მეუბნებოდა: ასეთ ლამაზ ქალს ვინ გაგაჩერებს, სამსახურში რომ დადიხარ, იქ საყვარელი გეყოლება და თუ გინდა, რომ გაპატიო, ფული გამოართვი, ვალები მაქვს და „ბარიგა“ წამალს აღარ მაძლევსო... მევალე ისე აწუხებდა, რომ უკვე იმალებოდა, მოსაკლავადაც დასდევდნენ. ვთხოვე, იმ კაცის მისამართი მოეცა და მას მოველაპარაკებოდი, რომ თავი დაენებებინათ, ვალს კი ახალს აღარ დაამატებდა, ხოლო ძველს ნაწილ-ნაწილ გავისტუმრებდი. მისამართს არ მაძლევდა, მეუბნებოდა: იქ მისვლა არ გაბედოო, მაგრამ არ დავიშალე, მისამართი მისი მეგობრისგან გავიგე და მაინც მივედი. ის კაცი რა ეროვნების იყო, ვერ გავარკვიე. საშინელი გარეგნობა ჰქონდა. გაქონილი და ბინძური გახლდათ. ყურადღებით მომისმინა და მითხრა: შენს ქმარს უთხარი, ჩემთან მოვიდეს და პირობას ვაძლევ, არაფერს დავუშავებო. გახარებული დავბრუნდი და ჯაბას ახალი ამბავი ვახარე. ის ასეთი გაბრაზებული არასოდეს მინახავს — მისი ყვირილისგან ლამის ჭერი ჩამოიქცა. კარგა ხანს ბობოქრობდა, მერე კარი გაიხურა და წავიდა. უკან გვიან ღამით დაბრუნდა, საწოლიდან წამომაყენა, გარეთ ღამის პერანგით გამიყვანა და ეზოში მდგარ მანქანაში ძალით ჩამტენა. მანქანა ადგილს დიდი სისწრაფით მოსწყდა და მალე, იმ ეზოში შევიდა, სადაც დილით ვიყავი მისული. გაირკვა, რომ ჩემმა ქმარმა ვალის გასაქვითად, იმ კაცს 3 თვით მიმაქირავა. სამაგიეროდ, ნარკოტიკს ყოველდღე უფასოდ იღებდა. დაწვრილებით აღარ ვწერ — იქ ყოფნის დროს რა გადავიტანე. მთელი 2 თვე ერთ ოთახში ვიყავი გამოკეტილი და ის საზიზღარი კაცი ყოველდღე მაუპატიურებდა. 2 თვის შემდეგ, გამოვიპარე. ისე მოვახერხე, რომ ფულიც მოვიპარე და იმავე საღამოს ბათუმში ჩავედი. მეორე დღეს კი, თურქეთში გადავედი. საქართველოში 4 წლის განმავლობაში არ ჩამოვსულვარ, მშობლებს მხოლოდ ბათუმიდან შევეხმიანე და ვთხოვე — არ ენერვიულათ. 3 თვის შემდეგ, თურქეთიდან საბერძნეთში ამოვყავი თავი და იქ ვცხოვრობდი. 4 წლის შემდეგ, სამშობლოში შეცვლილი სახელითა და გვარით დავბრუნდი. აღმოჩნდა, რომ ის კაცი დაუჭერიათ, ჩემი ქმარი უგზო-უკვლოდ დაკარგულა და მე არავითარი საფრთხე აღარ მემუქრებოდა. შვებით ამოვისუნთქე და საქართველოში დავრჩი. აი, ასეთი საბედისწერო შეხვედრა მქონდა“.

2 საბედისწერო შეხვედრა

„ჩემი შვილის შესახებ მინდა, მოგწეროთ. ის ახლა 27 წლისაა. მის ცხოვრებაში 2 საბედისწერო შეხვედრა მოხდა, რის გამოც, მისი ცხოვრება ტრაგიკულად განვითარდა. 23 წლის ასაკში ის გოგონა შეუყვარდა, რომელიც მეც ძალიან მომწონდა და მოუთმენლად ველოდი — ჩემს ოჯახში როდის შემოვიდოდა. მისი მშობლები კი, ჩემს შვილს მხოლოდ იმიტომ იწუნებდნენ, რომ მდიდარი არ იყო. ამის გამო, მე მათ საქმეში არ ვერეოდი. თუ მოიყვანდა, სიხარულით მივიღებდი, თუ არა და, ძალას არ დავატანდი. საბოლოოდ, ახალგაზრდებმა შეუღლება გადაწყვიტეს და გაიპარნენ. დათომ ძალიან დიდი ჩხუბი და დამცირება გადაიტანა. უმამოდ გაზრდილი ბიჭი ისე სცემეს, რომ ლამის მოკლეს, მაგრამ გოგომ განაცხადა, რომ უყვარდა და მხოლოდ ამის გამო დაინდეს. თავიდან, მე და გვანცამ ურთიერთობა ძალიან კარგად ავაწყვეთ — დედას მეძახდა, მეც თან ვყვებოდი... იმის შემდეგ, რაც დედამისმა შვილზე გული მოიბრუნა, ჩვენთან სტუმრობას მოუხშირა და როცა გაიგო, გვანცა დედას მეძახდა, ისეთი თვალებით შეხედა, რომ ლამის ადგილზე გააქვავა. საღამოს, ტელეფონით მთელი 2 საათი ესაუბრა და იმ დღიდან, რძალს ჩემთვის დედა აღარ დაუძახია. დედამისის წყალობით, ჩვენ შორის შავმა კატამ არაერთხელ გაირბინა, მაგრამ ჩემს თავს აღარ ვჩიოდი, ვგრძნობდი, რომ ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორისაც დაიძაბა. ამას ძალიან განვიცდიდი, მაგრამ მათ საქმეში არ ვერეოდი. თუმცა, გვანცა რამდენჯერმე დავსვი, რაღაც-რაღაცები ავუხსენი, დედაშვილური დარიგებაც არ დავაკელი, მაგრამ მისი გადმობირება ვერაფრით შევძელი, რადგან დედა მისთვის ძვირფას ტანისამოსს ყიდულობდა, სწავლის ფულს უხდიდა და ყველა კაპრიზს უსრულებდა. თუ გვანცა მას არ დაუჯერებდა, ამ ყველაფერს უნდა დამშვიდობებოდა. ბუნებრივია, გოგონა თავისი გამოუცდელობის გამო დედის დარიგებებს ითვალისწინებდა. ერთ საღამოს, ცოლ-ქმრის ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა. ჩემს ოთახში შევედი, რადგან თავს ძლივს ვიკავებდი, რომ მათთან არ შევსულიყავი. ცოტა ხნის შემდეგ, შემოსასვლელი კარის ხმა გავიგონე — გაბრაზებული დათო შინიდან გაიქცა, გარაჟიდან მანქანა გამოიყვანა და სადღაც წავიდა. მისთვის ხელის შეშლა ვერ მოვასწარი. იმ ღამით, ის ავარიაში მოყვა და მძიმედ დაშავდა. საავადმყოფოდან დაგვირეკეს და ეს ამბავი შეგვატყობინეს. მე და გვანცა მაშინვე იქით გავიქეცით. გოგონა ტიროდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა, მე კი ვამშვიდებდი და ნუგეშს ვცემდი. დათო საოპერაციოში ჰყავდათ შეყვანილი.

როგორც იქნა, ოპერაცია დამთავრდა. ექიმმა გვითხრა, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნეს, მაგრამ ფეხი — ვერა. ეს თავზარდამცემი ამბავი რომ გავიგეთ, გვანცას მშობლები უკვე იქ იყვნენ. დედამისმა თავისი შვილი იმავე საღამოს შინ წაიყვანა იმ მიზეზით, რომ დასვენება სჭირდებოდა. იმის შემდეგ, გვანცა ჩვენს სახლში მხოლოდ ერთხელ მოვიდა — თავისი ტანისამოსი ტირილ-ტირილით ჩაალაგა და წავიდა. მერე აღმოჩნდა, რომ თურმე, დათოსთვის ფეხის შენარჩუნება შეიძლებოდა, მაგრამ გამოუცდელი ექიმი შეხვდა და შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად, მისი ამპუტაცია ამჯობინა. ასე დაიღუპა ჩემი შვილი 2 საბედისწერო შეხვედრის გამო — მისთვის უბედურების მომტანი ჯერ ცოლთან, მერე კი — ექიმთან შეხვედრა იყო“.

სიყვარულის მსხვერპლი

„ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგიყვეთ, 15 წლის წინ მოხდა და ჩემს დას ეხება. მაშინ 23 წლის ვიყავი, ის — 22-ის. ქეთინო ძალიან ჭკვიანი გოგონა იყო. სკოლა მაღალ ნიშნებზე დაამთავრა და იმავე წელს, სტუდენტიც გახდა. შინიდან თითქმის არ გადიოდა, ძალზე მიამიტი, გამოუცდელი ბავშვი იყო. იმ წელს, მისი მეგობარი გათხოვდა და დიდი ქორწილიც გადაიხადა. ქეთინო მისი მეჯვარე გახლდათ. სწორედ ამ ქორწილში გაიცნო სიძის მეჯვარე, რომელიც მართალია, ცოლშვილიანი იყო, მაგრამ ჩემს დას თავგზა ისე აუბნია, რომ თავი შეაყვარა. ისინი ერთმანეთს ჩუმად ხვდებოდნენ. ეს ამბავი მხოლოდ მე ვიცოდი და ამის გამო ძალიან ვნერვიულობდი. ქეთინოს ვეჩხუბებოდი, მასთან შეხვედრას ვუკრძალავდი, მაგრამ არაფრის გაგონება არ სურდა. ერთ საღამოს მითხრა: ალეკოს უნდა შევხვდეო. გამოიპრანჭა და წავიდა. ღამით სახლში არ დაბრუნდა. შევშფოთდი, რადგან ალეკო ცოლიანი გახლდათ და გამორიცხული იყო, რომ გაპარულიყვნენ. მიუხედავად ამისა, მაინც არ ვთქვი — სად იყო ქეთინო. დედაჩემმა და მამაჩემმა ქვეყანა შეძრეს, მაგრამ მის კვალს ვერც მეორე დღეს და ვერც მომდევნო 1 კვირის განმავლობაში მიაგნეს. ალეკო მათგან მალულად მოვინახულე და ქეთინოს ამბავი ვკითხე. არ დამიმალა და მითხრა: მართალია, ქეთინოს უნდა შევხვედროდი, მაგრამ ის პაემანზე არ მოსულა და ეს არც გამკვირვებია, რადგან წინადღეს ვიჩხუბეთო. ჩემი და ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგეთ. საქმეში პოლიცია ჩაერია, მაგრამ მის კვალს ვერც მათ მიაგნეს. გამომძიებელს მშობლებისგან მალულად მივაკითხე და ალეკოს შესახებ ვუამბე. ის დაჰკითხეს, მაგრამ ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვეს და გაუშვეს. გავიდა ხანი. დაახლოებით 2 კვირის შემდეგ, პოლიციამ შეგვატყობინა, რომ ტყეში ნაპოვნი იყო დამწვარი ადამიანის ნარჩენები და კიდევ რამდენიმე ნივთი. გვთხოვეს, რომ გვამის ამოსაცნობად მივსულიყავით. ეს თავზარდამცემი პროცედურა იმით დასრულდა, რომ ჩვენ ქეთინოს ოქროს „კულონი“ და მაჯის საათი ამოვიცანით. გამოძიება მკვლელობის მუხლით აღიძრა. უამრავი ადამიანი დაიკითხა და საბოლოოდ, ალეკომ დანაშაული აღიარა, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ის გამოძიებამ დააპატიმრა. როგორც თვითონ თქვა — ქეთინო მისგან ფეხმძიმედ ყოფილა, ბავშვის მოშორებაზე ვერ დაუთანხმებია და იმის გამო, რომ ოჯახი არ დანგრეოდა, გადაუწყვეტია, ქეთინო თავიდან მოეშორებინა. რა თქმა უნდა, გოგონა შეყვარებულს ენდობოდა და არ ეგონა, თუ ის ასე გაწირავდა. ამიტომ, როდესაც ქალაქგარეთ გასეირნება შესთავაზა, უარი არ უთქვამს. მან კი თურმე, ჯერ მოახრჩო, ხოლო შემდეგ, წინასწარ დამალული ბენზინი გადაასხა და დაწვა. აი, ეს იყო ჩემი დის საბედისწერო შეხვედრა. ალეკო კვლავ სასჯელს იხდის, მაგრამ საწყალ გოგოს ამით არაფერი ეშველება“.

მგლოვიარე ძაღლი

„ეს ამბავი ამ ზაფხულს მოხდა. სოფელში ვისვენებდი. სწორედ იმ დროს, მეზობელი მოხუცი კაცი მოკვდა. როგორც ხდება ხოლმე, მთელი სოფელი სამძიმრის სათქმელად დაიძრა. რა თქმა უნდა, მიცვალებულის ოჯახის სანუგეშოდ ბებიაჩემიც წავიდა. შინ თბილისიდან წაყვანილი კოკერსპანიელი — შერი გვყავს. ჰოდა, ეს ჩემი ჯიშიანი ძაღლი ბებიაჩემს უკან დაედევნა. ბებო ხან ეხვეწა, ხან სწყევლა, შინ რომ მოებრუნებინა (ჯოხი ვერ დაარტყა, რადგან გულში მაინც უყვარდა), მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს იფიქრა: ძაღლი მიცვალებულთან მაინც არ შევაო და თავი დაანება... როდის იყო, ძაღლები სამძიმარზე დადიოდნენ? ბებიაჩემი რომ ცხონებულის ეზოში შევიდა, შერიც თან მიჰყვა. ვენერა კი ისე იქცეოდა, ვითომ ეს ძაღლი მისი არ იყო. მიცვალებულს გარს შემოუარა, რა თქმა უნდა, შერისთან ერთად. ძაღლმა რომ მიცვალებულის თავთან დალაგებული საჭმელ-სასმელი დაინახა, სცადა, პირით მისწვდომოდა. ბებიაჩემი კი ტუჩებს იკვნეტდა და ძაღლს გულში სწყევლიდა: შენ მიეწიე ამ მკვდარს, როგორ მომჭერი თავი, შე უჯიშოო... შერი კი, ამ დროს კუბოსთან მოწყენილი იწვა და გულში მიცვალებულს „გლოვობდა“. ორივემ გულიანად დაიტირა ის კაცი და შინ დაბრუნდნენ. ჩემი შერი ახლაც სოფელშია და ძალიან მენატრება. ამ ახალ წელს კი, მეკვლედ უნდა გავუშვა. გასათხოვარო გოგონებო, რიგი დაიკავეთ, ჩემი შერი საოცრებებს სჩადის! პავლიკა, მონასტრის ბიჭი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

სვანები – ყველაზე საყვარელი და ალალი ხალხი

„დათო შემთხვევით გავიცანი. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ 23 წლისაა, ოზურგეთში ცხოვრობს და ღანჩხუთის „გურიაში“ თამაშობს... ქმარს 4 თვის წინ გავშორდი. ახლა 7 თვის ფეხმძიმე ვარ. მე კი ეს ამბავი დათოს დავუმალე და იმედი მივეცი... დათო, გთხოვ, მაპატიე, ძალიან, ძალიან მომენატრები... პატარა ანა“.

„ჩემი საბედისწერო შეხვედრა ის არის, რომ გათხოვილი ვარ, მე კი ძველი სიყვარული ვერ დავივიწყე და მასთან რომანი გავაბი... ეს რომ ჩემმა ქმარმა გაიგოს, ვერ გადავურჩები“.

„მშობლებთან ერთად მოსკოვში ვცხოვრობდი. დედა ექიმია, მამას ბიზნესი აქვს და ჩემთვის ვერ იცლიდნენ. ადგენენ და საცხოვრებლად თბილისში, ბებიასთან გადმომიყვანეს. უკვე 1 წელია, აქ ვცხოვრობ. გუგაც თბილისში გავიცანი და ჩემი საბედისწერო შეხვედრაც სწორედ ეგაა, რადგან ცოტა ხანში, გაპარვას ვაპირებთ. გუგა 18 წლისაა, მაგრამ ვიცი, ძლიერია და დამიცავს. კატია“.

„ხვალ თბილისიდან ჩემი შეყვარებული და მამამისი ჩამოდიან ჩემს სანახავად. მგონია, რომ ეს შეხვედრა საბედისწერო იქნება. მის ანომალია“.

„ერთმა ბიჭმა ხელი მთხოვა, არ გავყევი. მერე, ორჯერ მომიტაცა და შინ დავბრუნდი. ბოლოს, იმდენი მოახერხა, რომ შეხვედრაზე დამითანხმა და ცოლად წამიყვანა“.

„ჩემი გუშინდელი საბედისწერო შეხვედრა ჩემი დალურჯებული მხრით და იმის დანგრეული ცხვირ-პირით დასრულდა. ხომ მაგარი ვარ?“

„მარი, არ გეწყინოს, მაგრამ წარმოდგენა ყველა ქალზე დამეკარგა — ყველა მათგანი მატყუარა მგონია, რწმენა დამაკარგვინეს და გამანადგურეს. ამიტომ სამუდამოდ გულმოკლული და ფაქტობრივად, „გვამი“ გწერ. არ „მევასებით“, აფერისტო გოგონებო!“

„გზავნილები“ გაზარდეთ, რაა! ვკითხულობ და არ მყოფნის, ნარკოტიკივითაა. წაიკითხავ და უფრო მეტი გინდა, რომ იკითხო. ნინო“.

„ერთხელ, გაკვეთილზე ვიჯექი და ფანჯარაში ვიყურებოდი, თვალებით ერთ ბიჭს ვეძებდი. სწორედ ამ დროს გამოიარა და შემომხედა — ყველა და ყველაფერი დამავიწყდა. უეცრად, თავში ჯოხი მომხვდა... იმ დღის შემდეგ, მოსვენება დავკარგე და ახლაც მასზე ფიქრით ვიტანჯები. დიდა“.

„კობას ბედისწერამ შემახვედრა და შემაყვარა, მაგრამ რამ შემაძულა, ეს უკვე აღარ ვიცი. უკვე მჯერა, რომ სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია. რა, თქვენ არ გჯერათ? ნატატო“.

„ჩემი კლასელი შეყვარებულმა სახინკლეში დაპატიჟა და გოგომ უარი უთხრა. ბიჭმა კი ჩაავლო თმაში ხელი და ძირს ათრია — ეს მათი ბოლო შეხვედრა იყო“.

„ბანაკში (ვარციხეში) ერთი ბიჭი შემიყვარდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, არ ვიაქტიურე და დავკარგე. სიხარულო, მენატრები“.

„საბედისწერო შეხვედრა ურეკში მოხდა — ისინი ფეხბურთელები იყვნენ. ერთმანეთს ძალიან კარგად და მალე გავუგეთ. მეორე ღამით, სანაპიროზე სიმინდი უნდა შეგვეწვა, მაგრამ ისინი რატომღაც აღარ გამოჩნდნენ. დასანანია“.

„გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. მარი, შენი სურათი გამოაქვეყნე, რაააა! ძალიან მაინტერესებს — როგორი ხარ. ამ „გზავნილების“ გადამკიდე, დავიკარგე. სოფელში ნათესავთან მივდიოდი და „გზა“ ვიყიდე. ჰოდა, კითხვაში ისე გავერთე, რომ ავტობუსიდან ჩამოსვლა დამავიწყდა. კითხვას რომ მოვრჩი და მივიხედ-მოვიხედე, სრულიად უცხო ადგილას აღმოვჩნდი. მერე, მძღოლს ჩემი ამბავი სიცილ-სიცილით მოვუყევი. იმანაც მაგრად იცინა, თან დამეხმარა და თავის ნათესავ ბიჭს სთხოვა, რომ მანქანით წავეყვანე. აი, ასე დამემართა „გზავნილების“ კითხვისას. სვანი არ ვარ, მაგრამ მაინც... მარი“.

„საბედისწერო იქნება ჩემი და ჩემი შეყვარებულის შეხვედრა, რადგან მისგან ფეხმძიმედ ვარ და ეს ახლა გავიგე. ის მოსკოვში იყო და ბიჭი მაგრად „გულაობდა“, მაგრამ ახლა ვერც ერთი ვეღარ „ვიგულავებთ“. ეჰ, მეშინია, ამ მართლაც საბედისწერო შეხვედრის. ტიკურილა“.

„მარი, გაგებუტე, რადგან ნაცნობობაც არ ჭრის, რომ მესიჯი დაბეჭდო... მეგონა, „გზავნილები“ შეგვარიგებდა მე და პაწაწუნა ონავარს („მეიდ ინ ბათუმი“), მაგრამ გადამაგდე და ახლა აღარ მოგიყვები, როგორი იყო საბედისწრო შეხვედრა. შენგან უარყოფილი კი ჩემს უფროსს მივთხოვდები“.

„შემიყვარდა ადამიანი, რომელმაც დამიმალა, რომ ცოლ-შვილი ჰყავდა. მინდა, ვუთხრა, რომ სხვის უბედურებაზე ჩემს ბედნიერებას ვერ ავაგებ. თინკა“.

„ერთ გოგოს დავუჯერე, რომ ჩემთან მეგობრობა უნდოდა და ტელეფონზე 5 ლარი გადავურიცხე. თუ ახლა ამ მესიჯს კითხულობს, ჩემს ტელეფონზე დაამესიჯოს და ყველაფერს ვაპატიებ. ოთო“.

„მინდა, ლაშა-21-ს ვუთხრა, რომ მატყუარა სვანები არ არსებობენ. მეც სვანი ვარ. ჩვენ ყველაზე საყვარელი და ალალი ხალხი ვართ. ჩემი ყველაზე საბედისწერო ნაბიჯი კი ის იყო, რომ ერთ ბიჭს ვენდე, რომელიც სიყვარულს მეფიცება. შინ მარტო ვიყავი და ჩემთან წავიყვანე. ცხოვრებაში პირველად დავკარგე თავი. გამაგიჟა, ისე მომეფერა. არ ვიცი, როგორ იქნება ჩვენი საქმე. იმედია, ცოლად მომიყვანს. თუ არა და, მიფრთხილდი, რაჭველო!.. დათვო, მიყვარხარ! სვანი გოგო“.

„3 კვირით რუსეთში მივდივარ და 2 რამეზე მწყდება გული — ახლობლებს რომ ვერ ვნახავ და „გზავნილებს“ რომ ვეღარ წავიკითხავ. იქიდან შეგეხმიანებით. აბა, ჰე! ლანკა“.

„ბიჭი, რომელსაც პირველად უნდა შევხვედროდი და პაემანზე მოდიოდა, ავარიაში მოყვა. საავადმყოფოში 1 თვე იწვა. ამას ძალზე განვიცდი და მასთან შეხვედრა მინდა. ისიც ამას მეუბნება, მაგრამ სამწუხაროდ, არ მირეკავს. ალბათ, პაემნის ხელმეორედ დანიშვნის ეშინია“.

„რიჟების“ დედოფალო, მალე მაჩუქე, რა, შვილი! ლოდინით დავიღალე. ძალიან მიყვარხარ“.

„მოცეკვავე ვარ. გათხოვებაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთი თვის გაცნობილ კაცზე გათხოვებამ მომიწია. ის ახლა ძალიან მიყვარს, მაგრამ ეს თავისუფლებას მიჩვეული გოგო სახლში დამსვა და ლამის გავგიჟდე. თვითონ მუშაობს, მე კი არსად მიშვებს. ნეტავ, რა უნდა ვქნა?“

„როცა ამ მესიჯს გამოაქვეყნებთ, უკვე თურქეთში ვიქნები. სკოლაში 4 წლის ასაკში შემიყვანეს. 15 წლის უკვე პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. ახლა კი, 19 წლის ვარ და სწავლა დავამთავრე კიდეც. მშობლებმა კარატეზე შემიყვანეს და უკვე 12 წელია, რაც სპორტის ამ სახეობაში ვვარჯიშობ — 3-გზის ევროპის ჩემპიონიც გახლავართ. ახლაც, თურქეთში შეჯიბრებაზე მივდივარ. შედეგს აუცილებლად შეგატყობინებთ. ისე კი არ ვნანობ, ჩხუბს მაგარი „მუღამი აქვს! თათია“.

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ცოლშვილიანი კაცი შემიყვარდა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61 ან ელ. ფოსტის მისამართზე: marorita77@yahoo.com. ასევე შეუძლიათ, შეგვეხმიანონ ის მამაკაცები, ვისაც გათხოვილი ქალის სიყვარული ეწვიათ. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

დასაწყისი გვ. 17

ზურა: ნუ მსაყვედურობ, ჩვენ დავთქვით, რომ 10 საათზე აქ უნდა ყოფილიყავი... რატომ დააგვიანე? მე კი ერთგულად გელოდი აქ და კიდევ მე ვარ, დამნაშავე? ისე, მიხარია, რომ ეჭვიანობ. ეს უკვე ბევრს ნიშნავს... :))) ნუ მეჩხუბები, გოგო!

პანდორა: აფერისტებს ბავშვობიდან ვერ ვიტან... შენ გამონაკლისი ხარ! :)))

ზურა: :))) გეე-ნა-ცა-ლეეეე... დედას გეფიცები, არც მე მიყვარს, აფერისტი ხალხი. ეს რა „გავარდნები“ გაქვს? მგონია, აქ ხარ და უცებ, აღარ ხარ! ინტერნეტი ურევს?

პანდორა: ინტერნეტი კი არა, მე ვურევ, მგონი...:))) ეს „გე-ნა-ცა-ლე“ ძალიან გიყვარს, ეტყობა...

ზურა: კი, მიყვარს, იმიტომ, ძალიან თბილი ვარ და მიყვარს, როცა ვინმეს ვეფერები. რა თქმა უნდა, ისიც მიყვარს, როცა მე მეფერებიან.:))) მინდა, ყურში რაღაც ჩაგჩურჩულო...

პანდორა: მაინც, رااااا?

ზურა: ის, რომ მიყვარხარ... შენ კი ახლა არ მეჩხუბო...

პანდორა: აბა, რა ვქნა?

ზურა: ფისოსავით უნდა გაიტრუნო და აკრუტუნდე...:)))

პანდორა: მგონი, ზედმეტი მოგდის. შენ ასე არ ფიქრობ?

ზურა: პირიქით, ეს ძალიან ცოტაა. ჩემი ცხოვრება ხარ... ვერ ხედავ, რომ ვეღარ გეშვები?

პანდორა: ეჰ, დაღუპული კაცი ხარ, მინდა, გითხრა...

ზურა: რატომ, სიხარულო? ახლა არ გადამრიო...

პანდორა: რატომ და არც ისე იოლია, ჩემი სიყვარული... გული არ გიგრძნობს?

ზურა: გული იმას მიგრძნობს, რომ კარგი, ძალიან კარგი გოგო გავიცანი და მასი სიყვარულის გულისთვის არაფერზე დავიხევ უკან...

პანდორა: ხომ არ გავიწყდება, რომ ცოლიანი ხარ?

ზურა: არა, არ მავიწყდება და არც ის მავიწყდება, რომ შენ გასათხოვარი ხარ და ჩემს თავზე დიდი პასუხისმგებლობის აღება მომიწევს.

პანდორა: მაგაზე საუბარი ჯერ ადრეა. თუ ჩემს პროფესიულ ინსტინქტს დავეყრდნობი, ოჯახური ბედნიერებით არ უნდა იყო განებივრებული...

ზურა: სწორად მიხვდი. თუ გინდა, მოკლედ გეტყვი. სკოლა რომ დავამთავრე, იმ წელსვე ჩავირიცხე უნივერსიტეტში და სტუდენტობის პირველსავე დღეს გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. ეს კი საკმაოდ კურიოზულად მოხდა. ნატალი, აქ ხარ?

ზურა: ნა�ა-ტაა-ლიიიი!

ზურა: გოგო, ნუ გადამრიე, მე ასეთ საკითხზე ვლაპარაკობდი და შენ დაუმშვიდობებლად წახვედი? გული ცუდს მიგრძნობს, სად ხარ?

02:25

ზურა: ნატალი, რა ხდება? რატომ აღარ გამოჩნდი? ისე ვნერვიულობ, ლამის ამ შუაღამისას წამოვიდე... იქნებ, რამე გიჭირს? სიხარულო, არ მიმატოვო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

C M Y K

„დღეს თინეიჯერების დათრგუნვაზე მუშაობენ, რომ მერე, ისინი ტერიტორიების დაბრუნებას მსხვერპლად შესწირონ“, — ამბობს ჟურნალისტი ლალი მორუშკინა, რომელიც ფიქრობს, რომ დღევანდელ თინეიჯერებს წურბლის პოზიცია უკავიათ და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, ვისთან მივიდნენ და სისხლი ან სულაც, ენერგია ვის გამოსწოვონ...

გაფრაქვილი სქესის ადამიანები, გახეშილი ჭიპი, გაშეშებული თავი და თეთრი ყვავის ჭირვეული შეცდომა

ლიკა ქაჯაია

— თინეიჯერობა, ეს არის იგივე „გარდატეხის“ რთული ასაკი, რომელიც 13-დან 16 წლამდე მერყეობს. თუ ადამიანის ფიზიოლოგია და გონება ამ ასაკისთვის დამახასიათებელ თვისებებს სძლევს, მაშინ ზრდასრულ ადამიანად ყალიბდება, თუ არა და, მთელი ცხოვრება თინეიჯერად რჩება.

— ეს კარგია თუ ცუდი?

— ვინც სამუდამოდ თინეიჯერად დარჩა, ე.ი. მათ ვერ შეირგეს ის საუკეთესო წლები, გასახსენებელი არაფერი რჩებოდათ და ამიტომაც, ამ წლების ხელოვნურად გაგრძელება მოინდომეს, მაგრამ მოგეხსენებათ, ის, რაც დროში იწელება, ყველაფერი სასაცილო ხდება.

— უფროსი ასაკის ადამიანები დღევანდელ თინეიჯერებზე ხშირად ამბობენ: ნაადრევად დაქალდნენო...

— რასაც დღეს ვხედავ, აქედან გამომდინარე, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. სტუდენტების ერთი ნაწილი თინეიჯერული ასაკიდან დღემდე ვერ გამოვიდა — როცა უნივერსიტეტში სწავლობ, რომელიც 2 ნაწილად იხლიჩება, პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც შენ გასწავლიან, ქუჩაში დგანან, კიბეზე სხედან და ამ დროს, შენ მიდიხარ ბანაკში და ღებავ იმ კედელს, რომელიც შენ შემდეგ ათასჯერ იქნება შესაღები, ესეც თინეიჯერობაა, ოღონდ მატერიალური დაინტერესებით. ასეთი ახალგაზრდები ვერ გაიზარდნენ და ვერც ვერასდროს გაიზრდებიან.

— რას ნიშნავს ხელოვნურად გაწელილი თინეიჯერობა და ისიც, მატერიალური დაინტერესებით?

— ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო დიდხანს დარჩები თინეიჯერად, უფრო მეტს გადაგიხდიან იმისთვის, რომ შენი კაცური სიტყვა არ თქვა...

— მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ როცა თინეიჯერი სერიოზულდება და ხასიათი ეცვლება, ამის გამო, მეგობრები მას ხშირად საყვედურობენ...

— ე.ი. ის მეგობარი არ არის. ძალიან ბევრი ამხანაგი მყავდა, რომელიც ბავშვობის წლების ლამაზ მოგონებად დარჩა, რადგან ისინი ამ ცხოვრებას ვერ აჰყვნენ, შეიძლება ითქვას, რომ ისევ თინეიჯერებად დარჩნენ და დღესაც აქვთ იმის უფლება, რომ თავი რაღაც მოსაწევი საშუალებებით გაიბრუონ; არ აინტერესებთ დღევანდელი ყოფა, პარაზიტებივით ცხოვრობენ და თინეიჯერობით მანიპულირებენ. ამბობენ: ჩვენ სულ ასეთი ახალგაზრდები ვიქნებით, არასდროს დავბერდებითო... მე კი მაღიზიანებს ისეთი მამაკაცები, რომლებიც თავს ძალით იახალგაზრდავებენ და ქალები, რომლებიც 60 წლის ასაკში კეპებით, ნაწნავებით და ა.შ. დადიან. საერთოდ, ნებისმიერ ასაკში უნდა ეცადო, რომ სასაცილოდ არ გამოიყურებოდე.

— თინეიჯერულ ასაკში ვისი ფანი იყავით?

— შეიძლება ითქვას, რომ არავის ფანი არ ვყოფილვარ. მახსოვს, მაშინ მოდაში იყო „ბითლზის“ ფანობა — თუ მაკარტნის ნაირნაირი პლაკატი გქონდა და მათი სიმღერა ზეპირად იცოდი, ე.ი. შენზე მაგარი არავინ იყო.

— ანუ ვიღაცის ფანობა მოდას აყოლას ნიშნავს?

— ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ, რომელთაც „ბითლზი“ სინამდვილეში არ მოსწონდა, მაგრამ რადგან მოდაში იყო, ისიც „აფანატებდა“... ჩემთვის არ არსებობდა ადამიანი, რომელიც ჩემი იდეალი იყო და რომლის გულისთვისაც ვიტირებდი, მის ლექსებს დავიზეპირებდი, თმას დავიგლეჯდი და ა.შ. ყოველთვის ჩემი მისწრაფებები მქონდა.

— სკოლაში სიგარეტს არ ეწეოდით?

— ჩემი პლეადის უკლებლივ ყველა გოგო ეწეოდა. მე კი, თეთრი ყვავივით ვიყავი — მთელ სკოლაში ერთადერთი გახლდით, რომელიც სიგარეტს არც კი მივკარებივარ. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ არ არსებობს ნივთი, რომლის გარეშეც 1 დღე კი არა, მთელი კვირა ვერ გავძლებ.

— როგორ ფიქრობთ, მაშინ დღეს რატომღა უკვირთ, როცა მოზარდს სიგარეტით ხელში ხედავენ?

— უკვირთ?.. კიდევ ვიმეორებ, თითქმის ყველა გოგო ეწეოდა, უბრალოდ, ამას მალულად აკეთებდნენ, დღეს კი ყველაფერი ხილულია... საერთოდ, მე თუ მკითხავთ, ადამიანმა არ უნდა მოსწიოს. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს ჯანმრთელობისთვის საშიშია, ნებისმიერ ქვეყანაში ცუდ ტონად მიიჩნევა. როცა მწეველი საზღვარგარეთ მიდის, ის ვერც ნორმალურ სასტუმროს შოულობს, ვერც რესტორანში ჯდება — ყოველ წუთას მოსაწევად გარეთ უნდა ირბინოს. ნიკოტინი ადამიანს რობოტად, გასაცოდავებულ ადამიანად აქცევს, რომელიც ინსტინქტების მიხედვით მოქმედებს.

— მწეველები ამბობენ, რომ სიგარეტი ნერვებს ამშვიდებს...

— ისინი იმასაც ამბობენ, რომ გაბოლება უდიდესი სიამოვნებაა, ისევე, როგორც ყავის სმა ან სასიამოვნო საუბარი, მაგრამ მოსაწევად ბევრი საპირფარეშოში შერბის და თქვენი აზრით, ეს სასიამოვნო პროცესია?.. ისინი თავს დისკომფორტს უქმნიან, თავიანთ თავს პატივს არ სცემენ.

— სიგარეტის მოწევას თქვენს თინეიჯერ შვილს არ უკრძალავთ?

— ჩემი შვილი 19 წლისაა და მას ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში ვუთხარი: თუ მოწევა გინდა, მოსწიე, მაგრამ ეს ცუდია-მეთქი და ვკითხე: გინდა, რომ ხელებსა და თმაზე ყოველთვის უსიამოვნო სუნი გქონდეს, კბილები გაგიყვითლდეს, კანის ფერი შეგეცვალოს? — მაშინ, კი ბატონო, მოსწიე-მეთქი. სხვათა შორის, ის არ ეწევა... მთავარია, ბავშვს აუხსნა — რატომ არ შეიძლება რაღაცის გაკეთება და ის აუცილებლად გაგიგებს, დასჯით და ყვირილით კი, არაფერი გამოვა.

— მშობლები ამ ასაკში რაიმეს თუ გიკრძალავდნენ?

— რა თქმა უნდა. დღესასწაულებზე როცა მივდიოდი, 11 საათზე აუცილებლად სახლში უნდა ყოფილიყავი... მაშინ სხვანაირი დრო იყო. დღეს გოგონები ღამის კლუბებში დილამდე რჩებიან, ოჯახის ხელი აკლიათ.

— ანუ თინეიჯერები ღამის კლუბში არ უნდა დადიოდნენ?

— აბა, როგორ შეიძლება, 15-16 წლის გოგო ღამეს ფაქტობრივად, ქუჩაში ათევდეს?! ღამის კლუბი თინეიჯერებისთვის კი არ შექმნილა, არამედ ზრდასრული ადამიანებისთვის, მაგრამ რატომღაც ჩვენთან ყველაფერი გაუკულმართებულია. საზღვარგარეთის არც

ერთ ქვეყანაში, ასეთ დაწესებულებებში 21 წლამდე ასაკის ბავშვებს არ უშვებენ, ისინი „ფეის-კონტროლს“ ვერ გაივლიან... ერთხელ, მეც მომინდა ღამის კლუბში შესვლა, მაგრამ იქ მხოლოდ ჩემი შვილისხელა და მასზე გაცილებით პატარები ერთობოდნენ. იქ ჩემი ადგილი არ იყო.

— მეგობრები როგორ ერთობოდით ხოლმე?

— ვჭორაობდით, კარტს ვთამაშობდით, ერთმანეთის ტანსაცმელს ვიზომებდით და ა.შ. მახსოვს, მაშინ ყურის გახვრეტაც პრობლემა იყო. საყურე რომ გავიკეთე, მერვე კლასში ვიყავი და სიხარულისგან ღამეები არ მეძინა. ახლა, 3 წლის ბავშვებს ყური უკვე გახვრეტილი აქვთ, სკოლის მოსწავლეები თმის ფერს კვირაში ერთხელ მაინც იცვლიან და გათხოვებაზე ოცნებობენ. ყველაფერმა დაკარგა ფასი.

— როგორ ფიქრობთ, გოგოებმა გათხოვებაზე რა ასაკში უნდა დაიწყონ ფიქრი?

— ერთი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი მყავს, რომელმაც მერე სწავლა ამერიკაში გააგრძელა და დღესაც გაუთხოვარია. ახლა საქართველოში ჩამოვიდა (უკვე 38 წლისაა), მესტუმრა და მითხრა: არსადაც არ მეჩქარება, გათხოვებაზე და შვილის გაჩენაზე 40 წლის ასაკში ვიზრუნებ, როცა კაპიტალსაც დავაგროვებ და მხოლოდ შვილების აღზრდით შემეძლება დავკავდეო.

— თქვენ რამდენი წლის იყავით, როცა გათხოვდით?

— თინეიჯერობის ასაკში გათხოვება ან ცოლის მოყვანა სისულელეა და სწორედ ეს შეცდომა დავუშვი თავადაც. მთელი 10 წელი ველოდი სკოლის გამოსაშვებ საღამოს, ოცნებებში ვხატავდი — როგორი კაბა უნდა მცმოდა და ისე მოხდა, რომ ფაქტობრივად, გამოსაშვები საღამო ჩემს ქორწილში გავატარე. გამოვიდა, რომ ჩემს თავს ბავშვობის ყველაზე საინტერესო დღე მოვპარე და დღეს ვცდილობ, რომ ის, რაც მაშინ დამაკლდა, ავინაზღაურო... თან, გათხოვების გამო, ძალიან ბევრ რამეს შევეჭიდე — ბავშვს ვზრდიდი, სწავლის გაგრძელებაც მინდოდა და უნივერსიტეტში ვაბარებდი...

— ოჯახის წევრები ხელს არ გიწყობდნენ?

— როგორ არა, მეხმარებოდნენ, მაგრამ შენი გასაკეთებელი თავადვე უნდა გააკეთო — შენ მაგივრად სხვა ვერ ისწავლის, ბავშვს აცრაზე ვერავინ წაიყვანს, მთელი დღე ვერ დაუჯდება და ა.შ. 15 წლის ასაკში, თავს ისეთი პრობლემები შევუქმენი, რომელიც არ უნდა მქონოდა... ჯობია, მივხვდეთ და ვაღიაროთ, რომ კავკასიაში ქალი ადრე მწიფდება და დასაშვები უნდა გახდეს ის ფაქტი, რომ 17-18 წლის ასაკში გოგოს ჰყავდეს მეგობარი ბიჭი და რაღაც-რაღაცების გამო არ უნდა გათხოვდეს, რადგან მერე აქ მთავრდება ყველაფერი — გოგონასაც და ბიჭსაც უფუჭდებათ ფსიქიკა და ნაადრევად შექმნილი ოჯახი, უმეტეს შემთხვევაში, ინგრევა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— ყოველთვის კარგი მოსწავლე ვიყავი. მაშინაც კი, როცა უნივერსიტეტში ვსწავლობდი და თან პატარა ბავშვი მყავდა, მთელი 5 წლის განმავლობაში ერთი ოთხიანი არ მიმიღია. ის არ იფიქროთ, რომ 5-ზე გართულება მქონდა, უბრალოდ დავისახე მიზანი — კარგად უნდა ვისწავლო-მეთქი და განვახორციელე კიდეც, თუმცა, ამის გაკეთება რა ნერვებისა და უძილო ღამეების ხარჯზე მომიხდა, ეს ცალკე თემაა. საერთოდ, თვითგვემის მომენტები მაქვს, რადგან საქართველოსთვის არაორდინარული წარმოშობის ვიყავი, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ რუსული გვარი და არაქართული გარეგნობა არ ნიშნავს იმას, რომ შენ არ გაქვს უფლება, კარგ თანამდებობაზე იმუშაო და კარგ წრეში მოხვდე. ამის გამო, თავს ისიც კი დავაძალე, რომ ქართული ცეკვის კურსებზე მევლო, რათა ვიღაცისთვის იმის საბაბი არ მიმეცა, რომ ეთქვათ, ქართული ტრადიციების გაგებაში არ არისო. კარგი იქნებოდა ამდენ რამეზე რომ არ მეფიქრა, რადგან უფრო ლაღი ცხოვრებით ვიცხოვრებდი.

— „შატალოზე“ ხშირად დადიოდით?

— ჩემს სკოლაში (პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლა) ისეთი ადამიანები სწავლობდნენ, რომლებიც დღეს მაღალ თანამდებობაზე მუშაობენ. იქ იყო ცერბერული რეჟიმი — კარს რომ ჩაკეტავდნენ, ბრმა ნაწლავიც რომ გაგხეთქოდა, საოპერაციოდ არ წაგიყვანდნენ, უნდა მოგეთმინა... თუ კლასელები გაპარვას მაინც მოახერხებდნენ, ისინი სადარბაზოებში იმალებოდნენ, იაფფასიან სასმელს ან სიგარეტს ყიდულობდნენ და ვითომ, თავს ირთობდნენ. ასეთი გართობა ჩემთვის მიუღებელი იყო, ამიტომ სახლში მივდიოდი და თუ სკოლიდან ვინმე დარეკავდა, დედაჩემს ვთხოვდი: უთხარი, რომ სახლში არა ვარ, ეგონოთ, რომ მეც გავიპარე და ისე დამსაჯონ, როგორც სხვები-მეთქი.

— ამის გამო, კლასელები არ ბრაზობდნენ?

— არა, ჩვენ „კუტოკებად“ ვიყავით დაყოფილნი. მე ჩემს „სასტავთან“ ერთად მივდიოდი ხოლმე.



— სად მიდიოდით?

— 6 გოგო და 2 ბიჭი ვიყავით, ვინმესთან სახლში მივდიოდით და იქ ვერთობოდით ხოლმე... შეუძლებელი იყო, 45 ბავშვს ერთნაირი მისწრაფება გვქონოდა... მახსოვს, ერთხელ მთელი კლასი „შატალოზე“ წავიდა. მეორე დღეს, სასწავლო ნაწილის გამგემ 45-ვე მოსწავლე დააყენა და ყველას სახეში გაულაწუნა. ყველაზე დამთრგუნველი ჩემთვის ის იყო, რომ თითოეულმა მათგანმა მიუშვირა სახე და ელოდებოდნენ — როდის გაულაწუნებდნენ. ჩემთან რომ მოვიდა, ვუთხარი: თუ გამარტყამ, ღამე ქუჩაში დაგხვდები და ყელს გამოგჭრი-მეთქი. ხელი უკან ცივად წაიღო... ეს ამბავი ვერ „გადავხარშე“, კლასელებს ვეჩხუბე და იმ სკოლიდან სხვაგან, შედარებით ლიბერალურ სასწავლებელში გადავედი. თუ თინეიჯერულ ასაკში ბრძოლისუნარიანობა არ გაქვს, თავს ცხოვრებაში ვერ გაიტან, ყოველთვის დაგჩაგრავენ და თავბედს გაწყევლინებენ. სხვათა შორის, ამ ასაკში, ჩემს ბიჭს მობილური რამდენჯერმე წაართვეს და დაჭრეს კიდეც. ბოლოს, მეშვიდე შემთხვევა იყო (თუ მეხსიერება არ მღალატობს), როცა ვუთხარი: იცი, რა?! მძარცველებს შეეწინააღმდეგე, ჯობია გცემონ, ვიდრე რაღაც ასე „ფარჩაკულად“ წაგართვან-მეთქი.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ დიდ რისკზე წახვედით?

— შეიძლება, მაგრამ მისთვის ასე ჯობია. მართალია, რაღაც 100 დოლარისთვის თავის შეწუხება არ ღირს, მაგრამ ეს თავმოყვარეობის საკითხია. მახსოვს, ამ ლაპარაკის შემდეგ, ორივე ფეხმოტეხილი მოიყვანეს — ვიღაცას მობილურის წართმევა დაუპირებია და ის ძალიან დიდი სიმაღლიდან გადმომხტარა, თან მძარცველიც გადმოუყოლებია... ჩემს შვილს შემდგომში ეცოდინება, როგორ დაიცვას თავი. ეს თუ ახლა არ ისწავლა, მერე ცოლსაც წაართმევენ, საყვარელ ადამიანსაც და ცხოვრებასაც...

— რა განსხვავებაა თქვენ დროის თინეიჯერებსა და დღევანდელებს შორის?

— მაშინ ახალგაზრდები პასუხისმგებლობის უნარით იყვნენ დაჯილდოებულნი, დღეს კი, ჩვენივე აღზრდილი თაობა რატომღაც საშინლად უპასუხისმგებლოა. ისინი გარდა იმისა, რომ ჭიპი გაიხვრიტონ და თავი რაღაცით გაიბრუონ, აღარაფერზე ფიქრობენ. ბიჭებს შეხედავ და ვერც ხვდები, რომელი სქესის წარმომადგენელია, საშინლად გაბურძგნილები დადიან.

— მაგრამ მაშინაც ხომ იზრდიდნენ თმას?

— კი, მაშინაც იყო მოდაში გრძელი თმა, „შლაქსები“, მაგრამ სხვანაირი კაცობა ჰქონდათ. დღევანდელი მეათეკლასელისთვის ერთადერთი კაიფია ძვირფასი მობილური ტელეფონის ქონა, ინტერნეტი და ვირტუალური ცხოვრება. ესეც არსებული სისტემის ბრალია — როცა უნარ-ჩვევებში კითხვაზე: როცა სამსახურში გეჩქარება და მოხუცს დაინახავ, მას გზას დაუთმობ თუ არა? სწორ პასუხად მიიჩნევა — არა, რადგან სამსახურში გაგვიანდება, ასეთ გაზრდილ

თაობას რა უნდა მოსთხოვო?

— ალბათ, ამ ასაკში ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ. ამის გამო, თქვენს მეგობრებს ხომ არ შურდათ?

— სნობური მომენტები ყოველთვის იყო — ვის რა აცვია, რა ახურავს, როგორ ცხოვრობს და ა.შ. თინეიჯერული ასაკისთვის ეს ნორმალურია, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, როცა ბავშვები ერთმანეთს ბოროტი თვალებით უყურებენ — საშინელებაა. ამაზე გავლენა სერიალებმაც იქონია. ამას წინათ, „რუსთავი 2“-ზე ვუყურე რაღაც თინეიჯერულ სერიალს და მეგონა, რომ რაღაც სხვა განზომილებაში მოვხვდი, ყურებს არ ვუჯერებდი. ჩვენი ბავშვები, გარდა იმისა, რა ჭირიც სჭირთ, ამასაც უყურებენ და მათგან როგორი ადამიანი უნდა გამოვიდეს? — სწავლობენ, ვინ ვის როგორ უნდა წაართვას თაყვანისმცემელი, რა ხრიკებს უნდა მიმართონ, როგორ უნდა მოშხამონ ერთმანეთი, რა დროს რომელი საწამლავი უნდა ჩაუყარონ და ა.შ. ეს ძალიან საშიშია, თორემ ჩვენს დროს არსებულ ჯანსაღ კონკურენციას რა სჯობდა?

— როგორ ფიქრობთ, ასეთი ტიპის სერიალებს რისთვის უშვებენ?

— ვფიქრობ, რომ ტელევიზიაზე უნდა მოქმედებდეს რაღაც ცენზურა და ასეთი რაღაცები ეთერში არ უნდა გაუშვან, მაგრამ ეს არავის აძლევს ხელს, მიდის მუშაობა ამ ასაკის ადამიანების დათრგუნვისთვის.

— ეს ვის რაში სჭირდება?

— საქართველოს ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი და როცა ეს დათრგუნვილი თაობა მორჩილი გახდება, მათი შეწირვაც ადვილი იქნება (ეს სხვადასხვა დროს, არაერთხელ მომხდარა საქართველოში).

— დაბოლოს, რას ურჩევდით თინეიჯერებს?

— მათ ვურჩევ, იყვნენ ინდივიდუალურები. ყველაფერი კარგია, მაგრამ საკუთარი თავის პატივისცემას არაფერი სჯობია. როდესაც შენ პიროვნება ხარ, მაშინ ქალიც გეთაყვანება და კაციც, დიდიც და პატარაც. მთელი ცხოვრება, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან მწვანე შუქი გინთია. მაგრამ თუ ვიღაცის მიბაძვით ცხოვრობ, რაც არ უნდა მდიდარი და გავლენიანი მშობლები გყავდეს, ყოველთვის ფეხქვეშ გაითელები.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

■

ნინო, 16 წლის:

„მოგესალმებით. თქვენი რჩევა მჭირდება. ვიცი, რომ შეცდომა დავუშვი, მაგრამ უკვე სინანული ძალიან გვიანია. ჩემი შეყვარებული ზუსტად ერთი წლის წინ გავიცანი. მისი გაცნობისთანავე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდი. ერთმანეთი მაგრად შეგვიყვარდა და ამას ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანები უთქმელად ხვდებოდნენ. მის სიყვარულში ეჭვი არ მეპარებოდა და დავნებდი. ამ ამბიდან ერთი კვირა არ იყო გასული, ჩხუბი მოგვივიდა იმის გამო, რომ აღარ მიმესიჯებდა, აღარ ვახსოვდი... მერე მითხრა: ვიცი, რომ შეცდომა დავუშვი, მაგრამ თუ არ დამიბრუნდები, გავგიჟდებიო. გული ამიჩუყდა და შევრიგდით. 2 დღის წინ კი, საშინელი ტყუილი მითხრა. თან არ სჯერა, რომ მიყვარს. ყველაფრით დავიღალე და ისევ დავშორდი. სწორად ვიქცევი?“

თიკა ჯაბგურია:

— არ ვიცი, რა უნდა გირჩიო. სანამ რამეს გადაწყვეტ, კარგად დაფიქრდი და იმედია, ამ შემთხვევაში, ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ.

ნინი, 13 წლის:

„თიკა, ძალიან საყვარელი და უბრალო ჩანხარ, თითქმის ყველაფერში გეთანხმები. ძალიან მინდა, რომ დედასთან შენნაირად ლაპარაკი მეც შემეძლოს, მაგრამ... ძალიან ლამაზი ხარ. არ გეწყინოს, მაგრამ ცოტა არ იყოს, ხომ არ გასუქდი?“

გამოხმაურება

თიკა ჯაბგურია:

— შენც თქვი რა, ახალი ამბავი... შენ პირველი არ ხარ მათ შორის, ვინც მეუბნება, რომ გავსუქდი.

ცირა, 16 წლის:

„თიკა, ძალიან კარგი მომღერალი ხარ და ძალიან მიყვარხარ. მაინტერესებს — გჯერა თუ არა ერთი ნახვით შეყვარების?“

თიკა ჯაბგურია:

— კი, მჯერა. შეიძლება, ადამიანს თვალებში ჩახედო და მიხვდე — როგორი ადამიანია და შეგიყვარდეს.

უცნობი, 16 წლის:

„გამარჯობა, ლიკა. ერთხელ ვიღაც ბიჭმა დამირეკა და გაცნობა მთხოვა, უარი ვუთხარი. მას შემდეგ დღე არ გავა, რომ 2-3-მა ბიჭმა არ დამირეკოს იმავე თხოვნით. მე კი მათი გაცნობა არ მინდა, რადგან ეს ცუდად მაქვს დაცდილი — ერთი მყავს და ვერ მომიცილებია. თან, ისეთი იდიოტები რეკავენ, რომ თავი ძალიან მომაბეზრეს. მირჩიეთ რამე“.

თიკა ჯაბგურია:

— ვიღაცები მეც მირეკავენ, მაგრამ შეხვედრაზე ყველას უარს ვეუბნები. თუ ისინი ნერვებს გიშლიან, მაშინ ყველაფერს სჯობია, ტელეფონის ნომერი გამოცვალო.

„ხ“, 14 წლის:

„გამარჯობა. ძალიან მიხარია, რომ არსებობთ. ერთი ბიჭი მიყვარს, მაგრამ ვერ ვუმხელ. მას ადრე ჩემი დაქალი უყვარდა, მაგრამ ახლა აღარ უყვარს. ვიცი, რომ მოვწონვარ (თვითონ მითხრა), მაგრამ მაინც ვერ ვბედავ გრძნობის გამხელას. მირჩიეთ რამე“.

თიკა ჯაბგურია:

— საერთოდ ვფიქრობ, რომ დაქალის შეყვარებულს სხვანაირი თვალით არ უნდა შეხედო, მეგობრებს უნდა გავუფრთხილდეთ და ამ სიტუაციაში, ვერაფერს გირჩევ.

ახმედი, 17 წლის:

„გამარჯობა, ლიკა. პირველად და უკანასკნელად გწერთ, მინდა, მანუგეშოთ... ერთი ტიპი გავიცანი, ერთმანეთის მიმართ გულგრილები არ ვართ, მაგრამ ერთი ბოროტი ქალი ცდილობს, ერთმანეთი არ ვნახოთ. მას ხომ ამის უფლება არა აქვს? რა ვქნა, როგორ შევხვდე? მე ხომ ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ. ახლა თავს ცოტა კარგად ვგრძნობ და მისი დაკარგვა არ მინდა. მან მე გამიგო და თვითმკვლელობას გადამარჩინა. გთხოვთ, მირჩიეთ რამე“.

თიკა ჯაბგურია:

— ბოროტ ქალში თუ მის დედას გულისხმობ, მაშინ ეს ბუნებრივია, რადგან ყველა მშობელი ეგოისტია, შვილისთვის ყველაზე კარგი უნდა და ა.შ. თუმცა მიმაჩნია, რომ 2 ადამიანის ურთიერთობაში არავინ უნდა ჩაერიოს. სიყვარულისთვის იბრძოლე და შენსას აუცილებლად მიაღწევ.

ლიკა, 19 წლის:

„მყავს შეყვარებული, ძალიან მიყვარს და ვიცი, თვითონაც ვუყვარვარ, მაგრამ გამუდმებით ვჩხუბობთ — სულ შარზეა. მირჩიე, როგორ მოვიქცე?“

თიკა ჯაბგურია:

— ეს პრობლემა არ არის, რადგან სიყვარულის დროს ჩხუბი მოსული პონტია...

მის ანომალია, 19 წლის:

„თიკო, რომ იცოდე, ახლა რა სიგიჟეს ჩავდივარ — ჩემი შეყვარებული თბილისიდან ჩამოვიდა. ახლა ჩემს ეზოშია დამალული და მანდარინის ხის ქვეშ ზის. სკამი და საჭმელი მივუტანე. შორიდან მიყურებს და მიმესიჯებს... ამწუთას, ალბათ ეჭვიანობს — ლიკას რომ ვწერ მესიჯს, რადგან ჰგონია, სხვას ვუმესიჯებ. ბაზუ, გიჟი ხარ, მე კი შენზე უარესი“.

დადუ, 17 წლის:

„გამარჯობა. მინდა გითხრათ, რომ სი-

ცოცხლე ძალიან გამილამაზა ერთმა პიროვნებამ. ის არაჩვეულებრივი და საოცრად თბილი ადამიანია. კენტი, უზომოდ მენატრები. იმედია, ჩემ მიმართ შენც იმავეს გრძნობ“.

ფისუნია, 18 წლის:

„ვეხმაურები მსხვერპლს. ახლა წავიკითხე შენი ამბავი და მინდა გითხრა, რომ მეც ზუსტად შენსავით დამემართა — მაშინ მეც 8 წლის ვიყავი. ახლა 18-ის ვარ და შემიყვარდა ბიჭი, რომლისთვისაც მინდოდა, ყველაფერი მომეყოლა, მაგრამ რაღაცის მეშინოდა. მერე, „ჩავუნამიოკე“, ის კი ჩამეხუტა და მითხრა: მოგეჩვენებოდა, რადგან პატარა იყავიო... გირჩევ, შეყვარებული არ დაკარგო, არაფერი უთხრა და მორჩა. წარსულზე თუ არ იფიქრებ, ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებებს გისურვებ“.

ობობა, 21 წლის:

„მინდა, მოვიტყუო თავი, მინდა, სიყვარულის მწამდეს, ჩემი ტანჯვით ბედნიერი დადის, ის, ვისთვისაც ყველაფერი დავთმე. თუმც მოლოდინს ნერვები აქვს სუსტი, გული მაინც ვეღარ იტანს გლოვას, ახლა ვიცი, სწორედ იმას ვუცდი, ვინც წავიდა და არასდროს მოვა“... ლიკა, ისევ ღამე გაღვიძებ, მაგრამ ლანკას სიყვარულმა დროში გადამკარგა — დღე და ღამე ამერია, ძილი დამავიწყა. ლანკა, ჩემო დედოფალო, ერთხელ მაინც გამიღიმე. როცა გვერდზე ჩამივლი და ცივ მზერას შემავლებ, მხოლოდ სიკვდილს ვნატრობ... მიშველე, ლიკ! — ჩემი ცხოვრების აზრი ხვალ რუსეთში მიემგზავრება, უკვე შორიდანაც ვეღარ მოვკრავ თვალს, რა მეშველება, რა გადამარჩენს?“

ნინი, 16 წლის:

„ისევ სიმარტოვე. ოჰ, ეს სიჩუმე ისევ აღრმავებს დარდს და სევდას ჩემს გულში. ისევ მენატრება, თუმცა არ ვიცი, ვინ ან რა მენატრება. ასეთი მარტოსული არასდროს ვყოფილვარ. თითქოს რაღაც ჩამწყდა შიგნით, სულშიც კოკისპირულად წვიმს. ვგრძნობ, რომ სიცოცხლე აღარ მინდა, დავიღალე“.

ნანუკა, 18 წლის:

„თუ უეცრად დაგეცა „ცვეტი“ და სიყვარულის სითბო იგრძენი, თუ ამ ფიქრს მოჰყვა ნაზი ფიქრები, მათ მოეფერე, ეს მე ვიქნები“. ეძღვნება გიოს“.

ბაჭია, 17 წლის:

„გოგოებო, სანამ პირს გააღებთ, კარგად დაფიქრდით — რეებს როშავთ. ერთ დროს, ბიჭები მეც ნაგვები მეგონა, მაგრამ ახლა მონდომებით ვიქექები!“

ია, 17 წლის:

„მოვედი ღამე, ჩუმად მოგეპარე, მოვედი ღამე, ღიმილი მოგპარე, მოვედი ღამე, კოცნა მოგპარე, მოვედი ღამე, თან წაგიყვანე და ასე ფიქრებში ვქურდობ მთელი ღამე“.

ემიგრანტი, 26 წლის:

„მოგესალმებით ათენიდან. მინდა, ჩემი ხმა მიაწვდინოთ მიხეილ სააკაშვილს — იქნებ, ის ერთხელ მაინც ჩამოვიდეს საბერძნეთში და ქართველები მოინახულოს?! ამით განა რაიმე დაშავდება? წინასწარ გიხდით მადლობას“. ■

ჩოპოზ დაიჯუნა ნოე ჩამიშვილის ბვაჩვა ეკთადეკთი დაკაკბული ემეკვიდრე

ისინი დიდხანს ფიქრობდნენ, ოცნებობდნენ, სამშობლოში დასაბრუნებლად ათასგვარ გზას სახავდნენ. მაგრამ დრომ ათეულობით წლების ბარიერი აღმართა საქართველოსა და მათ შორის.

თაობები შეიცვალა. ბევრი მათგანისათვის საქართველო მხოლოდ მშობლებისა და წინაპრების ნაოცნებარ ქვეყნად იქცა, თუმცა გენეტიკურმა სწრაფვამ მათშიც იჩინა თავი. გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოდან წასული ემიგრანტების შთამომავალთა გარკვეულმა ნაწილმა დღეს უკვე შეძლო იმ ქვეყნის ნახვა, რომელზეც ასე ოცნებობდნენ მისი წინაპრები.

მიშელ რამიშვილი მეუღლე სილვიასთან და ქალიშვილ პოლინასთან ერთად სამების ტაძარში

ირმა ახალაია

უმემკვიდროდ დარჩენილი გვარი თუ... ერთადერთი მემკვიდრე?!

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენლის, შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილისა და მისი ოჯახის ემიგრანტული ცხოვრების შესახებ ჩვენს ჟურნალში უკვე გვქონდა საუბარი და ისიც აღინიშნა, რომ ნოეს შვილების შემდგომ, რამიშვილების შტომ არსებობა შეწყვიტა.

აკაკი რამიშვილს ქართველ მეუღლესთან — მაია კვალიაშვილთან შვილი არ შესძენია. ვერც ნუცამ შეძლო ოჯახის შექმნა. ბენოსაც აღარ დარჩენია მემკვიდრე ფრანგი მეუღლისაგან. თითქოს უცხო მიწაზე ეს გვარი გაგრძელებას არ აპირებდა, მაგრამ...

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, სულ ახლახან აღმოჩნდა, რომ რამიშვილებს მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი მაინც დარჩენიათ. ის საქართველოს უკვე მეორედ სწვევია. ბენო რამიშვილის ერთადერთი ვაჟი, ახლა კალედონიაში მცხოვრები — მიშელ რამიშვილი აღმოჩნდა, რომლის შესახებაც დიდხანს არავინ არაფერი იცოდა.

ფრაგმენტები ბავშვობის მოგონებებიდან

ნოე რამიშვილის უფროსი ვაჟი ბენო, ახალგაზრდობის წლებში საფრანგეთის უწარჩინებულესი გვარის ქალიშვილს ეტრფოდა. ეს სიყვარული მიშელის დაბადებით დაგვირგვინებულა. გარკვეული მიზეზების გამო, მათ შეუღლება ვერ მოუხერხებიათ, მაგრამ მიშელს მამის გვარი მაინც მიუღია. რამიშვილების ერთადერთი მემკვიდრე არდადეგებს თურმე, მამის სახლში ატარებდა. მას განსაკუთრებული სიყვარულით „დიდი დედა“ — ბებია მარო გოგიაშვილი ჰყვარებია. ნოე რამიშვილის მეუღლე ერთადერთ შვილიშვილს თურმე

აკაკი რამიშვილი,მისი მეუღლე – მაიკო კვალიაშვილი, ბენო რამიშვილი და მისი მეუღლე (მეორე ქორწინება) ნუცა რამიშვილი

მიშელ რამიშვილი ოჯახთან, ახლო ნათესავთან — მარიამ დავითაშვილთან და მის მეგობარ მანანა ბოსტოღანაშვილთან ერთად მუზეუმში „ღია ცის ქვეშ“

საოცრად ანებივრებდა და თან, მისი ქართული წარმომავლობის შესახებ საინტერესო ამბებს უყვებოდა. პატარა მიშელი იმასაც ხედავდა, ლევილში შეკრებილი ქართველები როგორ ოცნებობდნენ და სამშობლოში დაბრუნების ათასგვარ გზას სახავდნენ. ხვდებოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო საქართველო თითოეული იქ მყოფისათვის. ისიც კარგად იცოდა, ვინ იყო და რას შეწირა ბაბუამისი. ლევილის ქართულ სასაფლაოზეც ხშირად დაჰყავდა ბებიას...

წლები გავიდა, მიშელი გაიზარდა და ერთმა გარემოებამ სამუდამოდ დააშორა იგი მამის მხრიდან ახლობლებსა და ნათესავებს.

რის გამო თქვა აკაკი რამიშვილმა უარი ერთადერთ ძმისშვილზე

მიშელ რამიშვილი დაოჯახდა, ფრანგი ქალი შეირთო ცოლად და მათ ქალიშვილიც შეეძინათ — ქეთევანი. მაგრამ ოჯახური იდილია არამყარი აღმოჩნდა. ამასთანავე, რამიშვილების ერთადერთ მემკვიდრეს ახალგაზრდული მისწრაფება გაუჩნდა — „ჰიპობა“. ყოველივე ამან ბიძის — აკაკი რამიშვილის პროტესტი გამოიწვია. მან ვერ აპატია ერთადერთ ძმისშვილს ოჯახის დანგრევის მცდელობა, არ სურდა, ქეთევანი მამის გარეშე გაზრდილიყო და არც „ჰიპობის“ მიმდევარი მემკვიდრის მისწრაფება მოსწონდა. ამ მიზეზით, გამუდმებით კამათობდენ. უთანხმოების გამო, მიშელი იძულებული გახდა, საფრანგეთიდან წასულიყო.

წლების მანძილზე მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის დროს, ინდოეთის ქალაქ კალკუტაში მოხვდა და, დედა ტერეზას ადმინისტრაციაში მომუშავე ქალი — სილვია გაიცნო. მიშელს, როგორც ექიმს, ხშირი ურთიერთობა ჰქონდა დედა ტერეზას მრევლთან. საერთო საქმემ ისინი დააახლოვა და მათი ურთიერთობა ქორწინებით დაგვირგვინდა.

მიშელსა და სილვიას დიდხანს არ შესძენია შვილი. წლების შემდეგ კი, პოლინა რამიშვილი მოვლინებია ქვეყანას, რომელიც დღეს უკვე შვიდი წლისაა. პოლინამ იცის, რომ ქართველია და ხშირად იმეორებს ქართულად ნასწავლ ფრაზას: „მე ქართველი ვარ!“

ქართველები შორეულ კალედონიაში

მიშელ რამიშვილი დღეს ახალ კალედონიაში ცხოვრობს. ეს ქვეყანა, როგორც თავად მიშელი აღნიშნავს, ბუნებით ძალიან ჰგავს საქართველოს, თუმცა — მაინც ვერ შეედრება...

ისტორიულად, შოტლანდიას, ვიდრე ინგლისელები დაიპყრობდნენ, კალედონია რქმევია. სახელიც დამპყრობლებს გადაურქმევიათ მისთვის. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, ინგლისელებს აღმოუჩენიათ პატარა კუნძული, რომელიც საოცრად ჰგავდა თურმე შოტლანდიას, ამიტომაც მისთვის ახალი კალედონია დაურქმევიათ. ძალზე პატარა ქვეყანაა — ამ მხარეში მხოლოდ 70000 მოსახლეა. მაგრამ იქაც ცხოვრობს ორი ქართველი: ერთი — მიშელი, მეორე — ვინმე დგებუაძე, რომელიც საფრანგეთის ჯარში სამსახურის შემდგომ, ამ ქვეყანაში დამკვიდრებულა. ამ ორ ქართველს ერთმანეთთან შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონია, რაც ალბათ, სისხლის ყივილის მანიშნებელიცაა.

...ის, რაზეც ოცნებობდნენ მისი წინაპრები

მიშელ რამიშვილი, თავის უფროს ქალიშვილთან — ქეთევანთან ერთად, პირველად 2 წლის წინ ეწვია საქართველოს. ქეთევანი დღეს 27 წლისაა და ტულუზაში ცხოვრობს. ნანახმა და განცდილმა იმ ემოციებს გადააჭარბა, რომლითაც ბავშვობიდანვე იყო დამუხტული მიშელ რამიშვილი. „რა ბედნიერი ვარ, რომ თურმე, ასეთი ქვეყნის შვილი ვყოფილვარ!“ — უთქვამს მას პირველი ჩამოსვლისთანავე. მეორედ, საქართველოს ორიოდე თვის წინ ეწვია, მეუღლესთან და ქალიშვილ პოლინასთან ერთად. უცნაურია, ბევრი ქართველი თავის ქვეყანას საფუძვლიანად არც იცნობს, მიშელმა და მისმა ოჯახმა კი, მთელი ქვეყნის ნახვა მოისურვეს. იყვნენ რაჭაში, იმერეთში, აჭარაში, სვანეთში. „როგორ შეგიძლიათ, სრულიად უცხო და უცნობ ადამიანებს, ამხელა სითბო და სიყვარული უწილადოთ!“ — უთქვამს ქართველების ხასიათით გაოგნებულს, უახლოესი ნათესავისთვის — მარიამ დავითაშვილისთვის.

როგორც ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, მიშელმა ზედმიწევნით იცის ქართული ნივთების ისტორიული მნიშვნელობაც. ქართულ ხმალ-ხანჯლებს, მათი კუთხური წარმომავლობის მიხედვით ცნობს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა არ იცის, მრავალი წიგნი შეუძენია. ქართულთან სიახლოვეს ამ წიგნების მეშვეობით ხომ მაინც ვიგრძნობო, — უთქვამს.

მიშელს ის ისტორიული სახლიც მოუნახულებია, სადაც 1918-21 წლებში ნოე რამიშვილის ოჯახი ცხოვრობდა. ეს თითქოს წარსულის გაცოცხლებას ჰგავდა.

დაბოლოს, „ქართველები და საქართველო რაღაც განსაკუთრებული განცდა ყოფილა. ის, რაზეც ოცნებობდნენ ჩემი წინაპრები, მე ამისრულდა, შევძელი, საქართველოს მიწაზე ფეხი დამედგა. ახლა ვგრძნობ, თუ რა განცდა გეუფლება იმის გამო, რომ ქართველი ხარ და რატომ განიცდიდნენ ასე ძლიერ საქართველოდან შორს ცხოვრებას ეს ადამიანები“, — უთქვამს გამგზავრების წინ რამიშვილების ერთადერთ მემკვიდრეს.

■

ნოე რამიშვილი, ბენო რამიშვილი, მარიამ გოგიაშვილი, აკაკი და ნუცა რამიშვილები...

საიდუმლოდ შენახული სენსაცია

ცოტა ხნის წინ, ტელეფონით ასაკოვანი მამაკაცი დამიკავშირდა და იმ მიზეზით, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამბის მოყოლას აპირებდა, მასთან შეხვედრა მთხოვა. ბატონმა ალექსანდრემ მომიბოდიშა, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო რედაქციაში ვერაფრით გვესტუმრებოდა. ამიტომ საწოლს მიჯაჭვულ რესპონდენტს შინ ვესტუმრე და საინტერესო ამბის ჩასაწერად მოვემზადე...



ემა ტუხიაშვილი

ალექსანდრე ძევხიშვილი:

— საუკუნეს მხოლოდ ერთი ათეული წელი მიკლია. ავადმყოფობამ სიარულის უნარი წამართვა, მაგრამ მადლობა უფალს, რომ საღი გონება შემომრჩა. ჩემს განვლილ ცხოვრებას თუ გადავხედავ, ბევრი საინტერესო ეპიზოდის მოყოლა ჩემი ბიოგრაფიიდანაც შემიძლია, მაგრამ ახლა ამისთვის როდი გთხოვეთ მოსვლა. Комитет Государственной Безопасности — ასე იშიფრებოდა ყოფილი საბჭოთა ორგანოს მისია და მიზანი, ხოლო ამის მისაღწევად მათთვის ყველა გზა გამართლებული იყო. სწორედ ერთი ძველი „კაგებეშნიკის“ ნაამბობი მინდა გაგიმჟღავნოთ. წლების წინ ამისთვის ალბათ ბორკილებს დამადებდნენ, ახლა კი, ჩემი დღეები დათვლილია და არ მინდა, რომ ეს ამბავი სამარეში ჩავიყოლო. „კაგებეს“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გახლდათ გვარად დვალიშვილი. დღეს ეს ადამიანი ცოცხალი აღარ არის, ამიტომ მის ხსოვნას ვცემ პატივს და სახელს არ დავაკონკრეტებ. ეს ადამიანი მეგობრების გარემოცვაში, სუფრასთან გავიცანი, დაბალი ტანის, მკვრივი აგებულების მამაკაცი იყო. შემდეგ მოხდა ისე, რომ საზღვარგარეთ წამსვლელთა სიაში მოვხვდი. სპეციალურად საბჭოთა ტურისტებისთვის ფინეთში ააგეს უშველებელი გემი და საქართველოდან სულ 40 ადამიანს კრუიზში მოგზაურობა გვხვდა წილად, რომლის მარშრუტიც გახლდათ თურქეთი, საბერძნეთი და ეგვიპტე. გემზე სულ 1200 მგზავრი იყო, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები. მანამ, სანამ გავემგზავრებოდით, ყოველმა ჩვენგანმა „კაგებეს“ მკაცრი კონტროლი გავიარეთ და ეს პროცესი დაახლოებით 3 თვეს გაგრძელდა. როგორც ჩანს, ანკეტა ჩემი მონაცემებით, ჩემი ნაცნობი „კაგებეშნიკის“ ხელში მოხვდა და მანაც დაუყოვნებლივ დამიბარა. მითხრა: გემზე მეც ვიქნები, ოღონდ, როგორც პროფკავშირების წარმომადგენელი და არ გაამჟღავნო, რომ მიცნობო. შევთანხმდით, რომ მას თავიდან „გავიცნობდი“ კრუიზში და სხვების დასანახავად მხოლოდ იქ დავმეგობრდებოდით. მოკლედ, „კაგებე“ კარგად მუშაობდა, მაგრამ ამ კრუიზში ერთი სერიოზული მარცხი მაინც მოუვიდათ. ჩვენთან ერთად გემზე სომეხი პროფესორი მიქაელიანი და მისი ვაჟი იმყოფებოდნენ. „კაგებემ“ იცოდა, რომ მიქაელიანს და ჰყავდა ამერიკაში, ამიტომ მასზე განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული. მაგრამ მიქაელიანი მანამდეც არაერთხელ იყო ნამყოფი საზღვარგარეთ. თანაც ერევანში მეუღლე ელოდა, რაც მის მიმართ გარკვეულ ნდობას იწვევდა. მაინც მოახერხა სომეხმა მამა-შვილმა გაპარვა და როდესაც ჩვენი გემი საბერძნეთში იყო გაჩერებული, მის ქუჩებს შეაფარეს თავი. ატყდა განგაში. მახსოვს ამბობდნენ, რომ პორტში გემის ერთი წუთით გაჩერება რამდენიმე ათასი დოლარი ღირდა. ჩვენ კი მიქაელიანების გაქცევის გამო რამდენიმე საათით შევყოვნდით.



სულ 40 ადამიანს კრუიზში მოგზაურობა გვხვდა წილად, რომლის მარშრუტიც გახლდათ თურქეთი, საბერძნეთი და ეგვიპტე

— ბოლოს და ბოლოს, იპოვეს სომეხი მამა-შვილი?

— „კაგებე“ მათ უშედეგოდ ეძებდა. გაწბილებულები დაბრუნდნენ გემზე და მათ ჩემოდნებს ეცნენ. ვერაფრით წარმოიდგენთ, რა იდო მიქაელიანების სამგზავრო ჩანთებში, ყველა მათგანი ფერადფერადი სავარცხლებით იყო სავსე. მახსოვს, „კაგებემ“ მაშინვე პროფესორ მიქაელიანის მეუღლეს შეატყობინა ეს ამბავი ტელეფონით და ქალს გულის შეტევა მოსვლია. ამბობდნენ, რომ პროფესორის მეუღლესაც კი არ სცოდნია ქმრისა და შვილის განზრახვის შესახებ. იმ დროს ეს ძალიან გახმაურებული ამბავი იყო და რადიო „ამერიკის ხმაც“ იუწყებოდა ამის შესახებ.

— არ მესმის, საუბრის დასაწყისში რატომ ახსენეთ ასე გამოკვეთილად „კაგებეშნიკი“ დვალიშვილი?

— ახლავე მოგახსენებთ. აკი გითხარით, რომ ძალიან დიდი გემით ვმგზავრობდით, ყველა მგზავრისთვის ცალკე კაიუტა იყო გამოყოფილი, ხოლო გემის ქვედა ნაწილში, ძალიან ბევრი მსუბუქი ავტომობილი ეტეოდა. ჩემი ნაცნობი „კაგებეშნიკი“ ხშირად შემოდიოდა ჩემთან კაიუტაში და ორი ჭიქა კონიაკის შემდეგ, გულახდილი საუბრის გუნებაზე დგებოდა. აი, რა ამბავი გამიმხილა ერთხელ ბატონმა დვალიშვილმა. პირველად ხელოვნური ბოჭკო XX საუკუნის მიწურულს ფრანგმა ინჟინერმა ილერუ დე შარდონემ გამოიგონა, მაგრამ რთული და ძვირად ღირებული ტექნოლოგიის გამო, რითაც ეს ბოჭკო მიიღებოდა, ფრანგებმა უარი თქვეს წარმოებაში მის გამოყენებაზე. მოგვიანებით კი, უკვე XX საუკუნის 50-იან წლებში, ამერიკელმა ქიმიკოსმა, გვარად კაროზერსმა სრულიად ახალი სინთეტიკური ბოჭკოს ტექნოლოგია შეიმუშავა, რაც ნამდვილი რევოლუცია იყო და ნეილონის წარმოებას დაუდო სათავე. ამერიკელებმა სასწრაფოდ დაიწყეს ამ სინთეტიკური ბოჭკოს გამოყენება მანქანების საბურავების წარმოების დროს, იყენებდნენ ბუნებრივი შალის მაგივრად ელექტროიზოლაციის წარმოებისას და სამხედრო დანიშნულებითაც კი. ამერიკელების ასეთმა წარმატებამ საბჭოთა კავშირს ნამდვილი საზრუნავი გაუჩინა, მაგრამ საბჭოთა მეცნიერების ყველა მცდელობა, თავად შეექმნათ ხელოვნური ბოჭკოს ხელსაყრელი ფორმულა, კრახით მთავრდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლის სათავეშიც უკვე ხრუშჩოვი იმყოფებოდა, გადაწყვიტა, საქმეში „კაგებე“ ჩაერთო და რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, სინთეტიკური ბოჭკოს ტექნოლოგიის საიდუმლო ამოეხსნათ. ხანგრძლივი ძიების შემდეგ „კაგებემ“ სენსაციური ინფორმაცია შეიტყო. თურმე ამერიკელი ქიმიკოსი კაროზერსი, სინამდვილეში ქართველი ემიგრანტი, ბათუმელი თურმანიძე გახლდათ, რომელსაც სამშობლო ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებთან ერთად დაუტოვებია. როგორც გაირკვა, კაროზერსი მისი ამერიკელი მეუღლის გვარი იყო და ქართველ მეცნიერს ამ გვარით ცხოვრება და მოღვაწეობა ამერიკაში უფრო უადვილდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელად წოდებული ქიმიკოსი კაროზერსი, ქვეყანაში საუკეთესო

როდესაც ემოციები ჩაცხრა, ამერიკელი ქიმიკოსი და „კაგებეშნიკები“ მოსალაპარაკებლად დასხდნენ

მეცნიერთა ათეულში მოხვდა. შემდეგი ეტაპი საქართველოში თურმანიძის ნათესავების მოძებნა იყო და ამაშიც გაუმართლა „კაგებეს“. აღმოჩნდა, რომ თურმანიძეს, რომელიც თავდაპირველად საბერძნეთში გაქცეულა, ბათუმში ფეხმძიმე ცოლი დარჩენია. ქალმა მისგან ვაჟი გააჩინა, მაგრამ თავად მეორედ გათხოვდა და შვილი აღსაზრდელად მამიდებს მიაბარა, მამიდებმა კი ბავშვი ინტერნატში მიიყვანეს. „კაგებემ“ თურმანიძე-უმცროსს ბათუმის ერთ-ერთ ქარხანაში მიაგნო, სადაც ის შემდუღებლად მუშაობდა და ამავე ქარხნის საერთო საცხოვრებელში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ხომ გითხარით, რომ „კაგებესთვის“ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებული იყო, ამიტომ საგანგებოდ შეკრიბეს საბჭოთა დამსახურებული მუშაკები, მათ შორის შემდუღებელი თურმანიძეც და ამერიკაში ექსკურსიით დააჯილდოეს. როგორც დვალიშვილმა მითხრა, ექსკურსანტებს შორის იყვნენ საუკეთესო მომღერლები და მოცეკვავეებიც, რაც ასევე გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. „კაგებემ“ იმდენი მოახერხა, რომ საბჭოთა ტურისტების ამერიკაში მოგზაურობის ამბავი ადგილობრივ პრესაშიც დაიბეჭდა, რასაც უმალ გამოეხმაურა ქართული წარმოშობის ამერიკელი ქიმიკოსი და მათთან შეხვედრა მოითხოვა. როგორც დვალიშვილმა მიამბო, თურმანიძემ ისინი ქალაქგარეთ, თავის სახლში დაპატიჟა და სუფრაც გაუშალა. ქართველმა ტურისტებმა ეროვნული ცეკვა-სიმღერა არ დაიშურეს უკვე ხანში შესული ქიმიკოსისთვის, ის კი, თურმე თავის ამერიკელ ცოლ-შვილს ეუბნებოდა: ყველა ქართველი ასეთი ნიჭიერიაო. მალე, გამომშვიდობების დროც დადგა, თმაშეღერცხლილმა მეცნიერმა ყველა სტუმარს საჩუქარი გადასცა და ვინაობაც გამოჰკითხა. როდესაც ჯერი მის შვილზე მიდგა, თურმანიძეს მისთვის მხარზე დაურტყამს ხელი და უკითხავს: შენ სადაური ვაჟკაცი ხარო? ბათუმელიო — მიუგია მორცხვად უცხო გარემოში მოუსვენრად მყოფ შემდუღებელს. რა გვარი ხარო? — ისევ უკითხავს ემიგრანტ თურმანიძეს. უცნობმა მისი საკუთარი გვარი რომ უთხრა, ახლა წარმომავლობითაც დაინტერესებულა ცნობილი ქიმიკოსი. არც ვაჟს დაუყოვნებია და სულ დეტალურად ჩაურაკრაკებია: ჩვენი გვარი წარმოშობით ქობულეთის რაიონიდან არის, მამა ჟორდანიასთან ერთად გაიქცა, დედამ კი მამიდებს მიმაბარაო. როდესაც გულქვა „კაგებეშნიკი“ ამ ეპიზოდს მიამბობდა, აღიარა: სამი გამოცდილი თანამშრომელი ვიყავით, მაგრამ ამის შემყურე მღელვარებას ვერ ვფარავდითო.

— ეი. ამერიკელმა მეცნიერმა გაიგო, რომ მის წინ მისი შვილი იდგა...

— რა თქმა უნდა, გაიგო და იმასაც მიხვდა, რომ ეს საბჭოთა „კაგებეს“ „წყალობა“ იყო. როდესაც ემოციები ჩაცხრა, ამერიკელი ქიმიკოსი და „კაგებეშნიკები“ მოსალაპარაკებლად დასხდნენ. საბჭოთა ბინძურმა მანქანამ ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ თურმანიძეს მისთვის ხელოვნური ბოჭკოს ტექნოლოგია გაემჟღავნებინა. სამი დღე უთხოვია მოსაფიქრებლად ქართველ ემიგრანტს: ამ ფორმულის გაცემის შემთხვევაში, ჩამოხრჩობაზე მაქვს ხელი მოწერილიო. ისიც კი უთქვამს: თუ ამერიკის უშიშროებამ ეჭვი აიღო, ააფეთქებენ თქვენს გემსო. „კაგებე“ კი დაჰპირდა, რომ სანაცვლოდ მის შვილს უზრუნველი ცხოვრება ექნებოდა. მოკლედ, დაითანხმეს ქიმიკოსი და წამოიღეს ბოჭკოს წარმოების ტექნოლოგიის ყველა საჭირო ფორმულა. იმ ღამით თურმე მთელი პოლიტბიურო ფეხზე იდგა. ყველას ეშინოდა, რომ ამერიკელები ეჭვს აიღებდნენ და ააფეთქებდნენ საბჭოთა ხომალდს. დამავიწყდა მეთქვა, რომ ქიმიკოს თურმანიძეს საიდუმლოს გამჟღავნებისას უთხოვია: ხელოვნური ბოჭკოს წარმოების პირველი ქარხანა ჩემს მიწა-წყალზე ააშენეთო, მაგრამ არ შეუსრულა ეს სურვილი საბჭოთა ხელისუფლებამ. პირველი ქარხანა ლენინგრადში ააშენეს და დაიბრალეს: ეს ტექნოლოგია, პარალელურ რეჟიმში, საბჭოთა მეცნიერებმაც შეიმუშავესო.

— უმცროს თურმანიძეს რა ბედი ეწია?

— როგორც „კაგებეს“ მაღალჩინოსანმა მითხრა, მას ბინა მიაღებინეს, ვითომდა შრომითა და გარჯით დაიმსახურა. გარდა ამისა, ისე მოაწყვეს, რომ 30-კაპიკიანი ლატარიის ბილეთით ახალთახალი „ვოლგა“ ანუ „გაზ-21“-იც მოაგებინეს...

■

დასაწყისი გვ. 21

— მაგას როგორ ვიტყვი?! შეიძლება იყოს სიტუაცია, სადაც წესების დარღვევას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს შენთვისაც და კაცობრიობისთვისაც, ვიდრე წესების დაცვას...

— ავტოინსპექტორებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ახალგაზრდობაში, „გაისთან“ მქონია პრობლემები. ისიც იმიტომ, რომ ტყუილად გავუჩერებივარ და ა.შ.

— მათთვის თანხა არასდროს მიგიციათ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, როცა ჩემი „ჟიგულით“ პირველად გამოვედი რუსთაველზე, შორი ფარები ჩართული დამრჩა და ვიღაც ძიამ გამაჩერა: მობრძანდით, აქეთ მობრძანდით ერთი წუთითო. ხან რას მოედო, ხან — რას და ბოლოს, 3 მანეთი მთხოვა. მივეცი და გზა გავაგრძელე — ეს იყო და ეს, ამის შემდეგ, არასდროს არავისთვის ფული არ მიმიცია.

— როცა მოძრაობის წესებს არღვევენ, როგორი რეაქცია გაქვთ?

— ჩუმად ვიგინები. ეს გინება ზოგჯერ გათავისუფლებს ბრაზისგან. როცა მანქანა წითელ შუქზე გიჟივით გამოვარდება, ის ხომ ვიღაცის სიცოცხლეს უქმნის საშიშროებას! ეს იგივეა, რომ კაცს სახლში დანით შეუვარდე და უთხრა — უნდა მოგკლაო!..

— როგორ ფიქრობთ — ქალი საჭესთან საშიშია?

— მინახავს ისეთი მანდილოსნებიც, რომლებიც მანქანას კარგად მართავენ და ისეთებიც, რომლებსაც საჭის ტრიალიც კი არ ეხერხებათ. მაგრამ ცუდი მძღოლი მამაკაცებს შორისაც ბევრი შემხვედრია.

— ფეხით მოსიარულეებს გზას უთმობთ ხოლმე?

— რასაკვირველია. ამით მათდამი პატივისცემას გამოვხატავ.

— ავტომანქანაში მუსიკის მოსმენა თუ გჩვევიათ?

— არცთუ ისე ხშირად. ზოგჯერ ვუსმენ ჩემს დისკს (საფორტეპიანო მინიატიურებია), იმიტომ, რომ თუ საჭირო, მასში შესწორებები შევიტანო.

— სხვას არაფერს უსმენთ?

— ვიცი, ეს კარგი არ არის, მაგრამ არა მაქვს ჩვევად მანქანაში მუსიკის მოსმენა.

— საჭესთან მობილურ ტელეფონზე ლაპარაკობთ ხოლმე?

— ზარებს ვპასუხობ, მაგრამ მხოლოდ ერთ რამეს ვეუბნები — მერე დამირეკეთ-მეთქი.

— დაბოლოს: რომელი მანქანის შეძენაზე ოცნებობთ?

— სიამოვნებით შევიძენდი 3 მანქანას — ჯიპს, სედანს და რაიმე სპორტულ ავტომობილს.

— მათ შეძენაში ხელს რა გიშლით?

— ფული არა მაქვს, თორემ, სიამოვნებით ვიყიდდი სამივეს *(იცინის)*...

■

შეხვედრა... ყარაღაში!

ინგა ჯაყელი

ეს ამბავი თავად მიამბო ჩემმა ძველმა ნაცნობმა და თან, ყელგამოღადრული მეხვეწებოდა: თავი არ მომჭრა, არ გამამხილოო! მე კი, ჟურნალში ვაპირებ მის გამოქვეყნებას. ჯერ ერთი, მართლა არ დავპირებივარ „ნამუსის შენახვას“, მეორეც — რომელი ღმერთთან შეფიცული მე მნახა, აღსარების საიდუმლოდ შენახვის თაობაზე?!.

მოკლედ, ჩვენი ამბის დღევანდელი გმირი ტიპური ქუთაისელია: მაღალი, გამხდარი, ბეჭებში მოხრილი, მაუზერივით მოხრილ-მოკაუჭებული ცხვირითა და განუყრელი „კეპკით“. ბირჟაზე დგომა მისი დღის რეჟიმის განუყოფელი ნაწილია და ვინც ამ დროს ქუჩაზე ჩაივლის, მისი ენის შხამს ვერ გადაურჩება:

— რავა კუბოში ჩასადებს დამგვანებია შალიკიეს სიდედრი! რომ დახანხალობს, გზაში ფლავის სუნს ტიებს... მერაბიეს გოგოს ქორწილია კიდო?!. ლადოია გლახას ისე გოუბოზდა ცოლი, აზრზე არაა, ი ჩემის გადანგროული... ზალიკოს ცოლი რა სიკვტილმა ჩამოახმო ასთე, დევის გამოხრულს რომ დეემგვანა?!. ერთი ის გამაგებია, ეს ჩვენი ახალი მეზობელი ვითომ ბუზს რომ არ იჯენს ერთ ადგილზე, წუხელ ვის მასპინძლობდა, თელი ღამე რომ იდგა მისი ფანჯრების წინ სამთავრობო „მერსედესი“?!.

...ახალი მეზობელი კი, მართლა არ იხედებოდა ბირჟის უსაქმურებისკენ, ჩაივლიდა მათ წინ, ბარაქიანი თეძოების კეკლუცური რხევით, დატოვებდა იშვიათი ფრანგული სუნამოს არომატს და ვნებააშლილი კაცები გადაღლეტამდე იფხანდნენ ენებს:

— წამხთარი დედაკაცის სიარული აქ... რავა ვიკადრებ, თვარა, მომცემია... მეზობელია, ბოლოს და ბოლოს!..

...კარგა ხანს იტყუებდნენ კაცები თავს, გულგრილობის ნიღბის ქვეშ მალავდნენ, ცნობისმოყვარეობითა და ნდომით სავსე თვალებს და ვინ იცის, ფანტაზიებში როგორ და რა პოზაში აკოტრიალებდნენ „გაფუჭებულ“ ქალს?!.

ჩვენმა გმირმაც ვერაფერი მოუხერხა გახურებულ გონებას და გადარეულ გულის ცემას, ჰოდა, ფხიზელმა რომ ვერაფერი გაბედა, მთვრალი მიადგა მეზობლის კარს:

— გასულ 8 მარტს იყო მაი ამბავი, ჩემი ხელით რომ გამევისვი დანა ყელში. ცოლ-შვილი ცოლის დასთან დავტოვე, იქ ვიქეიფეთ დღისით. კაი ვსვით და კაი ვჭამეთ, დავთვერი და აღარ მანდვენ მანქანა, ფეხით წამოვლაყუნდი სახლში. ქურდი და მამაძაღლის შიშით ვერ ვტიებთ ღამე სახლს ცარიელს, არადა, რომ დამადგეს ვინმე თავზე, წინააღმდეგობას გოვუწევ თუ რაი?! ერთბაშათ, ოქრო და ვერცხლი არ მქონდეს ნაგროვები, რომ თავი არ შევაკლა ვინმეს... მოკლედ, წამევედი და რომ მივუახლოვდი სახლს, არ დევინახე იმ ქალის ფანჯარა გაჩახჩახებული?! ახლა თუ არა, აპა, როის-თქვა?!. — გადამრია სურვილმა და ავაჭერი პირდაპირ მეშვიდე სართულზე. მივაჭირე ზარს თითი და ქე გამიღო უცებ კარი. არ ვაცალე

გაკვირვება:

— არც გეიკვირვო და არც მასპინძლობაზე მითხრა ვარი! მეზობელი იმისია, ამფერ დროს კარზე დაგიკაკუნოს და მარტვა არ დაგტიოს, გილოცავ 8 მარტს! — ვაჯახე და ისე შევალაჯე ოთახში, ვარის თქმის საშვალება არ მივეცი...

„ზალაში“ სუფრა იყო გაშლილი, ჭიქებში შამპანური ესხა, მარა მთავარი მაინც ქალი იყო — კაბა ასკტებოდა მკერდზე და თეძოებზე. ჩემი თინიკოს ჩამომჭკნარი ძუძუები რომ გამახსენდა, თავი შემეცოდა, მარა თავზე მეტად, ამ ქალის საცოდაობამ გადამრია. ევიღე შამპანურის ჭიქა ხელში და გევილექსე:

— დეეფსოთ თვალები კაცებს, შენისთანა ქალი მარტვა რავა უნდა იყოს, მარა თავათაც ამაყი და უკარება ხარ, ერთს არ გამეიხედავ მოწყალების თვალით, თვარა, ვინ მამაძაღლი, დედოფალივით გაცხოვრებდი!..

სიტყვით არ უთქვამს რამე, მარა იმფერი თვალებით გამომხედა, პირდაპირ ამევიკითხე: წადი, შენი მათხოვარი დედაო!.. მაინც არ გევიტეხე იხტიბარი და ის იყო, წელისკენ წევიღე ხელი მოსახვევათ, რომ ზარის ხმა გეისმა კარზე:

— ვინაა?! — მეტაკა ელდა.

— ვისი წერაც გამოხვალ, აქ თუ გნახა!.. — მომიგო, აშკარა ნიშნის მოგებით.

— რავა უნერვოსავით ლაპარაკობ, შე ქალო, ამ სახლში სიკვტილი რავა მინდა?! — ავწრიალდი.

— რავა, ბაწრით აგათრიე ეშაფოტზე?!

— მიშველე რაცხა, გამაპარე! — ჩოვუვარდი მუხლებში.

— ამ სახლს კარი ერთი აქ და იქ სიკვტილი გელოდება. ფანჯრებიდან რომელიცხა გინდა, ეირჩიე და წაი!

— არადა, მეშვიდე სართულზე ვართ!..

...ბოლოს შევეცოდე და კედელში ჩატანებული „შკაფისკენ“ მიბიძგა — შეეთრიე შით და ბუსუნი არ გევიგონო შენიო!..

შევედი და შიშით გამიცივდა გული — თავზე გედევემხვე ჩემამდე დამალულს.

— რომელი ხარ და რა სიკვტილი გინდა აქანე?! — ჩავაზილე თავში.

— რაცხაისთვის შენ მეეთრიე, ი მინდოდა მეც! — შემომიღრინა და ხმაზე ვიცანი ჩემი მეზობელი და ძმაკაცი ზაზაიე, იმის უკან კიდო, ზალიკიე დაფეხვილი არ იყო ჩაკუნცხული?!.

...შკაფის ჭუჭრუტანიდან მორიგეობით ვუყურებდით ჩვენი „ტურფას“ და მისი საყვარლის — „მერსედესის“ პატრონის, მთავრობის კაცის დროს ტარებასა და ხვევნა-კოცნას. „თლათ მთავარზე“ რომ მიდგა საქმე, საძინებელში გავარდნენ ცეცხლმოკიდებულებივით და დრო ვიხელთეთ, ძლივს გამოვბობღდით, დაბრუშებული ხელ-ფეხით „შკაფიდან“, კარი ფრთხილად გავაღეთ და გარეთ ისე გამევიძურწეთ, თვალებში არ ჩაგვიხედია ერთმანეთიზა. ამდენი ხანია, ვითომ სიზმარი ყოფილიყოს, სიტყვას არ ვძრავთ ერთმანეთთან მომხდარზე, არადა, ლამისა ცეცხლი გადმოვანთხიოთ თვალებიდან, ის უსირცხვილო ქალი წინ რომ ჩაგვივლის და ვითომ ვერც გვცნობს...

ისეთ რავა მოვკვტები, ერთხელ მაინც არ მევიხელთო მარტვა სადმე და არ „დავბურჯგნოო!“ — მუქარით დაამთავრა კაცმა თხრობა და ისე ამოიხვნეშა, გაცინება ვეღარ გავბედე!..

■

ფონდის საჯარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ამ ამერიკელმა მწერალმა ლიტერატურული მოღვაწეობა პატიმრობაში დაიწყო.
2. რა არის სტორტინგი?
3. სატელეფონო კავშირის უქონლობა ძველ გალებს დიდად არ აფერხებდათ: რა საშუალებით ავრცელებდნენ ისინი ახალ ამბავს?
4. ეს სახელი კახეთის ტახტისთვის ძალზე უიღბლო აღმოჩნდა. ამ სახელის მქონე ორივე მეფეს საკუთარმა შვილებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე.
5. ძველ რომში სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმა მხოლოდ მამაკაცთა დაკრძალვის დროს იყო მიღებული. ვინ დაარღვია ეს ტრადიცია?
6. რას ნიშნავს სიტყვა „იალკიალი“?
7. XX საუკუნის დასაწყისში, თბილისის ქუჩებში ტრამვაის გამოჩენამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ხალხში ხმა დადიოდა — ვაგონის ბორბლებზე ეშმაკები სხედან და ტრამვაისაც ისინი მართავენო. ბევრს სჯეროდა, რომ ხიდზე გადასვლისას ეშმაკები ხიდს ჩატეხდნენ და ტრამვაის მგზავრებს დაღუპვა ელოდათ. რატომ ერიდებოდნენ ტრამვაიში ჩაჯდომას განსაკუთრებით ქალები?
8. ადამიანთა „ხროვაში“ ცხოვრებისას, მაუგლი ორმოში ჩავარდნილ მენახშირეს ამოსვლაში დაეხმარა და მისი ვირიც კუდით ამოათრია. ამის გამო, იგი სასტიკად გაკიცხეს. რატომ?
9. რა მასალით იყო აგებული ლენინის პირველი მავზოლეუმი?
10. რა მეტსახელი შეარქვეს პატარაობისას რომის იმპერატორ — ტიბერიუსის შვილიშვილსა და მომავალ იმპერატორს რომაელმა ჯარისკაცებმა?
11. „მე!.. მხოლოდ მე!.. ისევ მე!.. ჩემი!.. ჩემთვის!.. ჩემზე!..“ — ვისი პირადი დევიზი გახლდათ ეს სიტყვები?
12. დასრულეთ ედისონის სიტყვები: „გენია — 1% აღმაფრენაა, 99% კი — ...“
13. „დავჯე, ჯამ ვინმემ დამიდგა, კაცის ხორც იყო წვნიანი, ვსჭამდი, მზარავდა თუმცაღა კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი...“ — რის შემდეგ აეკვიატა ალუდა ქეთელაურს ასეთი საშინელი სიზმრები?
14. ფილიპე მეორე მაკედონელის სიკვდილით ყველაზე მეტად ამ ადამიანმა გაიხარა. მან მკვლელის — პავსანიას ნეშტი გვირგვინით შეამკო, მის მახვილზე კი თავისი ქალიშვილობის სახელი — მირტალიდა ამოკვეთა და აპოლონის ტაძარს შეწირა. დასახელეთ იგი.

ანეკდოტები

***

ჭიჭიკიას ასამართლებენ. მოსამართლე ძალზე მკაცრი კაცია და პროცესის დაწყებისთანავე მთელი დარბაზი გააფრთხილა:
— ვინც იხმაურებს ან ყვირილს დაიწყებს, გარეთ გავაგდებ!
— ااااا! — აყვირდა ჭიჭიკია!

***

— რა ღირს თქვენი ძაღლი?
— ხუთასი დოლარი.
— ერთგულია?
— ძალიან — უკვე მეხუთედ ვყიდი.

***

დიალოგი ავტობუსში:
— ახალგაზრდა, უკვე მეოთხე გაჩერებაა, მეხუტები!
— რა ვქნა?!
— ქენი რამე!

***

სიმპათიური გოგონა თანაკურსელ ვაჟს ეუბნება:
— მე კი გეტყვი, როგორ ჩავაბარე გამოცდა, მაგრამ ეს შენ არაფერში გამოგადგება.

***

მილიციის სერჟანტმა გოგონა გააუპატიურა. ორივე ჩასვეს: სერჟანტი — გაუპატიურებისთვის, გოგონა — სამართალდამცავი ორგანოებისთვის წინააღმდეგობის გაწევისათვის.

***

ებრაელმა დოლარების შეკვრა იპოვა, გადათვალა და წამოიძახა:
— უყურე შენ, აკლია!..

***

— ჩვენ მტერს საზღვრამდე ვდიეთ.
— საზღვრის იქით?
— საზღვრის იქით ვეღარ — უცხოური პასპორტები არ გვქონდა.

***

კაცი ექიმთან მიდის:
— ექიმო, ამ ბოლო დროს, სულ ერთი და იგივე კოშმარი მესიზმრება — ჩემი სიდედრი მოდის ჩემთან და

ნიანგი მოჰყავს.
— მერე?!.
— უნდა ნახოთ, რა საშინელი რამ არის: უხეში კანი, დაკრეჭილი კბილები, ამაზრზენი თვალები...
— ოო, ეს მართლაც საშინელებაა.
— ეგ რა არის, თქვენ ნიანგი უნდა ნახოთ, რას ჰგავს.

***

ქმარი სამსახურიდან ბრუნდება და ცოლს ხელში ანალგინს აჩეჩებს.
— დალიე, წყალსაც ახლავე მოგიტან.
— მე რომ არაფერი მტკივა?
— ااا, გამოგიჭირე?! აბა, ჩქარა ლოგინში!..

***

— მიხო, შენს სიდედრს დათვი დაესხა თავს!
— არიქა, ლევანას დაურეკე!
— ლევანას რატომ?
— ეგ არ მუშაობს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში?!

***

პაციენტი შესჩივის ექიმს:
— ხშირად მსმენია იმ შემთხვევის

შესახებ, როცა ექიმი არასწორ დიაგნოზს სვამს და პაციენტი პნევმონიის ნაცვლად ციროზით კვდება.

— ნუ წუხხართ, მეგობარო, როცა მე პნევმონიის დიაგნოზს ვსვამ, პაციენტი პნევმონიით კვდება.

***

— რა საშინლად ისვრებიან ეს ბავშვები, — შესჩივის ქსენია მეზობელს, — გუშინ, სანამ ჩემს შვილს ვიპოვიდი, ხუთი სხვა ბავშვი დავბანე.

***

სვანი ავტომობილის ზეთით სიმინდს რწყავს.

— რას შვრები, ბიჭო, ეგრე ხომ სულ მოსპობ სიმინდს! — ეუბნება მეზობელი.

— სიმინდის დედაც ვატირე, მიწაში ავტომატები მაქვს დამარხული.

***

ხომალდი ერთ პატარა კუნძულს მიუახლოვდა. გიდმა მიკროფონში გამოაცხადა:

— კუნძულზე მოსახლეობის ორმოცდაათი პროცენტი შიდსითაა დაავადებული, დანარჩენი ორმოცდაათი — ტუბერკულოზით.

ერთმა ტურისტმა ვერ გაიგო და მეზობელს ჰკითხა:

— რაო, რა გამოაცხადა?

— რაო და იმასთან, ვინც არ ახველებს, სექსუალურ კონტაქტს ნუ დაამყარებთო.

***

მმაჩის ბიუროში:

— თანახმა ხართ თუ არა, თქვენ გვერდით მდგომი ქალბატონი შეირთოთ ცოლად?

— არა.

— თქვენ უკან მდგომი?

***

— მიხო, ნუ ტლიკავ ზეთს და საერთოდ, არ დაგინახო მაგ „კამაზთან“ ახლოს მისული.

***

— ეეხ, უნდა დამეჯერებინა მამაჩემისთვის, რასაც მეუბნებოდა. მე ვირი კი, სულ არ ვუსმენდი! — სინანულით იქნევს თავს მიხო.

— მაინც რას გეუბნებოდა?

— აბა, რა ვიცი, ხომ გითხარი, არ ვუსმენდი-მეთქი!

***

— ვაიმე, მუცელი, ვკვდები! — ყვირის ავადმყოფი.

— ხომ ხართ მოწმეები, ჯერ ხელიც არ მიხლია! — აყვირდა ექიმი.

***

ჭიჭიკიასთან სახლში ტელეფონმა დარეკა.

— ლამარა, უთხარი, რომ შინ არა ვარ, — ეუბნება ჭიჭიკია ცოლს. ლამარა იღებს ყურმილს და ეუბნება:

— დიახ! სამწუხაროდ, ჩემი ქმარი შინ არის!

— ქალო, შენ ხომ არ გაგიჟდი, ხომ გაგაფრთხილე, სახლში არა ვარ-მეთქი! — აყვირდა ჭიჭიკია.

— ნუ ყვირი! შენთან კი არა, ჩემთან რეკავდნენ.

***

— შინ ხომ ვერ გამაცილებთ?

— მხოლოდ მზერით, ქალბატონო!

***

ჭიჭიკიას პატარა ბიჭი ოთახებში დარბის, ამტვრევს და ლეწავს ყველაფერს.

— რა მოხდა, ბიჭო, რამ გადაგრია?! — ეკითხება ბებიამისი.

— მამიკოობანას ვთამაშობ!.. თქვენი დედა!.. თქვენი ყველაფერი!.. სად არის მანქანის გასაღები?!

ჭორნაკის სპეციალური

„ზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ო'ჰენრი.
2. ნორვეგიის პარლამენტი.
3. 2 საათის განმავლობაში ყვირილითა და გადაძახილებით 300 კილომეტრის მანძილზე ავრცელებდნენ.
4. ეს სახელი ალექსანდრე გახლავთ. ალექსანდრე პირველი ავგიორგიმ მოკლა, ალექსანდრე მეორე — კონსტანტინე მირზამ.
5. ტრადიცია პირველად კეისარმა დაარღვია, როდესაც თავისი ახალგაზრდა ცოლის ნეშტთან გულის შემძვრელი სიტყვა წარმოთქვა.
6. „იალკიალი“ ძველი ქართული სიტყვაა და ცვალებად მოღრუბლულობას ნიშნავს.
7. ამის მიზეზი ქალაქში გავრცელებული ლექსი იყო: „მარგალიტი ძვირია, ლექაჩი ორპირია, ვინც კი ტრამვაიში ჯდება, მისი ქმარი ვირია“.
8. მენახშირე უმდაბლეს კასტას ეკუთვნოდა (ვირზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია).
9. ლენინის პირველი მავზოლეუმი ხის იყო.
10. კალიგულა — ეს მეტსახელი ჩექმას ნიშნავს. რომის მომავალი იმპერატორი — გაიუს იულიუს გერმანიკუს კალიგულა ბაბუამისის, ტიბერიუსის ჯარისკაცებთან იზრდებოდა და მეტსახელიც მათ შეარქვეს იმ უცნაური ჩექმების გამო, რომლებსაც მომავალი იმპერატორი ატარებდა.
11. ეს სიტყვები კვაჭი კვაჭანტირაძის დევიზი გახლდათ.
12. „ოფლის ღვრა“.
13. ვაჟა-ფშაველას პოემის გმირს ასეთი საშინელი სიზმრები ქსტი მუცალის მოკვლის შემდეგ აეკვიატა.
14. ოლიმპიადა — ფილიპე მაკედონელის პირველი ცოლი და ალექსანდრე მაკედონელის დედა.

უკომენტაროდ

veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-35

ზაზა ვაჩნაძე

ბიზნესსაქმიანობის გასაშლელად ნიკა ბერიძის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. თბილისის მახლობლად მის მიერ ნაყიდი მიწის ნაკვეთის გამო, ღვიძლი ბიძაშვილი, მოსკოველი ბიზნესმენი ლადო ფაქტობრივად, დაუფარავად უპირისპირდება. ამ დაპირისპირებაში ნიკას უმცროსი ძმა ირაკლიცაა ჩაბმული, ოღონდ — არა ძმის, არამედ ბიძაშვილის მხარეზე...

ნიკას მოთმინების ფიალა მაშინ ევსება, როცა შეიტყობს, რომ პარლამენტში მზადდება კანონი დაუსაბუთებლად გაცემული მიწების ჩამორთმევის შესახებ. ის გადაწყვეტს, სრულიად გახსნილად დაელაპარაკოს ლადოს და საბოლოოდ დარწმუნდეს იმაში, თუ საკუთარ ბოროტ ზრახვებში რამდენად შორს წამსვლელია იგი.

ირაკლისთან მორიგი ორგია მიდიოდა. ნიკას დანახვა ძმასაც და ბიძაშვილსაც ძალიან გაუკვირდათ. ირაკლიმ ლაპარაკის უნარი დაკარგა, ლადომ კი ისე შეიპატიჟა, თითქოს ბინა ირაკლისი კი არა, მისი ყოფილიყო.

— ოჰ, ნიკა! შემოდი, შემოდი... რა ხანია, შენთან ლაპარაკი მინდოდა. საიდან, რა ქარმა გადმოგაგდო?!

ნიკა შევიდა. ქალები სუფრასთან ისხდნენ. ქვემოდან იმზირებოდნენ და იღიმებოდნენ. ისინი პირდაპირ ქუჩიდან აყვანილებს ჰგავდნენ, ნიკას კინაღამ გული აერია...

— ამათ ნუ მიაქცევ ყურადღებას. ესენი, მოგეხსენება... — თქვა ლადომ და ნიკა პირდაპირ სუფრასთან მიიპატიჟა. — მოდი, მოდი, დაჯექი. რას დალევ — არაყს თუ ღვინოს?

ნიკა დაჯდა. იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო.

— დასალევად არ მოვსულვარ... — თქვა მან.

— აბა? — ჰკითხა ლადომ.

— ლადო, მოდი გახსნილად ვილაპარაკოთ, — თქვა ნიკამ.

— ვილაპარაკოთ, ბატონო! — უცებ უპასუხა ლადომ, მაგიდასთან დაჯდა და თავისი „ბრჭყალებიანი“ თვალები ჩაასო. ნიკას ისეთი ქარიშხალი უტრიალებდა გულში, ყველაფერი ცალ ფეხზე ეკიდა, მით უმეტეს — ლადოს თვალები.

ირაკლიც შემოვიდა და მაგიდასთან დაჯდა. ნიკას ისე უმზერდა, როგორც მთლად უცხოს... ნიკას ლადოსთან ჰქონდა საქმე...

— ბიძაშვილები ხომ ვართ? — დაჟინებული მზერით უყურებდა ლადოს.

ქალები იმწამსვე წამოდგნენ.

— ჰო, თქვენ გადით, ცოტა ხნით... — ხელი გაუქნია მათ ლადომ და ისინიც მეორე ოთახში გავიდნენ.

— კი, ვართ, — უპასუხა პაუზის შემდეგ.

— მამაჩემის გაზრდილი ხომ ხარ? ხომ სულ ამას ამბობ?

— კი, ბიძაჩემმა დამაყენა გზაზე, — უპასუხა ლადომ.

— ჰოდა, რატომ არ შემეშვები? — პასუხს ელოდა ნიკა.

— არ მესმის, რას ამბობ, — გაიკვირვა ლადომ.

— ჯუნგლების კანონია, ძმაო, ყველა თავისას ცდილობს... — ჩაერია რატომღაც ირაკლი.

— მოიცა, შენ გაჩუმდი! მე ვუპასუხებ! — ხელი დაადო იდაყვზე ლადომ ირაკლის.

— ხვალ რომ პარლამენტის სხდომაზე მიწების თაობაზე დადგენილება გააქვთ, შენი ხელი არ ურევია ამ ამბავში? — ირონიულად ჰკითხა ლადოს ნიკამ.

— მე რა შუაში ვარ?! პარლამენტამდე მე ხელი როგორ მიმიწვდება?! — გაიკვირვა ლადომ.

— არც ის ღორები იყვნენ შენი მოგზავნილი, ჯერ ოფისის გახსნაც რომ არ მაცალეს და უკვე მამოწმებდნენ?..

— ვი-ინ?

— ვინ და ვიღაც რევიზორები.

— ჩემი მოგზავნილი? როგორ გეკადრება?! წარმოდგენაც არ მაქვს, ვინ იყვნენ შენთან.

— შენ ვიღაც რევიზორები გამოწმებდნენ, ლადო რა შუაშია?! — ისევ ჩაერია ირაკლი.

— მაშინ, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია... — ფეხზე წამოდგა ნიკა. — ბრიყვი უნდა იყო კაცი, რომ რაც ჩემი ნაკვეთის ირგვლივ ატყდა, სხვას დავაბრალო. ლადო, შენ, რამდენიც არ უნდა იუარო და ხელები შალო, ჩემი მტერი ხარ!.. არ ვიცი, იქნებ, ქვეყნის მტერიც... შენ კი, ირაკლი... მატლი ყოფილხარ და მეტი არაფერი! შენ ჩემი ძმა აღარა ხარ!

— ძალიან კარგი! გასწავლი მე შენ, რასაც მტრობა ჰქვია, — მძიმედ წარმოთქვა ლადომ, როგორც კი ნიკა კარისკენ დაიძრა.

კართან მისულმა კი, ერთხელ კიდევ გამოხედა ორივეს. თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მარტო ხელი ჩაიქნია და გავიდა.

ალბათ, ბევრს ჰგონია, რომ სიყვარული, კლასიკური გაგებით, როგორიც ის ძველად იყო, დღეს აღარ არსებობს, რომ მან უამრავი მეტამორფოზა განიცადა, თუნდაც, ფრანგული სისულეების გამო... ვინ იცის, იქნებ, შეიცვალა კიდეც, თუნდაც სულ ცოტათი. მაგრამ დიაპაზონი ალბათ, იგივე შემორჩა: მის ძალას ვგულისხმობ. აი, ავიღოთ თუნდაც, ნანა: სულ რამდენიმე დღეში, მისთვის ნიკას გარეშე არსებობის ყოველი წუთი ნამდვილ ჯოჯოხეთს დაემსგავსა... თუმცა, არც ერთმა მოკვდავმა არ იცის, როგორია ნამდვილი ჯოჯოხეთი. ალბათ, რაღაც, აზელილი ტვინის მსგავსი. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ეგონა ნანას, მისი ტვინი იყო, როცა მეორე დილას გაიღვიძა. ეჭვები ჭიანჭველებივით დასეოდა მთელ ტანზე. თანაც, ვისზე ეჭვიანობდა?!. ვიღაც „სამგროშიან“ ნატურაზე!.. რომ ეთქვათ — ერთადერთი, რაც შენს სიყვარულს გადაარ-

ჩენს, მთელი მსოფლიოს წარღვნა და წალეკვაო, — წამსვლელი იყო ამაზეც...

როცა ნიკამ ტელეფონზე უთხრა — მოდი, რა, ერთი-ორი დღე დამასვენეო, — აღარ იცოდა, რა ექნა: ებღავლა, ეტირა, საკუთარი კბილებით საკუთარი ხორცები დაეგლიჯა?.. თუმცა, ისიც უკვირდა, ნეტავ, ასე რამ გამაცოფაო?!. მოდი და ამის მერე იფიქრე, რომ სიყვარულმა რაიმე მეტამორფოზა განიცადა. ყოველ შემთხვევაში, ცალმხრივი სიყვარული, ალბათ, დღემდე ანალოგიურია იმისი, რომელიც პირველსავე ადამიანის ქალის საშოში ჩასახვისას იყო... მოკლედ, როგორც კაი „ლიხაჩი“, ისე მიაქროლებდა მანქანას ნანა, მოღალატე საყვარელთან შესახვედრად.

მალე ის, როგორც ნამდვილი გიჟი, ისე შევარდა ნიკას ოფისში. ეკამ გაკვირვებულმა შეხედა თმაგაჩეჩილ, ალებისმფრქვეველ თვალებიან პარლამენტარს.

— ნიკა სად არის? — იკითხა ნანამ.

— აქ არის, — გვერდით ოთახზე მიუთითა ეკამ. — რა არის, რამე მოხდა?

— ვისთან ერთად არის? — ჰკითხა დაეჭვებულმა ნანამ.

— არავისთან, მარტოა, — უპასუხა გაკვირვებულმა ეკამ.

— არ მატყუებ? — ჩაეძია ნანა.

— რატომ უნდა გატყუებდეთ?! — კიდევ უფრო გაუკვირდა ეკას. — შებრძანდით და თქვენ თვითონ ნახეთ.

ნანამ მაინც ვერ დაიჯერა, რომ ნიკა მარტო იყო. კარი ისეთნაირად შეაღო, თითქოს ზედ აქტზე უნდა წაასწროსო და როცა ნიკა, მაგიდასთან მჯდარი, ყავის სმასა და ფიქრში ჩაძირული დაინახა, მხოლოდ მაშინღა მიხვდა ამ სასაცილო მომენტის მთელ აბსურდულობას.

— რა არის, რა შეშლილი მოჩვენებასავით დამადექი თავზე?! — თავისდა უნებურად წამოსცდა ნიკას.

ნანა უცბად მოეშვა, მკლავები ჩამოუვარდა, მივიდა და სავარძელში მოწყვეტით ჩავარდა.

— აღარ შემიძლია. მთელი ღამე კოშმარებში გავატარე. ერთი ასჯერ მაინც მოვიკალი თავი... — და ნანა აქვითინდა. ჰაერს რომ ვერ ისუნთქავენ და ღვარღვარად წამოსულ ცრემლებს რომ ყლაპავენ ხოლმე ჰაერთან ერთად ქალები, ზუსტად ასე ტიროდა ნანა.

— რა არის, რა ხდება? — არ იცოდა, სად გაქცეულიყო ნიკა.

— ვიეჭვიანე... — თქვა უცბად ნანამ. ცრემლები მოიწმინდა და წელში გასწორდა.

— აუ, მაგას მერჩია, ტყვია გესროლა, — ხელები თავში შემოირტყა ნიკამ. — ეს სენტიმენტები მინდა ახლა მე, ნანა?!

— მაპატიე, არ შემეძლო, რომ არ მენახე. ცოტას მოვსულიერდები და წავალ, — თქვა და მართლაც, თავის მოწესრიგებას შეუდგა: ჯერ სარკე ამოიღო და შიგ ჩაიხედა. — ღმერთო ჩემო, რას ვგავარ, რას?!.

— შეგიძლია, ერთი დიდი სამსახური გამიწიო? — ჰკითხა ნიკამ.

— მაგას კითხვა უნდა, ნიკა?! — საბრალო თვალებით შეხედა ნანამ ნიკას. „მე შენი ვარ სიკვდილამდე, წამიყვანე, სადაც გინდა!“ — ამბობდნენ მისი თვალები.

— დღეს კერძო მფლობელობაში გადასული მიწების საკითხს განიხილავს პარლამენტი. ხომ ვერ გამიგებ, ვისგან მოდის ეს ამბავი? ან რა თანხა გადაიხადა დამკვეთმა?..

— კი, მე საქმის კურსში ვარ. შენ ფიქრობ, რომ ვიღაცის ინტერესების გათვალისწინებით მოხდება ამ კანონის შეცვლა ან საერთოდ, ახლის მიღება, ხომ? — უცბად დასერიოზულდა ნანა.

— ჰო! — უპასუხა ნიკამ.

— კი, გენაცვალე, ნემსის ყუნწში გავძვრები და მაგას მაინც გაგიგებ, — დაჰპირდა ქალი. — ოღონდ, აღარ მითხრა ერთი-ორი დღე დამასვენეო, კარგი?..

— კარგი, — ნიკამ არ იცოდა, რა უნდა ეთქვა.

...ნანა რომ წავიდა, ცოტა უცნაურად შეხედა ეკას. ნანას ნახვამ, ნიკას ტანის ქვედა კორპუსზე, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ასე თუ ისე იმოქმედა. „ეს ბიოლოგიური მოთხოვნილებაც ხომ...“ — გაიფიქრა ნიკამ და კომპიუტერი ჩართო.

ქალაქის არქიტექტურის ასე თუ ისე შესწავლამ კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ ჯერ ძალიან დიდი, გრძელი გზა უნდა გაევლო ქვეყანას, რომ ოდნავ მაინც მიახლოებოდა ცივილიზებულ სამყაროს...

მობილურზე დაურეკეს. ნომერი ვერ ამოიცნო. უპასუხა. მაგდა იყო. გოგოები ვართ მარტო, პატარა პიკნიკი გვაქვს და ხომ არ გვესტუმრებითო? პარლამენტში ამ დროს მისი ფულის ბედი წყდებოდა... ეს არ იყო ქარის მოტანილი ფული, რომ ნიკა ასე ადვილად შელეოდა. ეს იყო გამოწვევა, რომელიც, ნიკას უნდოდა თუ არ უნდოდა, უეჭველად უნდა მიეღო. წავალ, უცხოებთან ბევრად კარგად გადავაყოლებ გულსო, — გაიფიქრა და მაგდას ჰკითხა, სად მოვიდეო?

სხვათა შორის, ნიკა არაფრით მოელოდა, თუ ასეთ ბინაში მოხვდებოდა. ძველი თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული სადარბაზო აიარა და მესამე სართულზე მარცხენა კარს მიაჭირა ზარის ღილაკს თითი.

კარი მაგდამ გაუღო. რა თქმა უნდა, შიშველი აღარ იყო. იდგა და ნიკას ლამაზად უღიმოდა.

— დღე და ღამეც რომ მელოცა და მილიონჯერ შევხვეწნოდი ხატს — ასეთი სასწაული მამაკაცი შემახვედრე-მეთქი, — ან გამიმართლებდა, ან — არა... — ჰოლიდანვე შეტევაზე გადავიდა მაგდა.

— მეც იგივე უნდა ვთქვა?.. — იკითხა ნიკამ.

— არა, არა... ისედაც ნათელია, რომ ქალები ბუზებივით გეხვევიან... ალბათ... — გაუღიმა მაგდამ და მისაღებისკენ გაუძღვა.

მართალია, მთელი ბინა, ჰოლიდან დაწყებული, საკმაოდ აჭრელებული იყო, მაინც ყველაფერს გემოვნება და დახვეწილობა ჰქონდა. მხატვრობა, ხელსაქმე, გამოყენებითი ხელოვნება — რას აღარ შეამჩნევდით ირგვლივ, თუმცა, ბინას არც სიმყუდროვე აკლდა. პირიქით, ხელით ნაქსოვი ყურთბალიშებითა და აღმოსავლურორნამენტებიანი მუთაქებით გაწყობილი რბილი ტახტები შესანიშნავ ხასიათზე მოიყვანდა ადამიანს. მისაღებში სხვა ორი, საკმაოდ ლამაზი გოგონაც დახვდა ნიკას.

— სამი გრაცია ერთად?! — გაიღიმა ნიკამ და დაბალ პუფზე მშვენივრად მოეწყო. — თქვენც მსახიობები ბრძანდებით თუ მხოლოდ ნატურები? — ჰკითხა მან მოწკურული, მოღიმარი თვალებით მისკენ მომზირალ გოგონებს.

— ვერ გამოიცანით, — თქვა შავგვრემანმა, ოდნავ გაბუშტულცხვირიანმა, წითელტუჩებიანმა გოგონამ. — ჩვენ არც ნატურები ვართ და არც მსახიობები. ჩვენ უბრალოდ ქალები ვართ...

— პროფესიონალი?.. — დაინტერესდა ნიკა.

— ეს გვანცაა. ეს კი — თამუნა, — გააცნო მაგდამ მეგობრები ნიკას. — თქვენზე კი... — და უეცრად გაჩუმდა. — შეიძლება, „შენობით“ მოგმართოთ?

— მხოლოდ „შენობით“, — თქვა ნიკამ და გაიცინა. მერე ხელები გაშალა: — რა მშვენივრები ხართ, გოგონებო! დედას ვფიცავარ, ბოტიჩელის ნახატებიდან გადმოსულებს ჰგავხართ. სიამოვნებით დაგხატავდით.

— აბა, ჰე! „დავაი“ ახლა, დატრიალდით, რას გაბრტყელდით?! — ხელი აუქნია უეცრად გოგონებს მაგდამ. — მართლა არ დაიჯერეს, რომ ბოტიჩელის „გაზაფხულს“ ჰგვანან?!. გაბამთ კაცი, ვერ უნდა მიხვდეთ, დებილებო?!

გოგონები იმწამსვე წამოხტნენ.

— აუ, მაგდა, რა უცებ აურ-დაურიე ყველაფერი, რა! გეცლია ერთი-ორი წუთი, — იხუმრა ნიკამ.

— აბა, კი, ბიჭო, ორი წუთი!.. ისე დამაწერენ შენს თავს, თვალსაც არ დაახამხამებენ... — თქვა მაგდამ და მაქმანებიანი თეთრი სუფრა გადააფარა მაგიდას.

— რა გამოდის? რომ უკვე შენი ვარ?.. — თავის ამპლუაში იყო ნიკა. რაღაც უხაროდა, თუმცა, — რა, თვითონაც არ იცოდა, ალბათ.

— დიახ, გენაცვალე... გინდა — „გაბმულხარ, ჩიტო, მახეში“ — გიმღერო? — ორივე თვალი ლამაზად ჩაუხუჭა მაგდამ ნიკას.

— თუ შენ აქაურობას მახეს ეძახი... სიამოვნებით გავებმები, ორივე ფეხით და ორივე ხელით. — დღეს ბევრად ლამაზი ეჩვენა მაგდა ნიკას. რაღაც ფაშფაშა, წითე-

ლი ესპანური ქვედაბოლო და წვრილ-ბრეტელებიანი ვარდისფერი პერანგი ეცვა.

თამუნა შემოვიდა და ნიკას წინ ყავა დაუდგა. მაგიდაზე კი, ცარიელი ღვინის ბოთლი დადგა.

— ეს ცარიელი ბოთლი რაღად გვინდა? — იკითხა ნიკამ.

— ცოტას რომ შევთვრებით, დავატრიალებთ ხოლმე, „პროშნაობას“ ვთამაშობთ... — უპასუხა ღიმილით თამუნამ.

— მე კი „დამკა“ უნდა გეთამაშო, — უთხრა გვანცამ და მაგიდაზე ვისკის ბოთლი დადგა.

— „დამკა“? მე რომ ცუდად ვთამაშობ?!. — ვერ მიუხვდა ნიკა.

— რა „მნიშვნელი“ აქვს?! თუ შენ მომიკლავ კოჭს, მე გაკოცებ; თუ მე მოგიკლავ, შენ მაკოცებ, — უთხრა გვანცამ და თვალებში მიაჩერდა.

— სადა ვარ?.. პირდაპირ სამოთხეში მოვხვდი?.. მკვდარი ვარ თუ ცოცხალი?! — ხელი მოიკიდა მკლავზე ნიკამ. — არა, ცოცხალი ვარ ნაღდად! ჰო, მაგრამ, ეტყობა, ზღაპარში ვარ.

— ჯერ სად ხარ?! ცოტა ხანში, მარტო ზღაპარსა და სამოთხეში კი არა, მეცხრე ცაზეც გეგონება თავი... — თქვა მაგდამ და საოცრად ლამაზი, ჰაეროვანი კოცნა აჩუქა...

ცოტა ხანში, ნიკა დაბალ, რბილ, ზურგიან პუფში გემრიელად ჩაფლულიყო და გოგონების ჟღურტულს ისმენდა. გოგონები პატარა ფუჟერებით ვისკის ყლურწვაში სულაც არ უდებდნენ ტოლს მას. ატრიალებდნენ ცარიელ ბოთლს და კოცნიდნენ და კოცნიდნენ ნიკას მოურიდებლად, პირდაპირ ტუჩებში. ასე რომ, სასმლისა და სხვადასხვა ტუჩის გემო მალე ერთმანეთში აერია. თავშიც ყველაფერი აერია. ვიღას ახსოვდა პარლამენტი და სხდომაზე გატანილი მიწის ნასყიდობის საკითხი?! იჯდა გაბრუებული და იყო კოცნა-პროშნაში გართული. თამუნა კოცნისას, ყველანაირად ცდილობდა, ისე გადახრილიყო, რომ ნიკას მისი მკერდის აყვავებული „ბაღ-ვენახის“ სურნელებაც ეგრძნო... მარტო ერთს ვერ ხვდებოდა გაბრუებული ნიკა — რატომ კოცნიდნენ გოგონები ერთმანეთს ტუჩებში... მერე კი, უკვე გვარიანად შემთვრალი იყო, როცა მთლად გააშიშვლეს და ვნებიანი კვნესისა და წკმუტუნის ხმაც ჩაესმა. თუმცა, ვერ აცნობიერებდა, რა ხდებოდა, მაგრამ ამ ყველაფრის გამო, მისმა ვნებამ რომ ქალის ნდომის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ეს ცხადი იყო. დაუფიქრებლად შემოაფლითა ტანზე ყველაფერი მაგდას და საქანელას რიტმში გადასულს, თავი მართლაც მეცხრე ცაზე ეგონა... ბოლოს, სულ ბოლო მომენტში, როცა საქანელამ დარტყმები და ნაწყვეტ-ნაწყვეტი რყევები დაიწყო, ქალს სიცილი აუვარდა, რომელიც წამის მეასედში ქვითინში გადავიდა და ნიკა ვერ მიხვდა, იცინოდა თუ ტიროდა ქალი, რომელიც ფრჩხილებით ჩაფრინდა მის ზურგს და ბოლომდე ჩამოპორჭყნა... და ნიკას უეცრად გაახსენდა ვიღაცის მონაყოლი: ყველაზე დიდი საოცრება მაინც, ცრემლებამდე მისული სიცილიაო... სწორედ „სიცილი ცრემლებამდე“ აღმოჩნდა ის სიტკბოება, რომელიც მაგდამ და ნიკამ ბოლომდე იგემეს. „დესერტად“ კი, ნიკამ თამუნა და გვანცაც დააყოლა და როცა ნანამ დაურეკა და უსიამოვნო ამბავი ამცნო — პარლამენტმა უკანონოდ პრივატიზებული მიწების ჩამორთმევის საკითხი პირველი მოსმენით მიიღოო, — ლესბოსელებთან „ფრანგული პოეზიით“ გართულს, სულ ცალ ფეხზე ეკიდა პარლამენტიც, დაკარგული ფულიც, მიწაც, ბიზნესიც და ყველა ქალიც ერთად...

— ვაიმე შვილო, რა გჭირს მაგ ზურგზე, ეგ რა დაგმართვია?! — შეიცხადა ვერიკომ, როცა შემთხვევით, მისი ზოლებად აჭრელებული ზურგი დაინახა.

— ასე ვიცი ამ დროს: ყოველ წელს ზურგი მიჭრელდება, — დაამშვიდა ნიკამ დედა.

— არა, არა... რაღაცას მიმალავ... — და სანამ ოჯახის ექიმს, ელისოს არ აჩვენა მისი გეომეტრიულად, თანაბრად ჩამოკაწრული ზურგი, ვერაფრით დამშვიდდა. ხოლო ვიდრე ნიკამ ადამის დროინდელ ექიმს ყურში არ ჩასჩურჩულა, რაც სინამდვილეში სჭირდა, ოჯახში სტაბილურობა ვერაფრით დამყარდა.

ამასობაში, ირაკლიმ, რომელსაც თანამდებობრივად ევალებოდა, რომ ქალაქის ყველა ახალი ჭორი პირველს გაეგო, აღმოაჩინა, რომ ქალბატონ ლელასა და მისი ძმის ურთიერთობა, რომელსაც მის ბინაში სრულიად შემთხვევით ჩაეყარა საფუძველი, თურმე გაგრძელებულიყო და განსაზღვრული სახეც მიეღო. რა თქმა უნდა, მან ეს ყოველივე თავის ახალ მფარველს, ლადოსაც გაუზიარა. და ლადომაც, ნიკას დასასჯელად, ყველაზე საზიზღარ ხერხს მიმართა. საყვარლები, მურაზ ლეშკაშელთან — ლელას მამასთან ჩაუშვა.

თავიდან ეს ამბავი მურაზმა მორიგ ჭორად ჩათვალა, რადგან ეგონა, შვილს მოხარშულს იცნობდა. მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ნიკას და ლელას სატელეფონო საუბრები კონტროლზე რომ აეყვანა, რა თქმა უნდა, მისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა და ასეც მოიქცა. ადგა და ეს საქმე თავის მძღოლს ზაურს — ვისაც ყველაზე მეტად ენდობოდა — დაავალა.

ჰოდა, როცა ნიკამ ლელას დაურეკა და უთხრა, შენთან სერიოზული საქმე მაქვს და აუცილებლად უნდა შევხვდეთო, „სლეჯკას“ მაგარი ჩაბოღმილი, თვით პოლიციის ბოსი, მურად ლეშკაშელი ჩაუდგა სათავეში.

ლელა-თათიკოს კი, გარდა იმისა, რომ მაგრად მონატრებოდა ნიკა, ისიც გაეგო, რომ ორ-სამ დღეში მისთვის მიწის ნაკვეთი ოფიციალურად უნდა ჩამოერთმიათ და როგორც კი კაცმა დაურეკა, შეხვედრაზე მაშინვე დათანხმდა.

— იცოდე, ჩემს განკარგულებაში უნდა იყო დილამდე, თორემ მიგაბამ რამეზე, რომ არსად გამექცე... — წინასწარ გააფრთხილა თათიკომ ნიკა.

მოკლედ, მანქანით თვითონ გაუარა, ჩაისვა და წაიყვანა. იმას, რომ მამამისი, ზაურთან ერთად, „კუდზე“ ეჯდათ, რა თქმა უნდა, ვერც ერთი მათგანი ვერ

წარმოიდგენდა.

თავდაპირველად, თათიკო თავის ხოხბებს, ფარშავანგებსა და ციცრებს მიეფერ-მოეფერა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიპატიჟა ნიკა თავის ქართულ მარანში.

ნიკა მაგარი დაღლილი იყო და პირდაპირ ტახტზე გაიშხლართა. თათიკო რომ უნდა დახმარებოდა მას ადვოკატის შერჩევასა და შემდეგ, სასამართლოში საქმის ბოლომდე მიყვანაში, — ამ საკითხზე ლაპარაკი გზაში უკვე მოესწროთ. წინ მხოლოდ ქვევრიდან ამოღებული ქარვისფერი რქაწითელით თრობა და ამურის ტკბილი ექსტაზი ელოდათ. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ ორივენი. აბა, მურაზ ლეშკაშელზე ხომ არ იფიქრებდნენ, რომელიც ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რომ შეყვარებულები გამოეჭირა... თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც გაემტყუნებოდა — რადგან იმდენი აწვეთეს ყურში საკუთარი შვილის ღამის ვოიაჟებზე, რომ ბოლოს და ბოლოს, მაგრადაც დაეჭვეს. დარწმუნებული კი მაინც არ იყო, რადგან ლელა, შინ თუ საზოგადოებაში, მუდამ თავდაჭერილი, გაწონასწორებული ქალის საკადრისად იქცეოდა.

„რა საოცარი ქალია! — ფიქრობდა ტახტზე გაშხლართული ნიკა. — ყველაფერს გენიალურად ასწრებს და ახერხებს. საზოგადოებაში — სხვაა, პირად ურთიერთობაში — სულ სხვა“...

უმზერდა და ტკბებოდა, როგორ მოხადა თავი ქვევრს თათიკომ, როგორ ამოაწო ხელადა ქვევრში, როგორ დაასხა ნეტარი სითხე სუფთა, თლილ ჭიქებში... რა უცბად გაშალა სუფრა და მერე, წამოგორებულ ნიკას მიუჯდა. იწექი, იწექი, მე თვითონ გაჭმევ და გასმევ, როგორც პატარასო, — უთხრა. ოდნავ შუშხუნა, ნექტარივით ღვინომ სასიამოვნოდ დაუარა ნიკას სხეულში. თათიკო ლუკმებს სათითაოდ უდებდა პირში, ნიკა კი მის რბილ თეძოებს ეფერებოდა... თათიკო წამდაუწუმ მილულავდა თვალებს და ასე, ნელ-ნელა, თანდათანობით შედიოდა ექსტაზში. ხოლო როცა ნიკა მის ძუძუ-მკერდსაც წაეპოტინა და ორი მკვრივი ბურთი მაღლა ამოაყრევინა, თათიკომ ვეღარ გაუძლო, სასწრაფოდ გაიძრო ყველაფერი და ცხელი

ვნებით გახელებული, ნიკას „უნაგირზე“ გადამჯდარი, ბედუინივით ატორტმანდა...

მურაზმა კარგა ხანს აცალა. იქნებ, საქმიანი შეხვედრა აქვთ და ის კაცი თავის გზაზე წავიდესო? — ფიქრობდა. მაგრამ რომ არა და აღარ გამოვიდა ნიკა, ეზოში კედლიდან ჩახტა და მარნის კარზე მკაცრად დააკაკუნა. თუმცა, აღარ აცალა, რომ შიგნიდან გაეღოთ და შეაღო.

...მურაზმა რაღაც წამებით დააგვიანა: სექსუალური აქტი უკვე მომთავრებული იყო. ლელა სუფრასთან ტრიალებდა, ხოლო ნიკას წამის მეასედი სჭირდებოდა, რომ ტახტის კიდეზე დოინჯით წელგამართული, ცალი მუხლით იატაკისკენ დაშვებული ფეხით, ქართველი თავადივით ჩამომჯდარიყო... მურაზის შესვლა და თათიკოს ლელად გადაქცევა ერთი იყო. თუმცა, იმ წამს, ცოცხალი აფრიკული სპილოს დანახვა ნამდვილად ისე არ გაუკვირდებოდა, როგორც მამამისის დანახვამ გააოცა.

— მამა, შე-ენ?! აქ რას აკეთებ?.. — შუბლი თავისით შეეკრა ლელას. მაგრამ უცბადვე გადახარშა და ვითომ სახე გუნათდა: — კარგ დროს მოხვედი. მარტო ხარ?

მურაზმა პასუხი არ გასცა. ეჭვით გახედა ნიკას. შეაფასა... მერე სუფრას გადაავლო თვალი.

— რამე ხდება, მამა? — სუფთა, გულუბრყვილო გოგონას თამაშობდა ლელა.

— რა ვიცი, ეგ შენ უნდა გკითხოს კაცმა... — უპასუხა ისევ კართან მდგარმა მამამ თავის ქალიშვილს.

— ეს ნიკაა ბერიძე, მამა. ალბათ, არ იცნობ. მეც სულ რაღაც ერთი თვეა, რაც გავიცანი... ეს კი მამაჩემია, — მიუბრუნდა ნიკას ლელა. — მურაზ ლეშკაშელი.

ნიკა წამოდგა. ლელას კი უცბად გაახსენდა.

— შენ რა, კედელზე გადმოხტი?1 რატომ არ მომიზარე? კარი ურდულზე მქონდა...

— კაი, კაი... — მოაკეტვინა უცბად ლელას მურაზმა და სუფრას მიუჯდა. — მე ყველაფერი უნდა ვიცოდე, ლელა!

— რა ყველაფერი? — არაფრით გატყდა ლელა.

— ვინ არის ეს კაცი... აქ რა უნდა, ამ დროს, შენთან... ეს სახლი... — ვერ დაამთავრა მურაზმა.

— მამა, ძალიან გთხოვ! — ხმაში სიცივე გაურია ლელამაც. — შენ მე 17 წლის ხომ არ გგონივარ ისევ?! 30-ს მივუკაკუნე!..

— ვიცი, მაგრამ... — ყელში ბურთი მოაწვა მურაზს.

— რა, არა მაქვს პირადი ცხოვრების უფლება? — და ნიკას მიუბრუნდა. — დაჯექი, ბიჭო, რას დგახარ ფეხზე?!

ნიკა დაჯდა.

— მამა, ნიკა გახლავს ამერიკელი... ფუჰ, ამერიკელი კი არა, არქიტექტორი. ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. ჩვენ საერთო პროექტი გვაქვს — რაღაც ქველმოქმედებას გვინდა, რომ ერთად გავუწიოთ კურირება.

— ჰოო?.. — სუფრაზე მიანიშნა ლელას მამამ.

— მამა, შენი ჭირიმე, ნუ იქცევი, რა, აზიელი ჯიგიტივით!.. — „ვა-ბანკზე“ წავიდა ლელა. — თუმცა, მე ძალიანაც მომწონს ნიკა, — და ნიკას მიუბრუნდა: — შენ, ნიკა?

— ლელა პიროვნებაა, — თქვა ნიკამ. — საოცრად გაწონასწორებული და ჭკვიანი... დღეს ეს იშვიათი ფუფუნებაა.

— მამა, დედამ იცის ჩვენი ურთიერთობის შესახებ. თუმცა, ჯერ გადაწყვეტილი არაფერი გვაქვს...

„რას არტისტობს, ბიჭო!..“ — გაიფიქრა ნიკამ.

— თუკი მედიკომ იცის, მე რატომ არ უნდა მცოდნოდა? — იკითხა მურაზმა.

— შეეშინდა ალბათ. და ვერ გითხრა. იმიტომ, რომ ქართველი კაცები... — აღარ დაამთავრა ლელამ. — იმას, რაც ახლა შენ გააკეთე, გაუფრთხილებლად რომ შემომივარდი... ჰო, რა იყო? ხდება კიდევ რომელიმე ქვეყანაში?.. ისევ პაპუასების დონეზე რომ ვართ!.. არადა, XX საუკუნეა, — მაგრად აწვებოდა მამას ლელა. — ისევ ბავშვი ხომ არა ვარ, არა?! 30 წლის ვარ და ცოტაც — მეტის. არ მინდოდა, ნიკას სცოდნოდა...

— აი, შენ რომ მამა იყო და შენი შვილი ვიღაც კაცთან იყოს ჩაკეტილი, რას იფიქრებდი? — შვილს შეეშვა და ნიკას მიუბრუნდა მურაზი.

— ჩვენ სხვა თაობა ვართ, ჩვენ სულ სხვა ფასეულობები გვაქვს... — თქვა ნიკამ.

— ბრავო, ნიკა! — ტაში დაუკრა ლელამ. — გაიგე?! — მიუბრუნდა ის მამას. წინ დიდი ჭიქა დაუდგა და ღვინით გაუვსო. — დალიე!

ლეშკაშელი იმის ჩიტი არ იყო, ვერ მიმხვდარიყო, რომ ამ ორ საპირისპირო სქესის ადამიანს შორის ყველაფერი უკვე მომთავრებული იყო. რომ ისე არ ქუხდა, როგორც წვიმდა, თუ — პირიქითო... მოკლედ, როგორც ლელა ბლანდავდა... მაგრამ რა უნდა ექნა? იმის დაშვებას, რომ ლელა კაი „ნაბურთავები“ იყო, თავს როგორ გაუმხელდა?!. ეშინოდა და მანაც ჩათრევას, ისევ ჩაყოლა ამჯობინა. მოეშვა. ჭიქა აიღო.

— უნდა მაპატიოთ! მაინც არ შემიძლია... ეტყობა, ჯიგიტი ვარ... — გამოსცალა.

— ჩემს ადგილზე ყველა იფიქრებდა, რომ ეს ამბავი ჩაწყობილია, რომ ლელამ ჩამიწყო... — თქვა მშვიდად ნიკამ.

— აი, ხედავ?! — და უეცრად ლელამ ტირილი დაიწყო. — შენ მე ყველაფერი ჩამიშალე, მამა!.. — სლუკუნებდა ქალი.

— მე არაფერი მაქვს სახვწნი ვინმესთან!.. — მკაცრად თქვა მურაზმა.

— იმიტომ, რომ შენ ყველაფერი გაქვს — ცოლიც, შვილიც, ფულიც, თანამდებობაც... — თქვა ტირილით ლელამ და დააყოლა: — და საყვარელიც... მე მაკონტროლებს, გამობმული მაქვს თეთრი ფრთები მხრებზე თუ არა...

ნიკას გაეღიმა.

— მე ვფიქრობ, რომ გაქვს ფრთები... — უთხრა მან ლელას.

ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა, რომ მურაზი დამშვიდებულიყო და ხასიათზე მოსულიყო.

— კაი, ხომ მოვიხადე ბოდიში... მოდი, ახლა დავლიოთ, — თქვა მან და თვითონ დაუსხა ღვინო ნიკას.

...კარგად გამოთვრნენ და ნიკა მურაზმა მიაცილა შინ.

— მაშ, გიჟი არ არის ეს ჩემალა?! ნამდვილი დამთხვეული, ოჟებიანი გიჟი! რა საღამო ჩამიშალა!.. — იფურთხებოდა მარტოდ დარჩენილი ლელა. — ნეტავ, რანაირად ახერხებენ ამხელა სკამებზე წამოჯდომას ამნაირი კრეტინები?!

ის, რომ ლადომ, ნიკას მიწის ხელში ჩასაგდებად უზარმაზარი ფული გადაყარა, ნიკასთვის ძნელი მისახვედრი არ იყო. მარტო თუნდაც, ლამის მთელი პარლამენტის მოსყიდვა რად ღირდა?! მაგრამ ვინ იცის, იმდენად „სამშაურინანები“ არიან ჩვენი პარლამენტარები, რომ ორი „კაპიკის“ გულისთვისაც კი, საკუთარ დედასაც სულ ადვილად გამოღადრავენ ყელს... თათიკოს საშუალებით ნიკამ ისიც გაიგო, რომ ლადო არა მარტო მის მიწას, არამედ რამდენიმე მსხვილ ქართულ კომპანიასაც „ეძიძგილავებოდა“ და თანაც, წარმატებით. მაგრამ საიდან, როგორ უნდა დაეგროვებინა ამ არცთუ ისე დიდი გაქანების კაცს ამხელა ქონება?!. ნიკას ეჭვის ჭია ღრღნიდა...

მართლა ხომ არ მომეყვანა ლელა ცოლადო?! — ფიქრობდა ნიკა. ამ სისულელეში მშვენიერი აზრი იდო: ნიკას მიწის ნაკვეთს მურაზ ლეშკაშელის ფულიანი ზურგი თუ გადაარჩენდა. ბევრი აღარც უფიქრია — ადგა და თავისი ნაფიქრნაზრევი — ანუ გადაწყვეტილება — ლელას გააცნო.

— მოაგვარო საქმეები და მერე გამცილდე, არა?! რა ჭკვიანი ხარ, ბიჭო! ბევრი ჰყავს შენს დედიკოს შენნაირი?!. — კითხვები დააყარა ლელამ. — იქნებ, მე ქალიშვილად მინდა, ჩემს მომავალ ქმარს შევასაღო თავი. მაწყობს გათხოვ-გამოთხოვება, როგორ გგონია შენ?..

ნიკა ამის შესახებ ნამდვილად არ დაფიქრებულა. ერთი კი ამოღერღა — როგორ უნდა შეასაღო თავიო?.. — და მოკეტა.

— ეგ არ არის შენი საქმე, — უპასუხა თათიკომ. — თუ გინდა, გამოგყვები, მაგრამ — სამუდამოდ... — თითქოს წამოსცდაო თათიკოს. ნიკას კი, მაინც მოხვდა გულში. ახლაღა მიხვდა, რომ ძალიან, ძალიან შორს შეუტოპავს. რომ ეს ფუმფულა, ორსახოვანი ქალი, ვინ იცის, უყვარდა კიდეც... თუმცა, ეს უცნაური აზრი თუ გრძნობა, ჯერ საკუთარი თავისთვისაც კი ვერ გაეგხილა. მაშ, რის ქართველი იყო?! ცოლის მოყვანამდე, გიყვარდეს, გიუდებიან ქალებთან ერთად ლოგინში კოტრიალზე, აი, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ კი ისველებენ, რაც არ უნდა დიდი ვაჟკაცები იყვნენ და კუნთები ბატიბუტივით „ეყაროთ“... მოკლედ, სასწრაფოდ „მობრახუნდა“ ნიკა ჭკუაზე და თათიკოს მანაც იგივე შეკითხვა დაუსვა:

— შენს დედიკოს?.. იმას არ ჰყავს სხვა შენნაირი ჭკვიანი?..

საკითხი ისევ ღიად დარჩა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

როდის ვუმკურნალოთ ჰიპერტონიას?

როგორ მივხვდეთ, საჭიროა თუ არა ჰიპერტონიის საწინააღმდეგო წამლების მიღება? გთავაზობთ ანკეტას, რომელიც შედგენილია კარდიოლოგთა მიერ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით. თქვენ უნდა უპასუხოთ კითხვებს.

გაქვთ თუ არა გადატანილი:

— ინსულტი;

— მიოკარდიუმის ინფარქტი.

გაწუხებთ თუ არა:

— სტენოკარდია;

— შაქრიანი დიაბეტი;

— ფეხების სისხლძარღვთა დაავადებები („ხანგამოშვებითი კოჭლობა“);

— აორტის ანევრიზმა;

— თირკმლების ფუნქციის დარღვევა.

ხომ არ დაგიდგინდათ:

— გულის მარცხენა პარკუჭის გადიდება;

— თვალის ფსკერის ცვლილებები;

— ცილა შარდში ან კრეატინინის დონის მატება სისხლში;

გქონდათ თუ არა ზედა (სისტოლური) წნევა 180 მმ ვწყ.სვ-ზე და ქვედა (დისტოლური) — 110 მმ.ვწყ.სვ-ზე მაღალი.

თუ ჩამოთვლილი პუნქტებიდან ერთ-ერთზე მაინც უპასუხეთ დადებითად, თქვენ გულ-სისხლძარღვთა გართულების რისკ-ჯგუფში ხართ და დაუყოვნებლივ საჭიროა მკურნალობის დაწყება.

ასეთ შემთხვევაში ანკეტის შევსების გაგრძელება საჭირო აღარ არის.

თუ ყველა პუნქტს უარყოფითად უპასუხეთ, განაგრძეთ.

აღნიშნეთ გაქვთ თუ არა შემდეგი რისკ-ფაქტორები:

— ასაკი 55 წელზე მეტი — მამაკაცებისთვის და 65 წელზე მეტი — ქალებისთვის;

— სიგარეტის მოწევა;

— ქოლესტერინის დონის მატება სისხლში (6,5 მმოლ-ლ-ზე მეტი);

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები მემკვიდრეობაში;

— სიმსუქნე;

— დაბალი ფიზიკური აქტივობა;

— ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება.

დაითვალეთ, რამდენი რისკ-ფაქტორი აღგენიშნებათ, მონახეთ ცხრილში თქვენი შესაბამისი არტერიული წნევა და დაადგინეთ, რისკის რომელ ჯგუფს მიეკუთვნებით.

თუ დაბალი რისკის ჯგუფს მიეკუთვუნებით, მკურნალობის დაუყოვნებლივ დაწყება აუცილებელი არ არის. 6-12 თვის განმავლობაში რეგულარულად იზომეთ წნევა. თუ სისტოლური წნევა კვლავ გადააჭარბებს 150-ს, დისტოლური კი 95 მმ.ვწყ-სვ-ს, მაშინ რეკომენდებულია მედიკამენტური მკურნალობის დაწყება.

საშუალო რისკის ჯგუფში მყოფი პაციენტებისთვისაც რეკომენდებულია დაკვირვება (არტერიული წნევის კონტროლი) და რისკ-ფაქტორების არამედიკამენტოზური კორექცია, 3-6 თვის განმავლობაში. თუ 6 თვის შემდეგ სისტოლური წნევა კვლავ — 140-ზე, ხოლო დისტოლური 90 მმ.ვწყ.სვ-ზე მეტია, რეკომენდებულია მკურნალობის დაწყება.

მაღალი რისკის ჯგუფის პაციენტებისთვის საჭიროა მკურნალობის დაუყოვნებლივ დაწყება.

გარდა ამისა, წამლებით მკურნალობა უნდა დავიწყოთ იმ შემთხვევაშიც, თუ პაციენტი ცუდად იტანს წნევის უმნიშვნელო მატებასაც კი.

	სისტოლური წნევა 140-159 მმ.ვწყ/სთ დისტოლური წნევა 90-99 მმ.ვწყ.სვ	სისტოლური წნევა 160-179 მმ.ვწყ.სვ ან დისტოლური 100-109 მმ.ვწყ.სვ.
რისკ-ფაქტორთა არარსებობა	დაბალი რისკი	საშუალო რისკი
1-2 რისკ-ფაქტორი	საშუალო რისკი	
3 ან მეტი რისკ-ფაქტორი	მაღალი რისკი	

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი — ახალგაზრდა კარიერისტთა გრიპი

სხვადასხვა გამოკვლევის მონაცემებით, აშშ-ში ქრონიკული დაღლილობის სინდრომით 3-დან 10 მილიონამდე ადამიანია დაავადებული. კლიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უხლოეს მომავალში ეს დაავადება მსოფლიოს მოსახლეობის 1,5%-ს ექნება.

ეს უცნაური სენი რატომღაც ძირითადად ახალგაზრდა, განათლებულ, წარმატებულ ადამიანებს ემართებათ. ქალები კი, როგორც უფრო მგრძნობიარენი, მამაკაცებზე 2-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან.

ამ დაავადების მახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ ხშირად ბანალური გრიპის მსგავსად იწყება. სწორედ ამიტომ, ბოლო დროს, მას „ახალგაზრდა კარიერისტთა გრიპი“ უწოდეს. თუმცა გრიპისგან განსხვავებით, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის დროს, სისუსტე რამდენიმე თვის, ზოგჯერ კი წლების განმავლობაში გრძელდება.

დაავადება ძირითადად ინტელიგენციის წარმომადგენლებს (ექიმებს, მასწავლებლებს, ჟურნალისტებს, შემოქმედ ადამიანებს) „ირჩევს“ ხოლმე. ნათესავები, მეგობრები და თანამშრომლები ქრონიკული დაღლილობის სინდრომით დაავადებულს, გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანად აღიქვამენ და უსაქმურად ან სიმულანტად მიიჩნევენ, რაც მას კიდევ უფრო მეტად ტანჯავს, ვიდრე თავად დაავადება.

როგორ ამოვიცნოთ ქრონიკული დაღლილობის სინდრომი? მას აქვს ძირითადი და მცირე მახასიათებელი სიმპტომები.

ქდს-ის (ქრონიკული დაღლილობის სინდრომი) ორი ძირითადი სიმპტომია:

გამუდმებული დაღლილობის შეგრძნება.

შრომისუნარიანობის მკვეთრი დაქვეითება, მალე დაღლა (დატვირთვის გარეშეც კი).

ეს სიმპტომები არანაკლებ 6 თვის განმავლობაში აღინიშნება და ექიმები ვერ პოულობენ მსგავსი მდგომარეობის გამომწვევ სხვა მიზეზს.

10 მცირე ნიშანი:

- დაავადების მწვავედ დაწყება;
- სუბფებრილური (მცირედ მომატებული) ტემპერატურა, ცხელება;
- ყელის ტკივილი ან ფხაჭნის შეგრძნება, კისრის, კეფისა და იღლიის ლიმფური კვანძების გადიდება (უმნიშვნელოდ), კუნთების სისუსტე, ცალკეული კუნთების მტკივნეულობა (მიალგია);
- სახსრების ტკივილი;
- პერიოდულად თავის ტკივილი;
- ძილის დარღვევა;
- დეპრესია;
- გულმავიწყობა;
- ინტელექტის დაქვეითება (არეული აზროვნება, კონცენტრირების უნარის დაკარგვა);
- მომატებული აგზნებადობა.

თუ ადამიანს 1-2 ძირითადი და 8 (ან 6 მაინც) მცირე სიმპტომი აღენიშნება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ეს უცნაური დაავადება აქვს. თუმცა საბოლოო დიაგნოზის დასმა ექიმ-იმუნოლოგის კომპეტენციაა.

დაავადების მიმდინარეობა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ზოგ პაციენტს უეცრად უვითარდება ალერგია ყველაფრისადმი, ზოგს — სინათლის შიში ან სხვა სახის ფობია ეწყება, ზოგსაც — თირკმლების, ღვიძლის, გულის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოთა მუშაობა ერღვევა. გაურკვეველი მიზეზით მკვეთრად იკლებს წონაში ან ეწყე-

ბა თმის ცვენა. ქრონიკული დაღლილობის სინდრომი მკვეთრად ცვლის ხასიათსაც: მხიარული, კონტაქტური ადამიანი კარჩაკეტილ ფილანტროპად იქცევა, ძლიერი და თავდაჯერებული კი — სუსტი და მერყევი ხდება.

შენიღბული დიაგნოზი

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი ადვილად შეიძლება შეგვშალოს სხვა დაავადებაში. ამიტომ დიაგნოსტიკა უნდა ეფუძნებოდეს სხვა დაავადებების, კერძოდ გრიპის შემდგომი ასთენიის, მძიმე დეპრესიის, ლეიკემიის, სოკოვანი და მიკრობული ინფექციების, გაფანტული სკლეროზის, შიდსის, ავთვისებიანი სიმსივნეების, ფიბრომიალგიების და ა.შ. გამორიცხვას. აგრეთვე აუცილებელია სერიოზული ანალიზების ჩატარება.

დიაგნოზის დასმა წარმატების მხოლოდ ნახევარია. მეორე ნახევარს კი მკურნალობის სწორად დანიშვნა მოგვიტანს. მკურნალობა არატრადიციულია: რეფლექსო და ფსიქოთერაპია, ანტიდეპრესანტების დანიშნვა მცირე დოზებით; საჭიროა ვიტამინური კომპლექსის დანიშვნაც, იმუნიტეტის კორექცია.

მთავარია, არ დავნებდეთ — ვინც მოინდომებს, აუცილებლად განიკურნება. თუმცა პათოლოგიის მკურნალობაზე უფრო იოლი პროფილაქტიკაა. სპეციალისტებმა შენიშნეს, რომ ქდს უპირატესად მათ ემართებათ, ვისაც იმუნიტეტი — დასუსტებული, ნერვული სისტემა კი გადაძაბული აქვს. ამიტომ ქდს-ს პროფილაქტიკის ყველაზე მარტივი მეთოდი გულისხმობს **იმუნური და ნერვული სისტემების გაძლიერებას:**

● ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, ნუ ჩაერთვებით კამათსა და სკანდალებში. ნუ განიცდით უსიამოვნებებს დიდხანს, ნუ მიიტანთ გულთან, ეცადეთ, მალე დაივიწყოთ. იქნებ შეძლოთ, ყველაფერს დადებითი მხარე მოუნახოთ. თუ ეცდებით, ნებისმიერი სიტუაცია შეგიძლიათ თქვენს სასარგებლოდ შემოაბრუნოთ. საჭიროა, მხოლოდ გიყვარდეთ და შეიცოდოთ საკუთარი თავი. სწორედ ეს გვაკლია ყველაზე მეტად.

● საშინაო ტანსაცმელი მსუბუქი უნდა იყოს. დროდადრო შეგიძლიათ ფეხშიშველმა იაროთ ხალიჩასა და იატაკზე. ნუ გეშინიათ სუფთა ჰაერის. საშიში მხოლოდ ორპირი

ქარია.

● გადაივლეთ გრილი წყალი, რომლის ტემპერატურასაც თანდათანობით (თითო გრადუსით) შეამცირებთ.

● ერიდეთ ვირუსებს, მაგრამ თუ გაცივდებით (მით უმეტეს, თუ გრიპი დაგემართებათ), ბოლომდე საგულდაგულოდ იმკურნალეთ.

● ყოველდღიურად 1-1,5 საათი მაინც ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. წესად გაიხადეთ დასვენების დღეების გატარება ბუნებაში, თუნდაც ახლომდებარე ტყე-პარკში. ეს თქვენს ფიზიკურსა თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება.

● დასუსტებულ იმუნურ სისტემას ჩვეულებრივი ნიორი (საკმარისია, დღეში 2 კბილი) იხსნის.

ორგანიზმს არ უნდა მოაკლოთ ვიტამინები და მინერალები. იმუნური და ნერვული სისტემებისათვის განსაკუთრებულად აუცილებელია C, P და B ჯგუფის ვიტამინები; ანტიოქსიდანტები — A და E ვიტამინები; მინერალები — კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, იოდი და ფოსფორი.

სადან გვესხმის თავს

დაავადების შესწავლა სულ 10 წლის წინ დაიწყეს. თუმცა ცნობილია, რომ ეს სენი გაცილებით უფრო ადრეც არსებობდა და რაღა თქმა უნდა, შედარებით იშვიათი იყო.

დღემდე უცნობია, რა იწვევს დაავადებას. მეცნიერთა დიდი ნაწილი დამნაშავედ ჰერპესის ვირუსს მიიჩნევს, რომელიც მისთვის ხელსაყრელ პირობებში აქტიურდება და დაავადებისადმი წინასწარგანწყობის მქონე ადამიანებში აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ქდს სხვა ვირუსების — რესპირატორული, ჩუტყვავილის, კოქსკის, რეტროვირუსის „ნახელავია“. არსებობს უამრავი გამოკვლევა, რომელიც დაავადების განვითარების ხელშემწყობ არაერთ მიზეზს ასახელებს. ზოგისთვის ეს მიზეზი სტრესია, ზოგისთვის — ცუდი ეკოლოგია თუ ვირუსული ინფექცია.

გერმანელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მათ ქვეყანაში მოსახლეობის 90% ქდს-ის პოტენციური მატარებელია, 3%-ს კი პათოლოგია ამა თუ იმ ფორმით უკვე გამოუვლინდა. რამდენი ადამიანია ავად ამ სენით საქართველოში, ჩვენთვის, რაღა თქმა უნდა, უცნობია. ამერიკაში კი უკვე არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვითაც ქდს-ს მქონე თითოეული პაციენტის სამკურნალოდ 2 ათასი დოლარი გამოიყოფა.

სხვათა შორის, არის შემთხვევები, რომ ქდს ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ უკვალოდ ქრება. ეს მათთვის, ვისაც შვებულებით ჯერ არ უსარგებლია. ■

მკურნალი ტყე

იაპონელმა მეცნიერებმა დიაბეტით დაავადებულებზე ტყის ჰაერის კეთილისმყოფელი ზეგავლენის უნარი აღმოაჩინეს. რამდენიმე სიმპოზიუმი მიეძღვნა იმ ფაქტს, რომ ტყეში სეირნობის შემდეგ დიაბეტიანთა სისხლში შაქრის დონე ნორმას უახლოვდება. მთებზე შეფენილი ტყის ჰაერში აღმოჩენილ იქნა 120 ქიმიური ელემენტი, რომელთაგან მხოლოდ 70-ის იდენტიფიცირება შეძლეს. ზოგიერთ მათგანს ნიადაგის ბაქტერიები და სოკოები გამოყოფს, მაგრამ უმრავლესობას ხეები გამოიმუშავებს. აქროლადი ორგანული ნივთიერებები ხის ფოთლებს შორის არსებულ პატარა ჯიბეებში თავსდება. იმის შესახებ, თუ რისთვის გამოყოფს ხეები ამ ნივთიერებას, არაერთი ჰიპოთეზა არსებობს. შესაძლოა, ამგვარად ხე თავისუფლდება მეტაბოლიზმის პროდუქტებისგან, რადგან მას გამომყოფი სისტემა არ გააჩნია. შესაძლოა ისიც, რომ ამ გზით იგი მწერებს აფრთხობს.

ხეების მიერ ყველაზე ხშირად გამოყოფილი ნივთიერება მონოტერპენებია. არომათერაპევტები ამტკიცებენ, რომ ფიჭვის მონოტერპენები, რომლებსაც ანტივირუსული და ანტისეპტიკური თვისებები აქვს, დადებითად მოქმედებს ასთმიანებსა და სასუნთქი გზების დავადებათა მქონე პაციენტებზე. თუმცა მტკიცე სამეცნიერო დასკვნა ამის შესახებ არ არსებობს. სამაგიეროდ, არის მონაცემები, რომ ზოგიერთი კვებითი მონოტერპენი წინ აღუდგება ონკოდაავადებების განვითარებას. მათ შეიცავს ქიმიოთერაპიული პრეპარატებიც. დიდი რაოდენობითაა ასეთი მონოტერპენები ლიმონის ქერქში.

ხეების მიერ გამოტყორცნილი მოლეკულები ჰაერთან ერთად ჩვენს ფილტვებსა და შემდეგ სისხლში აღწევს. ასე რომ, ტყეში სეირნობისას იგი ჩვენი სხეულის ნაწილი ხდება. ტყეზე ზრუნვა კი იმას ნიშნავს, რომ კი საკუთარ თავზე ვზრუნავთ. ■

მსოფლიოს მეორე საოცრება: გული _ მარჯვნივ, ბრმა ნაწლავი _ მარცხნივ!

თბილისში ცხოვრობს უცნაური ადამიანი, რომლის სხეულში ორგანოებს საპირისპირო განლაგება აქვს: გული — მარჯვენა მხარეს, თანაც — ერთსარქვლიანი, ღვიძლი — მარცხნივ, ელენთა — მარჯვნივ, ბრმა ნაწლავი კი — მარცხნივ. როცა დაიბადა, ექიმები მასზე ცდების ჩატარებას და მის კოლბაში ჩასმას აპირებდნენ, მაგრამ აგერ უკვე 40 წელია, დედამიწაზე დააბიჯებს. თუმცა უნაკლო ჯანმრთელობით ვერ დაიკვეხნის. „მე ის კაცი ვარ, რომელსაც 40 სახის დაავადება მაინც აწუხებს, ექიმები კი ამის მიზეზს ვერ ადგენენ“, — მითხრა გოჩა ბექაურმა.

_ მარეხ ჭონიშვილი

— 1966 წელს ლურჯი ასფიქსიით დავიბადე. მშობლებისთვის პირველი შვილი ვიყავი და დიდი სიხარულით ელოდნენ ჩემს დაბადებას, მაგრამ ექიმებმა მათ სამწუხარო ამბავი შეატყობინეს: ვერ გადარჩება და საავადმყოფოში დატოვეთო... კოლბაში ჩასმა და ჩემზე ცდების ჩატარება უნდოდათ, მაგრამ მშობლებმა საავადმყოფოდან გამომაპარეს. განსაკუთრებით ბებია ზრუნავდა ჩემზე. მიუხედავად ექიმების პესიმიზმისა (დიდხანს ვერ იცოცხლებსო, ამბობდნენ), თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ. მყავს მეუღლე და 21 წლის ბიჭი.

— როგორ მიხვდნენ ექიმები, რომ ორგანოები საპირისპირო მხარეს გქონდათ განლაგებული?

— სილურჯე გულის მანკის ნიშანი რომ იყო, მიხვდნენ და გამომიკვლიეს. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა საავადმყოფოში მაქვს მკურნალობა ჩატარებული. 6 წლის ასაკამდე თითქმის ყოველთვის, მაღალი სიცხე მქონდა. გლანდები მაწუხებდა, მაგრამ ოპერაციის გაკეთების ყველას ეშინოდა, ეგონათ, რომ გულით ავადმყოფი ამას ვერ გადავიტანდი. მხოლოდ თბილისში გარისკეს და ოპერაცია გამიკეთეს. ძლიერი სისხლდენა მქონდა და ძლივს გადამარჩინეს.

— გამოკვლევის შედეგად რა დაგიდგინეს? რა არის თქვენს სხეულში ორგანოების გადაადგილების მიზეზი?

— მთელი ცხოვრება, წელიწადში 6-8 თვე, საავადმყოფოში ვწევარ. ბევრი რამ გაურკვეველი რჩება. ის, რომ ორგანოები საპირისპირო მხარეს მაქვს განლაგებული, ექიმების მიერ დადასტურებულია და ამბობენ — მსოფლიოს მე-8 საოცრება ხარო... ორი წლის განმავლობაში, ორმოცი გრადუსი სიცხე მქონდა. ვერაფერი გამიგეს. ბატონმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა კი, 2 კვირაში ფეხზე დამაყენა. სეფსისის ცენტრში ყოველთვის თამამად შემიძლია მისვლა, რადგან ვიცი, რომ სათანადო დახმარებას აღმომიჩენენ. ერთხელ ამ კლინიკაში გულის კუნთის ანთების დიაგნოზით დამაწვინეს, დღეში ანტიბიოტიკის 12 ნემსს მიკეთებდნენ. წესით, ასეთ დოზას ორგანიზმში ყველა ბაცილა უნდა მოეკლა. 6 წლის მანძილზე მართლაც, უკეთ ვიყავი... მედიცინა უკვე ისე მაქვს შესწავლილი, თავი უდიპლომო ექიმი მგონია. როცა ავად ვარ და „სასწრაფოს“ ვიძახებ, ზოგჯერ გულზე მარცხნივ მისმენენ და მეუბნებიან: ყველაფერი კარგადაა. ამიტომ მათი არ მჯერა. ექიმს

ჩემს მდგომარეობას არასდროს ვუმხელ და ამით ვხვდები — პროფესიონალია ის თუ არა...

— ხშირად ცდებიან ხოლმე?

— კი, ძალიან ხშირად ცდებიან. როდესაც ექიმი გულზე მარცხენა მხარეს მისმენს და მეუბნება: ყველაფერი კარგადაა, მას როგორ უნდა ვენდო?! ექიმებს უნდოდათ, გულის ოპერაცია გაეკეთებინათ, მაგრამ ვერ ბედავენ. თუმცა, რომც გაბედონ, მე მაინც უარს ვიტყვი, რადგან ჩემი ორგანოები ერთმანეთზეა აწყობილი და ვიცი, ცვლილებებს ვერ შეეგუება.

— თქვენი მსგავსი ადამიანის შესახებ თუ გსმენიათ რაიმე?

— ასეთი მხოლოდ მე ვარ, არიან ადამიანები, რომლებსაც გული მარჯვენა მხარეს აქვთ, დანარჩენი ორგანოები კი — ჩვეულებრივად აქვთ განლაგებული. ჩემი სიცოცხლე ბევრჯერ ეკიდა ბეწვზე. 1993 წელს, პოლიციამ ამიყვანა და სასტიკად მცემა, იმიტომ, რომ ნარკომანი ვეგონე, რადგან ტუჩებზე სილურჯე მაქვს. ისე მცემეს, 6 თვე უგონოდ ვიყავი, ცნობიერება მქონდა დაკარგული... თირკმელი ამომაჭრეს, თავის ტვინში კი — აბსცესი ჩამომიყალიბდა. მაგრამ სასწაული მოხდა, ღმერთმა გადამარჩინა. ყოველთვის ვამბობ, რომ ღმერთის შვილი ვარ და რაც არ უნდა მძიმე მდგომარეობაში ვიყო, უფალი არ გამწირავს...

ერთი-ერთი მძიმე მდგომარეობის დროს, როდესაც საავადმყოფოში დააწვინეს, გოჩამ მომავალი მეუღლე — ფატი გაიცნო. ფატი ამავე საავადმყოფოში მეგობარს ახლდა და როდესაც გაიგო ამ უცნაური ადამიანის შესახებ, დაინტერესდა და მისი მონახულება მოინდომა. გოჩამ ფატი რომ დაინახა, მისი სილამაზით მოიხიბლა, შეუყვარდა და მოიტაცა კიდეც.

— იცოდით გოჩას მძიმე მდგომარეობა და მაინც გაჰყევით?

ფატი:

— როგორც გოჩას, ისე მეც, ძალიან მწამს ღმერთის და მჯერა ბედისწერის. ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო — გოჩას ცოლად უნდა გავყოლოდი... რაც შეეხება მის უიმედო მდგომარეობას, — წინასწარ ვიცოდი. ექიმები ამბობდნენ — ცოცხალი რომ არის, ეს წარმოუდგენელიაო... იმასაც ვხვდებოდი, რომ დიდ რისკზე მივდიოდი, მაგრამ როცა გოჩას ჩემდამი გრძნობა გაუჩნდა, მივხვდი, რომ ვჭირდებოდი და ეს ნაბიჯი გადავდგი... მომავალი შვილის გამო ძალიან ვნერვიულობდით, მაგრამ როდესაც ჩვენი ბიჭი სრულიად ჯანმრთელი დაიბადა, ორივენი სიხარულისგან ვტიროდით.

— როგორია გოჩა ოჯახში? ხშირად წუწუნებს თავისი ავადმყოფობის გამო?

— არა, გოჩა არ გვაწუხებს თავისი ავადმყოფობით. ცუდად რომ გახდება, იცის, როგორ მოიქცეს. მეც შეჩვეული ვარ მის ავადმყოფობას. თუმცა, ბევრჯერ ყოფილა ისეთ მდგომარეობაში, რომ გვეგონა, ველარ გადარჩებოდა. ყველაფერს ჭამს, დიეტაც არასოდეს დაუცავს. ყველანაირ ალკოჰოლურ სასმელს სვამს.

იმის გასარკვევად, თუ რა არის მიზეზი გოჩას სხეულში ორგანოების გადაადგილებისა, სეფსისის ცენტრში მის

გაგრძელება გვ. 69

შეყვარებულმა თანაკლასელმა ნინი შერმადინს სიყვარული ლექსით აუხსნა

მომღერალს შავგვრემანი ბიჭები მოსწონს

„პაემანი არასოდეს მქონია. რატომღაც, არ მიყვარს, როცა მამაკაცთან შეხვედრას წინასწარ ვგეგმავ“, — ამბობს ნინი შერმადინი. მისი აზრით, ბიჭს თავი უნდა მოაწონო ისეთმა, როგორიც ხარ...

ეკა მინდაძე

— ბავშვობაში ძალიან ბევრ ბიჭს ვუყვარდი, მაგრამ მე მათ ყურადღებას არ ვაქცევდი. ძალიან ამპარტავანი ვიყავი. სხვათა შორის, როგორც ყველა გოგოს, მეც მომწონდა, ბევრ ბიჭს რომ ვუყვარდი. მაგრამ ამას არასოდეს ვიმჩნევდი. არ ვიცი, რატომ — როგორც კი რომელიმე ბიჭზე შევიტყობდი, რომ მოვწონდი, მაშინვე ვებუტებოდი. მახსოვს, ამის გამო, ბევრ ბიჭს უტირია კიდეც.

— სასიყვარულო ბარათი ან ლექსი თუ მოუძღვნია შენთვის ვინმეს?

— კი, როგორ არა?! ბავშვობაში ბებიასთან ვიზრდებოდი, ყვარელში და მესამე კლასამდე, სკოლაშიც იქ ვსწავლობდი. ერთ მშვენიერ დღეს, მერხის იმ მხარეს, სადაც მე ვიჯექი, დიდი ასოებით დაწერილი ლექსი დამხვდა: „ნინო!

მე შენ მიყვარხარ, როგორც მაწონი,
მე შენს სიყვარულს ვეღარ ავწონი,
შენ მანქანა ხარ, მე კი — „მატორი“,
სიყვარულია აკუმულატორი“.

ამის გამო, მთელი კლასი დავცინოდით იმას, რომელმაც ეს ლექსი დაწერა. საოცარი ის იყო, რომ არავინ იცოდა, რომელმა ჩემმა კლასელმა ბიჭმა ჩაიდინა ეს. აი, ასეთი სიყვარულიც არსებობს.

— მერე, შენზე მალულად შეყვარებულს არაფერი მისწერე იქვე?

— არა, პირიქით. წავიკითხე თუ არა, მაშინვე დავიყვირე — დებილია, ვინც ეს ლექსი დაწერა და მერხი გამიფუჭა-მეთქი.

— საპირისპირო სქესით პირველად როდის დინტერესდი?

— შარშან. ალბათ ძალიან გიკვირს, მაგრამ ეს სიმართლეა. მანამდე ამ საკითხს არასერიოზულად ვუდგებოდი.

— ნინ, წიგნის ან ფილმის გმირი თუ გყვარებია?

— რა თქმა უნდა. დღემდე ვგიჟდები, ისე მიყვარს მსახიობი ბრედ პიტის მიერ განსახიერებული ადამიანები, ხოლო ლიტერატურული გმირებიდან — გრაფი მონტე-კრისტო.

— პირველი პაემნისთვის როგორ ემზადებოდი?

— მართალი გითხრა, პაემანი არც მქონია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ შეხვედრას წინასწარ არ ვგეგმავ.

— მამაკაცში პირველად რას აკვირდები?

— მეტყველებას.

— მაინც როგორი მამაკაცები მოგწონს?

— ძალიან მომწონს შავგვრემანი მამაკაცები. არ მიყვარს ქერა ტიპები, მიუხედავად იმისა, რომ ბრედ პიტზე ვგიჟდები. ჩემი რჩეული აუცილებლად განათლებული და ყურადღებიანი უნდა იყოს.

— მამაკაცში რას ვერ იტან?

— ვერ ვიტან უსაქმურ და უზრდელ ბიჭებს.

— გამოდის, რომ ადვილად შესაბმელი არ ხარ...

— არა, ნამდვილად. მით უმეტეს, თუ ვხედავ, რომ ვინმე ჩემს შუბმას ცდილობს, მასთან არანაირ ურთიერთობას არ ვიჭერ.

— მატერიალურ მხარეს თუ აქცევ ყურადღებას?

— რა თქმა უნდა, არა. ადამიანის შეფასება მატერიალური მდგომარეობის მიხედვით ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. პირადად ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს სიმდიდრეს. თუმცა, არც იმის მომხრე ვარ, რომ ოჯახი ქალმა არჩინოს.

— თუ გაჰყვებოდი ცოლად ასაკით შენზე უმცროსს ან პირიქით — გაცილებით უფროსს? თუ ანიჭებ მნიშვნელობას წლებს?

— რა თქმა უნდა. ჩემთვის ერთ წელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება, 35-40 წლის მანდილოსნებისთვის ასაკს მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ პირადად მე, ჩემზე თუნდაც ერთი წლით უმცროს ბიჭს პარტნიორად ვერ აღვიქვამ, ბევრად დიდს კი, „თქვენობით“ ველაპარაკები. რა ვქნა, ასეთი ვარ.

— მამაკაცმა, რომელიც გიყვარს, არჩევანის წინაშე რომ დაგაყენოს — ოჯახი ან კარიერაო, — რომელს დათმობ?

— გარემოებებს გაჩნია: თუ ძალიან მეყვარება, შეიძლება დავთმო კიდეც კარიერა. თუმცა, არა მგონია, ისეთი ადამიანი შემიყვარდეს, რომელსაც ჩემი პროფესია არ მოეწონება. თუ მას მართლა ვეყვარები, ისიც უნდა ესმოდეს, რომ სიმღერა ჩემი ცხოვრების ნაწილია და არავის აქვს უფლება, საყვარელ საქმეს მომწყვიტოს.

— ამჟამად თუ გყავს შეყვარებული?

— კი, მაგრამ მის ვინაობას ვერ გაგიმხელ. ერთს კი ვიტყვი: ის მუსიკის სფეროში არ საქმიანობს.

— ყველაზე მეტად შენ რომელი სიმღერა უყვარს?

— ძალიან უყვარს „არასოდეს შემიყვარდები“.

— სცენაზე გამოსვლისას შენი თაყვანისმცემლის დარბაზში ყოფნას ხომ არ შეუშლია შენთვის ხელი?

— არა, პირიქით.

— სასიყვარულო ურთიერთობებში რომ გაერკვე, რჩევებს ვის ეკითხები ხოლმე?

— დედიკოს.

— რა არის ქართველი მამაკაცის ძირითადი ნაკლი?

— საერთოდ, ქართველი მამაკაცების უმრავლესობა ზედმეტად მომთხოვნი და აზიატია. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე არ ვამბობ. საბედნიეროდ, პირადად მე, ამგვარი პრობლემები არა მაქვს. მყავს ორი ძმა და ვიცი მათი დამოკიდებულება ქალის მიმართ. მათგან ბევრჯერ მსმენია: „ეს არ ჩაიცვა, იმიტომ, რომ მე არ მომწონს; სიგარეტს ნუ ეწევი; ეს პომადა არ გიხდება, იმიტომ, რომ ძალიან გამომწვევია; არ წახვალ მეგობრებთან უჩემოდ“, — და ასე შემდეგ. ბიჭის ფსიქოლოგია მაინც სხვანაირია.

— ოდესმე შეყვარებულს თუ მიუტოვებიხარ?

— კი, მაგრამ ვფიქრობ, ამის გამო ნერვიულობა არ ღირს. ვინ იცის, იქნებ კარგიც იყო ჩვენი ურთიერთობისათვის დროზე წერტილის დასმა.

— ბედისწერის გჯერა?

— რა თქმა უნდა. რაც მოსახდენია, აუცილებლად მოხდება.

— ერთი ნახვით შეყვარების გჯერა?

— კი. სხვათა შორის, ამის იქამდე არ მჯეროდა, სანამ მე თვითონ არ შემემთხვა.

— განსაკუთრებულად ემზადები ხოლმე შეყვარებულთან შესახვედრად?

— არა. ჩვეულებრივად, ამოვიცვამ ჯინსს, გადავიცვამ მაისურს, წავისვამ „რუმიანას“, დავისხამ სუნამოს და — მორჩა. აი, ეს არის ჩემი მომზადება. არ მიყვარს გადაპრანჭული სიარული. ბუნებრიობას რა სჯობია?!—

— დაბოლოს, რას ურჩევდი გოგონებს, რომლებიც პირველად აპირებენ პაემანზე წასვლას?

— იყავით ბუნებრივები. გირჩევთ, ბიჭს თავი მოაწონოთ ისეთმა, როგორიც ხართ. ■

«ჩელსი» — ლონდონელი არისტოკრატები

ალექსი რეხვიაშვილი

დაარსების თარიღი: 1905 წლის 14 მარტი

მისამართი: საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“, ulham Road London, შ4ბ 1ს

პირველი მთავარი მწვრთნელი: ჯონ რობერტსონი (1905-1906)

ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი: ჟოზე მოურინიო (2004 წლიდან)

ტიტულები:

ინგლისის ჩემპიონი — 1955, 2005, 2006

ინგლისის თასის მფლობელი — 1970, 1997, 2000

ლიგის თასის მფლობელი — 1965, 1998, 2005

Charity Shield-ის გამარჯვებული — 1956, 2000

თასების მფლობელთა თასის მფლობელი — 1971, 1998

ევროპის სუპერთასის მფლობელი — 1998

ZDS-ის თასის მფლობელი — 1986, 1990

ინგლისის ახალგაზრდული თასის მფლობელი — 1960, 1961

ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება: 13:0 „ჟენეს ოტჩარაჯზე“, 1971 წლის 29 სექტემბერს

ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხი: 1:9 „ვულვერჰემპტონთან,“ 1953 წლის 26 სექტემბერს

სტადიონი: „ჩელსის“ საშინაო არენა, „სტემფორდ ბრიჯი“ (Stamford Bridge) ოფიციალურად 1877 წლის 28 აპრილს გაიხსნა. პირველი 28 წლის განმავლობაში მას ლონდონის სპორტული კლუბი მძლეოსნობის შეჯიბრებების ჩასატარებლად იყენებდა და საფეხბურთო მატჩები ფაქტობრივად, არ იმართებოდა. 1904 წელს სტადიონის მეპატრონეები — ძმები, ეიჩ ა (გას) და ჯეი ტი მისრები გახდნენ, რომლებმაც მიწის დამატებითი ნაკვეთიც შეიძინეს იმისთვის, რათა 5 ჰა ფართობზე საფეხბურთო კომპლექსი აეშენებინათ. თავდაპირველად სტადიონი კლუბ „ფულემს“ შესთავაზეს, მაგრამ მისმა ხელმძღვანელობამ ამ წინადადებაზე უარი თქვა. ამის შედეგად, 1905 წელს „სტემფორდ ბრიჯზე“ ახალდაარსებული „ჩელსი“ დამკვიდრდა.

ლონდონური კლუბის საშინაო არენა არქიტექტორმა არჩიბალდ ლეიტჩმა დააპროექტა. თავიდან ის აღმოსავლეთ მხარეს განთავსებული 110 მეტრი ტრიბუნისაგან შედგებოდა, რომელიც 5000 მაყურებელს იტევდა. დანარჩენი ტრიბუნები მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შემდეგ გაიხსნა.

სტადიონის სახელწოდებას უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე თვით არენას. შეიძლება ითქვას, რომ ეს სახელი სტადიონს სრულიად შემთხვევით შეარქვეს. XV საუკუნის რუკაზე, იმ ადგილას, სადაც ამჟამად „ჩელსის“ საშინაო არენა მდებარეობს, სტემფორდის სახელწოდების პატარა მდინარეა აღნიშნული, რომელიც ტემზაში ჩადის. ამ მდინარისა და ფულემის გზის გადაკვეთა თავდაპირველად „სანფორდ ბრიჯად“ („ქვიშის ფონი“) იწოდებოდა. ხოლო კინგზ როუდის რაიონში მდინარეზე გადებულ ხიდს — „სტენბრიჯი“ („ქვის ხიდი“) ერქვა. ვარაუდობენ, რომ ამ ორი სახელწოდების ერთმანეთთან კომბინაციის შედეგად წარმოიქმნა დასახელება „სტენფორდ ბრიჯი“, რომელიც დროთა განმავლობაში „სტემფორდ ბრიჯად“ გადაკეთდა.

როდესაც გასული საუკუნის 70-იან წლებში „ჩელსი“ გაკოტრდა, მისმა მფლობელებმა „სტემფორდ ბრიჯის“, სამშენებლო კომპანიისთვის მიყიდვის გადაწყვეტილება მიიღეს, რათა ვალები დაეფარათ. ამის შედეგად, გუნდმა საშინაო არენა დაკარგა და „ფულემთან“ და „კვინს პარკ რეინჯერსთან“ ერთად დაიწყო ვარჯიში. ცნობილი სტადიონის ადგილზე კი, მაღაზიები ან საცხოვრებელი სახლები უნდა აეშენებინათ. ერთი სიტყვით, დადგა დრო, როდესაც კლუბის პრეზიდენტმა კენ ბეიტსიმ „სტემფორდ ბრიჯის“ დასაბრუნებლად, სამშენებლო კომპანიასთან ბრძოლა წამოიწყო, რაც მთელი 10 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და 1992 წელს წარმატებით დაგვირგვინდა. თანაც, ბედის ირონიით, „ჩელსიმ“ მშობლიური არენა სამშენებლო კომპანიის გაკოტრების შედეგად დაიბრუნა.

სტადიონის აღდგენა ჩრდილოეთ ტრიბუნის რეკონსტრუქციით დაიწყო: ძველის ნაცვლად, ახალი ტრიბუნა აღმართეს, რომელსაც ვერტმფრენის კატასტროფის შედეგად დაღუპული კლუბის დირექტორის, მეთიუ ჰატდინგის სახელი უწოდეს. სხვათა შორის, ეს ტრიბუნა „ჩელსის“ ყველაზე ხმაურიანი ქომაგებისთვისაა განკუთვნილი.

ამჟამად „სტემფორდ ბრიჯზე“ 42449 მაყურებელი ეტევა. მისი ფორმა ოვალურიდან სწორკუთხა ტრიბუნებად გარდაიქმნა, რომლებიც მაქსიმალურადაა მინდორთან მიახლოებული. „სტემფორდი“ ლონდონში ყველაზე დიდი, ხოლო მთელი ბრიტანეთის მასშტაბით, ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონია. მშენებლობა არა მარტო სტადიონზე, არამედ „ჩელსის“ მთელ სპორტულ კომპლექსში (5 ჰექტარი) მიმდინარეობდა. საკლუბო კომპლექსში 2 ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო, 5 რესტორანი, საკონფერენციო და საბანკეტო დარბაზები, ღამის კლუბი, მიწისქვეშა ავტოსადგომი, სპორტკლუბი, სტუმართათვის განკუთვნილი გასართობი დაწესებულება და ბიზნესცენტრი შედის.

ლონდონის „ჩელსი“ ნამდვილად არ მიეკუთვნება ევროპულ საფეხბურთო საკლუბო გრანდთა კატეგორიას, რადგან თავისი ისტორიის განმავლობაში კლუბს ძალზე მოკრძალებული მიღწევები აქვს. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში „არისტოკრატებად“ წოდებულმა გუნდმა მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობა მოიპოვა, რაც უპირველეს ყოვლისა, მისი მფლობელის, რომან აბრამოვიჩისა და მთავარი მწვრთნელის, ჟოზე მოურინიოს დამსახურებაა.

ლონდონის „ჩელსი“ 1905 წლის 14 მარტს, პაბში — „რაიზინგ სან“ (ამჟამად ამ პაბს „გრინ რუმი“ ჰქვია და იგი ფულემ როუდზე მდებარე სპორტული კომპლექსის მთავარი შესასვლელის მოპირდაპირე მხარესაა განთავსებული) დაარსდა. უკვე იმავე წლის 29 მაისს გუნდი ინგლისის მეორე დივიზიონში მიიღეს. პირველი მატჩი კი, „არისტოკრატებმა“ სტოუკპორტის მხარეში გამართეს.

საშინაო არენაზე „ჩელსი“ ათწლეულების განმავლობაში ვერ აღწევდა წარმატებას. ინგლისის ჩემპიონის ტიტულს პირველად 1954-1955 წლების სეზონში დაეუფლა — დაარსებიდან 50 წლისთავზე. 1952 წელს ლონდონურ გუნდს ტედ დრეიკი ჩაუდგა სათავეში. ის წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გახლდათ, ორგანიზატორობის დიდი ნიჭით გამოირჩეოდა და კლუბში დისციპლინას დიდ ყურადღებას აქცევდა. დრეიკმა კარდინალური ცვლილებები საკლუბო საქმიანობის ყველა სფეროში შეიტანა. აღსანიშნავია, რომ „ჩელსიში“ მის მისვლამდე, გუნდმა მე-19 ადგილზე დაასრულა სეზონი. 1952-1953 წლების სეზონშიც „არისტოკრატები“ ძლივს გადაურჩნენ ინგლისის პრემიერ-ლიგიდან გავარდნას. შემდგომში კი, გუნდის პროგრესი თანდათან თვალში საცემი ხდებოდა. დრეიკს ფეხბურთელებთან


მიხაელ ბალაკი

მიდგომის თავისებური მეთოდი ჰქონდა. მან მინიმალური დანახარჯებით, რამდენიმე მოთამაშე შეიძინა ქვედა დივიზიონებში. მომდევნო სეზონი „ჩელსიმ“ უკვე მერვე ადგილზე დაასრულა.

1954-1955 წლების სეზონის პირველი ნახევარი ლონდონელთათვის არცთუ ისე სახარბიელოდ მიმდინარეობდა: ლურჯმაისურიანები ნოემბერში მხოლოდ მე-12 ადგილზე იმყოფებოდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საჩემპიონო მარათონიდანაც გამოთიშულები იყვნენ. მიუხედავად ამისა, სეზონის მეორე ნახევარი „ჩელსიმ“ ძალზე წარმატებულად დაიწყო, ზედიზედ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და მარტისთვის, პრემიერლიგის სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა.

გადამწყვეტი აღმოჩნდა 9 აპრილს 75000 მაყურებლის თანდასწრებით გამართული პაექრობა, რომელშიც „არისტოკრატთა“ მეტოქე „ვულვერჰემპტონი“ იყო. პიტერ სილეტის მიერ გატანილი პენალტის წყალობით ლურჯმაისურიანების გამარჯვება იმას ნიშნავდა, რომ 1954-1955 წლების სეზონში ისინი ჩემპიონის ტიტულს აღარავის დაუთმობდნენ. 1955 წლის 23 აპრილს, „შეფილდ უენსდეისთან“ ჩატარებული შეხვედრის ბოლოს კი, „ჩელსის“ გახარებულმა წარმომადგენლებმა პრემიერლიგის გამარჯვებულისთვის დაწესებული სანუკვარი თასი აღმართეს. „არისტოკრატებმა“ 81 გოლი გაიტანეს, 57 გაუშვეს და თავიანთ უახლოეს მდევარ „ვულვერჰემპტონს“ 4 ქულით გაუსწრეს. დღევანდელი სტანდარტებით კლუბმა ძალიან მოკრძალებულად იზეიმა ინგლისის ჩემპიონის ტიტულის პირველად დაუფლება. აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ლონდონელებს კიდევ 50 წელი დასჭირდებოდათ, პრემიერლიგაში გამარჯვების მისაღწევად?!

ანდრეი შევჩენკო

იმდროინდელი გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი და კაპიტანი როი ბენტლი კლუბისთვის ნამდვილ ლეგენდად ითვლება, ისევე, როგორც ფრენკ ბლანსტოუნი, პიტერ სილეტი და სხვა მოთამაშეები.

ცნობილ ევროპულ საკლუბო გრანდებთან შედარებით, მოკრძალებულია „ჩელსის“ მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზეც. „ბებერი კონტინენტის“ მასშტაბით, „არისტოკრატებმა“ ორჯერ — 1971 და 1998 წლებში შეძლეს თასების მფლობელთა თასის მოგება. 1971 წელს ლონდონელების (გუნდს დეივ სეკსტონი წვრთნიდა) მეტოქე ფინალში თვით მადრიდის „რეალი“ გახლდათ. შეხვედრა 1:1 დასრულდა, პლეიოფში კი, „ჩელსიმ“ 2:1 იმარჯვა.

რაც შეეხება თასების მფლობელთა თასის მეორედ მოგებას 1998 წლის 13 მაისს, „შტუტგარტთან“ გამართულ ფინალურ მატჩში, — „ჩელსიმ“ 71-ე წუთზე შეცვლაზე შესული ჯანფრანკო ძოლას მიერ გატანილი გოლის წყალობით გაიმარჯვა. მანამდე, ლურჯმაისურიანებმა ბრატისლავის „სლოვანი“, ნორვეგიული „ტრომსო“, ესპანური „ბეტისი“ და იტალიური „ვიჩენცა“ ჩამოიცილეს გზიდან. იმავე წელს, ევროპის სუპერთასიც დაისაკუთრეს. იმხანად, გუნდს რუუდ გულიტი წვრთნიდა, ხოლო მის შემადგენლობაში ისეთი დიდოსტატები თამაშობდნენ, როგორებიც იყვნენ: ლებეფი, ვიალი, ფლო, ძოლა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟოზე მოურინიოს თაოსნობით, ბოლო წლებში „ჩელსიმ“ საფეხბურთო სამყაროში კვლავ აიმაღლა ავტორიტეტი. 2005 და 2006 წლებში გუნდმა არავის დაუთმო პირველობა ინგლისის პრემიერლიგაში. მაგრამ მისთვის კვლავ განუხორციელებელ ოცნებად რჩება ჩემპიონთა ლიგის მოგება. მოგეხსენებათ, 2004-2005 წლების სეზონში, ლონდონელები ნახევარფინალურ ორმატჩიან პაექრობაში „ლივერპულთან“ დამარცხდნენ, რომელიც შემდეგ, თასსაც დაეუფლა. წელს კი, „მოურინიო და კომპანია“ მეოთხედფინალში „ბარსელონასთან“ ორთაბრძოლისას გამოეთიშა ასპარეზობას.

ამჟამინდელ „ჩელსიში“ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები ასპარეზობენ, როგორებიც არიან: პეტრ ჩეხი, ჯონ ტერი, ჯო კოული, მაიკლ ესიენი, ფრენკ ლამპარდი, დიდიე დროგბა. გასულ ზაფხულს „ჩელსის“ ხელმძღვანელობა ახალი ვარსკვლავებით გუნდის გაძლიერებას შეუდგა: მისი რიგები მსოფლიო ფეხბურთის კიდევ ორმა დიდოსტატმა — ანდრეი შევჩენკომ და მიხაელ ბალაკმა შეავსეს. გარდა ამისა, „არისტოკრატებმა“ ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშე, ჯონ ობი მიკელიც დაიმატეს. შეიძლება ითქვას, რომ ჟოზე მოურინიოს კოლეგები შურით უნდა ადევნებდნენ თვალს ლონდონურ კლუბში მიმდინარე პრობლემებს. მიუხედავად ამისა, ფეხბურთის სპეციალისტები და მიმომხილველები მაინც სვამენ შეკითხვას: შეძლებს თუ არა ბოლო წლების ყველაზე წარმატებული მწვრთნელი თავისი სუპერვარსკვლავების მონოლითურ მებრძოლ გუნდად გაერთიანებასა და კვლავ წარმატებების მიღწევას?.. და კიდევ — შეძლებს თუ არა პორტუგალიელი სპეციალისტი „ჩელსის“ ქომაგებისთვის სანახაობრივი ფეხბურთის შეთავაზებას და შედეგების მიღწევას მეტოქეთა ყოველმხრივი დაჯაბნით?..

როგორც ჩანს, „ჩელსის“ სუსტი სტარტი პრემიერლიგაში სწორედ საზაფხულო სატრანსფერო კომპანიას და შეძენილი მოთამაშეების არასაკმარის ადაპტაციას მოჰყვა. ეს ყველაზე თვალში საცემი იყო „მიდლსბროსთან“ შეხვედრისას, როდესაც გუნდი ფაქტობრივად, ბოლო 10 წუთის განმავლობაში დაიშალა.

მატჩის შემდეგ, „მიდლსბროს“ გოლკიპერმა მარკ შვარცერმა „ჩელსის“ ფეხბურთელები იმაში დაადანაშაულა, რომ მათ მარცხის ღირსეულად აღიარება არ შეუძლიათ: „ეს ერთადერთი გუნდია მათ შორის, ვისაც ჩვენ შევხვედრივართ და რომლის ფეხბურთელებიც წაგების შემდეგ ისე გარბიან მოედნიდან, რომ მეტოქეს არ ემშვიდობებიან. მათ მეტისმეტად გამაღიზიანეს. ვფიქრობ, ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციონ: ამგვარი ქცევა კლასის მაჩვენებელი ნამდვილად არ არის. ვარსკვლავებით დაკომპლექტებული ჩემპიონებისგან უფრო მეტს მოველოდით“.

ჟოზე მოურინიო კი, თავის ფეხბურთელებს გამოესარჩლა: „ფეხბურთში დიდ მოთამაშეებსაც ისევე უძნელდებათ მატჩების წაგება, როგორც ნაკლებად ცნობილებს — მოგება. როდესაც გამარჯვებებს ხარ მიჩვეული და უეცრად მარცხს განიცდი, ასეთ სიტუაციაში თავის დაჭერა უნდა შეგეძლოს. დამერწმუნეთ, ჩემს ფეხბურთელებს ეს შეუძლიათ“. ისე კი, მწვრთნელი შეხვედრის შემდეგ ფეხბურთელთა ქცევას ნამდვილად არ გაუღიზიანებია, იგი სულ სხვა რამის გამო იყო აღშფოთებული: „პირადად მე იმედგაცრუებული ვარ. სამწვრთნელო საქმიანობით 5-6-7 წელი გახლავართ დაკავებული და შემიძლია განვაცხადო: ეს, ჟოზე მოურინიოს გუნდი არ არის“.

პორტუგალიელის გამონათქვამი არაერთგვანოვნად აღიქვა საფეხბურთო სამყარომ. ერთი მხრივ, ის შეიძლება, თავისი ფეხბურთელების თამაშით იყო უკმაყოფილო. მეორე მხრივ, შესაძლოა, მოურინიოს კომენტარი იმაზე მიუთითებს, რომ „ჩელსის“ შემადგენლობის დაკომპლექტებით გასულ ზაფხულს არა მწვრთნელი, არამედ „ვინმე სხვა“ იყო დაკავებული. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ შევჩენკოსა და ბალაკის შეძენა იმ არჩევანს არ ჰგავდა, რომელსაც მოურინიო გააკეთებდა. გა-

ვიხსენოთ თუნდაც, ადრე შეძენილი დიდიე დროგბა ან მაიკლ ესიენი.

გუნდში ფრანკ არნესენის გამოჩენამ (რომელიც ახალგაზრდებთან იმუშავებს), აგრეთვე, ნიჭიერი ფეხბურთელების — ჯონ ობი მიკელისა და სალომონ კალუს შეძენამ კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვი იმის შესახებ, თუ ვინ განსაზღვრავს კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას და ვინ ადგენს ახალბედათა კანდიდატურებს. შეიძლება, ეს ფეხბურთელები მწვრთნელს „ზემოდან“ მოახვიეს თავზე (ხელმძღვანელობაზე წუწუნს კი არც ერთი მწვრთნელი არ მოჰყვება)? ან კიდევ, უნდა ვივარაუდოთ, რომ გასულ ზაფხულს მოურინიოს სატრანსფერო კონცეფციამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა.

ბოლო ორი სეზონი „ჩელსისთვის“ უდავოდ წარმატებული იყო, მაგრამ სამწუხაროდ, გუნდის თამაშს „მოსაწყენსაც“ ხშირად უწოდებენ. რა თქმა უნდა, ლონდონელები ადრე, შედარებით შთამბეჭდავად ასპარეზობდნენ — მაგალითად, გავიხსენოთ მოურინიოს სადებიუტო სეზონი „ჩელსიში“, როდესაც გუნდი განმეორებით შეხვედრას ატარებდა „ბარსელონასთან“, ან კიდევ, ის დღე, როდესაც „სტემფორდ ბრიჯზე“ „არისტოკრატებმა“ „ლივერპული“ გაანადგურეს. მაგრამ ეს, მხოლოდ ეპიზოდებია, მინიმალური უპირატესობით (ვგულისხმობთ ანგარიშს) გამარჯვებების ფონზე.

თუ „ჩელსის“ ხანგრძლივი დროით სურს ქომაგთა გულების დაპყრობა, ალბათ, მის მესვეურებს თამაშის სანახაობრივი მხარის გაუმჯობესებაზეც მოუწევთ ზრუნვა. მაგრამ თუ „სტემფორდ ბრიჯზე“ მართლაც მიმდინარეობს ცვლილება თამაშის სტილის გამრავალფეროვნების მიმართულებით, მოურინიოს დრო დასჭირდება იმისთვის, რომ ფეხბურთელებს ახალი კონცეფციით გათვალისწინებული პოზიციები გაათავისებინოს. „ბლექბერნზე“ ანგარიშით 2:0 გამარჯვების შემდეგ, მოურინიომ თავისი გუნდის ახალი სათამაშო სქემა განმარტა: „მოქმედებებს იქიდან გამომდინარე ვაგებთ, თუ ვინ არიან ჩვენს განკარგულებაში. იმის გათვალისწინებით გიწევს გადაწყობა, თუ რომელი მოთამაშეები გყავს შემადგენლობაში. რას იზამ — ამჟამად ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რომ საუკეთესო თამაში ვაჩვენოთ, არამედ იმაზე, რომ ქულები არ დავკარგოთ“.

რა თქმა უნდა, გასაკვირია ასეთი აზრის მოსმენა იმ მწვრთნელისგან, რომლის განკარგულებაშიც მსოფლიო დონის არაერთი ვარსკვლავია. ისე კი, შემადგენლობის მუდმივ სტრესში ყოფნამ იმ თვალსაზრისით, რომ ყოველთვის უნდა ელოდე ახალ-ახალი ვარსკვლავების შემომატებას, შესაძლოა, „არისტოკრატთა“ მოთამაშეებს საკუთარი თავის რწმენა დაუკარგვინოს. ეს მოურინიომ ნამდვილად არ უნდა დაუშვას, თუ მას „ჩელსიში“ იმ გუნდურობის დაბრუნება სურს, რომელმაც ლონდონელებს ზედიზედ ორჯერ მოაპოვებინა ინგლისის ჩემპიონის ტიტული. ■

დიდი «ფრანგობა» საქართველოში

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მთელი საქართველო მსოფლიო ჩემპიონის, ევროპის პირველობაში ორგზის გამარჯვებულისა და ბოლო მუნდიალის ვერცხლისმედალოსნის ჩამოსვლის მოლოდინით ცხოვრობდა. საქართველო-საფრანგეთის მატჩისა და წინასამატჩო პერიპეტიების შესახებ ქართველ გულშემატკივრებს ყველაფერი კარგად მოეხსენებათ, ამიტომ არც ახალგარემონტებული სტადიონის საზეიმო ცერემონიაზე შევჩერდები, არც ბილეთების რეალიზაციასთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტებზე და არც ქვეყნის პირველი პირის მიერ ფედერაციის ხელმძღვანელობის მიმართ გამოთქმულ საყვედურზე. ვფიქრობ, ამჯერად, მატჩის მონაწილეთა წინასწარი და შესვედრის შემდგომი კომენტარების გაცნობა უფრო საინტერესო იქნება ალბათ ყველასთვის.

ბილი სანიოლი:

— მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, პირველ ოფიციალურ შეხვედრას ვატარებთ. მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებლად ბევრი დრო არ გვქონდა, ვეცდებით, დადებით შედეგს მივაღწიოთ. საქართველოს ნაკრებს არ ვიცნობ, უბრალოდ ვიცი, რომ ამ გუნდის ფეხბურთელები ევროპის სხვადასხვა კლუბში გამოდიან და მათ წინააღმდეგ თამაში რთული იქნება. მეტოქის რიგებში კობიაშვილი და იაშვილი გამოდიან, რომლებიც გერმანიაში ასპარეზობენ. საერთოდ, მთავარი საფრთხე ოთხშაბათს, იტალიელებთან მატჩის დროს გველის. აქედან კი, 3 ქულის წაღებას ვგეგმავთ.

რაიმონ დომენეკი:

— საქართველოს ნაკრების შეფასებას არ დავიწყებ, ეს ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის საქმეა. ჩვენ მომავალი მატჩით ვართ დაკავებული და ველით მეტოქეს, რომელმაც პირველ მატჩში 6:0 გაიმარჯვა.

დომენეკს ჰკითხეს — ხომ არ იყო უკეთესი, ფრანგებს ჯერ იტალიასთან ეთამაშათ, ხოლო შემდეგ — საქართველოსთანო? — რაზეც „სამფეროვანთა“ დამრიგებელმა უპასუხა — იტალიას ხომ მანამდეც ვეთამაშეთო... როგორც პრესკონფერენციაზე გაირკვა, დომენეკს, თბილისში ჩამოსვლამდე, საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ალენ ჟირესთან კონსულტაცია არ გაუვლია. ეს მან პროფესიონალური ეთიკით ახსნა: — არ მინდოდა, ჟირესი უხერხულ მდგომარეობაში ჩამეგდო, ვინაიდან ის ამ გუნდში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდაო...

კლაუს ტოპმიულერი:

— 7 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ნაკრებში მუშაობა დავიწყე და თავდაპირველად არავინ იცოდა, რომ რამდენიმე თვეში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტებს, ასევე, უკრაინას შევხვდებოდით, რომელიც მსოფლიოს 8 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. ჩვენთვის ეს ძალზე ბევრს ნიშნავს... მარტინ ლუთერ კინგს ჰქონდა დევიზი: თუ ადამიანს ერთი ოცნება მაინც აქვს, ის უნდა აისრულოსო. ჩვენი გუნდი დღეს-დღეობით ამ დევიზით ცხოვრობს. კარგი სტარტი გვქონდა — 6:0 მოვიგეთ. ახლა თამაში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ საფრანგეთის ნაკრებთან გვაქვს, რომელიც მომავალ შეხვედრაში ფავორიტია. ამ გუნდმა უკა-

ნასკნელ 25 მატჩში მხოლოდ ერთხელ წააგო. ეროვნულ სტადიონზე ნახევარი წლის განმავლობაში რაც გაკეთდა, — ეს ნამდვილი სენსაციაა. ჩვენ „მოტივირებული“ ვართ და გვინდა, კარგი თამაში ვაჩვენოთ. მეტოქეს ყველა ფეხბურთელი ეყოლება, რომლებმაც ფინალში იტალიასთან ითამაშეს, ზიდანის გარდა. შემიძლია შეგპირდეთ, რომ თავს არ დავზოგავთ და ფრანგებს შევერკინებით. ჩვენი დევიზია — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“ და ეს მოედანზეც გამოჩნდება. თამაშს მოუთმენლად ველით, რადგან ჩვენი მოწინააღმდეგის რიგებში ბრწყინვალე ფეხბურთელები გამოდიან. თუ მწვრთნელი ოპტიმისტი არ იქნება, ფეხბურთელებს ამის გამოვლენა როგორღა უნდა მოვთხოვოთ?! მე ოპტიმისტი ვარ და მომავალს ასეთი თვალით ვუყურებ.

ლევან კოგიაშვილი:

— მინდა, მადლობა გადავუხადო იმ ხალხს, რომლებმაც სტადიონისა და ბაზის გარემონტებაში მონაწილეობა მიიღეს. საფრანგეთი ფავორიტია, მაგრამ ჩვენი მიზანია, სასურველ შედეგს მივაღწიოთ. კარგი იქნება, თუ დევიზი — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“ — მხოლოდ სიტყვებად არ დარჩება. 90 წუთის განმავლობაში ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია და გულშემატკივრის გვერდში დგომა აუცილებელია. დარწმუნებული ვარ — გერმანია მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალშიც ვერ გავიდოდა, ტურნირი ამ ქვეყანაში რომ არ ჩატარებულიყო.

შოთა არველაძე:

— გუნდში საბრძოლო განწყობილებაა. ვფიქრობ, რომ თამაში ყველასთან შეიძლება. მართალია, საფრანგეთი ფავორიტია, მაგრამ შინ ვთამაშობთ და მატჩის ირგვლივ შექმნილი ატმოსფერო ჩვენზეც დადებითად მოქმედებს. მით უმეტეს, რომ შესარჩევი ციკლი მოგებით დავიწყეთ.

სამწუხაროდ, თამაშის დამთავრების შემდეგ, მოწინააღმდეგეები რადიკალურად განსხვავებულ ხასიათზე დადგნენ:

რაიმონ დომენეკი:

— ჩემმა ფეხბურთელებმა სამუშაო კარგად შეასრულეს. დღეს იოლი მოწინააღმდეგე არ გვყავდა და ამაზე მსუბუქი მატჩებიც ჩაგვიტარებია. თამაშზე გადამწყვეტი მნიშვნელობა სწრაფმა გოლმა იქონია, რამაც საშუალება მოგვცა, მთელ სტადიონზე დომინირება მოგვეხდინა და მოწინააღმდეგის შეცდომებს დავლოდებოდით. მართალია, შეიძლებოდა, უკეთაც გვეთამაშა, მაგრამ მთავარია, რომ დასახულ მიზანს მივაღწიეთ.

კლაუს ტოპმიოლერი:

— ასეთი გუნდის წინააღმდეგ თამაში ძალზე ძნელია. ფრანგების შემადგენლობას რომ გადავხედოთ, მათი ყველა ფეხბურთელი ევროპის წამყვან კლუბში თამაშობს. დღეს არც ერთ რგოლში შესაძლებლობის მაქსიმუმი არ გამოგვივლენია. შეიძლება, ფეხბურთელები ღელავდნენ და მათზე სტადიონზე მოსულმა უამრავმა მაყურებელმა იქონია გავლენა. ამასთანავე, როდესაც მე-20 წუთზე 0:2 აგებ, შეხვედრის შემობრუნება ძნელია. ჩვენს თამაშში ყველაზე სუსტი ადგილი, რა თქმა უნდა, მეკარე იყო. მწვრთნელთა საბჭომ გვიან საღამომდე ვიმსჯელეთ, თუ ვისთვის მიგვენდო კარის დაცვა. გადაწყვეტილება ჭანტურიას სასარგებლოდ მივიღეთ, რადგან ის უფრო მყარი ნერვების მქონედ ჩავთვალეთ. მეტოქემ მინდორზე საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ. მთავარი დანაკლისი — კალაძე გახლდათ, რომელსაც იმხელა სათამაშო კლასი აქვს, საფრანგეთის მოქალაქე რომ ყოფილიყო, ამ ქვეყნის ნაკრებში ითამაშებდა.

გიორგი დემეტრაძე:

— მატჩის დაწყებამდე ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გასახდელში შემოვიდა და ფეხბურთელებს წარმატება გვისურვა. რა თქმა უნდა, ასეთი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ღირსეულად თამაში გვსურდა, მაგრამ დასაწყისში ორი სწრაფი გოლი გავუშვით და წარმატების მიღწევის შანსი ნულამდე შეგვიმცირდა. ფრანგები ჩვენზე გაცილებით ძლიერები არიან და ყველა კომპონენტში გვაჯობეს. ჩემი აზრით, შესარჩევი ჯგუფის მთავარი ფავორიტები სწორედ ისინი არიან.

დავით კვირკველია:

— რა უნდა გითხრათ? თავადაც იცით, საფრანგეთი რა დონის გუნდიცაა... უნდა ვეცადოთ, ეს წაგება მალე დავივიწყოთ და მომავალი თამაშებისთვის მოვემზადოთ.

ზურა ხიზანიშვილი:

— საფრანგეთის ნაკრების შესაძლებლობა ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მოედანზე ყველაფერი გავაკეთეთ, რომ სასურველი შედეგისთვის მიგვეღწია, მაგრამ კლასსა და გამოცდილებაში სხვაობა აშკარა იყო. მართალია, ძალების მაქსიმუმი გავიღეთ, მაგრამ მეტი ვერ შევძელით...

შოთა არველაძე:

— წაგება ნებისმიერ დონეზე გულდასაწყვეტია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან დავმარცხდით, რომელმაც ბრაზილიაც კი მოუგო. საფრანგეთის ნაკრები ვარსკვლავებითაა დაკომპლექტებული და შესაძლოა, დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესო გუნდიცაა, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ერთი გოლის გატანას მაინც ვიმსახურებდით.

ტიერი ანრი:

— ასეთ მატჩებში გამარჯვების მოპოვება ხშირ შემთხვევაში, ადვილი არ არის. ჩვენ მშვენივრად ვითამაშეთ დაცვაში და საგოლე მომენტებიც გამოვიყენეთ. ბურთს კარგად ვაკონტროლებდით და რაც მთავარია, საკუთარ კარში გოლი არ გაგვიშვია. ძალზე მნიშვნელოვანია, მომავალ მატჩებშიც დაცვაში ისევე ვითამაშოთ, როგორც ამას მსოფლიო ჩემპიონატზე ვახერხებდით.

უილიამ გალასი:

— მეტოქეს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. ეს ადვილი მატჩი არ ყოფილა, მაგრამ იგი მშვენივრად ჩავატარეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ჩვენ მშვენიერი გუნდი გვყავს და ასე თამაშს გავაგრძელებთ.

ფრანკ რიბერი:

— ჩვენ უფრო ძნელი მატჩები ჩაგვიტარებია... მე ორი საგოლე გადაცემა გავაკეთე და ამიტომ, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ. ამ გუნდში თავს კარგად ვგრძნობ. მაგრამ არ უნდა მოვდუნდეთ. ფიზიკურად ქართველებთან შეხვედრისას, უკეთ გამოვიყურებოდით, ვიდრე ბოსნიასთან ამხანაგურ მატჩში. ■

გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-35

მიუკერძოებლობით განთქმულ მოსამართლეს თამაზ ჩაჩავას მოულოდნელად გადასცემენ ძმები ჭელიძეების ძალზე ჩახლართულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც მანამდე, ხელისუფლების მორჩილი მისი კოლეგები განიხილავდნენ. აშკარაა, რომ ვიღაცა მის „გაფუჭებას“ ლამობს: ამ პროცესში მონაწილე პროკურორი ვაჟა კენჭაძე დაუფარავად ეუბნება, რომ ჭელიძეები უეჭველად მკაცრად უნდა დაისაჯონ, თან, ჩაჩავას თითქმის უმწიკვლო წარსულიდან ერთ-ერთ შეცდომასაც შეახსენებს...

მაშ, რა მოხდა ჭელიძეების ოჯახში? უმცროსი ძმა — გიო, თანაკლასელ ზაზასთან მეგობრობს, რომელმაც ცოტა ხნის წინ მოიხადა სასჯელი; უფროსი — რეზო ცდილობს, აარიდოს გიოს ხიფათი და ზაზასთან ურთიერთობის გაწყვეტას ითხოვს, მაგრამ — ამაოდ. რეზო ერთ უკაცრიელ ადგილას, დაუმთავრებელ მშენებლობასთან მიაგნებს ძმაკაცებს და ამჯერად, უკვე თავად ზაზასგან ითხოვს, რომ მან თავი დაანებოს მის ძმას...

გიოს პასუხმა რეზოს უეცარი აფეთქება გამოიწვია.

— უჰ, შენი!.. — წამოიძახა გააფთრებით, შემდეგ კი, ადგილს მოსწყდა და მუშტი მოუქნია ზაზას.

ზაზამ მოქნილი მოძრაობით აირიდა დარტყმა. მაგრამ რეზო არ გაჩერებულა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და მეორედ მოიქნია მუშტი. ზაზამ ისევ აირიდა დარტყმა, მაგრამ ამჯერად, მიწიდან ამოჩრილ ლითონის მილს წამოჰკრა ფეხი და წონასწორობადაკარგული დავარდა. რეზომ უმალ ისარგებლა ამით, წაქცეულს ერთი ნახტომით მოექცა ზემოდან და მუშტი აღმართა. ამის დანახვაზე, გიო ძმას ეცა, ხელი ჰკრა და უყვირა:

— ხომ არ შეიშალე?! ვერ ხედავ, რომ ხელის შემობრუნება არც კი უცდია!..

— მე შევიშალე?! — რეზომ ყვირილითვე უპასუხა ძმას. — მე კი არა, შენ შეიშალე. ამ ქურდისა და მორფინისტის გულისთვის მზად ხარ, საკუთარ ძმაზე აღმართო ხელი!..

— წადი! გესმის, წადი! წადი, ვიდრე კიდევ რაიმე სისულელე არ ჩაგიდენია! — ყვირილი განაგრძო გიომ.

— წავიდე?! — გაფითრდა რეზო.

— ჰო, წადი! — გიომ ძმას ხელი ჰკრა გზის მიმართულებით.

— წავალ!.. — რეზომ მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება. — წავალ, მაგრამ თქვენ მაინც არ მოგცემთ ზეიმის საბაბს. რაც გინდა, ის იფიქრე და რაც გინდა, ის მიწოდე, მაგრამ ამ ავაზაკს მაინც ჩამოგაშორებ!..

— რა ჩაიფიქრე, რეზო? — დაიძაბა გიო.

— ქვეყანა ჩალით არ არის დახურული. სწორედ იმათ მივმართავ დახმარებისთვის, ვისიც მაგ ავაზაკს ყველაზე მეტად ეშინია!.. — ყვირილით დაასრულა რეზომ და გზატკეცილის მიმართულებით გაიქცა.

გიომ ჩაფიქრებული მზერით გააცილა უფროსი ძმა, შემდეგ, ზაზას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— როგორ გგონია — ვინ იგულისხმა?

— შენც ხვდები... — უხალისოდ მიუგო მან.

— „ძაღლები“ იგულისხმა, — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა გიომ.

— ჰო... მაგრამ შენი ძმა ამის კაცი არ არის და მე ვერც ვხდები, რა უნდა თქვას პოლიციაში, — მხრები აიჩეჩა ზაზამ.

— დარწმუნებული ხარ? — გახედა გიომ.

— ისე, რეზო მართალია: შენ მართლაც, „უბერავ“, — გაეცინა ზაზას. — ბიჭო, მე უნდა გიხსნიდე, რა კაცია შენი ძმა?!.

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა გიომ, — ასეთი გააფთრებული არასოდეს მინახავს.

— არ ჰქონია საამისო მიზეზი და ამიტომაც არ გინახავს. ისე, მე კარგად მესმის შენი ძმის და შენც არა ხარ მართალი მის წინაშე... — ჩაილაპარაკა ზაზამ.

— მართალი არა ვარ?.. — გაუკვირდა გიოს.

— ჰო, მართალი არა ხარ, — დაუდასტურა ზაზამ. — შენ კარგად იცი, რაც გააკეთა შენთვის რეზომ და იმასაც უნდა ხვდებოდე, რომ შენი ძმა ასეთ მოპყრობას არ იმსახურებს. უკეთესი იქნება, თუ ახლავე დაბრუნდები შინ და ბოდიშს მოუხდი.

გიო ჩაფიქრდა და შემდეგ, ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

— მართალი ხარ. მართლაც, გადავამლაშე და სრულიად დაუმსახურებლად გავანაწყენე დედა და ძმა.

— წამოდი, მე თვითონ წაგიყვან სახლში, — შესთავაზა ზაზამ და მანქანისკენ შებრუნდა.

ზაზას და გიოს რამდენიმე ნაბიჯიღა აშორებდათ მანქანას, როდესაც სამშენებლო მოედნისკენ მომავალ გზაზე ავტომობილის მაშუქებმა გამოანათა.

— ვინ უნდა იყოს?.. — ზაზა მანქანას დააკვირდა, შემდეგ კი სწრაფად გასძახა გიოს — გავიქცეთო! — და მანქანისკენ გაქანდა.

გიო ვერ მიხვდა ზაზას შეშფოთების მიზეზს, მაგრამ მაინც სირბილით მიჰყვა უკან.

ორიოდე წამში მეგობრები მანქანაში ისხდნენ და ზაზამ ავტომობილი მთელი სისწრაფით დაძრა ადგილიდან. გიო უმალ დარწმუნდა, რომ ზაზას შეშფოთებას მართლაც, სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონოდა. ზაზას ბე-ემ-ვეს ადგილიდან დაძვრისთანავე, გზაზე მომავალმა მანქანამაც უმატა სისწრაფეს და მათ დაედევნა.

— ვინ არიან? — გიომ დაძაბული მზერა ესროლა უკანა ხედვის სარკეს.

— „ძაღლები“! — კბილების ღრჭიალით უპასუხა ზაზამ.

— ამას არასოდეს ვაპატიებ ჩემს ძმას!.. — ტკივილით სავსე ხმით წამოიძახა გიომ.

— ახლა ამის დრო არ არის. მოემზადე!.. — ისროლა ზაზამ.

— რისთვის მოვემზადო? — ჰკითხა გიომ.

— „ძაღლებმა“ ჩემთან ერთად არ უნდა გნახონ. არ ვიცი, რისთვის მომდევენ, მაგრამ რაშიც არ უნდა იყოს საქმე, შენც გაგხვევენ შარში!.. მომზადდი, პირველსავე მოსახვევის შემდეგ, მანქანას შევაჩერებ და შენ გაიქცევი!..

— მათ ორივე გვნახეს... — შეეწინააღმდეგა გიო.

— ეს მარტო მე მეხება...

— ზაზა... — წამოიწყო გიომ, მაგრამ ვიდრე სიტყვას დაასრულებდა, მანქანამ უკან მოიტოვა მოსახვევი.

ზაზამ მკვეთრად დაამუხრუჭა და როგორც კი მანქანა შედგა, თავისი ხელით გააღო კარი და გიოს მხარში უბიძგა: წადიო! გიოს არ სურდა მისი მიტოვება, მაგრამ ამასთან ერთად ხვდებოდა, რომ დარჩენით მხოლოდ ხელს შეუშლიდა, ამიტომაც კარის გაღებისთანავე გადახტა და თავშესაფრის მოძებნის იმედით, სიბნელეში წამომართული ნაგვის რამდენიმე გროვისკენ გაქანდა. ზაზამ მანქანა დაძრა და გზა განაგრძო... მაგრამ მდევარს მისი მანევრი შეუმჩნეველი არ დარჩენია. როგორც კი ზაზამ ბე-ემ-ვე ადგილიდან დაძრა, მის ადგილას მდევარი მანქანა გაქვავდა, იქიდან პისტოლეტმომარჯვებული კაცი გადმოხტა და გაქცეულ გიოს დაედევნა. იმავ წამს გაისმა მისი ბრძანება — შეჩერდი! — რასაც პისტოლეტიდან გასროლის ხმა მოჰყვა.

ზაზამ შეამჩნია მდევრის მოქმედება. ახლა მას მართლაც, ჰქონდა მიმალვის შესაძლებლობა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მდევარი გიოს აიყვანდა. ამიტომაც, მან სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება — ავტომობილი მკვეთრად დაამუხრუჭა და მდევრისკენ

წავიდა უკუსვლით.

— გადმოდი და — ხელები კეფაზე! — მრისხანე ხმით ბრძანა ერთ-ერთმა პოლიციელმა, როდესაც ზაზამ მათგან მოშორებოით შეაჩერა მანქანა, შემდეგ, გიოს დადევნებულ თანამშრომელს გასძახა: — დაბრუნდი, აქ არის!

— მეორე? — სიბნელიდან შეეხმიანა მეწყვილე.

— შორს ვერ წავა. ეს გვეტყვის, ვინაა! — უპასუხა პირველმა.

ზაზა მანქანიდან გადმოვიდა და მათ წინ კეფაზე ხელებშემოწყობილი შედგა.

— ზაზა, ზაზა... მაინც არ იშლი შენსას, არა?.. — პოლიციელი, რომელშიც ზაზამ რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს ხელმძღვანელი მერაბ მესხი ამოიცნო, ირონიული ღიმილით მიუახლოვდა და ამასთან ერთად, ორ თანამშრომელს უბრძანა, გაეჩხრიკათ.

სამძებროს თანამშროლებმა — ომარ ბრეგვაძემ და კახა რევიშვილმა, რომლებსაც ზაზა ასევე კარგად იცნობდა, სწრაფად შეასრულეს განკარგულება.

— რისთვის მომდევდით? — იკითხა ზაზამ, როგორც კი პოლიციელებმა მისი ჩხრეკა დაასრულეს და ხელმძღვანელს მოახსენეს: იარაღი არა აქვსო.

— ხელები! — ავად დაიღრიალა მესხმა, როგორც კი ზაზამ ხელები დაუშვა.

— რა გინდა? ხომ დარწმუნდით, რომ „სუფთა“ ვარ?! — ჰკითხა ზაზამ.

— არა, ჩემო კარგო, მე გადავწყვიტე, რომ შენ ხელებაწეული უნდა იდგე, — მესხმა პისტოლეტის ლულის მოძრაობით მიანიშნა: ხელები კეფაზე შემოიწყვეო.

ზაზამ ხელები ისევ ზემოთ ასწია და კითხვა გაიმეორა:

— რისთვის მომდევდით?

— რატომ გარბოდი? — კითხვითვე უპასუხა მერაბმა.

— არ გავრბოდი. უბრალოდ, სახლში მივდიოდი, — უპასუხა ზაზამ.

— აქ რისთვის იყავი? — განაგრძო მესხმა.

— სუფთა ჰაერით ვსუნთქავდი...

— რაღაც არ მსმენია, რომ უბანში ჰაერი დაბინძურდა... — ირონიულად ჩაიცინა რევიშვილმა.

— მითხარით, რა გინდათ და დროზე მოვრჩეთ „ბაზარს“, — ცივად უთხრა ზაზამ.

— შენს ძმაკაცზე რას მეტყვი? — იკითხა მესხმა.

— რომელ ძმაკაცზე?

— რომელიც ასე მოხერხებულად გააქციე, — ბრეგვაძემ, რომელიც თავად მისდევდა გიოს ნაგვის გროვებს მოავლო თვალი.

— ის, ძმაკაცი კი არა, საერთოდ, ჩემი ნაცნობიც არ არის, — უპასუხა ზაზამ.

— ისევ ძველებურად ჭიკჭიკებ?!. — ბრაზი მოერია მესხს.

— კარგი. გეტყვი, რაც მოხდა... ქალთან ერთად ვიყავი. მას არ უნდოდა, რომ ვინმეს ენახა ჩემს საზოგადოებაში და მიიმალა. იმედია, როგორც მამაკაცი, გამიგებ. თუ ამის გაგებაც მოეშალა მშობლიურ „ოურს“?.. — ზაზამ დამცინავი ტონით აგრძნობინა მესხს, რომ მისგან სხვა პასუხის მიღების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

— ცეცხლს ეთამაშები, ნაბიჭვარო! — ავად შესძახა მესხმა და სწრაფად მოიქნია მარჯვენა.

ზაზამ, რომელსაც პისტოლეტის ტარი ყვრიმალში მოხვდა, სუსტად დაიკვნესა და უკან გადაქანდა.

— ეს მხოლოდ დასაწყისია. ჯერ ჩვენს საქმეზე მოგელაპარაკებით, შემდეგ კი, შენი „გულის ვარდსაც“ დავუბრუნდებით... — ბრაზით დააყოლა მესხმა.

— რომელ საქმეზე?

— საერთო ნაცნობს შეგახვედრებ და თუ მისი ნაამბობი მართალი აღმოჩნდა...

— რომელ ნაცნობს?.. — არ დაასრულებინა ზაზამ.

— ქარუმას... — ამ სიტყვასთან ერთად, მესხმა მანქანისკენ უბიძგა ზაზას.

— სად მიგყავართ?! — ზაზა უმალ მიხვდა, რომ საქმე ბევრად უფრო ცუდად იყო, ვიდრე მას წარმოედგინა.

— ამას მერე გეტყვი, — უპასუხა მესხმა და ზაზას ხელებს გაწაფული მოძრაობით მოარგო ხელბორკილი.

პოლიციელები სწრაფად განაწილდნენ ჯგუფებად: რევიშვილი თავის მანქანაში

ჩაჯდა, მესხმა კი ზაზას მისი ბე-ემ-ვეს უკანა სავარძელზე დაჯდომა უბრძანა, თავადაც მის გვერდით დაიკავა ადგილი, ხოლო საჭეს ბრეგვაძე მიუჯდა და იმავ წამს ორივე მანქანა ადგილიდან დაიძრა.

ცოტა ხანში, სამშენებლო მოედნის საპირისპირო მხარეს შედგნენ.

— გადადი! — მესხმა კარი გააღო და ზაზას მხარში უბიძგა.

ზაზა უსიტყვოდ დაემორჩილა პოლიციელს. მეორე მანქანიდანაც გადმოვიდნენ. პოლიციელებმა აქეთ-იქიდან ჩაავლეს ხელები ზაზას და ერთ-ერთი შენობისკენ წაიყვანეს. სწორედ ამ დროს, ჩაბნელებულ შენობას მამაკაცის სილუეტი გამოეყო და მათკენ დაიძრა.

— შენ რა, შეიშალე?! — ზაზამ გაოცებული მზერა მიაპყრო მესხს, როდესაც მათკენ მიმავალ მამაკაცში, მის უბანში მცხოვრები ნარკოვაჭარი, მეტსახელად ქარუმა იცნო.

მესხს ყურადღება არ მიუქცევია მისი წამოძახილისთვის. ამის ნაცვლად, ქარუმას გახედა და ჰკითხა:

— ისაა?

— ის ნაბიჭვარია... — მიუგო ნარკოვაჭარმა, შემდეგ კი, საყელოში სწვდა ზაზას, მაგრად შეანჯღრია და უყვირა: — სადაა მაყუთი, ნაბიჭვარო?!

— შენი დედაც!.. — კბილების ღრჭიალით უპასუხა ზაზამ და ამასთან ერთად, თავის დასახსნელად გაიბრძოლა.

— წყნარად, ბიჭო!.. — მესხი ზურგს უკან მოექცა ზაზას და მკლავი გადაუგრიხა.

— ვის საქმეს აკეთებ, ახვარო?! — კბილების ღრჭიალით განაგრძო ზაზამ. — მე უბრალოდ „ძაღლი“ მეგონე, შენ კი ამ „ბარიგის“ „კრიშაც“ ყოფილხარ!..

— ვერ გაიგე, რა გკითხეს?! — მესხმა უფრო მაგრად მოუგრიხა ხელი. — სად არის მაყუთი?!

— დედაშენის უკანალში მოიძიე! — ისროლა ზაზამ.

— შენი დედაც, ნაბიჭვარი! — გააფთრებულმა იყვირა მესხმა, შემდეგ კი, ზაზას სწრაფად შეუშვა ხელი და პისტოლეტის ტარი ჩაჰკრა კეფაში.

დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ზაზა, მუხლებში მოკვეთილი, მიწას დაენარცხა. მაგრამ მესხი ამის მერეც არ გაჩერებულა: წაქცეულს ზემოდან მოექცა და პისტოლეტის ტარი გამეტებით დაუშინა სახეში.

— კმარა! კმარა!.. გათიშული, ვერაფერს გეტყვის, — რამდენიმე ძლიერი დარტყმის შემდეგ, საქმეში ქარუმა ჩაერთო, მესხს ხელი ჰკრა, ზაზა გულაღმა ამოაბრუნა და ჩასძახა: — ახლა მაინც თქვი, აპირებ თუ არა მაყუთის გადახდას?

ზაზა დუმდა.

— ხმა ამოიღე, ბიჭო! — გაღიზიანდა ქარუმა, მაგრამ ვერც ამჯერად მიიღო პასუხი.

— სიაფანდობს... მაგ ახვარს ახლავე ავალაპარაკებ! — ისევ იფეთქა მესხმა და პისტოლეტშემართულმა, ზაზასკენ წაიწია.

— მოიცა! — შეაჩერა ქარუმამ. შემდეგ, ხელებზე დაიხედა და უკან გახტა.

— რა მოხდა? — ჰკითხა მისი საქციელით გაოცებულმა მესხმა.

პასუხად, ქარუმამ კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან და ამასთანავე, ჯიბიდან ამოღებული ცხვირსახოცით ხელების წმენდას შეუდგა.

— აღარ იტყვი, რა მოხდა?! — კითხვა გაუმეორა მესხმა.

— სისხლი სდის... — შიშნარევი ხმით ჩაიბურტყუნა ქარუმამ. — ეტყობა, სერიოზულად დაშავდა.

ამის გაგონებაზე, რევიშვილი დაიხარა და სახეზე დააკვირდა ზაზას.

— სახე მთელი აქვს... სისხლი... მერაბ...

მერაბ... — რევიშვილმა დაბნეული სახით ახედა მესხს. — მგონი, დაიბრიდა ეს ახვარი!..

— დაიბრიდა?! — მესხმა ჩაიმუხლა და მხოლოდ მაშინ შენიშნა მისი მკერდიდან ამოჩრილი ჟანგიანი ლითონის ღერო.

— ალბათ, წაქცევისას შეერჭო, — ივარაუდა რევიშვილმა. — ახლა რა ვქნათ?

— თვითონ ვერ ხდები, რა უნდა ვქნათ?! — გაფთრებული მზერა ესროლა მესხმა, შემდეგ, სწრაფი მოძრაობით შეხსნა ზაზას ხელბორკილი და ფეხზე წამოდგა...

რეზო რამდენიმე წუთის დაბრუნებული იყო სახლში, როდესაც კარზე ბრახუნი ატყდა.

ნეტავ, ვინ უნდა იყოს?.. ან, რისთვის აბრახუნებენ, როდესაც ზარი მუშაობს?.. — გაიფიქრა რეზომ და კარისკენ წავიდა.

მისდა გასაოცრად, კარს მიღმა გიო იდგა.

— რა მოხდა? — იკითხა რეზომ, როდესაც უმცროსი ძმის ტალახით მოსვრილი შარვალი, ოფლით დაცვარული სახე და ავად მოელვარე თვალები შენიშნა.

— ეს შენ უნდა ამიხსნა!.. — ზღურბლიდანვე ესროლა გიომ.

— ჯერ შემოდი, — მიუგო რეზომ, უკან დაიხია და ძმას გზა გაუთავისუფლა.

— არა, აქვე და ახლავე უნდა მიპასუხო!.. — უცვლელი ტონით განაგრძო გიომ.

მომხდარის შემდეგ, რეზო ნაწყენი იყო ძმაზე, ახლა კი, მისი ბრაზიანი ტონიც აღიზიანებდა, მაგრამ მაინც სცადა, წონასწორობა შეენარჩუნებინა.

— დამშვიდდი, — მიმართა ძმას, — ხმადაბლა ილაპარაკე. დედას ნუ შევაშინებთ. დამშვიდდი და ისე ამიხსენი, რა შეგემთხვა...

— დედაზე ზრუნვამ გიკარნახა ზაზას ჩაშვება?!. — ბრაზით წამოიძახა გიომ.

— რა შუაშია ზაზა?! — დაიბნა რეზო.

— თავს ნუ ისულელებ, თითქოს არაფერი იცოდე! — გიომ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო — იმწამსვე დერეფანში ნელის აღშფოთებული ხმა გაისმა.

— გიო, როგორ ელაპარაკები ძმას?!!

მაგრამ მას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— მე პასუხს ველი! — ისე მიუგო რეზოს, თითქოს დედის ხმა არც კი გაეგონოს.

— მე ვერაფერს ვხვდები. იქნებ, შენ თვითონ ამიხსნა, რისი მოსმენა გსურს ჩემგან... — მიუგო რეზომ.

— რა იგულისხმე, როდესაც თქვი: იმათ მივმართავ დახმარებისთვის, ვისიც ყველაზე მეტად ეშინია ზაზასო? — ჰკითხა გიომ.

— აა... აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე... — აუჩქარებლად ჩაილაპარაკა რეზომ. — და ამის გასარკვევად, კარის დამტვრევა გახდა საჭირო?..

— არ მეგონე ასეთი გულბოროტი. შენ ერთ წამში დაკარგე ჩემი პატივისცემა!..

— რა მოხდა, გიო?! — ცივი ხმით ჰკითხა რეზომ.

— შენი წასვლის შემდეგ, მე და ზაზას პოლიცია დაგვესხა თავს... მე ძლივს გამოვასწარი... იცი, რას ნიშნავს, როდესაც ავტომატიანი პოლიციელი, დედის გინებით მოგდევს?!

— არ ვიცი. მე ასეთი რამ არ შემმთხვევია და არც შემემთხვევა. მაგრამ ახლა ამაში არ არის საქმე. მე მხოლოდ ერთ კითხვას დაგისვამ: ადრე ასეთი რამ თუ მომხდარა?! — შეაწყვეტინა რეზომ.

გიომ დუმილით უპასუხა.

— მიპასუხე! — კატეგორიული ტონით მოსთხოვა რეზომ.

— არა, — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა გიომ.

— რა იყო ამის მიზეზი?

გიომ ისევ დუმილი არჩია.

— მე სწორედ ეს მაფიქრებდა, როდესაც ზაზასთან ურთიერთობის შეწყვეტას გთხოვდი.

— და ამიტომაც დააჭერინე ის ბიჭი!!! — ბრაზით სავსე ხმით შენიშნა გიომ.

— დავაჭერინე?! — გაოცდა რეზო.

— ჰო, დააჭერინე!!!

— ცდები, გიო... — რეზომ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. — ის სიტყვები ცხელ გულზე ვთქვი. მე მართლაც, ვერ დავუშვებ ჩვენს ურთიერთობაში უცხო ადამიანის ჩარევას, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია პოლიციაში მისვლა. ან კი, რა უნდა მეთქვა მათთვის? ჩემი გაჯიუტებული ძმა სახლში მომიყვანეთ-მეთქი?!.

— არ ვიცი, რა უთხარი. 5 წუთიც არ იყო გასული შენი წასვლიდან, რომ პოლიცია გამოჩნდა!

— დაფიქრდი, გიო — როგორ უნდა მომესწრო 5 წუთში პოლიციაში მისვლა?! მე მხოლოდ ორიოდე წუთით მოგასწარი სახლში.

— ამისთვის მობილური ტელეფონი არსებობს!.. — ჯიუტად განაგრძობდა გიო.

— შენ უბრალოდ, არ გსურს ჩემი მოსმენა... მე აღარაფერი მაქვს სათქმელი, — რეზომ უღონოდ ჩაიქნია ხელი, შემდეგ, ძმას ზურგი შეაქცია და თავის ოთახში შევიდა.

— გიო... — დაღლილი ხმით წამოიწყო ნელიმ. მაგრამ გიოს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია — როგორც კი რეზომ კარი გაიხურა, შებრუნდა და სირბილით დაეშვა კიბეზე.

— გიო, დაბრუნდი!.. — დაადევნა ნელიმ, მაგრამ გიო აღარ გაჩერებულა — რამდენიმე ნახტომით ჩაათავა კიბე და სიბნელეში ჩაფლულ ქუჩაში გაუჩინარდა.

ზაზას ბინის ფანჯრები ჩაბნელებული იყო. მიუხედავად ამისა, გიო უკან არ გაბრუნებულა. ის კარგად იცნობდა მეგობრის ოჯახს და იცოდა, რომ ამ დროს მის წევრებს უკვე ეძინათ.

მესამე თუ მეოთხე ზარის შემდეგ, კარს მიღმა ნაბიჯების ხმა გაისმა.

— ვინ არის?

— ვახო, მე ვარ, გიო ვარ, გამიღე!.. — გიომ უმალ იცნო ზაზას უფროსი ძმის, ვახოს ხმა.

საკეტმა სწრაფად გაიჩხაკუნა. ვახო სადარბაზოში გამოვიდა, კარი მიხურა და ნამძინარევი სახით ჰკითხა:

— რა მოხდა?

— ზაზა აიყვანეს... — უთხრა გიომ ხმადაბლა, რომ მის ხმას ბინაში არ შეეღწია.

— ვინ? როდის? რისთვის? — ერთბაშად მიაყარა ვახომ.

— უბნის სამძებრომ.

— მესხმა?.. — არ დაასრულებინა ვახომ.

— ჰო, — დაუდასტურა გიომ. — მასთან ერთად, რევიშვილი და ბრეგვაძეც იყვნენ.

— მაგათი დედა!.. — ვახომ ბრაზიანად გააღრჭიალა კბილები. — რისთვის აიყვანეს?

— აზრზე არა ვარ. ვიჯექით, ვლაპარაკობდით... უეცრად მესხის მანქანა გაიჩითა. გავიქეცით, მაგრამ წასასვლელიც არსად გვქონდა. ზაზამ მანქანიდან გადმომაგდო: ჩემთან ერთად არ აგიყვანონ და რაიმე შარში არ გაგხვიონო!.. მაგრამ მაინც „მომწვეს“. მე რომ გამომეკიდნენ, ზაზამ მანქანა გააჩერა...

— მერე? — ჰკითხა ვახომ.

— როგორც კი ზაზამ მანქანა გააჩერა, მე შემეშვნენ. მეც აღარ გავქცეულვარ, იქვე დავიმალე... რაღაცაზე ბაზრობდნენ. მოშორებით ვიყავი. ყველაფერი არ მესმოდა. მხოლოდ იმას მოვკარი ყური, რომ ზაზას რომელიღაც „საერთო ნაცნობთან“ შეხვედრით ემუქრებოდნენ. შემდეგ ზაზას დაარტყეს, მანქანაში ჩატენეს და წაიყვანეს...

— სად წაიყვანეს?

— ალბათ, პოლიციაში, — მხრები აიჩეჩა გიომ.

— ზაზას მანქანა სად არის?

— თავისი მანქანით წაიყვანეს.

— ეს გვინდოდა ახლა?!. — ვახომ შუბლი მოისრისა. — კარგი, გიო... გმადლობ, საქმის კურსში რომ ჩამაყენე. წადი სახლში, ზაზას მე მივხედავ.

— პოლიციაში წახვალ? — ჰკითხა გიომ.

— ჰო... იმას მაინც გავარკვევ, რას ედავებიან.

— მეც გამოგყვები, — თქვა გიომ.

— არ გინდა. ხომ იცი, რომ დედაშენი და რეზო ისედაც გაღიზიანებულები არიან, — თავი გაიქნია ვახომ.

— კარგი, რა, ვახო, რა დროს ეგ არის?! ბიჭი პოლიციაშია და შველა უნდა! — მოიღრუბლა გიომ.

— კარგი... ახლავე ჩავიცვამ. შენ კი, მანამდე ეზოში დამელოდე: არ მინდა, რომ დედ-მამამ შეიტყოს მომხდარის შესახებ, — ხანმოკლე პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა ვახომ და ბინაში შებრუნდა.

— რამე ხომ არ შეგეშალა? — ვახომ გაოცებული სახით გახედა გიოს, როდესაც პოლიციის შენობის ავტოსადგომთან ძმის ავტომობილს ვერ მოჰკრა თვალი.

— რა უნდა შემშლოდა?! — გაუკვირდა გიოს.

— ზაზას მანქანა არ ჩანს, — ვახომ ხელით მიანიშნა ავტოსადგომზე.

— არაფერი შემშლია, — თავი გაიქნია გიომ. — ზაზა მისივე მანქანით წაიყვანეს.

— იქნებ, ჩვენი რაიონის პოლიცია არ იყო?

— არა, ისინი იყვნენ.

C M Y K

— არ მომწონს ეს ამბავი: რატომ მალავენ მანქანას?.. — ჩაილაპარაკა ვახომ და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა პოლიციის შენობისკენ.

ვრცელ დერეფანში შევლისთანავე, ვახომ მარჯვნივ გაუხვია და სამორიგეო ოთახის ფანჯარას მიადგა. ოთახში ორი პოლიციელი იმყოფებოდა. ერთ-ერთი მათგანი კავშირგაბმულობის პულტთან იჯდა, მეორე კი, ჟურნალის კითხვით ერთობოდა.

— გამარჯობა, — მიესალმა ვახო პულტთან მყოფ პოლიციელს.

— მესხის ნახვა მინდა.

— რისთვის? — მძიმედ ახედა პოლიციელმა.

— საქმე მაქვს, — მიუგო ვახომ.

— ჰოდა, მეც მაგას გეკითხები: რა საქმეზე ხარ მოსული?

ვახომ პაუზა გააკეთა და შემდეგ უპასუხა:

— ჩემი ძმა დააკავეს.

— რა გვარია? — ჰკითხა პოლიციელმა.

— გორგაძე...

— აქ ასეთი არავინ არის, — თავი გაიქნია პოლიციელმა.

— უნდა იყოს. მესხმა ერთი საათის წინ აიყვანა, — უთხრა ვახომ.

— რამე გაუგებარი ვთქვი?! — გაღიზიანდა პოლიციელი. — მესხს არავინ დაუკავებია და ასეთი გვარით საკანშიც არავინ გვყავს!

— სად არის მესხი? — ბრაზი მოერია ვახოს.

— ბიჭო, შენ რა, ყურს გაკლია?! — მეორე პოლიციელმა მოსწყვიტა თვალი ჟურნალს. — ხომ გითხრეს, რომ შენი ძმა აქ არ არის!..

ვახო რამდენიმე წამი, დაჟინებული შესცქეროდა პოლიციელებს, შემდეგ, სამორიგეოს მოშორდა და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა დერეფანს, რომლის ბოლოშიც მერაბ მესხის კაბინეტი ეგულებოდა. პოლიციელები უმალ წამოიშალნენ. ერთ-ერთი მათგანი ტელეფონს ეცა, მეორე კი, სამორიგეოდან გამოვარდა და ყვირილით დაედევნა ვახოს. ის უკვე მესხის კაბინეტის სიახლოვეს იმყოფებოდა, როდესაც პოლიციელი წამოეწია და მხარში ჩააფრინდა.

— ხელი გამიშვი! — გაიბრძოლა ვახომ.

ამ დროს, კაბინეტის კარი გაიღო და ზღურბლზე მერაბ მესხი გამოჩნდა.

— რა ხდება აქ? — ბრაზნარევი ხმით იკითხა მან და ჩააშტერდა.

— გვიმტკიცებს — ჩემი ძმა მესხმა აიყვანა და ახლა აქ იმყოფებაო, — თავი იმართლა პოლიციელმა.

— რა გვარი ხარ? — ცივად ჰკითხა ვახოს მესხმა.

— რა გვარი ვარ?! — გაიკვირვა მან. — შენ რა, პირველად მხედავ?!..

— რა გვარი ხარ-მეთქი? — ბრაზი მოერია მესხს.

— გორგაძე!..

— გორგაძე... გორგაძე... — თავისთვის ჩაილაპარაკა მესხმა. — ჰო, გამახსენდა: შენს ძმას ზაზა ჰქვია...

— ზაზა ჰქვია, — დაუდასტურა ვახომ. — სად არის ჩემი ძმა?

— ბიჭო, აქ პოლიციაა და არა ცნობათა ბიურო. მე რა ვიცი, სად არის შენი ძმა?!

— როგორ თუ არ იცი?! — დაიბნა ვახო. — ამ საღამოს შენ დააკავე!..

— რაღაც გეშლება. კარგა ხანია, რაც შენი ძმა თვალითაც არ მინახავს, — თავი გაიქნია მესხმა. — ან საიდან ასკვნი, რომ ჩვენ ავიყვანეთ?

— უბნელებმა მაცნობეს, — პაუზის შემდეგ უპასუხა ვახომ.

— ვინ უბნელებმა? — დაინტერესდა მესხი.

— ზუსტად არ ვიცი...

— არ იცი?.. — ცივად ისროლა მესხმა. — აბა, ერთი, კაბინეტში შემოდი!..

ვახომ გვერდი აუარა მესხს და პირველმა შეაბიჯა მის კაბინეტში. კაბინეტში შესულმა, სწორედ სამძებროს იმ თანამშრომლებს — ბრეგვაძესა და რევიშვილს მოჰკრა თვალი, რომლებიც გიომ დაასახელა. ისინი მაგიდასთან ისხდნენ და მოღუშული სახეებით ადევნებდნენ თვალს.

— დაჯექი, — მესხმა კარი გაიხურა და მაგიდის თავში დაიკავა ადგილი. ვახო მის პირდაპირ დაჯდა.

— გაიხსენე, ვინ გაცნობა ძმის დაკავების შესახებ, — ცივად უთხრა მესხმა.

— ტელეფონით დამირეკეს და მითხრეს: შენი ძმა მესხმა აიყვანაო, — უპასუხა ვახომ.

— და შენ სახელის კითხვა დაგავიწყდა... — ჩაიცინა მესხმა.

— არ დამვიწყებია, უბრალოდ, აზრადაც არ მომსვლია, მეკითხა. მაშინვე გავთიშე ტელეფონი და აქეთ წამოვედი...

— რატომ უნდა დავინტერესებულიყავი შენი ძმით?.. როგორ ფიქრობ, მქონდა საამისო მიზეზი?..

— არ გქონდა და შენც კარგად იცი, რომ მეორე „სროკის“ შემდეგ, ზაზა სახლში დაჯდა, — უპასუხა ვახომ.

— ხედავ, შენ თვითონ მიდასტურებ, რომ შენი ძმის აყვანის საფუძველი არ მქონია და არც ამიყვანია. რომ ამეყვანა, ახლა ან საკანში იქნებოდა, ან კიდევ — დაკითხვაზე.

— მაშინ, რატომ მითხრეს, რომ ჩემი ძმა აქ არის? — პაუზის შემდეგ იკითხა ვახომ.

— რა ვიცი. ამ უბანში ათასი შეშლილი ცხოვრობს... იქნებ, გაგაშაყირეს?.. თუ ამით ძალიან დაზარალდი, შეგიძლია იჩივლო. იქნებ, მართლაც დავადგინოთ იმ ახვრის ვინაობა... — დამცინავად ისროლა მესხმა. — კიდევ რა გაინტერესებს?..

— არაფერი... — ყრუდ ჩაილაპარაკა ვახომ.

— მაშინ, შეგიძლია წახვიდე. ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს, — უთხრა მესხმა და სიგარეტს მოუკიდა.

ვახოს აღარაფერი უთქვამს. ადგა და კაბინეტიდან გავიდა. მესხმა ღვარძლით სავსე მზერით გააცილა სტუმარი და როგორც კი მან კარი გაიკეტა, ბრეგვაძეს მიუბრუნდა და უბრძანა:

— ეგ მარტო არ არის მოსული. დარწმუნებული ვარ, რომ მასთან ერთად სწორედ ის ახვარია, რომელიც გაგვექცა. ფრთხილად გაჰყევი და იმ ნაბიჭვრის ვინაობა დამიდგინე!

გიო მოლოდინით სავსე მზერით შეეგება პოლიციის შენობიდან გამოსულ ვახოს.

— რაღაც გეშლება, გიო: ზაზა აქ არ არის და მესხიც უარზეა, რომ ჩემი ძმა აიყვანა, — უპასუხა ვახომ.

— გამორიცხულია, — თავი გაიქნია გიომ.

— მაშინ, რა უნდა ვიფიქრო?

— ზაზას გამოჩენა არ უნდათ. ასეთი რამ ხშირად მომხდარა, — უპასუხა გიომ.

— იქნებ, მართლაც, აიყვანეს, ილაპარაკეს და შემდეგ ისევ გაუშვეს?.. — ივარაუდა ვახომ.

— მაშინ, ახლა სად არის?

ვახომ მობილური ტელეფონი მოიმარჯვა და კიდევ ერთხელ სცადა ძმასთან დაკავშირება, მაგრამ — უშედეგოდ.

— არ მპასუხობს... — შეფიქრიანებულმა ჩაილაპარაკა და აპარატი გათიშა. — ან კი სად უნდა გაექროთ მანქანა?.. მანქანასაც ხომ ვერ „გასროკავენ“!..

— ნანგრევები ხომ არ დავათვალიეროთ? — ჩაილაპარაკა გიომ. — იქნებ მართლაც, იქვე დაშორდნენ ერთმანეთს და ზაზა ახლაც იქ არის?..

— აქამდე როგორ არ მომაფიქრდა?!. წავედით! — უმალ დაეთანხმა ვახო და გზატკეცილის მიმართულებით დაიძრა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სანამ, ჩოჰელიც XX საუკუნეში ხელახლა იქნა აღმოჩენილი...

მორენა მერკვილაძე

წმინდა ეკატერინეს მონასტერი — „ოლგინსკი“, მცხეთაში მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ, რკინიგზის სადგურის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს.

გადმოცემის თანახმად, ამ ტერიტორიაზე მონასტერი VI საუკუნეში დაუარსებიათ, დიდმოწამე ეკატერინეს სახელზე. მონასტრის მთავარი ნაგებობაა ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც სავარაუდოდ, XII საუკუნით თარიღდება. ისტორიულ წყაროებში იგი ახალქალაქურის სახელწოდებითაა ცნობილი. იმავე ისტორიული წყაროების თანახმად, სწორედ ამ ეკლესიაში შეუფარებია თავი 1612 წელს მეფე ლუარსაბისგან დევნილ გიორგი საკაძეს.

არქიმანდრიტ რაფაელის წიგნის — „გადარჩენის საიდუმლოს“ თანახმად, XX საუკუნის დასაწყისში, მცხეთის გასწვრივ რკინიგზა გაჰყავდათ. მას საქართველოს მთელი ტერიტორია უნდა გადაეჭრა. სამუშაოების ხელმძღვანელ ინჟინერს ხელისუფლებამ მცხეთის მახლობლად მთის კალთაზე მდებარე ხშირი ტყით დაფარული მიწის ნაკვეთი გადასცა საჩუქრად. ერთხელ, როდესაც ინჟინერი ნაკვეთს ათვალიერებდა, იმ ადგილას, სადაც აგარაკი უნდა აეშენებინა, ბუჩქებს შორის ჩამალული ლითონის ჯვარი შენიშნა. მან ჯვრის ამოღება სცადა, მაგრამ — ამაოდ. მუშებმა მიწის გათხრა დაიწყეს. აღმოჩნდა, რომ ჯვარი მიწის ქვეშ დამარხული ეკლესიის გუმბათზე იყო აღმართული.

როდესაც გამწმენდ სამუშაოებს მორჩნენ, კლდესა და ხევს შორის, პატარა მდელოზე თითქმის უვნებლად გადარჩენილი ეკლესია დაინახეს. კარი ურდულით იყო ჩარაზული. ტაძარში ხატწერის უძველესი ნამუშევარი — ღვთისმშობლის პატარა ზომის ხატი იპოვეს, რომელზეც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი თავსაბურავის გარეშე იყო გამოსახული. მოგვიანებით, აღმოაჩინეს მოწმობა, რომ მცხეთის გასწვრივ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სინას მთის ბერებს სავანე დაუარსებიათ, წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს სახელზე: სინას მთაზე, იმ ადგილას, სადაც ღმერთმა მოსე წინასწარმეტყველს რჯულის ფიცრები გადასცა, მათზე ამოტვიფრული ათი მცნებით, ბევრი ქართველი ბერი მოღვაწეობდა, სწორედ რამდენიმე მათგანს დაუარსებია VI საუკუნეში მცხეთაში წმინდა ეკატერინეს მონასტერი...

მცხეთაში რკინიგზის ხაზის გაყვანისას, საჭირო გახდა გვირაბის გაყვანა. მუშაობას მთის ორივე მხრიდან შეუდგნენ. წინასწარ ზუსტად გათვალეს, თუ რომელ დღეს, დღის რომელ მონაკვეთში შეხვდებოდნენ ერთმანეთს მუშები. ამ მომენტის აღსანიშნავად, სადღესასწაულოდ ემზადებოდნენ, მაგრამ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე, ინჟინერი შიშმა შეიპყრო — ეჭვობდა, რომ შეცდომა დაუშვა და იმ დღისთვის სამუშაოები ვერ დასრულდებოდა. სასოწარკვეთილმა, იარაღი აიღო და თავი მოიკლა.

მეუღლის სიკვდილით დამწუხრებულმა ოლღამ გადაწყვიტა, მიწის ნაკვეთზე, რომელიც მის ინჟინერს საჩუქრად გადასცეს, დედათა მონასტერი დაეარსებინა. ტერიტორიის გაწმენდისას კიდევ ერთი, შედარებით დიდი ზომის ტაძარი აღმოაჩინეს. ოლღას ძალისხმევით ტაძრები განაახლეს და აკურთხეს. ამის შემდეგ, წმინდა ეკატერინეს მონასტერს „ოლგინსკი“ ეწოდა. ოლღა თავადაც მონაზვნად აღიკვეცა. სწორედ ის იქნა დადგენილი განახლებული მონასტრის პირველ იღუმენიად.

დედა ოლღა საოცარი უბრალოებით გამოირჩეოდა. იგი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა მონასტერში, რომელიც კომუნისტური მმართველობის ჟამსაც არ დახურულა — მაშინ, როდესაც საქართველოში არსებული თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი დახურეს, წმინდა ეკატერინეს მონასტერში კვლავ მკვიდრობდნენ დედები, ღვთისმსახურება აღესრულებოდა და სამონასტრო ცხოვრება ჩქეფდა. გარდაცვალების შემდეგ, ოლღა ამავე მონასტერში დაკრძალეს: „სქეიღუმენია ოლღას გარდაცვალების შემდეგ, მან თითქოს უხილავად დაისადგურა თავის საფლავზე. ძნელბედობის დროს, განსაცდელში მყოფი მონაზვნები ხშირად მიდიოდნენ თავიანთი იღუმენიის საფლავზე და ლოცვას შესთხოვდნენ. აქ მოდიოდნენ ისინი, ვინც იცნობდნენ დედა ოლღას. მოდიოდნენ, როგორც უწინ, მუდმივი თანამგზავრების — მათი დარდების თანხლებით და უკან შემსუბუქებული ბრუნდებოდნენ, თითქოს სატკივრის ნაწილი საფლავთან რჩებოდა“, — წერს არქიმანდრიტი რაფაელი.

წმინდა ეკატერინეს მონასტრის უმთავრესი სიწმინდეა, გათხრების დროს ნაპოვნი ღვთისმშობლის ხატი, რომელზეც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი თავსაბურავის გარეშეა გამოსახული. ხატის ძალითა და მადლით არაერთი ადამიანი განკურნებულა სნეულებისგან. მის სახელს მრავალი სხვა სასწაულიც უკავშირდება — მაგალითად, რევოლუციის წინ ხატთან თავისით აინთო კანდელი. როგორც მონასტერში მოღვაწე მონაზვნებმა ახსნეს, ეს მოხდა მათ გასამხნევებლად, რათა მომავალ განსაცდელსა და ძნელბედობას სავანის მკვიდრთა გულში რწმენა არ ჩაექრო.

როგორც უკვე ითქვა, წმინდა ეკატერინეს მონასტერი სინას მთაზე მოღვაწე ქართველ ბერებს დაუარსებიათ VI საუკუნეში. იმ პერიოდში, სინას მთაზე ბევრი ქართველი ბერი მოღვაწეობდა, ზოგიერთი მათგანი იმპერატორ იუსტინეს მიერ აშენებულ დიდ ლავრაში მკვიდრობდა, ზოგი კი, კლდეში ნაკვეთ კელიებში. ამ წმინდა მთაზე ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე, „ძველი აღთქმის“ პერიოდში მკვიდრობდნენ ასკეტი, განდეგილი ადამიანები, რომლებიც ცხოვრებას შინაგან ლოცვასა და ფსალმუნების გალობაში ატარებდნენ. მათ „ფერაპევტები“ ეწოდებოდათ. თვით სიტყვა „სინა“ — უდაბნოს ნიშნავს. სწორედ ამ ადგილას ეცხადებოდა ღმერთი მოსე წინასწარმეტყველს და აუწყებდა თავის ნებას. ამავე მთაზე გამოეცხადა უფალი ისრაელის ხალხს ელვის სახით... „ახალი აღთქმის“ პერიოდში კი, ღვთის მოწყალების ადგილი — სინა, ბერმონაზონთა სამკვიდროდ იქცა, რომელთა შორისაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი ბერებიც იყვნენ. ვიდრე ათონის წმინდა მთაზე ივერთა მონასტერი დაარსდებოდა, სწორედ სინას მთაზე იყო ჩამოყალიბებული ქართველ კალიგრაფთა სკოლა, სადაც „წმინდა წერილისა“ და წმინდა მამათა წიგნების გადაწერა ხდებოდა.

ამდენად, სინელ და ქართველ ბერებს შორის, უდიდესი სულიერი კავშირი არსებობდა. იქ მოღვაწე ქართველი ბერების მიერ მცხეთის მთებში დაარსებული სავანე კი, თითქოს საქართველოში გადმოტანილი სინის მთის ნაწილად იქცა. ■

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲙᲝᲓᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ

ᲔᲛᲐ ᲢᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

82 წლის თამარ დვალიძე რამდენიმეტონიან რკინის მანქანას ახალგაზრდობაში, დიდი სამამულო ომის დროს მართავდა და მაშინ, როდესაც მამაკაცები ფრონტზე იბრძოდნენ, ის დღეში ათობით ჰექტარ მიწას ამუშავებდა. მართალია, მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ თამარა ბებოს სასაუბრო ენას ტრაქტორისტისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია მაინც შემორჩა. მაგალითად, როდესაც მისი ჯანმრთელობით დავინტერესდი, მიპასუხა: „კლაპნები“ დამიტყდა, თორემ სოფელში ჩემზე კარგი მომღერალი და მოცეკვავე არავინ იყოო.

— 1924 წელს, სოფელ კოდისწყაროში მეწისქვილის ოჯახში დავიბადე. 13 წლის ვიყავი, როდესაც სკოლაში 7 კლასი დავამთავრე, ავიღე ჩემი საბუთები და მარტო წავედი თბილისში, რათა ექთანის პროფესიას დავუფლებოდი. მართლაც ჩავირიცხე სამედიცინო ტექნიკუმში, 3 თვე ვისწავლე კიდეც, მაგრამ მამაჩემმა ჩამომაკითხა და სოფელში დამაბრუნა. ოჯახში 5 დედმამიშვილი ვიყავით, ჩემი უფროსი დები გათხოვილები იყვნენ, ძმა ჯარში მსახურობდა, ამიტომ ავადმყოფი დედის მოვლა მე დამეკისრა. მალე ომი დაიწყო, ჩვენი სოფლის მამაკაცები ფრონტზე წაიყვანეს და სოფლის ცხოვრების მთელი სიმძიმე ქალებს დაგვაწვა მხრებზე. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ახალგაზრდა იყავი თუ მოხუცი. მახსოვს, კოლმეურნეობის კალოზე 7-8 წლის ბავშვებსაც კი ამუშავებდნენ. სად იყო მაშინ კომბაინები, თავთავს ხელით ვმკიდით, კალოზე ვლეწავდით, ფიწლებით ვანიავებდით, მოკლედ, ყველა იმ სამუშაოს ვასრულებდით, რასაც მანამდე მამაკაცები ართმევდნენ თავს. ერთხელ კი, ჩვენს კოლმეურნეობას რაიონის ხელმძღვანელობა ეწვია, მითხრეს: უნდა დაგაწინაუროთო და ტრაქტორის მართვა შემომთავაზეს. ფიზიკურად ძლიერი გოგო ვიყავი და ალბათ ამიტომაც გამომარჩიეს სხვებისგან. თავიდან უარი ვთქვი, გასათხოვარი ქალისთვის ტრაქტორისტობა რა მოსაწონია, მაგრამ მამაჩემმა თავისი გაიტანა, მთავრობა რასაც დაგვავალებს, უნდა დავემორჩილოთო.

— ტრაქტორის მართვა მალე ისწავლეთ?

— მართვაც მალე ვისწავლე და შეკეთებაც. დღეში 10 ჰექტარ მიწას რომ მოვხნავდი, დღის ბოლოს ტრაქტორის ქვეშ შევძვრებოდი და რომელიმე დაზიანებულ დეტალს შევაკეთებდი. ჩემი სამუშაო დღე დილის 5 საათზე იწყებოდა და გვიან ღამით მთავრდებოდა. მართალია, სამსახურში ტრაქტორისტის სპეცტანსაცმელი მეცვა, მაგრამ ყოველთვის მოწესრიგებული ვიყავი, პომადაც მიყვარდა და ფერუმარილიც. მერე რა, რომ დღის ბოლოს სულ გამურული სახე მქონდა და მაზუთიანი ხელები?! მაინც ომახიანად შემოვძახებდი ტრაქტორისტის სიმღერას: „ტრაქტორი ხნავს მინდორველებს...“ ამდენს ვშრომობდით, მაგრამ ხალხს მაინც უჭირდა. ომის პერიოდში ბევრი ოჯახი შიმშილობდა, ამიტომ ნაირ-ნაირ საკვებზე პრეტენზია არასდროს მქონია. შიმშილი რომ შემაწუხებდა, მინდორში დავამტვრევდი სიმინდის ტაროებს და ტრაქტორის რადიატორში აჩუხჩუხებული წყლის ორთქლზე ვხარშავდი. ყველაზე მეტად ტრაქტორის დაქოქვა მიძნელდებოდა. რამდენიმეტონიანი მანქანა რკინის ხელსაწყოს საშუალებით, ხელით უნდა დამექოქა. ამას იმხელა ძალ-ღონე სჭირდებოდა, რომ დარწმუნებული ვარ, ბევრი თანამედროვე მამაკაცი ვერ მოერეოდა.

თამარ დვალიძე (მარჯვნივ) ძმასთან და მეგობართან ერთად



ერთხელ გამიმხილა: თამარ. შენ რომ ორი ხელით პირი დაიბანე, მაშინ მივხვდი, რომ ჩემი ბედი იყავიო

— თქვენი მეუღლეც ტრაქტორისტობით ხომ არ მოხიბლეთ?

— უკვე 3 წელია, რაც ჩემი მეუღლე ცოცხალი აღარ არის, ღმერთმა აცხონოს მისი სული. მე და დავითს ბავშვობიდან გვიყვარდა ერთმანეთი. ერთხელ გამიმხილა: თამარ. შენ რომ ორი ხელით პირი დაიბანე, მაშინ მივხვდი, რომ ჩემი ბედი იყავიო. მამაჩემი ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იყო, რადგან დათიკოს არც სახლი ჰქონდა და არც კარი. ერთხელ გოგოებმა ჩვენს სახლში ვიქეიფეთ და დათიკო ჩუმად შემოვაპარეთ. მაგრამ მამაჩემს რას მოვატყუებდით?! ცოტა ხანში კარზე ბრაგუნი ატეხა: გამიღეთ, ვიღაცის კიკირტოჟს (სამხედრო ქუდი) ვხედავო. ჩვენს სიყვარულს წინ რა დაუდგებოდა. დათიკოს მაშინაც დავეკითხე, როდესაც თბილისში ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას, არ დაუშლია, მაგრამ მითხრა: ისწავლე, ოღონდ იცოდე, არავის გადაეყაროო. მერე დათიკოც ომში წაიყვანეს...

— ახლა არ მითხრათ, რომ ტრაქტორში მისი ფოტო გქონდათ გამოკრული...

— მამაჩემის შიშით ამას როგორ გავბედავდი?! წერილებსაც კი მალულად ვიღებდი მისგან. ხან რომელი მეგობრის სახელზე მიგზავნიდა და ხან რომელი მეზობლის. დღე ერთი იყო და ასჯერ მაინც გავხედავდი ჩემი ტრაქტორის ფანჯრიდან სოფლის შარას: დათიკო ხომ არ მიბრუნდება ფრონტიდან-მეთქი?.. მადლობა ღმერთს, ცოცხალი და უვნებელი დაბრუნდა, მასთან ერთად სოფლის სხვა ახალგაზრდებიც, ამიტომ ტრაქტორის მართვაც მათ დავუთმე. მე და დათიკომ ვიქორწინეთ და 4 შვილი შეგვეძინა. ერთი ვაჟი 4 წლის ასაკში დაგვეღუპა. ჭაში დაიხრჩო; ერთი ქალიშვილისა და ორი ვაჟისგან ექვსი შვილიშვილი მყავს. მართალია, ძალიან დავუძლურდი და სიარულიც აღარ შემიძლია, მაგრამ შვილიშვილებს შემოვიკრებ ხოლმე გარშემო და ვუყვები, რომ მათი ბებია ერთ-ერთი პირველი ტრაქტორისტი ქალი იყო.

— საინტერესოა, საბჭოთა მთავრობამ თუ დაგიფასათ თავდადებული შრომა?

— 1947 წლის 8 მაისს სტალინის მედლით დამაჯილდოეს, დიდ სამამულო ომში, ზურგში მამაცური შრომისათვის. ამის გამო საკმაოდ მაღალი პენსია დამინიშნეს, დაახლოებით 130 ლარის ოდენობით, რითაც ოჯახს მნიშვნელოვნად ვეხმარები.

■

faberJe _ antikvariatis jadoqari

„ფაბერჟე კარლ პეტერი (1864 წ., სანქტ-პეტერბურგი—1920 წ., ლოზანა) — ცნობილი რუსი მხატვარი, იუველირი“ — შესაძლებელი იყო, სწორედ ასე დაწყებულიყო სტატია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, მაგრამ არც დიდში და მით უმეტეს, არც მცირე ენციკლოპედიაში მსგავსი ცნობები არ გვხვდება. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გვერდს უვლიდნენ და ჩქმალავდნენ იმ მხატვრის სახელს, ვინც პირდაპირი მნიშვნელობით, ქვეყანას არჩენდა: საბჭოთა მთავრობა 20-იან წლებში ვალუტის ნაკლებობას ხელოვნების შედევრების, მათ შორის ფაბერჟეს ქმნილებების გაყიდვით ავსებდა...

ახლა გაკვირვებას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ცნობილი ამერიკელი გამომცემლის, მალკოლმ ფორბსის კოლექციაში ფაბერჟეს 11 სააღდგომო კვერცხია დაცული, რომლებიც რუსეთის იმპერატორის ოჯახის წევრებისთვის იყო დამზადებული; მოსკოვის კრემლის სახელმწიფო მუზეუმების კოლექციებში კი — ერთით ნაკლებია. საბჭოთა კავშირში არმანდ ჰამერმა „ნაცნობობით“ 13 სააღდგომო კვერცხი და ფაბერჟეს სხვა მრავალი ქმნილება შეიძინა, 30-იან წლებში კი, თავისი კოლექციის უმეტესი ნაწილი გაყიდა...

ფაბერჟეს მემკვიდრეობა უზარმაზარია, მაგრამ სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოშია გაფანტული. მისი ნაკეთობების ყველაზე დიდი კოლექციის მფლობელი, დიდი ბრიტანეთის დედოფალი იყო, ყველაზე მოკრძალებული „სამშვენისების“ მფლობელი კი, შესაძლებელია, თქვენ ან თქვენი მეზობელიც აღმოჩნდეთ.

როცა ფაბერჟეს ნამუშევრებზეა ლაპარაკი, იგულისხმება მისი ფირმა, რადგან დიდი მხატვარი დიდი ორგანიზატორიც გახლდათ.

კარლ პეტერ ფაბერჟემ 24 წლისამ იტვირთა საიუველირო ფირმის მართვა, რომელიც მამამისმა — გუსტავმა დააარსა. იგი სანქტ-პეტერბურგში მდებარეობდა. მოგვიანებით ფირმის ფილიალები მოსკოვში, ოდესაში, ლონდონსა და კიევში გაიხსნა. პეტერბურგის სახელოსნოებმა კი, უფრო პრესტიჟულ შენობებში გადაინაცვლა. ფირმის მეთაურის ხელმძღვანელობით, დაახლოებით 500 იუველირი მუშაობდა: მხატვარი-დიზაინერები, ლითონის ჩამომსხმელები, ქვის მთლელები, სააღდგომო კვერცხების მექანიკური სიურპრიზების დამამზადებლები... საკუთარ შემოქმედებაში ყოველი მათგანი თავისუფალი იყო და ეს კიდევ უფრო ავსებდა და ამდიდრებდა საერთო ჩანაფიქრს.

სახელგანთქმულ მხატვართაგან, რომლებიც რუსული ხელოვნების დიდებასა და სიამაყეს წარმოადგენდნენ, ბევრია ისეთი, რომლის ძარღვებშიც არც ერთი წვეთი რუსული სისხლი არ ჩქეფდა. ფაბერჟეც მათ რიგშია.

მისი წინაპრები მამის მხრიდან, ფრანგი ჰუგენოტები იყვნენ, რომლებიც ლუდოვიკო XV-ის მიერ 1685 წელს, ნანტის ედიქტის გაუქმების (რამაც ზღვარი დაუდო საფრანგეთში რელიგიურ შემწყნარებლობას) შემდეგ, გერმანიაში გადავიდნენ საცხოვრებლად. დიდოსტატის მამა — გუსტავ ფაბერჟე ესტონეთში (პიარნუ, 1814 წ.) დაიბადა; დედა — შარლოტა იუნგშტედტი — დანიელი მხატვრის ქალიშვილი იყო. ხელობა, როგორც მამამ, ასევე შვილმა, გერმანელ ოსტატებთან შეისწავლეს. ვიდრე ოჯახი დრეზდენში ცხოვრობდა, ეჭვგარეშეა, რომ ახალგაზრდა ფაბერჟე ადგილობრივი მუზეუმების ხშირი სტუმარი იყო, მათ შორის, ცნობილი „მწვანე კამარის“ საგანძურისა, სადაც გაეცნო XVIII საუკუნის შესანიშნავი გერმანელი იუველირის, იოჰან მელჰიორ დინგლინგერის შედევრებს, განსაკუთრებით — მომინაქრებულ და ძვირფასი თვლებით მოოჭვილ, მცირე ზომის ფიგურებს, რომლებსაც მოძრაობაში მოსაყვანად მოსამართი მექანიზმიღა აკლდათ. ხელოვნებათმცოდნეების აზრით, სწორედ ამ ავტორის ნიმუშებმა მიაწოდა ფაბერჟეს იდეა, სააღდგომო კვერცხებში მოეთავსებინა ე.წ. სიურპრიზი: კვერცხი იხსნება და „სიურპრიზი“ მოძრაობს ან მღერის.

დრეზდენის შემდეგ, იგი ევროპაში მოგზაურობდა. მოგვიანებით სპეციალისტები მიუთითებდნენ ფაბერჟეს მრავალრიცხოვანი ევროპული ხელოვნების „პროტოტიპზე“, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე — ლუდოვიკო XV-ის და ლუდოვიკო XVI-ის სტილი. ორივე ხელმწიფეს საიუველირო კვერცხი — სუვენირების საჩუქრად მირთმევა ჩვეულებად ჰქონდა ქცეული და ფაბერჟეს ნამუშევრებიც სწორედ ამ ფრანგული თემის ვარიაციებს წარმოადგენს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟეტები ყოველთის ავტორის თანამედროვე ეპოქას ეხმიანება. ამასთან, ნატიფი სააღდგომო კვერცხების დამზადება რუსეთში ოდითგანვე ტრადიციული და უძველესი ხელობა გახლდათ. ხელოვნის შემოქმედებაში მრავალსაუკუნოვანი ევროპული გამოცდილება რუსულ ნიადაგს შეერწყა. სხვადასხვა სტილის (ზოგიერთი მათგანის საიდუმლო დღემდე გამოუცნობია) სრულყოფილად დაუფლებამ, დიდმა ტალანტმა, რომელიც კიდევ უფრო გამდიდრდა და შეერწყა ფირმის სხვა ოსტატთა ნიჭს, შექმნა ის, რასაც დღეს განუმეორებელი „ფაბერჟეს სტილი“ ეწოდება.

XIX და XX საუკუნის დასაწყისში რუსუ-

ლი საიუველირო ფირმების ნიმუშებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუზეუმები არ იძენდნენ, რადგან სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ ისინი ჭარბად შეიცავდა ეკლექტიზმის ელემენტს და ჭეშმარიტი ხელოვნებისაგან შორს იდგა. სწორედ ამ მიზეზით, ეს ნიმუშები 20-იან, 30-იან წლებში საზღვარგარეთ იყიდებოდა. ამ უსამართლო შეფასებას ვერც ფაბერჟეს ფირმის საუცხოო ნაკეთობანი გადაურჩა. მაგრამ ფაბერჟეს შედევრების გაყიდვა, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ საბჭოთა მთავრობა იმხანად, პრაქტიკულად, ყველაფერს ყიდდა, რაც ასე თუ ისე, რომანოვების, განსაკუთრებით კი — ნიკოლოზ II-ის სახელს უკავშირდებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ერთმა გონებამახვილმა კაცმა რუსეთის უკანასკნელ იმპერატორს „ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის უნებლიე სპონსორი“ უწოდა...

დღესდღეობით ჩვენ ერთნაირად გვხიბლავს ამ ფირმის ყველა ნაკეთობის მაღალი ტექნიკური და მხატვრული დონე. ეს ბრწყინვალე ნიმუშები იქმნებოდა, როგორც მდიდარი დამკვეთებისთვის, ასევე მაღაზიებში გასაყიდად. ფაბერჟეს შემოქმედებითი მუზის მწვერვალად კი, სამართლიანად მიიჩნევენ იმპერატორის ოჯახის წევრების დაკვეთით შესრულებულ სააღდგომო სასაჩუქრო კვერცხებს.

პეტერ ფაბერჟე სასახლის კარზე მიღებული იყო არა მარტო როგორც იუველირი, არამედ როგორც მეუღლე ავგუსტა იულია იაკობსისა, რომელიც საიმპერატორო ავეჯის სახელოსნოს მმართველის ქალიშვილი გახლდათ. ფაბერჟეს ფირმამ იმპერატორის მფარველობა 1882 წელს მოიპოვა, მას შემდეგ, რაც მოსკოვში გამართულ სრულიად რუსეთის გამოფენაზე ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ამ შემთხვევის შემდეგ, ფირმას კარლის უმცროსი ძმა — აგათონ ფაბერჟე შეუერთდა, ხოლო კარლი „მისი საიმპერატორო უმაღლესობისა და იმპერატორის ერმიტაჟის იუველირი“ გახდა.

1885 წელს ნიურნბერგში ნატიფი ხელოვნების ნიმუშების გამოფენაზე წარმოდგენილი გახლდათ ფაბერჟეს ე.წ. „პირველი სააღდგომო კვერცხი“, რომელიც ალექსანდრე მესამემ იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას უძღვნა. ამჟამად ეს „პირველი სააღდგომო კვერცხი“ უმდიდრესი ამერიკული ჟურნალის — „ფორბსის“ კოლექციის საკუთრებაა, ისევე, როგორც უკანასკნელი — „კვერცხი გიორგის ჯვრით“ (1916 წ.). ეს ერთადერთი კვერცხია, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მისი პატრონის — ქვრივ იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას მიერ იყო საზღვარგარეთ გატანილი და შემდგომში მემკვიდრეობით გადავიდა დიდი თავადის ასულ ქსენია ალექსანდროვნას მფლობელობაში, ხოლო შემდეგ, დიდი თავადის, ვასილ რომანოვის კუთვნილებად იქცა. 1960-იანი წლების დასაწყისში კვერცხი „სოთბის“ ცნობილ აუქციონზე მოხვდა...

სპეციალისტთა მტკიცებით, უკანასკნელი რუსი იმპერატორის შეკვეთით, სულ 56 სააღდგომო კვერცხი შეიქმნა. მათგან 8 უკვალოდ გაქრა. 12 კვერცხი ციმბირის ოქროს საბადოების მფლობელის — უმდიდრესი მეწარმის ალექსანდრ კელჩისათვის, თავად იუსუპოვისა და ჰერცოგინია მალბოროსათვის დამზადდა.

ფაბერჟეს ნამუშევრები არასოდეს მეორდებოდა. ხელოვანი მახვილი ალღოთი გამოირჩეოდა და მუდამ სწრაფად რეაგირებდა გემოვნებისა და მოდის მუდმივ ცვალებადობაზე. ის ყოველთვის წინასწარ განსაზღვრავდა ხელოვნებაში ახალი მიმართულებისა და ფორმების შემოსვლას. კვერცხების სიმაღლე 6,4-დან 37 სანტიმეტრამდე მერყეობს. სააღდგომო კვერცხების შიგნით მოთავსებულია მოძრავი ან მომღერალი „სიურპრიზები“, ზოგიერთი მათგანი კი, სამეფო ოჯახის წევრების მინიატიურული პორტრეტებითაა შემკული.

რა ბედი ეწია იმპერატორს და მის ოჯახს რევოლუციის შემდგომ — ყველასათვის ცნობილია. ფაბერჟეს ფირმას?.. ის ჯერ მუშათა კომიტეტს დაუქვემდებარეს, შემდეგ კი — დახურეს. მოგვიანებით, ფაბერჟეს ვაჟიშვილებმა ფირმა პარიზში გახსნეს, მაგრამ ეს უკვე სხვა თემა გახლავთ.

...1918 წელს, კარლ პეტერ ფაბერჟემ უცხოეთის საელჩოს კურიერის საბუთებით დატოვა რუსეთი. ამის შემდეგ, დიდხანს აღარ უცოცხლია: 1920 წლის 24 სექტემბერს ლოზანაში გარდაიცვალა. 9 წლის შემდეგ, მისმა ვაჟმა ევგენიმ მამის ნეშტი საფრანგეთის ქალაქ კანში გადაასვენა, რათა იქ ქალბატონ ფაბერჟეს გვერდით დაეკრძალა, რომელიც ქმრის გარდაცვალებიდან 5 წლისთავზე გარდაიცვალა... ■

„კარიბის ზღვის მეკობრეების“ მესამე ფილმს სახელი უკვე შეუჩიეს

საიტზე — Comingsoon.net — გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ კინოკომპანიამ Disney Pictures საბოლოოდ შეარჩია ფილმის — „კარიბის ზღვის მეკობრეები“ მესამე სერიის სრული დასახელება. სცენარის ავტორმა ტერი როსიომ ეს ცნობა დაადასტურა და განაცხადა, რომ ფილმის შემქმნელებმა არჩევანი შემდეგ დასახელებაზე — Pirates of the Caribben: At Worlds End — შეაჩერეს. როსიოს განცხადებაში ნათქვამია, რომ არჩევანი ორ ვარიანტს შორის — At World End და Worlds End — გაკეთდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ ფილმს პრემიერა 2007 წლის 27 მაისისთვისაა დანიშნული. „მეკობრეების“ მეორე სერიის მსოფლიო გაქირავების შემოსავალმა სადღეისოდ, 864 მლნ დოლარი შეადგინა, რაც კინოკომპანიისთვის რეკორდული თანხაა. ასე რომ, გორ ვერბინსკის ფილმს ყველა შანსი აქვს, რომ კინემატოგრაფის ისტორიაში ყველაზე შემოსავლიან ფილმთა სიაში საპატიო მესამე ადგილი დაიკავოს. ■

მერაი ქერი საამოდელო ბიზნესს უმიზნემს!

მერაია ქერი მართლაც რომ საოცრად ამბიციური ქალბატონი ბრძანდება! ის ყველაზე პოპულარული მომღერალი ქალის სტატუსითა და რეკორდული შემოსავლით აღარ კმაყოფილდება და ახლა სამოდელო ბიზნესის დაპყრობა განუზრახავს. მას ნებ-

ისმიერი ქალი გაუგებს — მერაიამ ხომ ბოლო თვეებში 9 კგ დაიკლო და ახლა ფართო მასების წინაშე მოხდენილი სხეულის გამომზეურების სურვილი ტანჯავს. მომღერალი აქტიურად ცდილობს პოტენციური დამქირავებლების ყურადღების მიპყრობას, რისთვისაც პარიზის მოდურ ბუტიკში Louis Vuitton — კლიპიც გადაიღო. ვარსკვლავის ახლობლები ვარაუდობენ, რომ LV-ს ხელმძღვანელობა უახლოეს ხანებში მერაიასთან კონტრაქტს გააფორმებს. „ვფიქრობთ, ახლა სწორედ შესაფერისი მომენტი დადგა იმისთვის, რომ ის ამ უდიდესი სამოდელო სახლის სარეკლამო კამპანიაში ჩაერთოს. მერაია მსგავს ღონისძიებაში ხშირად მონაწილეობს. ამჟამად წინასწარ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ“, — განაცხადა მერაია ქერის წარმომადგენელმა. უნდა ითქვას, რომ ახალ კლიპში — Say Something — მოდური ბუტიკის გარდა, რეპერი ფარელ უილიამსიც გამოჩნდება. უკვე გავრცელდა ჭორი მათი შორის შესაძლო რომანის შესახებ... კლიპის სიუჟეტის მიხედვით, ფარელი და მერაია სწორედ ცოლ-ქმარს განასახიერებენ! ■

ნიკოლას კეიჯი სამყაროს რუსული ატომური ბომბის ათვოთქმისგან ისსნის

რეჟისორი ლი ტამახორის ფანტასტიკურ ტრილერში — The Next — ნიკოლას კეიჯი, ჯულიან მური და ჯესიკა ბილი ითამაშებენ. ფილმს საფუძვლად დაედო ამერიკელი ფანტასტის ფილიპ დიკის ცნობილი ნაწარმოები „ოქროს ადამიანი“, რომლის მთავარი გმირი, კრის ჯონსონი მომავლის განჭვრეტის უნიკალური ნიჭითაა დაჯილდოებული. გამოძიების ფედერალური ბიურო ცდილობს, ჯონსონი იმ ტერორისტების მოსაძებნად გამოიყენოს, რომლებმაც რუსული ატომური ბომბი გაიტაცეს და ამ ბომბის ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე აფეთქებით იმუქრებიან. გმირი ფედერალურ ბიუროსთან თანამშრომლობას მხოლოდ მას შემდეგ თანხმდება, როდესაც მისი არაჩვეულებრივი ნიჭის გამოყენებით დაინტერესებული ტერორისტები ჯონსონის მეგობარ გოგონას მძევლად აიყვანენ. ნიკოლას კეიჯის გმირი ურთულესი არჩევანის წინაშე აღმოჩნდება — სამყაროს ხსნა თუ საყვარელი ქალის გადარჩენა?!

ფილმის პრემიერა 2007 წლის 28 სექტემბრისთვისაა დანიშნული. ამჟამად მსოფლიოს ეკრანებზე გადის ოლივერ სტოუნის ფილმი „მსოფლიო სავაჭრო ცენტრი“, რომელშიც მთავარ როლს ნიკოლას კეიჯი თამაშობს. ■

ტომ კრუზი — ქალთა სოლიდარობის მსხვერპლი

მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ მსოფლიო კინოს მთავარი ნაკრძალის (რომელსაც ხალხმა „წმინდა ტყე“ შეარქვა) ზოგიერთი ბინადრის შენახვა ძალზე ძვირი ჯდება, გუშინ არ დაწყებულა. მაგრამ „რეზერვაციის“ მეპატრონეები გარკვეულ მომენტამდე „წმინდა ტყის“ ბინადართა ხუმტურებს კრიჭაშეკრულნი ითმენდნენ. წინააღმდეგობას არ უწევდნენ და ამომავალ ვარსკვლავებს დიდი ვილების, მდიდრული ავტომობილების, ექსკლუზიური სამოსის, ოქროს ქანდაკებებისა და სილიკონის იმპლანტანტების სამყაროში უსიტყვოდ უშვებდნენ. ასე გრძელდებოდა დიდხანს... 2006 წლის 22 აგვისტომდე! ამ დღეს კორპორაცია Viacom-მა ტომ კრუზთან 14-წლიანი კონტრაქტი გაწყვიტა! ამის მიზეზად, უზომოდ მზარდი ხარჯები, კრუზის ფილმებიდან კომპანიისთვის არასაკმარისი შემოსავლები და მსახიობის ზედმეტად ექსპრესიული ქცევა დაასახელეს... უბრალოდ რომ ვთქვათ — მისტერ კრუზის ფილმები სარფიანად აღარ იყიდება — ასეთია Paramount-ის მეპატრონე Viacom-ის ოფიციალური ვერსია. არაოფიციალური ვერსიის მიხედვით კი, განხეთქილების მიზეზად, ტომ კრუზის მიერ ბრუკ შილდსის მიმართ გამოთქმული სიტყვები იქცა, როდესაც კრუზმა შილდსი ანტიდეპრესანტების რეკლამირებაში დაადანაშაულა. როგორც ამბობენ, Viacom-ის 83 წლის ბოსის სამნერ რედსტოუნის 43 წლის მეუღლეს, პოლა ფორტუნატოს ძალზე არ მოეწონა ტომ კრუზის საქციელი და მეუღლეს ჩასჩურჩულა, რომ მსგავსი გამონათქვამები კინოვარსკვლავის თაყვანისმცემელ ქალბატონთა უკმაყოფილებას გამოიწვევს, რაც შემდგომ მისი ფილმების პოპულარობაზეც აისახება. როგორც ამბობენ, ქალბატონ ფორტუნატოს ქმარზე უდიდესი გავლენა აქვს მოპოვებული და მხცოვანი ბოსი უმთავრეს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს მხოლოდ ახალგაზრდა მეუღლეს უთანხმებს. მიუხედავად ამისა, Viacom-ის წარმომადგენელმა კარლ ფოლტამ აღიარა: „კრუზთან უთანხმოების მიუხედავად, მისტერ და მისის რედსტოუნები მის ფილმებს სიამოვნებით უყურებენ“.

ტომ კრუზის ძველი მეგობარი და საქმიანი პარტნიორი, ქალბატონი პოლა ამ განცხადებას ელვის სისწრაფით გამოეხმაურა: მან პრესკონფერენცია გამართა, სადაც ყოფილი პარტნიორების განცხადებების გამო გაოცება და აღშფოთება ვერ დაფარა. თურმე, ნუ იტყვით და, „განქორწინების“ ინიციატორი, Paramount კი არა, პირიქით — Cruise-Wagner-ის მენეჯმენტი ყოფილა, რომელმაც ეს გადაწყვეტილება ერთი კვირით ადრე გაახმაურა და კომპანიისთვის უკვე ახალი ინვესტორებიც მოძებნა. მადამ ვაგნერი იმდენად აღელვებული იყო, რომ Viacom-ის მესვეურთა განცხადებას, „ღირსების შენარჩუნების“ მცდელობა უწოდა. ეს იყო და

ეს — ერთი შეხედვით, უჩვეულო არაფერია იმაში, რომ ჰოლივუდის „ფაუნის“ უდიდესმა წარმომადგენელმა — Paramount Pictures-მა კბილებალესილ საიენტოლოგ ტომ კრუზთან 14-წლიანი თანამშრომლობა შეწყვიტა, მაგრამ ამ „განქორწინებაში“ აშკარად იკვეთება ზოგიერთი მომენტი, რომელიც უფრო დეტალური შესწავლის საგნად უნდა იქცეს. მაგალითად, თავად განხეთქილების მოტივაცია: — Paramount აცხადებს, რომ კრუზის ზღვარგადასული ექსპრესიულობა და დაჟინებული საიენტოლოგიური ქადაგებანი მის ფილმებზე მაყურებლის დასწრებაზე ცუდად მოქმედებს?.. ნურას უკაცრავად! დიდი ამბავი, თუ მსახიობმა სახელგანთქმული ტელეწამყვანის — ოპრა უინფრის სტუდიაში ტყავის სავარძელზე იხტუნავა და ტელეეკრანიდან კეიტ ჰოლმსს გამყივანი ხმით სიყვარული აუხსნა! დიდი ამბავი, თუ საიენტოლოგიურ ექსტაზში ჩაფლულმა ვარსკვლავმა თანამედროვე ფსიქიატრია უშვერი სიტყვებით შეამკო! ნუთუ ეს ქცევა ფილმების შემოსავალზე უარყოფითად აისახა?! „წმინდა ტყის“ დიდმა მტაცებელმა, Paramount-მა კარგად იცის, რომ ამ „ტყის“ ზოგიერთ ბინადარს ბევრად უცნაური გამოხდომები სჩვევია.

მაგალითად, ერთმანეთს ყელს ღადრავენ, სხვადასხვა ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური პრობლემის გამო, წლობით მკურნალობენ, შთამომავლობის გასაგრძელებლად, ვაშინგტონის დიდ, თეთრ „ვოლიერს“ იყენებენ და ზოგჯერ ამ „ვოლიერს“ დაეპატრონებიან კიდეც!.. კრუზის მონაწილეობით გამართული შოუს შემოსავლებს რაც შეეხება, — აქ Paramount მოკრძალებულ დუმილს ამჯობინებს იმის შესახებ, რომ სააგენტო Quigley Publishing Co-ის მიერ გამქირავებლებს შორის ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, „წმინდა ტყის“ საიენტოლოგთა მამამთავარი ყველაზე შემოსავ-

ლიან მსახიობად უკვე მეშვიდედ მოგვევლინა, რაც აქამდე ვერავინ შეძლო. უფრო მეტიც — კრუზის ბოლო სურათებმა — „სამყაროთა ომები“ და „შეუსრულებელი მისია-2“ — სტუდიას მილიარდი დოლარი შემატა. ყველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დიდი მტაცებლის ოფიციალური მოტივაცია, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს.

მაგრამ არსებობს მეორე, არაოფიციალური და უფრო დამაჯერებელი მოტივი, რომლის შესახებაც, საქმეში ჩახედულმა ხალხმა ჟურნალისტებს სრულიად საიდუმლოდ მოუთხრეს. განხეთქილების მოტივი მეტისმეტად ბანალურად ჟღერს: Paramount-ს უბრალოდ აღარ სურს, ასტრონომიული ჰონორარები გადაუხადოს მისტერ კრუზს და ფირმა Cruise-Wagner-ის მენეჯმენტი უდიდესი საკომისიო თანხებით გაამდიდროს...

თუ ეს სიმართლეა, მაშინ „წმინდა ტყე“ უდიდესი რევოლუციური ქარტეხილების წინაშე დგას, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: ვარსკვლავების შემოსავლებმა ზღვარს მიაღწია, ტექნოლოგიები კი იმდენად განვითარდა, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება, ყველა თუ არა, ზოგიერთი პროექტის, მეგავარსკვლავთა მონაწილეობის გარეშე შექმნა.

როგორც მოგახსენეთ, ეს მითქმა-მოთქმა გუშინ არ დაწყებულა. კომპანიამ Exhibior Relations, რომელიც 1974 წლიდან მსოფლიოს კინოთეატრების შემოსავლებს შეისწავლის, 2000 წელს მრავლისმთქმელი მოხსენება გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, ბოლო წლების გაქირავების მთავარ ჰიტად ის ფილმები გადაიქცა, რომელთა მთავარი გმირების ერთი ნაწილი მაინც, კომპიუტერის მეშვეობითაა შექმნილი ან ფილმები, სადაც მსახიობის პიროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. მოხსენებაში ამის მაგალითად მოყვანილია ფილმები: „იურული პერიოდის პარკი“, „მაიმუნთა პლანეტა“, „ბეჭდების მბრძანებელი“, „ვარსკვლავური ომების“ გაგრძელება, „კინგ- კონგი“ და რაღა თქმა უნდა, „შრეკი“! ამ სტატისტიკის განზოგადება და ერთადერთ ჭეშმარიტებად მიჩნევა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ჰოლივუდის პრაქტიკაში მუდამ იყო და დღესაც არის ისეთი ფილმები, სადაც შთამბეჭდავი სპეცეფექტების მიუხედავად, წარმატებას მხოლოდ ერთი მსახიობი განაპირობებს. გავიხსენოთ: „ფორესტ გამპი“, „ინდიანა ჯონსი“ ან თუნდაც, 2006 წლის მთავარი ბლოკბასტერი — „კარიბის ზღვის მეკობრეები. მკვდრის სკივრი“. ამ ფილმებში ჰენკსს, ფორდსა და დეპს რომ არ ეთამაშათ, ისინი განძის მაძიებელთა, შეშლილ მილიარდერთა და ცალფეხა ავანტიურისტთა შესახებ გადაღებულ მორიგ უაზრო სურათებად დარჩებოდა. ამგვარი სურათების სია კი, უსასრულოდ გრძელია. თუნდაც, იგივე ტომ ჰენკსი, რომლის ფილმებმაც „წმინდა ტყეს“ ყველაზე დიდი შემოსავალი — 3,5 მილიარდი დოლარი მოუტანა. ჰენკსის მონაწილეობით განხორციელებულ პროექტებს შორის, „ფორესტ გამპის“ შემდეგ, შემოსავლის მხრივ მეორე ადგილს ანიმაციური ფილმი — „სათამაშოების ამბავი-2“ იკავებს, რომელშიც მაყურებელს ჰენკსის ხმა მაინც ესმის, მაშინ, როდესაც „პოლარულ ექსპრესში“ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გმირი ერთდროულად რამდენიმე პერსონაჟს ქმნის. აღარაფერს ვამბობთ პიტერ ჯეკსონის ტრილოგიის პერსონაჟ გორლუმისა (ამ ტრილოგიის მეორე სერიას მსოფლიო კინოგაქირავების ყველაზე შემოსავლიან ფილმთა სიაში მეორე ადგილი უკავია) და „პაწია მწვანე მეგობარ“ იოდის შესახებ („სიტხების შურისძიება“), რომელიც ეკრანზე უცხოპლანეტელთა ფაუნის რეალურად არსებულ წარმომადგენლად აღიქმება.

რა თქმა უნდა, მუდამ არსებობდა და მომავალშიც იქნება ე.წ. „სუფთა“ დრამატული კინემატოგრაფი, რომელსაც სამიოდე მსახიობი ორიოდე პავილიონში 2 მლნ დოლარად შექმნის და რომელიც ნიკრისის ქარებით გატანჯულ კინოკადემიკოსთა აღფრთოთანებულ შეძახილებს დაიმსახურებს. მაგრამ დიდი კინო — უპირველეს ყოვლისა, დიდი ბიზნესია. ბიზნესი კი, მუდამ ხარჯების შემცირებისა და შემოსავლების ზრდისკენ მიისწრაფვის. დიდ კინოს, ბიჭებისა და გოგონების ან თუნდაც, ბიჭებისა და ბიჭების დიდი და ტრაგიკული სიყვარულის ამბები ნაკლებად აინტერესებს, — თუ მათი სიყვარული ჩასაძირავად განწირული საოკეანო ლაინერების ან სისხლისფერი საღებავებით მორწყულ გლადიატორთა არენის ფონზე არ ვითარდება...

„წმინდა ტყის“ იმ ბინადართ, რომლებიც პურის ფულს მხოლოდ საღეჭი კუნთების მეშვეობით შოულობენ, მძიმე დღეები უახლოვდებათ. ასე რომ, საიენტოლოგიური რწმენა, დივანზე ხტუნაობა, ძვირად ღირებული ავეჯის მსხვრევის მავნე ჩვეულება და სხვა უცნაურობანი არაფერ შუაშია. „წმინდა ტყეში“ ნადირობის სეზონი იხსნება!.. ■

ნაცისტური მრეწველობის განადგურებას პიტერ ჯეკსონი უხელმძღვანელებს!

მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეპიზოდისადმი მიძღვნილი ფილმის — Dambusters — წარმოებას პიტერ ჯეკსონი უხელმძღვანელებს. The Hollywood Reporter-ის ცნობით, ჯეკსონმა სარეჟისორო სავარძელი მის ყოფილ ხელქვეითს, კრისტიან რივერსს მიანდო, რომელიც ადრე ბლოკბასტერ „კინგ-კონგის“ კომპიუტერულ ანიმაციაზე იყო პასუხისმგებელი. პროექტს კინოკომპანია Universal Pictures დააფინანსებს და სურათს ყველა ქვეყანაში წარადგენს, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის გარდა, სადაც ფილმის გაქირავებაზე პასუხისმგებელი StudioCanal იქნება.

სურათს საფუძვლად დაედო წიგნი The Dam Buster და 1954 წელს

გადაღებული ამავე სახელწოდების ინგლისური ფილმი. ის მოკავშირეთა სამხედროსაჰაერო ძალების მიერ 1943 წელს ჩატარებული საიდუმლო ოპერაციის შესახებ მოგვითხრობს. ნაცისტური მრეწველობის განადგურების მიზნით, ბომბდამშენთა ჯგუფ „ლანკასტერის“ პილოტებს, სპეციალურად ამ ოპერაციისათვის შექმნილი ზეძლიერი ბომბების გამოყენებით, გერმანელების ზურგში 3 ჯებირის განადგურება დაევალათ... ამ ამბავმა პროექტის ხელმძღვანელი პიტერ ჯეკსონი ბავშვობაში აღაფრთოვანა. სურათის სპეცეფექტებზე ჯეკსონის სტუდია Weta Digital, Ltd da Weta Workshop Ltd იმუშავებს.

პიტერ გრინუეის „ღამის გუშაგი“

ბრიტანელმა რეჟისორმა პიტერ გრინუეიმ უდიდესი ჰოლანდიელი მხატვრის რემბრანდტ ვან რეინის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ფილმისათვის — „ღამის გუშაგი“ მსახიობები უკვე შეარჩია. მსახიობთა სია მან ლონდონის ეროვნული გალერეის რემბრანდტის დარბაზში წაიკითხა. თავად მხატვარს მსახიობი

მარტინ ფრიმანი განასახიერებს, რომელმაც დიდ ბრიტანეთში პოპულარობა ბი-ბი-სის შოუში — „ოფისი“ მონაწილეობის შემდგომ მოიპოვა. მხატვრის მეუღლის როლს მსახიობი ევა ბერტისლი ითამაშებს. ფილმის სიუჟეტი რემბრანდტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტილოს — „ღამის გუშაგის“ გარშემო ვითარდება. როგორც პიტერ გრინუეის მუდმივმა პროდიუსერმა კეს კასანდემ განაცხადა: „ამ ტილოს მხატვრის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ცვლილებები უკავშირდება. მასზე მუშაობის დროს რემბრანდტმა 3 შვილი და მეუღლე დაკარგა და მის შემოქმედებაშიც დაღმასვლა დაიწყო. გრინუეის სურდა, ფილმის გამოსვლა 2006 წელს, კანის ფესტივალისთვის და დიდი მხატვრის დაბადებიდან 400 წლისთავისთვის მოესწრო, მაგრამ მიზეზთა გამო, იძულებული გახდა, გადაღებები გადაედო. პრემიერის ახალ თარიღად 2007 წლის მაისი დაასახელეს. გადაღებები პოლონეთსა და უელსშია დაგეგმილი. ■


„კორსარი“ (მონა)

რამდენიმე უცნობი ფაქტი ვახტანგ ჭაბუკიანის ცხოვრებიდან

ნუცა თოფჩიშვილი

ვახტანგ ჭაბუკიანი წლების მანძილზე ატყვევებდა ბალეტის მოყვარულთ თავისი საოცარი ხელოვნებით. მსოფლიოს უდიდეს სცენებზე მისი გამოსვლისას, მაყურებელი აღტაცებით უკრავდა ტაშს. მაგრამ მის ცხოვრებას უღრუბლოს ნამდვილად ვერ უწოდებ, ბევრი განსაცდელი და მწარე წუთიც უგემია...

ბუმბერაზი შემოქმედის შესახებ წიგნს გამოსაცემად ამზადებს ამერიკანოლოგი ზაქარია მეგრელიშვილი, რომლის მრავალგვარ ინტერესთა სფეროში, ბალეტის ჯადოსნური სამყაროც შედის. ბატონი ზაქარია დათანხმდა, წიგნის გამოსვლამდე „გზისთვის“ გაეგზავნა რამდენიმე უცნობი ფაქტი ვახტანგ ჭაბუკიანის ცხოვრებიდან.

— თავიდან ვწერდი წიგნს ჯორჯ ბალანჩინზე. მუშაობის პროცესში გამიჩნდა იდეა, დამეწერა წიგნი ვახტანგ ჭაბუკიანზე. ბალანჩინზე ხომ უამრავი წიგნია დაწერილი. ვინც კი საბჭოთა კავშირიდან გაიქცეოდა, მწერალი იყო თუ ხელოვანი, მთელი ყურადღება მასზე იყო გადატანილი. არადა, ამ ადამიანებზე დიდი ოსტატი აქვე გვყავდა... თავის სამშობლოში ქართულ ენაზე რატომ არ უნდა არსებობდეს ვახტანგ ჭაბუკიანზე წიგნი?!. ბალანჩინს სტრავინსკი ჰყავდა გვერდით და თავისუფალ სამყაროში მოღვაწეობდა. ბალანჩინს პიკასო უხატავდა... მერე აღარ მოსწონდა და დეკორაციებსა და კოსტიუმებს ჭრიდა. როცა ეკითხებოდნენ — სად არის პიკასოო? — პასუხობდა — მე არ მჭირდება პიკასო, ცეკვაში ხელს მიშლისო... ვახტანგ ჭაბუკიანს კი არ ჰქონდა თავისუფლება. მართალია, მის სპექტაკლებს სახელმწიფო აფინანსებდა, რასაც კომუნისტების პლუსად მიიჩნევდნენ, მაგრამ სახელმწიფო, შემკვეთიც იყო. ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ მინდა მოგიყვეთ. „ზამირი“ ძალზე მდარე იდეოლოგიური და ყალბი ხარისხის ბალეტია, რომლის პრემიერა ნატო ვაჩნაძის გარდაცვალების დღეს შედგა. მაგრამ მიუხედავად სუსტი სპექტაკლისა, მასში ჭაბუკიანი არნახულად კარგად ცეკვავდა. საოცარი ხიბლი ჰქონდა მის ცეკვას. მას ბალეტში ვულგარული სექსუალური ილეთები არ ჰქონია, ამას ჭაბუკიანი არ იკადრებდა, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა ისეთი ტექნიკური ილეთი, რომლის გაკეთებაც არ შეეძლო... ჭაბუკიანის ფიგურას მიქელანჯელოს ქანდაკებებისას ადარებდნენ, ამბობდნენ — მის მიერ შექმნილ გმირებს როდენის ქანდაკების ზურგი აქვთო. მან ერთი კი არა, როდენის და მიქელანჯელოსნაირი ბევრი სახე შექმნა. ადრე, საბალეტო აფიშებში ქალის გვარი იყო მთავარი, მამაკაცის გვარი არც იწერებოდა. ჭაბუკიანმა კი, რა გააკეთა?.. აფიშებზე მარტო მისი გვარი იწერებოდა! რატომ?.. ადრე, ჭაბუკიანამდე, მამაკაცი, ქალის პარტიის დამატება, მისი „ამწევი“ და „დამჭერი საშუალება“ იყო. ჭაბუკიანმა მამაკაცის როლი აამაღლა. ლეგენდის თანახმად, მას გალინა ულანოვასთვის უთქვამს: Я не носильщик, а танцор. იგი ყველა კლასიკურ ბალეტში — „გედების ტბით“ დაწყებული, „დონ-კიხოტით“ დამთავრებული — ქორეოგრაფის თანაავტორი იყო. „ბაიადერა“ კი, თავადვე დადგა, სადაც მანამდე, სოლორის პარტია პანტომიმური იყო. ჭაბუკიანის წყალობით, „ბაიადერა“ „ეიზელს“ გაუტოლდა. მან ბალეტი სერიოზულ ხელოვნებად აქცია. XX საუკუნის უდიდეს ხელოვანთა პანთეონში ის ერთი სიტყვით შედის — „ჭაბუკიანი“!

— წიგნზე მუშაობისას, მასალას სად მოიპოვებდით და ისეთ შემთხვევას თუ წააწყდით, როცა ფაქტის შესახებ ცნობილი იყო, მაგრამ მასალა ვერ მოიძიეთ?

— ამერიკელი მეგობრების დახმარებით, ბიბლიოთეკების არქივებიდან ამოვიღე ყველა ის საინტერესო ფაქტი, რომელიც ვინმეს უხსენებია მისი დადგმების თუ გამოსვლების შესახებ, რეცენზიები მის ფილმზე „ოტელო“. ყოველივე ეს, ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყო. მინდა, რომ წიგნში ეს მასალა სრულად შევიდეს. ცნობილი იყო, რომ ამერიკაში გასტროლების შემდეგ, ჭაბუკიანი იტალიაში ჩავიდა, მაგრამ ჩემთვის დღემდე უცნობია, ეს გასტროლები საბჭოთა მთავრობის ნებართვით შედგა თუ პირადად მან დადო კონტრაქტი იმპრესარიოსთან. დანამდვილებით ვიცით, რომ ამერიკაში გასტროლების დამთავრების შემდეგ, მას ბევრი შეთავაზება ჰქონდა სხვადასხვა ევროპული თეატრისგან. სამწუხაროდ, ვერსად მივაგენი იტალიაში მისი გამოსვლის რეცენზიას. დღემდე საიდუმლოებითაა მოცული, თუ რატომ არ შედგა მისი უკვე დანიშნული გამოსვლა „ლა-სკალაში“.

— იქნებ, რალაცას მაინც მიაკვლიეთ, რაც ოდნავ მაინც მოჰფენდა ნათელს იტალიის გასტროლების ბურუსით მოცულ ამბებს?

— ჩემი ინფორმაციით — ცნობილი სახალხო არტისტის მონათხრობით (მისი ვინაობის დასახელებას არ ვაპირებ, რადგან ეს შეიძლება, დღესაც სახიფათო იყოს მისი ოჯახის წევრებისათვის), ცოტა რამ მაინც შევიტყვე იტალიაში მისი გასტროლების შესახებ. ქალაქ გენუაში ვახტანგ ჭაბუკიანის გამოსვლის შემდეგ, გასტროლები მოულოდნელად შეწყდა მისი ავადმყოფობის — გაცივების გამო, რაც სარწმუნო ნამდვილად არ არის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ვახტანგ ჭაბუკიანი კა-გებემ სასწრაფოდ „გაიტაცა“ იტალიიდან და რუსეთში ჩაიყვანა.

— ამერიკაში ვახტანგ ჭაბუკიანის გასტროლების შესახებ ბრძანეთ და იქნებ, მომავალი წიგნის რომელიმე საინტერესო ფრაგმენტი გაგვაცნოთ.

— 1933 წელს დამყარდა დიპლომატიური უთიერთობა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის და კულტურულ ურთიერთო-

„ლაურენსია“ (ფრონდოსი)

ბათა დასაწყებად, პირადად სტალინის მითითებით, ხელოვნებიდან საგასტროლოდ პირველი ვახტანგ ჭაბუკიანი აირჩიეს. ამ გასტროლებს ჩვეულებრივზე დიდი დატვირთვა ჰქონდა. ამერიკაში ჩასვლამდე, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გაიმართა კონცერტი, რომელმაც საზოგადოებისა და პრესის დიდი ყურადღება მიიპყრო. ბატონ ვახტანგს „ბუნების საოცრება“ უწოდეს. აღსანიშნავია, რომ ხაზგასმით აღინიშნებოდა მისი ქართველობა. ევროპელთათვის ძნელი იყო, მისი განთქმული 32 ფუეტეს და „გრანდ ჟეტეს“ თავბრუდამხვევი ტემპი (ტრიალი). ვეცდებით ამის გაკეთებას, მაგრამ სრულყოფილად ვერ ავითვისებთო, — ამბობდა ცნობილი მოცეკვავე ლემანი და ხუმრობით დასძენდა — „იაპონურად“ მოვიქცეთ: აღფრთოვანების ნიშნად, კოლექტიური ჰარაკირი ჩავიტაროთო... 1934 წელს ჭაბუკიანი პირველად გამოჩნდა „კარნეგი ჰოლში“. პეტრე ჩაიკოვსკის შემდეგ, რომელმაც 1891 წელს „კარნეგი ჰოლი“ გახსნა, ჭაბუკიანი პირველი იყო, ვისაც ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიიდან ამ სცენაზე გამოსვლის პატივი ხვდა წილად. ამერიკული პრესა წერდა „ჭაბუკიანმა შტურმით აიღო ნიუ-იორკი“ და მის გამოსვლას სეზონის ყველაზე სენსაციურ წარმატებას უწოდებდა. ამერიკის სხვადასხვა ქალაქში ჭაბუკიანმა 40-მდე კონცერტი ჩაატარა. ამ გასტროლების შემდეგ, მისი სახელი ლეგენდად იქცა. ცნობილია, რომ პირველი კონცერტის შემდეგ, ჭაბუკიანთან, ალტაცების გამოსახატავად, ბალეტის ბევრი სპეციალისტი მივიდა, მათ შორის, ყოფილი საბალეტო პრემიერი სანქტ-პეტერბურგიდან პიერ ვლადიმიროვი (რომელიც სახელგანთქმული ანა პავლოვას პარტნიორი იყო, შემდეგ, ჯორჯ ბალანჩინთან მუშაობდა პედაგოგად) და ჭაბუკიანს უთხრა: თქვენი ნიჭის მეოთხედი რომ მქონდეს, მსოფლიოს მუხლებზე დავაჩოქებდიო!.. მაგრამ ცნობილი არ არის დღემდე, თუ რა უთხრა მეორე ქართველმა გენიოსმა — ჯორჯ ბალანჩინმა. ამ ორი გენიოსის გამონათქვამები არ არსებობს ერთმანეთზე. მაშინ ხომ, ჯორჯ ბალანჩინის ხსენება საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო. ამ გასტროლების შემდეგ, გაურკვეველი (თუ გარკვეული...) მიზეზების გამო, ვახტანგ ჭაბუკიანი მრავალი წლის მანძილზე საზღვარგარეთ ვერ გადიოდა და თუკი სადმე მისი დადგმები ხორციელდებოდა, ან ავიწყდებოდათ, ან შეგნებულად არ წერდნენ მის გვარს...

— წიგნში ალბათ ფოტომასალასაც გამოიყენებთ. შეგიძლიათ გვითხრათ, თუ არსებობს მისი სპექტაკლების ამსახველი კინოკადრები?

— სამწუხაროდ, მისი საუკეთესო საცეკვაო პარტიების კადრები (თუნდაც „დონ-კიხოტში“ შესრულებული უბრწყინვალესი პარტიის ამსახველი) ძალზე ცოტაა. ახლა გვიანაა და აღარ ღირს ლაპარაკი იმაზე, თუ რატომ არ ეყოთ კინოფირი, ანდა კულტურის სამინისტრომ რატომ ვერ მოიცალა ამ საქმისთვის, მაგრამ სავალალო სინამდვილედ რჩება, რომ ეს უნიკალური სიმდიდრე მომავალ თაობებამდე ვერ აღწევს. ამერიკაში ყოფნისას, ჩემი თვალით მაქვს ნანახი კასეტა "Мастера русского балета – лучший танцор Чабукиани", რომელიც 79,99 დოლარი ღირდა. ახლაც იყიდება ამერიკაში DVD, CD და ვიდეოკასეტები, რომელზეც ჭაბუკიანის ცეკვებია ჩაწერილი. საქართველოში ამის შესახებ არავინ არაფერს ამბობს. საზღვარგარეთ ყოველთვის კითხულობდნენ — ახლა რას აკეთებს ჭაბუკიანიო?..

— და რას აკეთებდა მაშინ ჭაბუკიანი?

— რას აკეთებდა და საშინელ დღეში იყო. თეატრიდან და მის მიერ დაარსებული სასწავლებლიდან გააგდეს. ამ დიდ პედაგოგს თავისი მდიდარი გამოცდილებისა და ცოდნის, ახალგაზრდებისთვის გაზიარების საშუალება მოუსპეს. ამ დროს, მისი მოწაფეები

„ლაურენსია“, ვერა წიგნაძესთან ერთად

საზღვარგარეთ წამყვან ფესტივალებზე პირველ ადგილებს იკავებდნენ და ცნობილი თეატრების პრემიერები იყვნენ. ბევრმა არც კი იცის, რომ მას კერძო სტუდია ჰქონდა, ამით ცდილობდა, თავი გადაერჩინა და ამასთანავე, სახელმწიფო პენსიაზე უარი თქვა. მის სტუდიაში სწავლობდნენ მსოფლიოში ცნობილი მოცეკვავეები. მისგან გაკვეთილების მისაღებად, ისინი მზად იყვნენ, დიდი თანხა გადაეხადათ საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროსთვის — სხვანაირად, ქვეყანაში ვერ ჩამოვიდოდნენ. ჭაბუკიანთან სწავლობდა „ჩიკაგო-ბელეის“ პრემიერი ქალვინ კიტენი; ბარიშნიკოვმა, საზღვარგარეთ გაქცევამდე, 16-ჯერ იცეკვა „დონ-კიხოტში“! ახლა გკითხავთ — თუ იცით, რატომ ცეკვავდა მიხაილ ლავროვსკი ასე წარმატებულად?.. შაბათ-კვირას, თბილისში მოფრინავდა და ჭაბუკიანისგან გაკვეთილებს იღებდა!.. თავად ჭაბუკიანი კი, მის წინააღმდეგ აგორებული აღვირახსნილი კამპანიის გამო ჯიუტად არაფერს ამბობდა...

— თუ შეიძლება, ისეთი ფაქტიც გაიხსენეთ, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის და რომლის შეტანასაც წიგნში აპირებთ...

— ჩვენთან არავინ იცის, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული პრიმა-ბალერინა მარგო ფონტეინი და ვახტანგ ჭაბუკიანი იაპონიაში შეხვდნენ ერთმანეთს. ჭაბუკიანმა ის „ჟიზელში“ აცეკვა და შუმანის პა-დე-დე აჩუქა. თავად მარგო ფონტეინი ასე აღწერს ამ შეხვედრას: „მე ველოდი, რომ ჭაბუკიანი, ერთ დროს წარმოუდგენლად მოხდენილი, ცეცხლოვანი თვალებითა და განსაკუთრებული ვირტუოზულობით გამორჩეული ქართველი, როგორც უმეტესობა იმ მოცეკვავეებისა, რომლებთანაც მუშაობა ხანში შესულს მომიწია, მოგვევლინებოდა შემაშინებლად მკაცრ დამრიგებელ-მასწავლებლად. მაგრამ ის აღმოჩნდა ისეთი კეთილი და საყვარელი, როგორიც იყო და როგორიც უნდა ყოფილიყო. იგი უდიდეს დახმარებას მიწევდა რეპეტიციებზე. რა ძვირფასი ადამიანია!.. ბრძენი და ფილოსოფიური!“

— წიგნის გამოცემა სოლიდურ ხარჯთანაა დაკავშირებული. ვინ გეხმარებათ?

— არავინ მეხმარება და ვერც ვიმათხოვრებ. ყველაფერს თავად ვაკეთებ. წიგნის გამოცემით მინდა, უსამართლობას შევებრძოლო. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: საქართველოში ძალიან პოპულარული პიროვნება იყო შალვა ნუცუბიძე, რომელიც უნივერსიტეტიდან და აკადემიიდან გააგდეს. ერთხელ, შალვა ნუცუბიძე, დედაჩემი (*ქეთევანი, ბატონი შალვას მეუღლე. — ავტ.*) და ჩემი და რესტორანში ისხდნენ. ჩემმა დამ უეცრად წამოიძახა — შეხედე, შეხედე, მამა, ვახტანგ ჭაბუკიანი ზის გვერდით სუფრასთანო! შალვა წამოდგა, მიესალმა ჭაბუკიანს და თქვა — В Грузии два известных человека и один известный узнал другого... წიგნში იქნება ერთი თავი, სათაურით — „დავიწყებული-დაუვიწყარი“. მსოფლიოს წამყვან საბალეტო თეატრებში ახლაც ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ განხორციელებულ დადგმებს ცეკვავენ. პარიზის „გრანდ-ოპერაში“ — „კორსარი“, „ბაიადერა“, „დონ-კიხოტი“ დღესაც იდგმება და კვლავაც დაიდგმება, მაგრამ სამწუხაროდ, დავიწყებულია მისი შემქმნელის გვარი, რადგან აფიშებში ეს დადგმები ნურიევის, ბარიშნიკოვისა და მაკაროვის რედაქციით არის შეტანილი... 1988 წელს, ბოსტონში ამერიკის საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო მაია პლისეცკაიას. მის პატივსაცემად გამართულ კონცერტში მსოფლიოს ბალეტის გამოჩენილი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მეორე დღეს, „ნიუ-იორკ თაიმსმა“ განმეორებით დაბეჭდა 50 წლის წინ ამავე გაზეთში გამოქვეყნებული ვრცელი რეცენზია ვახტანგ ჭაბუკიანის ფენომენზე, სადაც აღნიშნავდა, რომ მაია პლისეცკაია არის ვახტანგ ჭაბუკიანის ეპოქის ბოლო, უბრწყინვალესი წარმომადგენელი და XX საუკუნის ბალეტის ეს უდიდესი და განუმეორებელი ერა ამით მთავრდება... ჩემს წიგნს ემილი დიკენსონის სიტყვებით დავამთავრებ: I am nobody. Who are you? Are you nobody too? (მე არავინ არ ვარ. ვინ ხარ შენ? შენც არავინ ხარ?..“). ■

მოსკოვის ავტოშოუმ მსოფლიო გიგანტებს მოუყარა თავი

მოსკოვი ცდილობს, დიდი ტრადიციების მქონე ევროპულ და ამერიკულ ავტოდათვალიერებებს გაეჯიბროს. წლეულს, ეს ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც: პრაქტიკულად, ყველა მსოფლიო ავტოგიგანტმა წარმოადგინა თავისი ახალი მოდელები ავტოშოუზე რუსეთის დედაქალაქში, რომელიც პირველი სექტემბრიდან მიმდინარეობს.

მასობრივი მოხმარების მოდელებიდან ექსპერტები უპირველესად, მორიგი თაობის Opel Corsa-ს გამოყოფენ. მათი აზრით, ამ მანქანას არა მარტო მიმზიდველი დიზაინი აქვს, არამედ მისი „შიგნეულობაც“ იმდენად შთამბეჭდავია, რომ უფრო მაღალი კლასის ავტომობილებსაც დაამშვენებდა. სამწუხარო მხოლოდ ის არისო, — ამბობენ სპეციალისტები, — რომ ახალ „კორსას“ ფასიც საკმაოდ სოლიდური — 11.990 დოლარი აქვს. არადა, ამ ფასად მომხმარებელი მიიღებს Essentia-ს სახელით ცნობილ 3-კარიან ჰეჩბეკს, რომელიც 1 ლ მოცულობის, 60 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი. თუმცა, ამავე დროს, მანქანას ახლავს უსაფრთხოების 2 ბალიში, ABS-სისტემა, ჰიდროგამაძლიერებელი და ელექტროამძრავიანი სარკეები. აი, უფრო პრაქტიკული — 5-კარიანი „კორსა“ კი (1,2 ლ მოცულობის, 80 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი, ცენტრალური საკეტით, ორი მიმართულებით რეგულირებადი საჭით და ა.შ.) უკვე 13.940 დოლარი დაგიჯდებათ.

ამ მანქანის კონკურენტებიც მაინცდამაინც არ იწუხებენ თავს ფასების შემცირებით. მაგალითად, თუ რამდენიმე წლის წინ Hyundai ძალზე ხელმისაწვდომ მანქანებს სთავაზობდა მომხმარებელს, ახლა სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. მაგალითად, მოდელი Verna, რომელმაც Accent შეცვალა, მინიმუმ 14.290 დოლარი ღირს. ის მართლაც, არაფრით ჩამოუვარდება კონკურენტებს, ზოგი რამით კი, სჯაბნის კიდეც მათ. თუმცა, საბაზო ვერსია აღჭურვილია 1 უსაფრთხოების ბალიშით და ჰიდროგამაძლიერებლით, მაგრამ არ ახლავს არანაირი ელექტროამძრავი, კონდიციონერი და ABS. ის მოდიფიკაციები, რომლებიც ამ სიკეთით იქნება აღჭურვილი, სულ ცოტა 16.190 დოლარი ეღირება.

მეორე პრემიერა, რომელიც „ჰიუნდაიმ“ მოსკოვში წარმოადგინა, ახალი ლანტრა გახლავთ. მის მთავარ „სამშვენისს“ სალონი წარმოადგენს. კორეელები შეეცადნენ, ეს მოდელი C კლასის ავტომობილებს შორის, ევროპული კლასიფიკაციის მიხედვით ყველაზე ხალვათი სალონით გამოირჩეოდეს. კომპანიის მესვეურებმა სიამაყით აღნიშნეს, რომ „სალონის დიდი სივრცის წყალობით, აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს წარმომადგენლებმა ლანტრა საშუალო კლასის ავტომობილების კატეგორიას მიაკუთვნეს — მაშინ, როდესაც მისი ძირითადი კონკურენტები — Honda Civic და Toyota Corolla კვლავაც მცირეგაბარიტიანებადაა მიჩნეული“. აქედან გამომდინარე, ექსპერტები ასკვნიან: კორეელი მწარმოებლები აღნიშნული მოდელების ბაზრების დაპყრობას უმიზნებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას კარგი საბაზო კომპლექტაცია ექნება და წინამორბედ მოდიფიკაციაზე გაცილებით ძვირიც ეღირება — როგორც ვარაუდობენ, 17 ათას დოლარზე მეტი.

იმ მოდელებს შორის, რომლებიც პირველად იქნა წარმოდგენილი მოსკოვში, გვერდს ვერ აუვლი ფრანგ ავტომწარმოებელთა მიერ წარმოდგენილ მან-

ქანებს. მაგალითად, Peugeot-მ ავტოშოუს დამთვალიერებლებს უჩვენა 206-ე მოდელის ბაზაზე შექმნილი Peugeot 206 Sedan, რომელიც 1,4 ლ მოცულობის, 75 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი. კომპლექტაციაში (ფასი — 12.300 დოლარი) შევა: უსაფრთხოების 2 ბალიში, ჰიდროგამაძლიერებელი, ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქები, წინა ფანჯრების ელექტროამწეები და მაგნიტოლა. კონდიციონერიანი ვერსია 13.100 დოლარი ეღირება. საყოველთაო აზრით, ეს საკმაოდ ნორმალური ფასია ასეთი დონის მანქანისთვის. რაც შეეხება უფრო „დაქოქილ“ მოდიფიკაციას, — 1,6 ლ მოცულობის, 110 ცხ.ძ. სიმძლავრის ახალი ფრანგული სედანი 17.300 დოლარი ეღირება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „პეჟო 206“, თუნდაც სედანისძარიანი, მაინც მოძველებულ მოდელად მიიჩნევა და წარმოებიდან მალე მოიხსნება. ამას ისიც ადასტურებს, რომ აღნიშნული მანქანების აწყობა ირანში ხორციელდება, რაც თავისთავად მეტყველი ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი ავტომწარმოებლები ირწმუნებიან — მანქანის ხარისხი ევროპული ანალოგებისას არაფრით ჩამოუვარდებაო.

„პეჟომ“ მოსკოვში 206-ე მოდელის „პირდაპირი მემკვიდრის“ ახალი ვერსიაც წარმოადგინა. მას 207-ე სახელი მიენიჭა. მანქანა ძალზე მოხდენილია და საუცხოო საბაზო კომპლექტაციით გამოირჩევა. შესაბამისია Peugeot 207-ის ფასიც: საბაზო კომპლექტაციაში — 14.650 დოლარი, ხოლო დამატებითი ოპციებით — 17-18 ათასი.

Renault-მ მოსკოვში ახალი თაობის Clio უჩვენა დამთვალიერებლებს. ეს მანქანა, როგორც ჟურნალისტები წერენ, ქების ღირსია ყველა პარამეტრისთვის: მოხდენილი დიზაინით, საკმაოდ ვრცელი სალონით, მდიდრული გაფორმებით გამოირჩევა. სამაგიეროდ, საკმაოდ ძვირი ღირს: ყველაზე მოკრძალებული ვარიანტი — 1,2 ლ მოცულობის, 75 ცხ.ძ. სიმძლავრის Clio — 15.749 დოლარი. მაგრამ ამ ფასად მომხმარებელი მიიღებს წინა ფანჯრების ელექტროამწეებს, უსაფრთხოების 4 ბალიშ-კონდიციონერსა და ABS-ს. უფრო ძვირად ღირებული ვერსიის (1,6 ლ მოცულობის, 110 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი) ფასია 18.649 დოლარი.

იტალიურმა კონცერნმა — Fiat გამოაცხადა, რომ უკვე მიმდინარე თვიდან აპირებს მოდელების — Panda, Grande Punto, დიდი უნივერსალის — Croma და კიდევ, Doblo-ს რუსეთში ექსპორტირებას. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელები მუდამ ხელმისაწვდომ ავტომანქანებს აწარმოებდნენ, ახალი „ფიატების“ ფასებიც საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება: „პანდა“ — 12.700, ხოლო „გრან პუნტო“ — 15.700 დოლარი ეღირება. რაც შეეხება „ქრომას“ — ექსპერტთა აზრით, ამ შემთხვევაში, იტალიელებს მეტისმეტიც კი მოუვიდათ: მისი ფასი 31.400 დოლარია!

დაბოლოს — ჩინელი ავტომწარმოებლების შესახებ. ბოლო წლებში ისინი ცდილობენ, მყარად დაიმკვიდრონ ადგილი რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ბაზარზე და იქ არაერთი მოდელის ექსპორტირებას ახორციელებენ — ერთობ უღიმღამო Flyer-იდან (ფასი — 6 ათასი დოლარი) დაწყებული, მასზე გაცილებით ხარისხიანი GreatWall Hover-ითა და Chery 14-ით დამთავრებული. ეს უკანასკნელი, დიდი უნივერსალი გახლავთ, რომელსაც, ჩინელთა დაპირების თანახმად, მათ სამშობლოში მალე 15-16 ათას დოლარად გაყიდიან. აი, GreatWall Hover-ს ამჟამად 22.450 დოლარად სთავაზობენ მომხმარებელს, სულ ცოტა ხნის წინ კი, ის 27 ათასი ღირდა. ■

gza dedaqalaqisken

მაია სიხარულიძე: „დედაქალაქი დიდი და ცივია პროვინციელი გოგოსთვის...“

— მაია, საკუთარი თავისთვის პირდაპირ ეთერში მუშაობისას ხშირად, პროვინციელი გიწოდებია. სად დაიბადე?

— თბილისში, რკინიგზის საავადმყოფოში, 1983 წლის 23 დეკემბერს, მაგრამ 1984 წლის 1-ელი იანვარი ჩამიწერეს დაბადების მოწმობაში. დედაჩემის აკვიატებული სურვილი იყო — ახალ წელსა და შვილის დაბადების დღეს ერთად აღვნიშნავ ხოლმეო, მაგრამ ეს იდეა ვერასდროს განახორციელა, ჩაეფუშა, რადგან დაბადების დღეს ყოველთვის იმ დღეს ვიხდი, რომელ რიცხვშიც დავიბადე... 1 წლისა და 8 თვის ასაკში რუსულ ბაღში შემიყვანეს. ლაპარაკი არ ვიცოდი, ორ სიტყვას ვერ ვაბამდი ერთმანეთს ქართულად და რუსულად რას ვილაპარაკებდი?!. ცელქი, მოუსვენარი და ონავარი კი ვიყავი, ბავშვებს ვჩაგრავდი, ამიტომ ჩემი როზა მასწავლებელი დაჩაგრული ბავშვების ნაცვლად მისწორდებოდა — მირტყამდა. ის რუსულ ლექსებსაც მასწავლიდა, მაგრამ იქიდან სახლში ორი სიტყვა მიმქონდა მხოლოდ, მერე დედა, იმ სიტყვების გამოყენებით, ახალ ლექსებს წერდა და მასწავლიდა.

— თუ თბილისში დაიბადე და იზრდებოდი, პროვინციელს რატომღა უწოდებ ხოლმე თავს?

— პირველ კლასში, გურიაში გადამიყვანეს საცხოვრებლად, რადგან დედა ექიმი იყო და ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუაგანახლებაში მუშაობდა. ჩემი მშობლები იქაურები არიან. მამის სოფელი გოგოლესუბანია. თბილისში ჩემი დაბადება და იქ ბაღში სიარული იმით იყო გამოწვეული, რომ დედა მაშინ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. როცა

დაამთავრა, თავის რაიონს დაუბრუნდა. გურიაში მეოთხე კლასის ჩათვლით ვისწავლე. მეხუთე კლასში უკვე თბილისში, 62-ე სკოლაში გადმომიყვანეს. იმ პერიოდიდან მოყოლებული, აჩემებული მქონდა — ცნობილი ჟურნალისტი უნდა გავხდე-მეთქი.

— მიზანს მიაღწიე?

— მეტ-ნაკლებად. მიზნის მიღწევაში ხელი ღმერთმა, ჩემმა პროვინციულმა ჟინმა, ახლობლებმა და რამდენიმე არაკეთილისმოსურნემ შემიწყო ხელი. მათთან ერთად — ჩემმა ფიზიკის მასწავლებელმა. კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ უდისციპლინო, მოუწესრიგებელი. ერთხელ ფიზიკის მასწავლებელმა ამის გამო გამაძევა გაკვეთილიდან. მერე რომ მკითხა — რატომ არ მისმენდი გაკვეთილზე, რაზე ფიქრობდიო? — ვუპასუხე — ჩემს წარმატებულ მომავალზე, ცნობილი ტელეჟურნალისტი უნდა გამოვიდე-მეთქი. — შენ ბაზრობაზე ბოლოკისა და სტაფილოს გაყიდვამ არ მოგიწიოს, ფრთხილად იყავიო. ვიფიქრე — შენს ჯინაზე, მაინც მივაღწევ ჩემსას-მეთქი!.. წლების შემდეგ შემხვდა ის ფიზიკის მასწავლებელი და მითხრა — გილოცავ წარმატებებს, ყოველთვის გეტყობოდა, ჟინიანი რომ იყავიო.

— გურიაში რომ ჩადიხარ, რას გრძნობ?

— საუკეთესო პერიოდი მაქვს იქ გატარებული და გურია ძალიან მიყვარს. იქ კარგად ვგრძნობ თავს. სოფლის ორღობეში ჩემს თანატოლებთან ერთად ვჯდები ხოლმე და მეც მათსავით ვიქცევი, ჩვეულებრივი სოფლელი ადამიანი ვხდები. ღელეზე დავდივარ სათევზაოდ, ხილს ვიპარავ მეზობლის ბაღში... ნეტავ, გურიაში მყავდეს დედა, მამა, და საყვარელი ადამიანი და ჩემი საქმე, თბილისში სულ არ ჩამოვიდოდი. თბილისი ჩემთვის მეორე სახლია.

— შენ პროვინციელს, სოფლელს ვის ეძახი?

— ბევრი თბილისელი მინახავს ისეთი, რომელსაც სოფლელი „დაგოიმებს“... ჩემთვის პროვინციელობა გეოგრაფიული მდებარეობიდან არ გამომდინარეობს. არც შეურაცხმყოფელი სიტყვაა „სოფლელი“. თბილისი არის ქალაქი, სადაც ჩემი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას ვახდენ, საკუთარი თავს წარმოვაჩენ. ისე, დედაქალაქი, როგორც წესი, დიდი და ცივია პროვინციელი გოგოსთვის.

■

ნატო გელაშვილის სიმღერაზე კლიპს იღებენ

ნატო გელაშვილის სიმღერებს რომ მთელი საქართველო მღერის, ეს ყველამ კარგად ვიცით. ერთხელ მას სიმღერა დათო ძიძიგურმაც სთხოვა: რა იქნება, შენს სიმღერას მეც ვიმღერებო?!. ნატომ თხოვნა შეუსრულა და მისთვის დაწერა „დრო მიდის“, რომლის პრემიერაც კომპოზიტორის სოლო კონცერტზე შედგა.

დათოს შესრულებით ამ ნამუშევრის ვიდეოვერსია აღნიშნული კონცერტიდან, გასართობი ტელეარხების ეთერში უკვე 2 წელია, გადის. ის მაყურებელმა შეიყვარა. მომღერალს ამ სიმღერის შესრულებას სხვადასხვა კონცერტზეც სთხოვენ. იმის გამო, რომ ასეთი მოთხოვნა

არსებობს, გადაწყდა, მასზე კლიპიც გადაეღოთ. კუს ტბაზე რეჟისორმა ლევან ტორონჯაძემ გადაღებები უკვე დაიწყო.

დათოსთან ერთად, ვიდეორგოლში ერთი ლამაზი გოგონაც მიიღებს მონაწილეობას. კულისებში მომღერალს მეგობრები ეხმარებიან, მათ შორის — ეკა კვალიაშვილი და აჩიკო მეფარიძე. კლიპის პრეზენტაციას დათო საკუთარ დაბადების დღეს, 27 ოქტომბერს დაამთხვევს... „მაგრამ დრო მიდის, დრო აღარ ჩერდება, ქვიშიან ნაპირზე დღე ისევ უშენოდ თენდება“, — მღერის ძიძიგური, თუმცა ქვიშიან ნაპირს მის ვიდეორგოლში კუს ტბის ნაპირი ცვლის...

■

გოგა ჩანადირი: უკვე 100000 ფოტო მაქვს გადაღებული...

— რამდენ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?

— ზუსტად აღარ მახსოვს. გერმანიაში წასვლამდე, ვითვლიდი..

— მაინც, დაახლოებით რამდენი ათეული იქნება?

— ექვსამდე.

— ამ ქვეყნების ნახვა რამდენ წელიწადში შეძელი?

— პირველად საქართველოს გარეთ რომ გავედი, 9 წლის ვიყავი. ვნახე სამი ქალაქი: კრასნოდარი, ნოვოროსიისკი, ვოლგოგრადი.

— ახლა რამდენი წლის ხარ?

— 29-ის.

— ეი. 20 წელია, რაც მოგზაურობ. მგონი, მაგელასაც არ უმოგზაურია ამდენ, არა?

— არა, მაგელანმა ბევრი იმოგზაურა. განსაკუთრებით, გემითა და ცხენით. მე კრუიზებში არასდროს ვყოფილვარ, რადგან ეს გაცილებით ძვირი სიამოვნებაა. ძირითადად, მატარებლით, ავტობუსით, თვითმფრინავით ვმოგზაურობ.

— რა არის მოგზაურობა?

— ახლის შეცნობა, ნახვა, გაგება და ახალი ფოტოს გადაღება.

— ბევრი „ახალი“ გაქვს შეძენილი?

— არ მინდა, რომ დავთვალო, ისევე, როგორც ფული. როდესაც არ იცი, ჯიბეში რამდენი ფული გაქვს და მას ისე ხარჯავ, უფრო საინტერესოა.

— არც ახლა იცი, რამდენი ფული გაქვს ჯიბეში?

— არა...

— აღნიშნე, გემით არ მიმოგზაურიაო. სამაგიეროდ, წყალქვეშ ხომ იმოგზაურე?

— პირველად წითელ ზღვაში ჩავყვინთე. ეს ჩემთვის რაღაც საოცრება იყო. ამან ახალი ენერგია მომცა, ახალი მიმართულება.

— ბოლოს რომელ ქვეყანაში იყავი?

— საბერძნეთსა და იტალიაში.

— დაასახელე ერთი, შენთვის შთამბეჭდავი ფოტო, რომელიც იქ გადაიღე და შენზე გავლენას ახდენს?

— „მზის ჩასვლა ფლორენციაში“. საოცრებაა.

— მოგზაურობის წინ, როდესაც ემზადები, ზურგჩანთაში პირველად რას დებ?

— ფოტოაპარატს. ამის შემდეგ: წიგნს, ბლოკნოტს, კალმისტარს და საქართველოს ხედების ამსახველ ფოტოებს.

— უამრავი ქვეყნის მცხოვრებ ქალბატონს შეხვედრიხარ, ამის დასტური შენი უნიკალური ფოტოალბომია. ისინი რით ჰგვანან და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

— ისინი ერთმანეთს რაღაც ქცევებში ჰგვანან, განსაკუთრებით — ახალგაზრდები. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ყველაზე ლამაზი მაინც ქართველი ქალია. მინდა, რომ ჩვენმა ქალებმა უფრო მეტად მოუარონ საკუთარ სილამაზეს.

— რას სთავაზობ?

— მოერიდონ ფერუმარილს, შავი ტანსაცმლის ჩაცმას და ივარჯიშონ...

— რას ფიქრობ, როდესაც ხელში აპარატი გიჭირავს და ფოტოს გადაღებას ემზადები?

— ძირითადად ვფიქრობ, რომ ის აუცილებლად გამოდგება, როგორც დოკუმენტი, ღირებული იქნება შემდეგი წლებისთვის; ვფიქრობ იმაზე, რომ ის მოეწონოთ ჩემს კოლეგებს, მესამე შემთხვევაში — ჩემთვის ვიღებ.

— დაასახელე შენთვის გადაღებული ყველაზე საყვარელი ფოტო.

— 100000 ფოტო მაქვს გადაღებული და არ მინდა, რომელიმე გამოვარჩიო და გამოვყო. ფოტოები, რომლებიც ძალიან მიყვარს, ჩემთან რჩება და შეიძლება, ისინი ბევრმა ვერც ნახოს.

— რა არის ის, რაც შენ ყველა ქვეყანაში გჭირდება?

— მობილური ტელეფონი, კომუნიკაციის საშუალება და ფოტოაპარატისთვის მეხსიერების ბარათები.

— ნებისმიერ ქვეყანაში ერთნაირად გმასპინძლობენ?

— ტურისტული ქვეყნები (ტუნისი, ტაილანდი, ეგვიპტე) გულღიად გმასპინძლობს. ამერიკა, რუსეთი — მკაცრად გხვდება. ამას ემატება გამძაფრებული უსაფრთხოების პრობლემები. ჰონკონგშიც ცივად მიმიღეს, რაც გამიკვირდა.

— როგორც ვიცი, ბევრ ადამიანს იცნობ. მათთან ურთიერთობა გღლის თუ გაგსებს?

— ადამიანებთან ურთიერთობა მაგსებს. ალბათ იმიტომ, რომ დედისერთა ვარ.

— და — არა ეგოისტი?..

— არა, ეგოისტი არა ვარ. ისე, ეგოისტი ნებისმიერი ადამიანია...

— შენი საყვარელი ფრაზა?

— ზურაბ ჟვანიას ფრაზა: „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი“. ეს არის საუკუნის ფრაზა!

მეორე „ვიცე-მის“ იაპონიაში მიიწვიეს

„მის საქართველო 2006“ — ნინო კალანდაძე 1-ელ სექტემბერს „მის მსოფლიოს“ კონკურსზე გამოსასვლელად და მოსამზადებლად პოლონეთში გაემგზავრა. კონკურსი 30 სექტემბერს გაიმართება. ნინოს საგულშემატკივროდ, თბილისიდან პოლონეთში სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრის“ ხელმძღვანელი ია კიწმარიშვილი და აღმასრულებელი დირექტორი ეკა მეგრელიძე გაემგზავრებიან. მანამდე ტურიზმის დეპარტამენტმა, რომელიც ამავე დროს, „მის საქართველო 2006“-ის ერთ-ერთი სპონსორიც იყო, პრესკონფერენცია გამართა, სადაც ჟურნალისტებს აცნობეს, რომ მეორე „ვიცე-მისი“ — სალომე ქომეთიანი, რომელიც საქართველოს ტურიზმის სახეა, ოქტომბრის დასაწყისში „მის ტურიზმზე“ ჩინეთში მიემგზავრება. კონკურსამდე, ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელ საბა კიკნაძეს სალომე იაპონიაში ერთ-ერთ გამოფენაზე მიჰყავს, როგორც საქართველოს სახე. მან სალომეს ვიდეოკამერაც აჩუქა, რომ იქ ნანახი ფირზე აღბეჭდოს.

ინტიმური ტელეფონი

822-006-008

822-006-088

822-006-108

(ზარი ფასიანია)

18 წლიდ

kviris astrologiuri prognozi

(7 – 13 seqtemberi)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ამ დღეების განმავლობაში, აქტიური მოქმედება გმართებთ. ნებისმიერი მგზავრობა, შეხვედრა, თუ ურთიერთობა ხელს შეუწყობს თქვენს პროფესიონალურ წარმატებას. ამჯერად, თქვენი წინსვლით ბევრი ადამიანია დაინტერესებული — გავლენიანი თანამზრახველები ნულამდე დაიყვანენ თქვენი პოტენციური მოწინააღმდეგეების მცდელობებს — ხელი შეგიშალონ და დაგამარცხონ.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

თქვენთვის ემოციური აღმავლობის პერიოდია. გულწრფელობა და კეთილგანწყობილება დაგეხმარებათ, მიიზიდოთ საქმიანი ადამიანები, მეგობრები და ნაცნობები და უფრო პოპულარული გახდეთ. კარგი დროა ახალი პროფესიონალური მწვერვალების დასაპყრობად.

ᲢᲧᲣᲔᲚᲘ 21.05-21.06

ეს კვირა თქვენთვის სტაბილური იქნება. თქვენ შეგიძლიათ წარმატებით გაართვათ თავი პროფესიონალურ საქმეებს, ახლობლების პრობლემებს, აგარაკისა და მშენებლობის საკითხებს. ინტუიცია კი, დაგეხმარებათ გვერდი აუაროთ რთულ სიტუაციებს და მოწინააღმდეგეები ნებისმიერ საქმეში დაამარცხოთ.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

ამ დღეებში, თქვენ ყველაფერი ახალი დაგაინტერესებთ. შესაბამისად, ეს პერიოდი კარგია სწავლისთვის, ინფორმაციის შეგროვებისა და შემოქმედებითი იდეების განვითარებისთვის. თქვენი კეთილგანწყობილება და ურთიერთობის უნარი საპირისპირო სქესის ადამიანებს მიიზიდავს.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ფინანსებთან დაკავშირებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. თქვენ გინდათ, მეტი შემოსავალი გქონდეთ და ამისთვის, შესაძლებელია, საეჭვო გარიგება დადოთ, რაც მოგების ნაცვლად, მატერიალურ და მორალურ დანაკარგს მოგიტანთ. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ პარტნიორებმა ან იმ ადამიანებმა გიღალატონ, რომლებსაც ენდობით.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

ამ კვირას, შეეცადეთ, განსაკუთრებული წინდახედულება გამოიჩინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენმა იმპულსურობამ და ნაჩქარევმა საქციელმა, შეიძლება მოულოდნელი პრობლემები, მატერიალური დანაკარგები, ტრავმები და კონფლიქტები მოგიტანოთ. ამასთან, თქვენი ზოგიერთი ჩანაფიქრი კვლავ ოცნებად დარჩება, რადგანაც პარტნიორები გიღალატებენ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

ამ დღეებში შესაძლებელია, მოულოდნელი პრობლემები გაგიჩნდეთ და ქრონიკული დაავადებებს გაგიმწვავდეთ. შეიძლება, საკუთარ პრობლემებთან ერთად, ახლობლების პრობლემების გადაჭრაც მოგიხდეთ. სამაგიეროდ გაიგებთ — ვინ არის თქვენი ფარული მტერი და რა არის წარუმატებლობის მიზეზი.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

ყურადღებით იყავით! — სარისკო, კრიმინალურად საშიშმა სიტუაციამ და აფერამ, შეიძლება კანონის დარღვევამდე მიგიყვანოთ, რაც საბოლოოდ, სერიოზულ უსიამოვნებებს მოგიტანთ. ამიტომ ნებისმიერი შემოთავაზებული წინადადება თქვენი ლოგიკისა და ინტუიციის ორმაგ, ან უმჯობესია, სამმაგ ფილტრში გაატარეთ.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

კარგი იქნება, თუ ამ კვირის განმავლობაში უფრო ყურადღებით დააკვირდებით თანამშრომლებსა და ახლობლებს. იმან, რასაც ადრე ვერ ამჩნევდით, შეიძლება მოულოდნელი სირთულეები გამოიწვიოს და თქვენი კარიერა საფრთხის წინაშე დააყენოს. ამასთან, მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ხარჯები, რადგან თქვენს ახლობელს ან რომელიმე ნათესავს თქვენი დახმარება დასჭირდება.

ᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ 22.12-20.01

თქვენ იძულებულნი გახდებით — ახლობელ ადამიანებთან, უფროსებთან და კოლეგებთან ურთიერთობა თავიდან ააწყოთ, რადგანაც სერიოზული მატერიალური და ენერგეტიკული დანაკარგები გაქვთ.

ᲕᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

ამ დღეებში, შესაძლებელია, ფრიად რთულ და წინააღმდეგობით სავსე სიტუაციაში აღმოჩნდეთ. ნებისმიერი დავა, პრობლემა ან კონფლიქტი თქვენი კონკურენტების, ან მტრების ინტრიგებით იქნება პროვოცირებული. აუცილებელია საკუთარი თავი გააკონტროლოთ, რათა ემოციებმა არ გძლიოთ.

ᲗᲔᲗᲠᲘᲡᲬᲐᲠᲘ 20.02-20.03

სიფრთხილით მოეპყარით მეგობრებსა და პარტნიორებს, რადგან შეიძლება, სხვების საქმეებში და ავანტიურაში აღმოჩნდეთ ჩათრეული. შესაძლებელია, შეეჯახოთ ღალატს, ეჭვმა შეგიპყროთ და საკუთარი ინტერესების დაცვაც მოგიხდეთ.

ფოტოგრაფის ალბომიდან

ლიანა ისაკაძე

ხათუნა იოსელიანი

თამაზ ჩაჩავა

მეგი ეპიტაშვილი

იას პორტრეტი

2006 წლის
აგვისტოს
„ნადავლი“

ირაკლი მეხითოლი

პაპი პიუს V სისხლიანი ცრემლებით ტირის

მირონმდინარე ხატების შესახებ მრავალი საუკუნის წინ იყო ცნობილი, მაგრამ ამ მოვლენის მეცნიერული ახსნა დღემდე შეუძლებელი რჩება.

აღორძინების ეპოქის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი წმინდა პიუსი, სხვა პაპებისგან ცხოვრების ასკეტური სტილით გამოირჩეოდა და იმდროინდელ კათოლიკურ სამყაროში გავრცელებულ საშინელ ბოროტმოქმედებას ებრძოდა.

ახლახან, სამხრეთ იტალიის პატარა ქალაქ პიეტრელჩინაში ბოჭკოვანი მინისა და თაბაშირისაგან დამზადებული, წმინდა პიუს V-ის თანამედროვე ქანდაკება სისხლის ცრემლებით „ატირდა“. როდესაც იტალიის საინფორმაციო საშუალებებით ეს ცნობა გავრცელდა, პიეტრელჩინას მორწმუნეთა და ცნობისმოყვარეთა ზღვა მიაწყდა. ქალაქში ჩასულმა მეცნირებმა „მოტირალი“ ქანდაკება რენტგენის სხივებით გამოიკვლიეს, მაგრამ მასში ვერანაირი მილი და სიცარიელე ვერ აღმოაჩინეს. თვალის ფოსოებიდან გამოჟონილი ნივთიერების ანალიზმა ცხადყო, რომ სითხე ნამდვილად ადამიანის სისხლია. მკვლევარებს ყველაფერზე მეტად ის აინტერესებთ, თუ საიდან, მორწმუნეებს კი — ის, თუ რატომ მოედინება სისხლი. ნუთუ „სისხლიანი ცრემლები“ მოახლოებულ უბედურებას მოასწავებს?! ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ზეციური ნიშანი მხოლოდ პიეტრელჩინას ან მხოლოდ იტალიის მომავალს როდი შეეხება... ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით უცნობია, ამიტომ მორწმუნენი კვლავაც გულმხურვალე ლოცვას აღავლენენ.

ბირთვული ომის მსხვერპლი... ძველი სამყარო

წამყვანი ბრიტანელი ფიზიკოსი, დოქტორი ლინდონ მერედიტი დარწმუნებულია, რომ ბირთვულმა ომმა ადამიანთა ცივილიზაცია ერთხელ უკვე გაანადგურა.

ეს დაახლოებით 30 მლნ წლის წინ მოხდა. მერედიტი მიიჩნევს, რომ უსსოვარ დროში ადამიანმა პლანეტა აითვისა და მზის სისტემის კოსმოსური დაპყრობაც დაიწყო. მაგრამ ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელმა შუღლმა და განხეთქილებამ კაცობრიობა ატომურ ომამდე მიიყვანა, რამაც ეს ცივილიზაცია „პირისაგან მიწისა მოსრა“. დროის წაიღიდან ჩვენამდე მოღწეულ ამ მოვლენათა სუსტ გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ თქმულება ნოეს კიდობნის შესახებ, ლეგენდები ახალ წარღვნასა და ჩაძირულ ატლანტიდაზე, ამერიკელ ინდიელთა ძველისძველი თქმულებები მფრინავ ღმერთებზე, გადმოცემები კოსმოსურ ომებსა და ინდოელ „უფანიშადებსა“ და „მაჰხაბჰარატაზე“. „ოქროს საუკუნის“ იდეა არცთუ ისე ახალია, — ამბობს დოქტორი მერიდიტი, — მაგრამ ბოლო ხანს მისი თეორიის დამადასტურებელი მრავალი საინტერესო ფაქტი გაჩნდა. მათ შორის, მეცნიერი განსაკუთრებით გამოყოფს ციმბირში აღმოჩენილი კრომანიონელი ადამიანის ნაშთის რადიონახშირბადულ ანალიზს, რომელიც მრავალი მილიონი წლით უკან სწევს თანამედროვე ადამიანის ტიპის წარმოშობის თარიღს. მეორე არგუმენტად მეცნიერს, ცხოველთა და მცენარეულ ორგანიზმთა დედამიწის ქერქში ნაპოვნი ნაშთები მიაჩნია, რომლებზეც აშკარად შეიმჩნევა 30 მლნ წლის წინ უჩვეულო რადიაციით გამოწვეული ბიოლოგიური მუტაციის

ნელი ბიჩიკაშვილი: ფეხმძიმე ქალს მეგობარმა საქმრო წაართვა

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან მემკვიდრეობით გადაეცა. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. ბიზნესმენები, თუ რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, რჩევისათვის მაშინვე ნელისთან მიდიან — ისე ხელს არ ჰკიდებენ ახალ საქმეს. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და შელოცვებით ბევრი ოჯახი გადარჩა დანგრევისა და მოსალოდნელ უსიამოვნებას. ქალბატონ ნელისთან ხალხი რაიონებიდანაც ჩამოდის.

— ამას წინათ, ჩემთან მოვიდა 19 წლის გოგონა, რომელსაც დაქალმა საქმრო წაართვა. ძალიან ახლოს იყვნენ, უახლოეს მეგობრად მიიჩნევდა, მაგრამ მან მაინც უმუხთლა. ნიშნობის შემდეგ, როცა ქორწილის საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო, დაქალის შეყვარებულს თავი ცოლად შეართვევინა.

— რატომ მიატოვა ბიჭმა საცოლე?

— მაგიური ზემოქმედების ქვეშ იყო და რეალობის ობიექტურად შეფასების უნარი დაკარგული ჰქონდა... გოგონას თან დედაც მოჰყვა, თავისი ქალიშვილის ბედი აინტერესებდა. ჯუმარჩიელე და ჯუთხარი: ფეხმძიმედ ხარმეთქი. შეიცხადეს, — გამორიცხულიაო, თუმცა გოგონამ აღიარა, რომ ნიშნობის მერე, საქმროსთან ინტიმური კავშირი ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, ორსულად რომ იყო. დედამ იმავე დღეს წაიყვანა ქალიშვილი ექიმთან. ექოსკოპიურმა გამოკვლევამ ჩემი ნათქვამი დაადასტურა. ვურჩიე, ბავშვი გააჩინოს, დედამისიც თანახმაა.

— ეს ამბავი მომავალი ბავშვის მამამ გაიგო?

— დიახ! ჩემი რჩევით დაურეკა და გააგებინა, მაგრამ ცოლი ჩასჩიჩინებს, ბავშვი შენი არ იქნება, სხვა კაცისგან დაფეხმძიმდებოდაო... გავა დრო და რა თქმა უნდა, სიმართლე გაირკვევა, როცა ბავშვი დაიბადება, მამას დაუმტკიცებენ, რომ შვილი მისია და გონს მოეგება, მაგრამ სამწუხარო, იცით, რა არის? — ბოლო დროს ძალიან გახშირდა მსგავსი შემთხვევა.

რამდენიმე თვის წინ, ჩემთან მოვიდა ერთი ქალბატონი — ორი შვილის დედა, არაჩვეულებრივი ქმრის პატრონი. კარგი ოჯახი აქვს, მაგრამ თავის დროზე უსიყვარულოდ გათხოვდა, ქონების გამო 17 წლით უფროსს გაჰყვა ცოლად.

— თქვენთან რის გასაგებად მოვიდა?

— ქმარი ვერ შევიყვარე, ერთი ახალგაზრდა კაცი მომწონს და მაინტერესებს — როგორ განვითარდება ჩვენი ურთიერთობაო. დაუფარავად ვუთხარი სიმართლე, — თუ საყვარელს გაიჩენ, ოჯახი დაგენგრევა, ქმარი ღალატს არ გაპატიებს-მეთქი. არც ის დამიმალავს, რომ მისი რჩეული ცოლად არ შეირთავდა.

— აუხდა თქვენი ნათქვამი?

— სამწუხაროდ, აუხდა... საყვარელი გაიჩინა, მაგრამ ქმარმა გაიგო, ფაქტზე წაასწრო და უჩივლა. ცოლის უზნეო საქციელის გამო, მან დედობის ჩამორთმევის საკითხი დააყენა სასამართლოზე და შვილები წაართვა.

— საყვარელმა რა მოიმოქმედა?

— ცოლი მიყვარს და შენი გულისთვის ოჯახს ვერ დავანგრევო, — უთხრა. ასე რომ, ქმარიც დაკარგა და საყვარელიც... გაკვირვებული ვარ პირდაპირ, რა აზრი აქვს ნათელმხილველთან მისვლას, თუ მის რჩევას არ გაითვალისწინებს ადამიანი?.. ამას წინათ ატირებულმა დამირეკა — რაც მითხარი, ყველაფერი სიტყვასიტყვით ამიხდა და გეხვეწები, ოჯახი დამიბრუნეო, მაგრამ ჩემგან ცივი უარი მიიღო.

დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ!

მისამართი: წერეთლის №12 (ტბილისი „წერეთლის“ გვერდით) მე-2 სადარბაზო, სართული, ბინა №24; საკონტაქტო ტელეფონები: 35-29-72; 893-30-65-51; 899-20-37-64. R

ქარიშხლის კვალი. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს რადიაცია უძველესი ატომური ბრძოლების შედეგი იყოს. და ბოლოს — კუბის სანაპიროს სიახლოვეს ზღვის ფსკერზე მეცნიერებმა ქალაქებისა და თავდაცვითი ნაგებობების ნანგრევები აღმოაჩინეს, რაც იმის დასტურია, რომ ოდესღაც იქ გიგანტური ქალაქი არსებობდა. წყალქვეშა ნანგრევების კვლევათა პირველი შედეგები მოწმობს, რომ ამ დასახლებამ აყვავების ხანას უხსოვარ დროში, მრავალი მილიონი წლის წინ მიაღწია. „კაცობრიობამ კოსმოსში გზა ერთხელ უკვე გაიკვალია, მაგრამ უგუნურების გამო, რასაც მიაღწია, ყველაფერი დაკარგა და იძულებული შეიქნა, არსებობა თავიდან — გამოქვაბულში ცხოვრებიდან დაეწყო. ჩვენი ამოცანაა, ეს საბედისწერო შეცდომა აღარ გავიმეოროთ“, — ამბობს მეცნიერი.

ოლიმპიური ნახტომის საიდუმლო

პირველი ოლიმპიადა ჩვ.წ.აღ-მდე 776 წელს ჩატარდა. სწორედ ასე თარიღდება ჩვენამდე მოღწეული პირველი ცნობები ოლიმპიური თამაშების შესახებ. ამ თამაშებზე დამყარებული რეკორდები კაცობრიობას დღესაც აღაფრთოვანებს.

ფაილოსი ოლიმპიური თამაშების მრავალგზის გამარჯვებული ყოფილა. მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს, რომ ეს ათლეტი სიგრძეში 16 მეტრზე გადახტა! დღეს ამ შედეგის ჩვენება მხოლოდ სამმაგი ხტომის ოსტატებს ძალუძთ. რა იმალება წარწერის მიღმა — ძველი მითი, გაზომვის დროს დაშვებული შეცდომა თუ ძლიერი დოპინგი? არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. ეს მისტიკური ძალის — საკუთარი აურისა და მიწიერი ბიოენერგიის გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია!

ძველმა მხატვარმა ერთ-ერთ პანოზე ამ ნახტომის პროცესი შესანიშნავად გამოსახა. სპორტსმენს ხელში ორი მძიმე ბრტყელძირიანი ტომარა უჭირავს. თანამედროვე მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მისცა მათ, ზოგადი წარმოდგენა შეჰქმნოდათ ტვირთის შიგთავსისა და დანიშნულების შესახებ. ტომრები ორი ფენისგან იყო შეკერილი: გარეთა ფენა სელისა იყო, შიდა კი — აბრეშუმის მსგავსი მასალისგან იყო დამზადებული. ტომარაში მყარი ბიომასისგან გაკეთებული ფენოვანი ნახევარსფერო იდო, რომელიც ორი რგოლისგან შემდგარ საყრდენზე იყო დამაგრებული და ენერგოკონდენსატორის ფუნქციას ასრულებდა. რგოლები ტომრის ფსკერს სიბრტყეს აძლევდა. ნახტომის წინ, ქარვაზე ხახუნის მეშვეობით, ბიომასა სტატიკური მუხტით ივსებოდა, რის შედეგადაც, ენერგოველის მოცულობა მის გარშემო მეტრნახევრიანი რადიუსით იზრდებოდა. ნახტომის წინ „კონდენსატორები“ სასწრაფოდ ტომარაში თავსდებოდა და სპორტსმენს გადაეცემოდა. ეს, ყველაზე ეფექტიანი, დამუხტვიდან 20 წამის განმავლობაში იყო. ტომრების ხელში აღების შემდეგ, სპორტსმენის აურა რამდენჯერმე იზრდებოდა, სხეულის წონა კი — მცირდებოდა. ტომრებისა და წელზე შემოჭერილი წვრილი მეტალის ქამრების გარდა, სპორტსმენებს ქურუმები საკუთარი ენერგეტიკის მართვასაც ასწავლიდნენ.

ძველ სპორტსმენთა მომზადებისა და წვრთნის შესახებ ჩატარებული კვლევები ირიბად იმ ჰიპოტეზას ამტკიცებს, რომლის თანახმადაც, პირველი ოლიმპიური თამაშები — ქურუმთა სამხედრო მომზადების დათვალიერება იყო და არა უბრალოდ სპორტული შეჯიბრება, სადაც მთავარი გახლდათ არა სხეული, არამედ ფსიქოტექნიკის სრულყოფა, სხვადასხვა ბალახეული წამლის ეფექტიანობა და უახლესი თილისმების აპრობაცია — იმ საიდუმლო ხერხების გამოცდა, რომელსაც შემდგომ, ხალხი „ღმერთების ნებად“ მიიჩნევდა. ასე რომ, მოგვიანებით შექმნილი გამოთქმა — ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, — თავდაპირველად კონკრეტულ დატვირთვას ატარებდა.

სულები არაფერ შუაში ყოფილა

პერუს ანდების დასავლეთ ფერდობზე ერთი ხეობაა, რომელსაც ხალხი „სიკვდილის ველს“ უწოდებს.

XVსაუკუნიდან მოყოლებული, ცნობილია, რომ ყველა, ვინც ამ ხეობაში თუნდაც ერთ ღამეს გაათევს, ანემიის უმძიმესი ფორმით ავადდება და მალევე კვდება. ისინი კი, ვინც ხეობას დღისით მოინახულებენ — უვნებელნი რჩებიან.

ადგილობრივი გადმოცემის თანახმად, ადამიანებს სიკვდილს ჯადოქართა სულები უგზავნიან, რომლებიც შურს იმის გამო იძიებენ, რომ იქაურმა მცხოვრებლებმა ხეობაში მდებარე მათი სასაფლაო გაანადგურეს. მეცნიერები ამ საიდუმლოს ამოხსნას კარგა ხანია, ამაოდ ცდილობდნენ. „სიკვდილის ველის“ საიდუმლო ცოტა ხნის წინ, სტუდენტმა მედიკოსმა — კარიონ როსარიომ საკუთარი სიცოცხლის ფასად ამოხსნა. მან ხეობაში რამდენიმე ღამე გაატარა და დაადგინა, რომ სასიკვდილო დაავადების გადამტანი, იშვიათი ენდემური ბუზია, რომელიც მხოლოდ იმ ადგილებში ბინადრობს. დღისით მწერს სძინავს, ღამღამობით კი — სანადიროდ გამოდის. ამ ბუზმა როსარიოსაც უკბინა. ექიმთა თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, კარიონ როსარიო გარდაიცვალა. ■



(დასაწყისი გვ. 44)

მსოფლიოს მერვე საოცრება

მკურნალ ექიმს — მაია გიგაურს შევხვდით.

— გოჩა ურთულესი ანომალიით დაიბადა, ასეთ დროს ახალშობილი დიდიხანს ვერ ცოცხლობს. მას სრული ტრანსპოზიცია აქვს — ყველა ორგანო გადაადგილებულია. საერთოდ, გული 4 კამერისგან, ორი წინაგულისა და ორი პარკუჭისაგან შედგება. გოჩას გული კი, ორკამერიანია, ის შედგება ერთი წინაგულისა და ერთი პარკუჭისაგან, რომლებიც ერთი სარქვლით უკავშირდება ერთმანეთს. ასევე, მას სხვებისაგან განსხვავებული სისხლის მიმოქცევის სისტემა აქვს: მის ორგანიზმში არტერიული და ვენური სისხლი ერთმანეთში ირევა და არ იფილტრება. მიუხედავად ასეთი ავადმყოფობისა, გოჩა დღეს ცოცხალია და აქტიურ ცხოვრებას ეწევა, ჰყავს მეუღლე, შვილი, უყვარს ძმაკაცები, დალევა, ქეიფი, მანქანით სიარული. როცა 1993 წელს პოლიციამ სცემა, უმძიმეს მდგომარეობაში მოიყვანეს საავადმყოფოში. 8 აბსცესი ჰქონდა თავის ქალაში. ამ დროს განვითარდა თირკმლის გემატომა, რომელიც დაუჩირქდა. აუცილებელი გახდა ოპერაციის გაკეთება. ეს იყო ურთულესი ოპერაცია. ნარკოზიდან ძალიან ძნელად გამოდიოდა. როდესაც აპარატზე გადართვა დავაპირეთ, თვალი გაახილა და თქვა — აპარატზე არ გადამიყვანოთ, მე ვიცოცხლებო და ხინკალი მოითხოვა. ჩვენ, ექიმებს ხელი გვქონდა ჩაქნეული, ის კი გადარჩა. ეს მართლაც საოცრება იყო!

— როგორ ფიქრობთ — რა აძლევს მას სიცოცხლის ენერგიას?

— გოჩა დიდი ოპტიმისტია. სიცოცხლე უყვარს. ეს გრძნობა იმდენად ძლიერია, ღმერთმა არ დაიშურა და უხვად დააბერტყა. ძალიან კეთილია, ცდილობს, ყველას ასიამოვნოს. პატარა იების კონას მოიტანს, მაგრამ ამას ისე ლამაზად გააკეთებს, რომ დიდ სითბოსა და სიყვარულს აქსოვს. საოცარია ის ფაქტიც, რომ არ ყოფილა შემთხვევა, გოჩა საავადმყოფოდან გაგვეწეროს — ყოველთვის იპარება და ეს ადასტურებს, რომ აქტიური ცხოვრება უყვარს... მე ბედნიერი ვარ, რომ გოჩა ბექაური ჩემი პაციენტია.

— კიდევ თუ იცნობთ გოჩას მსგავსი აგებულების ადამიანს?

— დეკტრაკარდია არსებობს, მაგრამ მის ორგანიზმში მარტო გადაადგილებასთან კი არ გვაქვს შეხება — გოჩას პარალელურად, გულის ურთულესი, კომბინირებული მანკი აქვს. ორკამერიანი გულიც მსოფლიოში არ არსებობს. ეს არის ბაყაყის გული. ადამიანმა ორკამერიანი გულით რომ იცოცხლოს, წარმოუდგენელია და ძალიან მწყდება გული, რომ მხოლოდ პრესა ინტერესდება ამით, მისი მეცნიერული შესწავლა კი ვერა და ვერ მოხერხდა. ■

რას უნდა ელოდეთ ხვალინდელი დღისგან?

ფსიქოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი ადამიანის ბედ-იღბალზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს მისი განწყობილება: თუკი სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ადამიანი ბრძანდებით, ხვალინდელი დღისგან წარმატებებს უნდა ელოდეთ; ხოლო თუკი შიშითა და ძრწოლით შეჰყურებთ მომავალს, უსიამოვნებები შესაძლოა, მართლაც არ აგცდეთ. როგორ გავლენას ახდენს თქვენი ემოციური განწყობილება თქვენს ბედ-იღბალზე? ამას ტესტის მიხედვით გაიგებთ.

1. ნებისმიერ ეპოქაში ცხოვრების შესაძლებლობა რომ მოგცემოდათ, რომელ დროში ისურვებდით ცხოვრებას?

ა) წარსულ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ის უამრავი საზიზღრობა, რაც დღეს ჩვენ გარშემო ხდება;

ბ) მომავალ ეპოქაში, როცა ცივილიზაციის პროგრესი გადაწყვეტდა დღეს არსებულ უამრავ პრობლემას;

გ) ჩვენს ეპოქაში ცხოვრებაც მაკმაყოფილებს.

2. როგორი გრძნობა გეუფლებათ სატელევიზიო რეკლამის ყურებისას?

ა) ნერვები მეშლება;

ბ) ინტერესით ვუცქერ;

გ) არანაირი გრძნობა არ მეუფლება;

3. როგორ ფიქრობთ, უკანასკნელ წლებში კლიმატური პირობები შესამჩნევად გაუარესდა?

ა) დიახ, ეს ხომ სრულიად ცხადია;

ბ) ჩემი აზრით, კლიმატური პირობები სულაც არ გაუარესებულა, ისეთივეა, როგორიც ადრე იყო;

გ) ამ საკითხზე არ მიფიქრია.

4. გესიზმრებათ თუ არა კოშმარები?

ა) დიახ, ზოგჯერ;

ბ) არა, ძირითადად, სასიამოვნო სიზმრებს ვხედავ;

გ) სიზმრებს საერთოდ არ ვხედავ.

5. გარდაუვალი სიბერის შიში ხომ არ გაქვთ?

ა) უსიამოვნო გრძნობა მეუფლება, როცა წარმოვიდგენ, რომ დავბერდები და დავუძლურდები;

ბ) ნებისმიერ ასაკს აქვს თავისი უპირატესობა;

გ) ეს სრულებითაც არ მაღელვებს.

6. გჯერათ თუ არა განსაკუთრებული ნიშნების არსებობა ანუ ხართ თუ არა ცრუმორწმუნე?

ა) მჯერა ამ ნიშნების არსებობა, რადგან საკუთარ თავზე არაერთგზის დავცადე;

ბ) მხოლოდ კეთილი ნიშნების არსებობის მწამს;

გ) ცრუმორწმუნე არ გახლავართ.

7. მართალია თუ არა, რომ ცუდ ამინდში ადამიანს შრომისუნარიანობა უქვეითდება?

ა) დიახ, ასეა, ცუდ ამინდში ადამიანი მოჟამულ ხასიათზეა და საქმეც ხელიდან არ გამოსდის;

ბ) ცუდ ამინდს ყურადღებას არ ვაქცევ;

გ) ცუდ ამინდში გამამხნევებელი საშუალების გამოძებნას ვცდილობ და საქმეებს საკმაოდ კარგად ვუმკლავდები.

8. სარკეში ყურებისას, რაზე ფიქრობთ ხოლმე?

ა) სამწუხაროდ, წლებს თავისი მოაქვს;

ბ) სახეზეც მშვენივრად გამოვიყურები და ფიგურაც შენარჩუნებული მაქვს;

გ) მართალია, ღმერთმა ტოპმოდელის გარეგნობით არ დამაჯილდოვა, მაგრამ მომხიბლაობა ნამდვილად არ მაკლია.

9. ნაცნობებზე რას ფიქრობთ ხოლმე?

ა) სასურველია, რომ ისინი უფრო საინტერესო და გულისხმიერი ადამიანები იყვნენ, ვიდრე სინამდვილეში არიან;

ბ) ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან!

გ) მართალია, ისინი უნაკლოები არ არიან, მაგრამ საერთო ჯამში, საკმაოდ სიმპათიური ადამიანები არიან.

10. როგორი განწყობილება გეუფლებათ უფრო ხშირად, საღამო ხანს?

ა) უკმაყოფილებისა და სიცარიელის;

ბ) სიხარულის;

გ) კმაყოფილების.

დააჯამეთ ქულები: პასუხების ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 0 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 3 ქულა, „გ“ ვარიანტში — 1 ქულა.

ტესტის შედეგები:

0-7 ქულა: თქვენს ხასიათში მინორული განწყობილება ჭარბობს. ხშირად გეჩვენებათ, რომ ადამიანები სათანადოდ არ გაფასებენ და არც ბედი გწყალობთ მაინცდამაინც. ალბათ, მართლაც, უკეთესი ხვედრის ღირსი ხართ, მაგრამ დაფიქრდით, რას აკეთებთ მის მოსაპოვებლად?

8-14 ქულა: საოცრად გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით: არც სასოწარკვეთილებაში ვარდებით და არც მძაფრი ემოციები გახასიათებთ. ცდილობთ, ცხოვრება მიიღოთ ისეთად, როგორიც სინამდვილეშია. მართალია, ამგვარი მიდგომა გულგატეხილობისა და იმედგაცრუებისაგან გიცავთ, მაგრამ დიდ წარმატებას არ გიქადით. გამოავლინეთ სულ ცოტა მეტი ოპტიმიზმი, საკუთარი ძალების რწმენა და უამრავი სიხარულის მიზეზიც გამოგიჩნდებათ.

15-30 ქულა: სიცოცხლის სიყვარულითა და ოპტიმიზმით ხართ აღსავსე: წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას არ აქცევთ. სამაგიეროდ, წარმატების სიხარულს საკმაოდ მძაფრი ემოციებით გამოხატავთ — ოღონდ, ზოგჯერ ფაქტებისადმი მაინცდამაინც ობიექტური მიდგომით არ გამოირჩევით. ეცადეთ, უფრო ობიექტურად შეაფასოთ ადამიანებიცა და მოვლენებიც.

1 ბანქოს ერთგვარი თაქაში
2 დდ. მსხვილი ჯოხი
3 მარცვლოვანი კულტურა
4 აღორძინების ხანა
5 მზის სისტემის პლანეტა
6 სკანდინავიელი მეომარი მეზღვაური
7 ოფიცრის წოდება
8 ხის ანათალი
9 სკანდალური გამოხდომა
10 სასიამოვნო სუნი
11 პატარა მდინარე
12 ამერიკის შტატი
13 კურკოვანი ხილი
14 ჩრდილოატლანტიკური ალიანსი
15 ყველასათვის სავალდებულო წესი
16 ვარცხნილობა
17 ბუნების დამანგრეველი მოვლენა
18 ძვ. რომაელთა სამოსი
19 ქალაქის ტრანსპორტი
20 ფეხის ნაწილი
21 ჟანგბადის ალოტროპია
22 ჩახურებული ფქვილი
23 ფელინის ფილმი
24 სასიმინდე
25 მეფის სასახლე ესპანეთში
26 ციმბირის ტყეები
27 სათუთი
28 დანელიას ფილმი
29 ალდის თხა
30 რუსი ილუზიონისტი
31 ადამიანებით ვაჭრობა
32 ძლა, ღონე
33 ყავის დასალევი ჭურჭელი
34 იტალიის ტელევიზია
35 სახელმწიფო აფრიკაში
36 კავკასიელი
37 გზის საფარი
38 ... პუჩინი
39 მტკიცე პირობა
40 ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
41 ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია
42 ერთგვარი კანფეტი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. სუფრა; 2. ფანერა; 3. ელისტა; 4. ტაფა; 5. რანდა; 6. რომი; 7. ფიჯი; 8. ნევა; 9. პაიკი; 10. ჯამე; 11. ოჯალეში; 12. ქორო; 13. რამპა; 14. ნიკოლ; 15. რაფინაცია; 16. ჯორჯია; 17. ანდორა; 18. აფრა; 19. ყაიმი; 20. ალონსო; 21. ლეპრა; 22. ეკიპაჟი; 23. არილი; 24. შეიკერი; 25. სირია; 26. კიი; 27. ბანდურა; 28. აშარი; 29. როქი; 30. შუ; 31. ბედაური; 32. გოტიკა; 33. ტირე; 34. ალიგიერი; 35. ქერი; 36. გოდება; 37. პიკაპი; 38. ოდა; 39. პატიო; 40. ქიმი; 41. ბანდეროლი; 42. რიონი; 43. შუნი; 44. ევრო; 45. აკადემია; 46. კენჭი; 47. დაკა; 48. ჩირი; 49. პი.

სურათზე: სარა ჯესიკა პარკერი; მიშელ პფაიფერი.

M K

თევზების წვიმა ინდოეთში

ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროზე მდებარე კერალის შტატი ისედაც განთქმულია ზღვის პროდუქტის დელიკატესებით, მაგრამ ამიერიდან, ადგილობრივ კულინარებს სრულიად სამართლიანად შეუძლიათ იტრაბახონ იმითაც, რომ უნიკალური კერძების მოსამზადებელი თევზით, პირდაპირ ციდან მარაგდებიან.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა სოფელ მანაში ციდან დიდი ხნის ნანატრი წვიმა წამოვიდა, მისმა მცხოვრებლებმა დაინახეს, რომ წვიმის წვეთებთან ერთად, მიწაზე დაახლოებით 20 სმ სიგძის თევზები ცვიოდა. „თავდაპირველად ეს უჩვეულო მოვლენა ვერ შევამჩნიეთ, მაგრამ მალე აღმოვაჩინეთ, რომ მიწა რაღაც მოფართხალე, სლიკინა არსებებით დაიფარა“, — ამბობს ადგილობრივი მაღაზიის მეპატრონე. სოფლის მეორე მცხოვრები კი ჰყვება, რომ საკუთარი ხელით მოაგროვა 30 თევზი, რომელიც ყინულივით ცივი გახლდათ. სოფელ მანას მცხოვრებთა თქმით, „ციური“ თევზები ძალზე ჰგავდნენ იმ თევზებს, რომლებიც ადგილობრივ ტბებსა და მდინარეებში მრავლად მოიპოვება.

უნდა აღინიშნოს, რომ დროდადრო, პლანეტის სხვადასხვა კუთხეში ფიქსირდება უჩვეულო ნალექები, რომლის დროსაც ციდან რაღაც-რაღაცები — თევზები, ბაყაყები, პამიდვრები და თქვენ წარმოიდგინეთ, ფულიც კი — ცვივა. სპეციალისტების მტკიცებით, ეს ბუნებრივი მოვლენა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა დედამიწაზე. მეცნიერების თქმით, ამ ფენომენს ხმელეთსა თუ წყლის ზედაპირზე წარმოქმნილი სპირალური ქარბორბალა იწვევს. ტორნადო ისრუტავს მისი მოქმედების არეალში მოხვედრილ ნივთებსა თუ ცოცხალ არსებებს, აიტაცებს ჰაერში და როცა ქარი შედარებით ჩაცხრება, თავის ნადავლს ისევ დედამიწაზე აბრუნებს. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ, ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა სერბეთის პროვინციულ დასახლებულ პუნქტში (ოძაჩი), რომელსაც კოკისპირულ წვიმასთან ერთად, ბაყაყების წვიმაც დაატყდა თავს.

შეჯინება წყალქვეშ

ცურვაში ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი — გერი ჰოლი კვლავ პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა, ოღონდ ამჯერად, არა სპორტული მიღწევის, არამედ ზვიგენთან შერკინების გამო. ჰოლი დასთან — ბებესთან ერთად, ფლორიდის მახლობლად, ერთ-ერთ კუნძულთან წყალქვეშა ნადირობით იყო გართული, როცა საკუთარი ნავისგან 200-ოდე მეტრში მყოფს, მოულოდნელად ზვიგენი დაესხა თავს. გერიმ მტაცებლის მოგერიება მოახერხა — რამდენჯერმე ფეხი ჩასცხო, მისმა დამ კი, წყალქვეშა თოფიდან გაისროლა და ზვიგენს ტყვია თავში მოარტყა. მაგრამ მანამდე, ზვიგენმა მაინც მოასწრო გოგონას დაკბენა — მას ექიმებმა 19 ნაკერი დაადეს.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

5	8	6	3	2	7	4	9	1
7	9	1	5	4	8	6	2	3
2	3	4	6	9	1	5	7	8
9	5	2	7	1	4	8	3	6
6	4	3	8	5	9	7	1	2
8	1	7	2	3	6	9	4	5
4	2	8	9	6	3	1	5	7
1	6	5	4	7	2	3	8	9
3	7	9	1	8	5	2	6	4

3	6	9	5	7	1	4	8	2
7	4	1	2	6	8	3	9	5
8	2	5	9	3	4	7	1	6
6	7	4	8	9	3	5	2	1
5	9	2	6	1	7	8	3	4
1	3	8	4	2	5	6	7	9
2	8	7	1	4	6	9	5	3
4	1	3	7	5	9	2	6	8
9	5	6	3	8	2	1	4	7

6	8	3	5	1	4	2	9	7
4	9	1	2	7	3	6	8	5
2	5	7	8	6	9	4	1	3
9	2	5	1	3	8	7	4	6
7	1	6	4	2	5	9	3	8
3	4	8	6	9	7	1	5	2
5	7	2	3	4	1	8	6	9
8	6	4	9	5	2	3	7	1
1	3	9	7	8	6	5	2	4

* მარტივი

	8		5		3		4	
	1			8			2	
4			7		2			3
	4	7				2	5	
	3						6	
	6	8				3	7	
5			1		4			9
	9			2			3	
	7		6		9		1	

** საშუალო

6			3	4	2			7
	2		8		1		9	
2	3			5			8	6
	1						4	
4	5			8			7	2
	7		5		9		6	
9			6	2	3			8

*** რთული

	5			1			9	
8	4		7		2		1	3
		1	3		5	8		
	1	8				6	3	
6								9
	7	3				1	4	
		9	5		4	2		
4	8		9		7		6	1
	3			8			5	

M K

ფოტოკოლაჟები

Premier by Dead Sea Premier

ნიღაბი ღამის ფეხრის

-60
b 27/34

ღაჯილდოვებული
ჩოგორის საუკეთესო
პროდუქტი

ტელ: (+995 32) 38 44 54
მობ: (+995 99) 54 66 66
შ.პ.ს. ი.ლ. პრემიერი
www.il-premier.ge